

8(05) 1901 6jcm

2-80 W79306n

a m s a g o

ତୁମ୍ଭରେ କୀର୍ତ୍ତିନାଳୀ

ପ୍ରେସରିଟ୍ୟୁନିଭାରତ ୩୦

Nº VII

033060, 1901

ଓঝা মুসলিম

**1901**



Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Июля 1901 г.

	83-
I.—სოფელზი. — მოთხრობა ქიზაყელების ცხოვრები— დან, სიკოსი . . . . .	1
II.—საბრძლონი. — რომანი გაქტარ ჰიუგოსი, პირველი ნაწილი, თაგმანი ფრანგულით, ღვ. მაჭადარიანისა ,	17
III.—პატარა მიოლუზი. — კომედია სამ მოქმედებად ჰენ- რიხ იშენისა თარგმანი ინ. ანისა (გაგრძელება) . . .	81
IV.—ორი მეგობრობა. — თარგმანი გატა აბაშიძისა (და- სასრული) . . . . .	1
V.—არეოლოგიური მოგზაურობანი და გენიუნე- ნი. — ე. თავაძეგილისა (გავრძელება). . . . .	25
VI.—ძველი თაობა. — ალჩალ ჭორჭაძისა . . . . .	43
VII.—უცხოეთის მიმოგილვა. — გერმანია და აზალი სადა- მოენო ტარიფის პარექტი. — საფრანგეთის ეხლანდელი მთავ- რობა. . . . .	61

# ს ი ფ ე ლ შ ი

(ქიზიყელების ცხოვრებიდან)

— მადლობელი ვარ, მადლობელი, გეოჯან, მახსოვს და არც  
ჟამავიწყდება, რამდენი სიკეთე მიყავ, ვინ იცის... ეს ოხერი.  
სხეაც არა რყოსრა, ე მუცელი შენ დუქანში არ გავიდიდე,  
აბა ეს რამ უნდა დამავიწყოს!

— მაშ, ღმერთმა რათ გამზარდა ამოტელა, თუ შენისთა-  
ნა კაცს არ დავეხმარები, როცა უჭირს...

— მეხმარები ხოლმე, მეხმარები, ღმერთმანი: აბა ისეთი საქმე  
გამიკეთებია, რო შენ არა რეულიყავ და შენის წყალობით  
კუთილად არ წასულიყოს!

— აე ლაპარაკობდნენ მიმასახლისი და მედუქნე გეო, დუქ-  
ნის უან მოდგმულ ოთაში; უსაფენო ტახტზედ ისხდნენ და  
წითულ კახურს შეექცეოდნენ.

— მაშ, მარტო რას გააწყობ, კაცო, — მიუგო გეომ: — თუ  
გინდა, ჩემო ძმაო, რო ნიკორა კამეჩის ურემი აღმართზე აატა-  
ნიო, შაქარა მეუღლედ უნდა ამოუყენო, თორემ...

— იცი, ჩემო ძმაო, ჩამოართვა სიტყვა მამასახლისმა: ჩვენ  
იმ კაცსა ვგევართ, რომელიც წყალს გაღმაა და გამოლმა ეჩქა-  
რება: ხიდი კი, ერთი საათიც და უნდა ჩაიშალოს, აბა მითხარ,  
ის კაცი შაიძლება, არ გამოჩარდეს, რო ხიდის ჩაქცევას გამოა-  
წროს!

— უნდა, გამოჩარდეს, თორემ...

— პო, აბა ჩვენც ნუ ვეცდებით (ფულების აკრეფას, სა-  
დილების გამოცინცქვლას და სხვის ხარჯზე დავინის გადაკვრას,  
იფულისხმეს როგორც გეომ, ისე მამასახლისმა) თუ ტიტვლები  
არ დავრჩეთ. განა ხვალეც ეს დღე გაგვითენდება; არა, ძმავ,  
ლეთისაგან არ არის ნებული, რო კაცმა თავის საქმეს უდალა-  
ტოს,—სთქვა დაბეჯითებით და წრფელის გულით მამასახლი-  
სმა.

ვინ იცის, კიდევ რას არ იტყოდნენ, რომ გზირი არ შემო-  
სულიყო. ეს უკანასკნელი ისეთი თვალებით დააცქერდა ტახ-  
ტზე დ მდგომ ლვინის ჩარეჭას, რომ გვიგონებოდათ, ეს კაცი  
უეჭველად ან შიგ ჩაძრება, ან არა და ესე ყურებით გააქ-  
რობს, ჩანთქავს ჩარეჭასაო; ბოლოს, როგორც იყო, ლვინის  
სუნისაგან თავდავიწყებული გზირი გონს მოვიდა, დაიღმივა  
და ნერწყვის ყლაპეით მოჰყვა:

— ქიტელაშვილი მიხაკო ჩივის, შენი ვირიმე, მამასახლი-  
სმ!

— მერე, ვის უჩივის, რა მინდაო, არ უთქვამს.

— იმ დღეს გოგიაშვილმა იესემ ყანაში, თუ ფეტეში,  
რა ვიცი, ძროხები შერეკა და მოსავალი წამიხდინეო; მაგრამ  
ტყუის კი ის დავსილი, აი! — დაუმატა უცებ გზირმა თავის  
ქექით.

— როგორ? ტყუის? — იკითხა მამასახლისმა.

— პო, იესე კაი ბიჭია, მაგას თავის დღეში არ იზამდა,—  
ამბობდა კრეპით გზირი, — იმ დღეს სადილად დამპატიუა... აპ,  
რა შსუქანი ინდაური დაეკლა ი მამაცხონებულს და... იმის ლვი-  
ნოს კიდევ ხო ქება არ უნდა, ჩინებულია; პო სადილად დამ-  
პატიუა და მითხრა, რო მე და მიხაკო მტრები ვართო და აბა  
მტრერი მტრერს რას არ მოუგონებს, უეჭველად, ტყუის ეგ დაუ-  
სილი!

— ე, მამა გიცხონდა, ყბედობ ხოლმე რაღაცას, შენ რა  
იცი, რო ტყუის, — ცხვირის დაბლა დაშვებით და ბრაზიანის კი-  
ლოთი ღმანჭვით სთქვა გეომ.

— შენ რაღასა მეტიჩრობ, არ ვიცი, — იყითხა თავის ქნევით გზირმა, რომელიც ის იყო, გაჯავრებასაც აპირებდა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, — შეუბლვირა მამასახლისმა, — გასწიდა ის კაცები აქ მოიყვანე, ასრულე, რაც შენი ვალია, ნუ კი ჩეუბობ.

გზირმა საცოდავი სახით დახედა ჩარექას, გამობრუნდა, გადადგა კარებისკენ ორიოდ ნაბიჯი, შედგა, მოჰედა კიდევ ჩარექას, მოიფხანა თავი და გავიდა გარეთ.

— აბა გეო... — მამასახლისმა დიღმნიშენელოვანად შეხედა გეოს თვალებში.

— ვიცი...

— ხო კაი ლუკმა ვამოჩნდა, არა?

— არა, მოიცა...

— როგორ თუ მოიცა, კაი ლუკმაა, თუ არა?

— ჰო, მაშ სხვას რას ვამბობ, კაცო!

— ჰოო, კაი ლუკმაა, ვანა...

— კაი ლუკმაც არის და კაი შემთხვევაც, რასაც ღმერთი გვაძლევს, რო გამოვიჩინოთ, ვიცით ყაირათის გაწევა თუ არა, ჰა, როგორი სიტყვაა, მოგწონს ვანა, ხა, ხა, ხა, — გიცინა გეომ.

მამასახლისმა შიაჩერა თვალები და კარგა ხანი უცქიშა მას. ბოლოს ამოიოხრა და წაილულლულა: ჩმ... იცი, რა ხარ, ნამდევილი ოქრო, ოქრო, მე და ჩემმა ღმერთმა; მოიწი აქეთ... — და იმის დასამტკიცებლად, რო გეო ოქროა, მამასახლისმა წამოიწია, მოხვია მას კისერზე ხელი და ერთი ლაზათიანალ აკოცა.

— ხა-ხა-ხა, — იცინოდა გეო.

მაგრამ მამასახლისმა ვეღარ შესძლო გეოს დიდხანს ხევნა, რადგან ღვინით გაუღენთილი მისი თავი და ტანი მეტად დამძიმდა. მალე უგრძნობელი ტახტზედ გაგორდა და ხვრინვაც ამოუშვა. გეო კი წამოდგა, შუბლი წყლით გაიგრილა, თითებზედ რაღაც დათვალა და, ცოტა ფიქრის შემდეგ, დუქნში გამოვიდა, საღაც ბიჭს მოსთხოვა, აბა მაჩვენე რა გაყიდეო.

ბიჭმაც გადმოალაგა პური, ამოილო ყუთიდვან ფული და მოაყოლა: ამ იმისი ესა და ეს გავყიდე და არყის პატარა ბოკაც დავაცალიერე.

— ეხლა კიდევ რომ შამოვიდნენ არყის ხასყიდლად! აი, შე არამზადავ, რატომ არ დამიძახე მაინც,— შეიკრა წარბები და გაჯაერებით სთქვა გეომ.

— ნუ ჯაერობ, აღაჯან, ეხლავ ყველაფერს გავარიგებ, წიწაკის წყალი მომზადებული მაქვს.— ბიჭმა დახლის ქვეშიდვან გამოილო ვედრო, რომელიც წიწაკის წყლით სავსე იყო და პატარა ბოკაში ჩასცალა, მერე იქვე ჩაისხა ამ წყალზედ ცოტა ნაკლები არაყი, შეაქანა, შედლებიბა და დადგა ბოკა თავის ალაგს. ასე გაამზადა გასასყიდი არაყი. არ გავიდა წამი, რომ დუქანში ვიღაც გლეხი შემოვიდა.

— აბა, გეო, ერთი არაყი!— სთქვა შემოსულშა.— ჩქარა, თუ ღმერთი გწამთ.

— ემ საათში.— ჩქარა, ბიჭო— თვალების ბრიალით დასკუვლა გეომ ბიქს, რომელმაც არყით სავსე სტაქანი უკვე დადგა დახლზე და გლეხმა ხელში აიღო.

— უჰ, რა მწვავეა ეს დასაღონებელი!— რა გადაჭკრა არაყი, სთქვა გლეხმა და ჯიბეში ფულის ძებნა დაიწყო.

— მწვავეა, მა-რა, განა მურაბაა, ტკბილი იყოს,— უპასუხა გეომ ნაკლულად.

— მაშ, წიწაკის წვენია! გაიცინა გლეხმა.

— მამა გიცხონდა, მაგისთანა ხუმრობას თავი დაანებე, კკვაში არ მომდის,— გაჯაერდა გეო.

— რა გაჯაერებს, კაცო, ვიხუმრე, ეი!

— ცუდი ხუმრობა რო იცით, რას ვიზამ აბა, ღმერთი გამიწყრეს, თავი მომიკვდეს, თუ ეხლა ამ საათში არ ჩაგვესხას ეს არაყი ბოკაში, ეს ტიალი, ეგრე მალე როგორ გაფუჭდა!

— ა, ახალი არაყა რო არის, იმიტომა მწვავე, არ დაიჯერებ,— სთქვა გლხმა და გარეთ გამოვიდა. გეომ ულვაშებაში ჩაიცინა და ბიქს თვალი უყო, ბიჭმაც გაუკრიჭა, ვითომ რა ყოჩალები გართო.

— ამ დროს შემოვიდა ჯზირი და შემოიყვანა მოჩივარდამნაშავე.

— გამარჯობა შენი! სად არის მამასახლისი — იკითხეს შემოსულთ.

— ცოტა დალია და ექ უკან ოთახში სძინავს, რა გინდათ, იკითხა გეომ, ვითომ და არ იცის, რა ამბავიაო.

— დამღუპეს და დამაქციებს, მინდა ვიჩივლო, სხვა აქ რა ეშმაკი მამაოსჩებდა, მიუგო მოჩივარმა.

— აი, ლმერთი ოჯახს დაგიქცევს, — გამოესარჩლა თავს დამნაშავე.

— მოიცათ. აქ ჩხუბის ალაგი არ არის, სხვაც არა იყოს რა, მამასახლისს ერთს კედელს იქით სძინავს, — ჩაერთა ლაპარაკში გეო.

— ო, დიდება შენ ლმერთო, დამღუპეს და დახე, ლაპარაკსაც მიშლიან.

— რათა ჯაერობ, მიხაკო, ვინ დაგღუპა, რა მოხდა, კაცო? მეგობრული კილოთი ტკბილად დაეკითხა გეო მოჩივარს.

— ერთი ყური დამიგდე, ძმაო, გიუჟრი რა ვთქვა, — საბრალოს ხმით, თითქმის ხვეწნით დაიწყო მოჩივარმა; — ეხლა, ვთქვათ, ე დუქანში შემოვედო და რაც რამ გაწეს აქაურობაში, ლმერთმა ბევრი მოგცეს, მიგიმტვრივ-მოგიმტვრივო, რას მიზამჲა?

— ეგ რანაირი სიტყვაა, — დაფიქრდა გეო, — რას გიზამ? გაზღეულინებ.

— ჰო, შენ გიშველა ქრისტემ! მაზლევეინებ მარა; მაგრამ, კაცო, გაგონილა შარზედ დადგომა, გაგონილა მთელი წლის სარჩო-საბადებელი კაცს ხელიდგან გამოაცალონ და გადახდის მაგივრად გამოლანდლონ. რათა, კაცო, რათ მიშვრები ასეთ საქმეს, — მიუბრუნდა მოჩივარი დამნაშავეს, — რა დამიშავებია შენთვის. ძმები ვართ და მეზობლები.

— ძმები ვართ და მეზობლები! — გააჯავრა მოპასუხემ მოჩივარი.

— პო და რა, ბევრაზე შენზედ არა ნაკლებ დავდიგარ, ხარჯს შენთან ერთად ვიხდი, შენზედ არა ნაკლებ ვემსახურები სოფელს და ხემწიფეს. მაშ რა არის თუ შენი ძმა, მეზობელი და ტოლი არა ვარ!

— ბარემ ისიცა თქვი, რო კნიაზები და „კურსონიკები“ კაცს მიგზავნიან და ქალსა მსობლენ-ჟან, რაღა! აი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე,—დაუინვით უპასუხა დამნაშავემ.

— აი, კათ მჭერია ხორა ხალხით მეკვეხები, აი გაიძრას-ტენით.

— გაჩუმდი, დასჭირივლა მოპასუხებმ.

— ე, გული არ გაშინეთქო კი და.. მაგრამ გამოგიჩნდება ბიჭობა, ენახოთ, რა პასუხს გასცემ „კანოლს“, მოიცა, რა დაფრიართო.

— თავად ტრაპიზონში გააგზავნინებ ჩემს თავსა და!..— ლიმილით სთქვა მოპასუხებმ.

— რატომაც ე, —უპასუხა მოჩიგარმა,—ე ორიოდ გროში რო გიშოვია და მშიერი „სემერალიერია“ თუ რაღაც ეშმაკი სიძე გყავს, იმითი ხარ გულადი!

— შე ოჯახდასაქცეო, რა ჩემ შვილებს და - გროშებს დაადგი ე. ამოსაეარღნელი კბილი, რა იმათი ჭირი გინდა; რატო თაჭუ არ დაგვანებებდ.

— მაშ, უნდა ღუპო და ავერანო სოფელი და სოფლის სარჩო — ჭირნახული! ა!

— გიყია ეს ოხერი! რამა ყბედობს, ეინ ავერანებს სოფელს, — იკითხა მოპასუხებმ.

— აი ცოლ-შვილი რო ამოუწყდეს და სარჩო-საბადებელი ოხრად დარჩეს!

— წინწალი კი გაგიქრეს, კაი კაცი შენა ხარ! ზიზლით უთხრა მოპასუხებმ მოჩიგარს.

— მე შენ გავიქრობ წინწალს, თუ გადე ე ჯოხი თავში მოჩიგარმა ჯოხი შეიმაღლა.

— ვისა სდებ, შე წუწკო, შენა! — მოპასუხე ამ სიტყვებთან სწვდა ყელში მოჩიგარს. გზირი აჩ გაინძრა და ლიმილით სეირს

უყურებდა. გეო კი ჩაუვარდათ მათ შუა, მითომ ვაშველები; მან მოჩივარს ხელები დაუჭირა, ამით ისარგებლა მოპასუხებდა. თავ-პარში დაუშინა მუშტი მოჩივარს. უკანასკნელს გაუსკდა ცხვირი და სახე სისხლით შეესვარა. იქნება, კიდევ კარგად ეცემნათ, რომ მისი ცოლი, რომელიც წამოსულიყო, — რომ გაეგო, მათი საქმე როგორ გათავდებოდა, — არ შემოვარდნილიყო, არ ჩაერდნოდა შუაში და არ გაეშველებინა. დედაკაცმა, რა დაიწახა თავისი ქმარი პირსისხლიანი, გაიკრა ლოკას ხელი, ჩამოიკაწრა. სახე და მოჰყვა ტირილსა და წყევლა-კრულვას:

— უი, ამოუწყდეს ცოლშვილი და დაენგრას სახლ-კარი, ვინც ჯერ ყანა წაგვიხდინა, დაგველუპა და ახლა თავ-პირიც ჩამოგვალეწა. წამო, წამო, ბოქაულთან ჩავიდეთ, ჩაუცვივდეთ ბუხლებში, შევტიროთ ჩვენი სასაცილოდ ავდება; ის მაინც დაინახავს ჩვენ დამწვრობას და ჩვენს საცოდაობას მოხედავს. დედაკაცმა ქმარი გარეთ გაათრია. დუქანში კარგა ხანი სიჩუმე იყო.

— ფუ, დაღუპოს ღმერთმა მაგის თავი! — გაბრაზებით წამოიძახა მოპასუხებ, — რათ გამოვა ზოგი კაცი ასეთი ავან-ჩავანი, რას გადამეკიდა ეგ ოჯახ დასაქცევი, რაზედ მაცემინა თავი, რაზედ ამიშალა ეს ხათაბალა და ბოროტი!

— ვერ გაეგო, რომ ყველაფერი მისი ბრალი უფრო იყო, მინამ სხვისი, იმას მარტო ის აბრაზებდა, რომ გაუბედეს სიტყვის შებრუნება და უსიამოვნება მიაყენეს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბოქაული სიღნაღშია, ხელ-ცალიერი დაბრუნდება, — დაამშეიდა იგი გეომ, — შენ ეცავ, აქ, ამ მამასახლისთან გაიკეთე საქმე.

მოპასუხებ პასუხი არ მისცა და ისევ გეოს მოუხდა ლაპარაკი.

— როგორ გადაეკიდე მაგ ყბედს? — იკითხა მან.

— ი ოჯახი რო დაექცეს და ცოლშვილი ამოუწყდეს, აგერ იქიდგან, აგერ, — გააკრაჭუნა კბილები მოპასუხებ.

— მერე რა ცუდს კაცს ამბობენ მაგ დასალუპავს.

— მაშ არა და ანგელოზია, აბეზარი, ფურ!

— როდი მოგასვენებს ეგ დასალონებელი, რჯულამდინ მოგყვება,—სცადა გეომ მისი შეშინება.

— რას იზამს, ეს კარგად ვიცი, ციმბირში არ გამგზავნიან ვიღაცა ოხერის ცემისათვის.

— არა, მაგას კი როგორ გიზავენ, — გაუკეთა ვითომ გეომ გული—არა, მე იმას ვამბობ, რო ბევრს გაწვალებს, კალონბაში გაგათოთხარებს მეთქი.

— უზღამ, ფულს მივცემ, ჯანაბას მაგისი თავი, და თავს დამანებებს.

— უ, რას ამბობ, კაცო, — წამოიძახა გეომ,— არა მისცე რა, როგორ უნდა ათქმევინო მაგ წუწკს: აი და ჩემს მტერს ღმერთი გავაცალეო!

მოპასუხებ ხმა არ გასცა.

— თუ კი ფულს დახარჯამ, — დარიგების კილოთი უთხრა გეომ,— შე დალოცეილიშეილო, ისეთ ვინმეს მიეცი, რომელიც თავ-ბედს აწყევლინებს მაგას.

— ვინ არის ისეთი, ღიმილით ჰქითხა დამნაშავემ.

გეომ იცოდა, რომ ამათ ერთმანეთისა ყველაფერი ესმით და ისევ პირდაპირ ლაპარაკი არჩია.

— აი, თუნდ მაგასახლისი.

— იქნება ის კაცი (მოჩივარი) მართალია, მართალს თავ-ბედს ვინ აწყევლინებს?

— რა, გებრალება შენი მტერი, მაგარი კაცი ვერა ყო-ფილხარ, სახელი მაგრეც ძალიან არა გყვარებია.

— მაგას კი რათ მეუბნები, — გაება მოპასუხე გამოქნილ გეოს მახეში,— მე იმას ვამბობ, მართალ კაცს რათ ვინ აწყევ-ლინებს თავ-ბედს-მეთქი.

— აშის საჭმე არ არის! — გეომ ცერი და სალოკი თითი ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა თითქოს მათ შუა სრესამს რასმეო. გეომ იცოდა, რომ მოპასუხე გრძნობდა რასაც სთხოვდნენ და ამიტომ ასე რიხიანად და დაურიდებლად მიახალა ეს სიტყვები პირში. მოპასუხეც, რასაკვირველია, მიხვდა, რომ უფულოთ ვერაფერი გარიგდებოდა.

— მაჩასახლისმა რო...

— ე, რა დროს ლაპარაკია. შენ გროშები შეიჩარუნე.

— შეიძლება კი? ცოტა არ იყოს, დამცინავი კილოთი იყითხა მოპასუხებ.

— მაგის დარღი ნუ გაქვს, უპასუხა გეომ ისეთი კილო-თი, რომელიც აშკარად ამბობდა, ტყურილია ყველაფერი, ფუ-ლის დაუხარჯავად ვერას იხილავ და უეჭველადაც დახარჯავო.

გეომ არაყი ჩამოასხა და მისთავაზა დამნაშავეს, რომელ-შაც სიამოვნებით გადაჰკრა.

— აბა, მაშ ეს საქმე შენთვის მომინდვია და შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორუ კარგად წახყვან.

— ცოცხალი ნუ ვიყო, თუ არ გასიამოვნო; ბიჭი! — და-კყივლა ბიჭის გეომ, — შედი მამასახლისთან, გააღვიძე და უთხარ, ეხლავე აქ გამოვიდეს. ბიჭი წავითა. არ გავიდა ხუთი წამი, მამასახლისი. დუქანში შემოვიდა, სახე და თვალები დასწით-ლებოდა, ქუთუთოები გასიებოდა.

— რისთვის მეძახოდით? ორივეს ახედ-დახედა მამასა-ხლისმა.

— მამასახლისო, ერთი შესახვეწარი საქმე გვაქვს შენთან, დაიღრიჯა გეო, თითქოს მართლა შესახვეწარი აქვს რამე და არა სტყუისო.

— რა ამბავა? იკითხა მამასახლისმა.

— ეხლა ერთი კაცი იყო აქ, ამას უჩიოდა, ნახა, რო მტყუანი იყო, ვერაფერს გაიტანდა და ბოქაულთან წაეიდა იქნება ამით მაინც გავხდე რასმეო. თუ ღმერთი გწამს, უშველე რამე ამ კაცს და სიკეთეს გადავიხდის.

— ძალიან კარგი, გავშინჯოთ და...

— ახლა მოყვები რაღა ეებს, მართლაც დამნაშავე რო იყოს, მითომ რა უშავს? შენი მკრელი სიტყვა ყველგან მშრა-ლს გაიყვანს. — გეომ თვალი უყო მამასახლისს, სიტყვა კი არა, ფული უნდა იგულისხმოო.

— აი ვიახოთ და, თუ კი შემიძლიან რამე; რატომ.

— იცი, მამასახლისო, აი ეს ხუთი მანეთი, მაგის მაგივრად მე გაძლევ, სხვა ბევრიც იქნება, ჯერ-ჯერობით ეს იკმარე, ოლონდ საქმე რიგიანად წაიყვანე, სთქვა გეომ და ხუთმანეთიანი გაუწოდა მამასახლისს.

— რა არის ეგ? იკითხა მამასახლისმა შეენით, მითომდა არ ესიამოვნა.

— კარგი, აიღე ერთი და, დღეს ამის საქმეზედ იქნები, პფრის ჭამა მაინც არ გინდა, შენს ხარჯზედ ხომ არ ისადილებ, სირცხვილია ამისათვის.

— მამასახლისმა აიღო ფული და ჩაიდვა ჯიბეში.

— ლმერომა აგაშენოს, მამასახლისო, — უთხრა გეომ მამასახლისს, — ოლონდ ეს კაცი ხათაბალის გადაარჩინე და თუნდა ორ ძროხას მოგიყვანს კიდევ!

— ჰო, კათ სადილი და კიდევ ხუთი მანათი შენი ჭირის სანაცვლო იყოს, თუ გავმართოლდები. — ისეთი კილოთი უთხრა მოპასუხებ მამასახლისს, საიდგანაც ძალიან კარგათ ჩანდა, რომ გეო დაუკრეფავში გადადის ე. ი. სხვის ფულებს ეგ შენთვის რათ დაიშურების, მე მაგდენს არ მოგცემო.

— ეჭ, თუმანი იყოს, ჯანი გავარდეს, სთქვა გეომ, დანა ყელთანა გაქვს მიტანილი და თუმანზე ლაპარაკობ. კარგი, ჩუმათ იყავ, თუ ლმერთი გწამს და!

— მაგრამ ბარათიც უნდა დამიწერო ეხლავ. მხოლოდ ისე, რო ვითომ ჩემიდგან წაგელოს, სთქვა მამასახლისმა.

— ეინ პირძალლმა მაგის მაგივრად არ დაგიწეროს, — კიდევ წამოტყვრა გეო.

ამ დროს დუქანში შემოვიდა მოჩიგარი, რომლის ცოლიც კარებში დარაბას მიეყუდა გარედგან და იწყევლებოდა.

— გამარჯობათ, — სთქვა მოჩიგარმა, რომელსაც თავ-პირი ასევე გასისხლიანებული ჰქონდა.

— მე კი არ ვიცი, რო ბოქაული შინ არ დაუხვდა, ჩაუცინა გეომ დამნაშავეს.

— გაგიმარჯოს! რას იტყვი? — უპასუხა შუბლ-შეკრულმა მამასახლისმა..

— ერთი ყური დამიგდე, გენაცვალე, — დაიღრიჯა მოჩივარი, — ავ-კაცს უჩივი და გაგვასამართლე.

— რაზედ უჩივი, რა დაგიშავა?

— რაღა გამითეთრა!

მეც მაგას გკითხამ, რა გაჯავრებს! გაჯავრდა შამასახლისი.

— ჰო იმას მოგახსენებდი, შენი ჭირიმე. ერთი ორი დღის ყანა მქონდა და... ე კაცს (თითი დამნაშავისკენ გაიშვირა) შეერეკა შიგ ხარები და სულ ერთბაშათ გაეთელინებინა.

— აგრემც ჩვენი დამლუპველის წინწალი გამჭრალა! — და-იძახა კარებადგან დედაკაცმა.

— ეგ ხო ძნელი საქმეა, — ჩაფიქრდა მამასახლისი — მოიცა, არ დაიჭირე ის ხარები?

— როგორ დავიჭირდი, შენი ჭირიმე, როცა, მანამ მივე-შველებოდი ჩემ ყანას, გაერეკათ.

— რო დაგეჭირა, ძალიან კარგი იქნებოდა, სოქვა მამა-სახლისმა და დაფიქრდა.

— მამასახლისო, ჰა, გაასამართლებ? — გამოიყვანა იგი ფა-ქრებიდგან მოჩივარმა, რომელსაც ჩუმათ დგომა ვერ მოეხერ-ხებინა.

მამასახლისმა აიხედ-დაიხედა და სოქვა.

— რატომ, მაგრამ აბა რით ამტკიცებ, რო მართალი ხარ.

— როგორ თუ რით ვამტკიცებ?

— უნდა დაამტკიცო, მაშ, მართალი ხარ თუ მტკუანი, სიიდგან გავიგოთ

— როგორ თუ ხაიდგან გაიგო; ყანა წამიხდინეს, დამლუპეს, წართვი ერთი ორად, აზლვევინე და მამე! აქ რა არის არ გასა-გები, — ხელების გაშლით სოქვა მოჩივარმა და გაკვირვებით შეხედა მამასახლისს.

— სტკუი, წამოესარჩლა თავს მოპასუხე.

— მტკუანის ოჯახი დაიჭიცეს, მიუგო მოჩივარმა.

— ხარები უნდა დაგეჭირა და აქ მოგერეკა, ჩემო ძმაო, აბა ცალიერი სიტყვით რას გახდები, — ჩაერია ლაპარაკში გეო.

— რა ხარები გინდათ, როცა მთელმა ქვეყანამ დაინახა, რო დაგვლუპეს, გაწიწმატებით მოეშველა მოჩივარს ცოლი.

— ოხ-მე, კბილების კრაჭუნით ამოიოხრა მოჩივარმა.

— ღვთის ცეცხლი, მიაძახა მოპასუხემ.

— რას მემართლები, შე ოჯახ-დასაქცეო. მოჩივარმა საცემად გაიწია.

— ჩემთან როგორ ბედავ ჩხუბს, ეხლავე გომში ჩაგავდებ, — თვალების ბრიალით დაიყვირა მამასახლისმა.

— ჰე-ჰე, ჯან, მამასახლისო, დამლუპეს, მცემეს და მევე უნდა ჩამაგდო გომში, აბა სად არის შენი სამართალი?

— ჩაკმინდე ხმა! — დასჭყივლა მამასახლისმა მოჩივარს, რომელსაც ცოლი დაეჭიდა და გარეთ მიათრევდა.

დუქეანი, სადაც ყველა ეს მოხდა, შეუ სოფელში, გზის პირად იყო; ჩხუბის გამო, ყველა გამვლელ-გამომვლელი დუქენის კარებთან ჩერდებოდა; ახლო-მახლო სახლებიდანაც გამოვიდნენ ბევრნი და დუქნის წინ ბლომა ხალხი შეიკრიფა. დედაკაცი, მოჩივრის ცოლი, ლანძღვა-წყევლით მოუყვა ხალხს, ესა და ეს დაგვამართეს და მშეელელი არავინა გვყავსო.

ხალხში ბევრმა თანაუგრძნო და ავად მოიხსენა დამნაშავე და მოხელეები: ზოგი მოჩივარს ამტყუნებდა, ზოგმა კიდევ თავისი საქმეები მოიგონა, შეიქნა საერთო სჯა-ბაასი და ყაყანი.

— გასწყდნენ კაი მოხელენი ეგენი არიან; მაგათ ხო საწყალი კაცისა არა სწამთ რა, ამბობდა ერთი.

— ზოგი ავან-ჩავანი კაცი რად გამოდის და აწუხებს ხალხსაც და მოხელესაც? — კითხულობდა მეორე.

— შენც არ იყავ, რო დამლუპე, სტყუი, — დასჭყიოდნენ ერთმანეთს მესამე და მეოთხე.

— ქათამი მომიკლეს, ძროხები დამპარეს, — ყვიროდნენ სხვები.

დედაკაცებიც კი მონაწილეობას იღებდნენ ამ საერთო სჯა-ბაასში. ზოგი მათგანი ქრმებს ამშვიდებდა, ზოგი კი ჩხუბში

ერეოდა და ყვირილ-ლანძლვაში კაცებს არ უცვიოდა, რასაც ქრმები, თუ ძმები ცივად უყურებდნენ.

დუქანში კი ჩუმი მოლაპარაკება იყო.

— რა ვუყო მაგ ამოსავარლენს, გავამართლო? შენ რა-ლა გიყო, — ამბობდა მამასახლისი, — გავამტყუნო კიდევ და ქვეყა-ნას შემოყრის, რა ვქნა, არ ვიცი?

— რა უნდა ჰქნა, რას ამბობ, გზირს უთხარ ერთი ორი-ოდე ჯოხი მიარტყას მავას. ჩივის და რიგიანად კი არ იქცევა, საღაურია? — ურჩევდა გო.

— პო და რა, — დაეთანხმა გეოს გზირი, რომელსაც დამნა-შვის მსუქანი ინდოური კიდევ კარგად ახსოვდა.

— საქმე უფრო ცუდად რო წავიდეს... — ფთხილობდა დამ-ნაშვე.

— რას ამბობ, როგორ თუ ცუდად, ამოტელა ხალხი ერ-თმა ყბედმა უნდა გაგვაჩუმოს და შეგვაშინოს. — ცხარობდა გეო-

ვინ იცის ეს ამბავი რით გათავდებოდა, ამ დროს ბოქა-ული რომ არ გამოჩენილიყო რამდენიმე ყაზახით. ხალხი გაჩუ-მდა, გაიპო ორად და დუქნის კარებისკენ გზა მისცა მას. დუ-ქანში მყოფნი გარეთ გამოცვივდნენ. გეომ დაიყვირა: ბიჭი, ბატონს ცხენი ჩამოართვე. როცა ბიჭი გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გეომ ორიოდე კისერში ჩასცხო, რატომ ასე ნელა იქცევიო. ბოქაულს ცხენი ყაზახებმა ჩამოართვეს და ისევ გეოს მოუხდა ყვირილი:

— ჩქარა, ჩქარა, ბიჭი, ბატონს სკამი მოართვი.

ბიჭი შევარდა დუქანში, გამოარბენინა სკამი და იქვე, კედელთან დაუზგა. ბოქაული ზედ დაჯდა. ბოქაული რიგიანი, სვინდისიანი კაცი იყო, მაგრამ სამსახურში დაბერებულიყო. და მოძულებული ჰქონდა აქეთ-იქით სიარული და ყბედ-უზდელ ხალხთან ავან-ჩავანი. ყოველ საქმეს ცივათ ეკიდებოდა, ხშირად ალალ-მართალს კაცს ღებულობდა დამნაშავედ და სჯიდა.

— რა ამბავია, რისთვის შეკრებილხართ? — იკითხა. ბოქა-ულმა.

— ლაპარაკი რამ გავიგეთ და ხმაზე შევვროვდით. ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის ხასიათი, — სთქვა ერთმა მოხუცმა.

— არა, — დაიძახა მოჩივარმა, წამოდგა წინ, მოიხედა ქუდი, ჯოხის დაებჯინა და უამბო, როგორ წაუხდინეს ყანა, როგორ იჩივლა, მაგრამ, დაუმატა მან, — მამასახლისმა მომიყოლა რაღაც ცები, დაამტკიცე; რა უნდა დავამტკიცო, ერთი საწყალი კაცი ვარ, დამღუპეს და დამაქციეს!

ბოქაულმა შეიკრა შუბლი და მიუბრუნდა მამასახლისს. მამასახლისმა საბრალო ხმით მოახსენა:

— შენი ჭირიმე, ბატონო, გაგვიგონე, რა მოგახსენოთ: ეს კაცი მეტის-მეტი მყვირალი და მოუსევნარია, ყოველ დღე ჩივის და გვეჩეუბება. აი ეხლაც მარტო ილანძლება და არ უნდა გაგვაგებინოს, რა უნდა!

— რას არ გაგებინებ, რას ამბობ? — შეჰყვირა მოჩივარმა: გეუბნები ყანა წიმისდიხეს მეთქი, მოწმები გინდა? აი მთელი ქვეყანა.

— მართალს ამბობს? — შეეკითხა ბოქაული დამნაშავეს.

დამნაშავემ დახარა ძირს თავი; გაწითლდა, შეტოკდა, შეიჩიმუჩნა, თავიც მოიფხანა, მაგრამ მაინც ვერა სთქვა რა, მხოლოდ „მმუ“-ო წაილულლულა.

— ბატონო, ჩვენ კარგად ვიცით, რო ეს კაცი არაფერ-შია დამნაშავე, ეს მოჩივარი კაცის ხათაბალაში გამბმელია.

— ოჲ, მამასახლისო, სტყუი, — დაიკენესა მოჩივარმა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, ბატონთან როგორ რასმე ბედავ, უსვინიდისოვ, — წამოტყერა გეო.

— აი უსვინიდისოს მოსტყდეს კისერი, — დაიყვირა მოჩივარმა.

— ჩუმათ, — შეუბლვირა ბოქაულმა.

— ეგ არ გაჩუმდება, ბატონო, ბუნტის, ავან-ჩავანის აშლა მაგდა ისე უყვარს, როგორც წურბელის სისხლი, — მამასახლისმა საჭიროდ დაინახა უფრო გაეჯავრებინა ისეც გიანჩელებული მოჩივარი.

— მაგისაგან მეც კი, არამც თუ მთელ სოფელს მოსევ-  
ნება არა აქვს.—დაუმატა გეომ.

— მაგისთანას მათრახი, მათრახი,—შუბლი შეიკრა ბოქა-  
ულმა.

— ოხ-მე,—გაახრქიალა კბილები მოჩივარმა:—მე ვიცი ვი-  
საც უნდა მათრახები, მაგრამ სიმართლე და სამართალი არსად  
არის!

— როგორ თუ სამართალი არსად არის! აი, შე აბეზარო  
შენა,—აღელდა ბოქაული:—მართლა მავნე ყოფილხარ!

— ბატონო, დამშეიდით, თორემ თქვენც რამეს უკად-  
რის შემოგვალრებთ,—არ ისევნებდა მამასახლისი.

— ეგ ისეთი ბრიყვია, რო ყველაფერი ხელიდან გამოუვა,  
დაუმატა გეომ.

— გაჩუმდით,—მიუბრუნდა მოჩივარი მამასახლისს და გე-  
ოს,—თორემ ა ბოქაულთან ა ჯოხს ზედ ზურგზედ დაგალე-  
წამი.

— დახე ამ დათვს, ამას!—გაჯავრდა ბოქაული.

— ფუი, ყველა რა უსვინდისო ყოფილა, ლერთო ჩემო,  
—სთქვა მოჩივარმა და წასასვლელად გაბრუნდა.

— დაანებე თავი, წავიდეს, დაილუპოს,—უთხრა ბოქაულმა  
გზირს, რომელიც მოჩივარს გადაუდგა წინ და გაჩერებას უპი-  
რებდა. ბოქაული შეჯდა ცხენზედ და წავიდა თავის გზაზედ.

მამასახლისი და გეო მხიარულებდნენ.

— ცოტა ყელს არ გაეისეველებთ,—სთქვა გეომ, როცა  
ხალხი დაიშალა.

— მაშ, მაშ, დაეთანხმა გეოს მამასახლისი, რომელმაც  
ხელით ანიშნა დამნაშავეს, აქეთ მოდიო: დღეს მე გიმასპინ-  
ძლიდები მხოლოდ იმ პირობით, რო თუმანი და სადილი მაღე  
მზათ იქნება.

— გეო, მარტო შეიდი მანეთი მომიტანა, იმ ოჯახ-დასა-  
ქცევმა,—უთხრე მეორე დღეს მამასახლისმა —აი, ძმაო, ოთხი  
მანეთი შენ და სამი მე, დევ ისევ მე მაკლდეს. სადილიც მაღე  
იქნება, ახლა როგორ უნდა გადავკრათ და!

— რას დავიკლებთ, მიუგო გეომ, რომელსაც ცოტა უსი-  
ამოვნება დაეტყო სახეზე შეიღი მანეთის ხსენებაზე, მაგრამ  
მაინც ალარა სთქვა, ჩამოართვა ფული მამასახლისს და მარ-  
ლობა გადაუხადა.

— ცოტა არა იქნება-რა? იკითხა მამასახლისმა.

— რასაკვირეელია, იქნება, მიუგო გეომ, რომელსაც კა-  
რგად ესმოდა, რა უნდოდა მამასახლისს.

— აბა, ბიჭო, მოგვიმზადე მალე ყველა და მოგვართვი.  
აგერ ის ქათამი, ავეტიქამ რო მოიყენა გამიყიდეთო, დაკა-  
ლი, სულ ერთია, სადაც უნდა შეიკამოს სარდინკები მონახე,  
კაი ფლავი გააკეთე, ლვინო, ლვინო მოგვიტა მალე, ჰა, ჩქარა! და-  
დასკუიელა გეომ ბიჭს და მამასახლისი გარეთ ოთახში გაიწ-  
ვია.

— მამასახლისმა გადაჰქირა, როგორც იცოდა და ჩვეუ-  
ლებრივ იქვე მიიძინა. საღამო ხანს რომ გამოელვაბა, გეო გვე-  
რდზედ უჯდა და ბიჭს დანახარჯის სია ეჭირა ხელში. დახარ-  
ჯულიყო სულ ექვსი მანეთის რამ. მამასახლისს უნდოდა სულ  
თითონ მიეცა ბიჭისათვის, მაგრამ გეომ აშის ნება არ მისცა  
და უთხრა მამასახლისს:

— მოიცა, სულ შენ როგორ მიგაცემინებ, მე შენზედ  
შეტი ვჭამე და დავლიე, სამი შენ და სამს მანეთსაც მე ამო-  
ვილებ. არც ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ, შენ კარგად იცი,  
დუქანს არ ელალატება.

— მართალი ხარ, მართალი, დაეთანხმა მამასახლისი. რო-  
მელმაც ბიჭს მისცა სამი მანეთი და ხელი ჩამოართვა გეოს:  
მშეიღობითო, მამასახლისი გარეთ გამოვიდა შინ წამოსასვლე-  
ლად.

გეომ თითებზე რიღაცის თვლა დაიწყო და წაილულლულა:  
სულ მანეთის რამეები დაიხარჯა... კაი ვაჭრობა მქონდა, დღეს  
ათ... ხა-ხა-ხა—გაიცინა მან და სიამოვნებით ტახტზედ გაგორდ-  
გამოგორდა.

სივრ

# ს ა გ რ ა ლ ო ნ ი

რომანი გიქტარა ჭიუგოსი

(თარგმანი ფრანგულით)

ნ ა ზ ი ლ ი პ ი რ ა დ ი



გბისკოშთა დ უცნობის სინათლის წინაშე

წერილში აღნიშნულ თარიღის შემდეგ ერთი იმისთვის  
საქმე ჩაიდინა ეპისკოპოსმა, რომ მთელი ქალაქი აალაპარაკა.  
ყველა იმას იძახდა, ყაჩაღებისკენ წასვლა რა იყო, ეს ერთია  
ათარ უფრო საშიში არისო.

დინის ახლოს, ერთს ილაგას ერთი სრულიად განცალ-  
კევებული კაცი ცხოვრობდა ეს კაცი — ეხლავე ვსჯვათ, რა-  
აშინებდა დინელებს — გახლდათ კონვენტის წევრი გ.

საშინელებას ლაპარაკობდნენ დინელები ამ კაცზედ. იცით  
რა იყო იმათვის კონვენტის წევრი? კონვენტი იმდროს იყო,  
როდესაც ერთმანერთს ყველანი შენობით ელაპარაკებოდნენ,  
სიტყვა „ბატონო“ შეურაცხყოფად მააჩნდათ და ერთმანერთს  
რომ მიმართავდნენ, მამულის შეილოო, იძახდნენ. ადამიანად  
ხომ არა, რაღაც საშინელებად მიაჩნდათ ეს კაცი. მეფის სიკვ-  
დილით დასჯას რომ სჯადა კონვენტი; იმას თანხმობა არ გა-  
გამოეცხადებინა, მაგრამ თითქმის მიმხრობადა იმათ, ვისაც თა-

\* ) იხ. „მოამბე“ № V.



ნელები მეფის-მკვლელებს უწოდებდნენ. საზიზლარ კაცად მია-აჩნდათ და ძალიან უკვირდათ, რატომ არ დაიჭირეს და სა-მართალში არ მისცეს, როდესაც რესპუბლიკა დაიღუპა და კვალად მეფენი დაბრუნდნენ. თავის მოქრა იქნება მეტის მეტიც ყოფილიყო, — შებრალებაც უნდა იცოდეს ადამიანმა, მაგრამ საუკუნოდ რომ განდევნონ სამშობლოდან, ძალიან კარგს იზამენ! სხვებისთვის გამოდგება მაგალითადაო და სხვ. და სხვ. გარდა ამისა ის კაცი ღმერთის უარმყოფელია, რო-გორადაც ყველა რესპუბლიკელი!

ბატების ყაყანი არწივის შესახებ.

მაგრამ არწივი კი იყო ვ.—? დიალ, თუ მოიგონებთ იმ საშინელ მარტოობას, რომელშიც იმყოფებოდა ეს განდეგილი. რადგან მეფის სიკვდილის შესხებ თანხმობა არ გამოეცხადებინა, განდევნილთა სიაში არ მოჰყოლოდა და საფრანგეთში დარჩენილიყო.

ქალაქიდან ერთის საათის სავალზე იდგა. მის ახლო არც სა-დემე სახლი მოჩანდა, არც გზა; ერთ მიურუებულ ხეები ჰქონდა ცოტა რამ მამული და ღვევე აეშენებინა თავისი ქოხი. მეზო-ბელი არავინ ჰყავდა. მგზავრიც კი ვერ მოხვდებოდა იმის სახლს. მას შემდეგ, რაც იქ დასახლებულიყო, ხევისკენ მიმა-ვალს ბილიქს ბალახი მორევოდა და დაკარგულიყო. ამ კაცის ქოხს ჯალათის სახლს უწოდებდნენ.

ეპისკოპოსი კი რალასაც ჰაფიქრობდა, ხშირად გადაიხე-დავდა ჰორიზონტის იმ მხარისკენ, სადაც რამდენიმე მაღალი ხე იდგა ზედ ხეობის შესაგალში დაბრძანებდა:

— იქ ადამიანის შეილია, სრულიად განმარტოვებული.

და ფიქრს ამ დასკვნით აბრუოვებდა;

— უნდა წავიდე და ვნახო, ეს ჩემი ვალია.

მაგრამ, ესეც აღვიაროთ, ეს ფიქრი, სრულიად ბუნებრივი ჰირველი შეხედვით, შემდეგ, როცა დაფიქრდებოდა, უცხოდ ეჩვენებოდა, შეუძლებელი და თხოვმის უსიამოვნოდაც. იმი-ტომ რომ იმაზედაც იგივე შთაბეჭდილება მოეხდინა კონვენტს, რაც დინელებზე და კონვენტის წევრად ნამყოფი იმ გრძნობას

ულვიძებლა გულში, რომელსაც ისე კარგად გამოსთქვაშს სიტყვა მორიცება.

— ძალიან კარგი, მაგრამ ქეციანს ცხვარს უნდა ეჩიცე-შოდეს მწყემსი? არა. მაგრამ როგორ ცხვარს?

ეპისკოპოსი ყოყმანებლა. ხანდახან წავიდოდა იმ მხარისა-კენ, მერმე ისევ დაბრუნდებოდა.

ბოლოს ერთ დღეს ხმა გავარდა ქალაქში, პატარა მწყემ-სი, გ.—ის მსახური ჩამოიჭრა ექიმის წასაყვანად, ბებერი სულ-წაწყველილი კვდება, ფეხები უკვე წაერთვა და ამელამინდელ ლამეს ველარ გაათენებსო.

— მაღლობა ლმერთს,—უმატებლნენ მოქალაქენი.

ეპისკოპოსმა ანაფორა გადაიცვა, რადგან ხალამი იყო და შეიძლებოდა ქარი ამოვარდნილიყო, წამოავლო ხელი თავის ყავარჯენს და გზას გაუდგა.

მზე ჩადიოდა და თითქმის ეხებოდა ჰორიზონტს, როდესაც მოწყვეტილს სადგომს მიუახლოვდა. ცოტა არ იყოს გულის ცემა იგრძნო, ეს სიახლოვე რომ დაინახა. რუს გადავიდა, ლო-ბე გადაიარა და ბალში შევიდა. რამოდენიმე ნაბიჯი კიდევ და ქოხს მიადგა.

პატარა შენობა იყო, ლარიბი კაცის აგებული, მაგრამ სუფთა და კარგი.

ქოხის კართან ძეელ გლეხკაცურ საჭარბელში ესვენა ერ-თი სრულიად თმა-გათეთრებული მოხუცი და მზეს შესცი-ნოდა.

მოხუცებულის გვერდით იდგა პატარა მწყემსი და ჯამით რძეს აწოდებდა.

ეპისკოპოსი უყურებდა.

— გმაღლობ, —უთხრა მოხუცებულმა მწყემს. აღარა მინ-და-რა. მზეს თვალი მოაშორა და ახლა ბაეშეს შესცინა.

ეპისკოპოსი წინ წადგა. ფეხის ხმა რომ შემოესმა, მო-ხუცებულმა მოიხედა და დიდი განცვილება გამოეხატა სა-ხეზედ.

— მას შემდეგ, რაც აქ გახლავართ, თქვენს მეტი აქ არავინ ყოფილა. ეინ ბრძანდებით, ბატონო?

ეპისკოპოსმა უპასუხა:

— კეთილ-მოსულს მირიელს მიწოდებენ.

— კეთილ-მოსული მირიელი გამიგონია ეგ სახელი. თქვენა ბრძანდებით ის მოძღვარი, ხალხი რომ კეთილ-მოსულს ეძახის?

— მე გახლავართ.

მოხუცმა ღიმილით ჰკითხა:

— მაში თქვენ ჩემი ეპისკოპოსი ბრძანდებით?

— დიალ, უუ ინებებთ.

— მობრძანდით, ბატონო.

კონვენტის წევრმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ეპისკოპოსმა არ ჩამოართვა.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოტყუფულს ეხედავ ჩემს თავს, უახრა ეპისკოპოსმა: თქვენ ავადმყოფს არა ჰევვხართ.

— დიალ, ბატონო, უპასუხა მოხუცმა, ძალიან ჩქარა მოვაჩები.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერე დაუმატა:

— სამი ხაათის შემდეგ მოვკვდები.

და კვლავ განიგრძო:

— ცოტა არ იყოს ექიმი გახლავართ. ვიცი უკანასკნელს ესმს როგორ ეპარება სიკვდილი ადამიათს. გუშინ მარტო ფეხი მქონდა ცივი, დღეს მუხლებიც წამერთვა: კარგადა ვკრძობ, როგორ იწევს ნელ ნელა წელისკენ; გულთან ამოვა და მეც შევდგები. რა მშენიერია მზე. ამ პატარას ვსთხოვე, გარეთ გამიყვანე მეთქი, მინდოდა ერთხელ კიდევ გადამევლოთ თვალი არამარესთვის. შიბრძანეთ, ბატონო: მე ლაპარაკი არ მაწუხებს. კარგი ჰქენით, რომ მომაკვდავის სანახავად მობრძანდეთ. უკანასკნელს წამს ადამიანისას კარგია რომ შეესწროს ვინმე. რა სისულელეს მოინდომებს ხანდახან ადამიანი: ნეტავი გათენებამდე ვიცოცხლო. მაგრამ ვიცი, რომ სამ საათს ძლიერს გავაწევ. ლამე იქნება. ეჭ, სულ ერთი არ არის! სულ უბ-

რალო საქმე გახლავთ კაცის ბოლო, სიკვდილისთვის დილა საჭირო არ არის. რა გაეწყობა! გარეთ გავალ და ცის ქვეშ მოვკვდები.

პატარის მიუბრუნდა და უთხრა:

— წადი, დაიძინე. წუხელისაც არა გძინებია. დალალული იქნები.

ბავშვი ქოხში შევიდა.

მოხუცმა თვალი გააყოლა და, თითქო თავის თავს ელა-ზარაკებაო, სთქვა:

— ამას ეძინება, მე რომ მოვკვდები. ერთიც ძალია და მეორეც; ძალიან კარგად დაშეზობლიდებიან.

ეპისკოპოსი, თავისდა მოულოდნელად, სრულიად დაშვიდებული იყო. ამგვარ სიკედილში ღმერთის ვერა გრძნობდა და პირდაპირ ვსთქვათ, რადგან ეს წვრიმალნი წინააღმდეგობანი დიდსულოვანის მოძღვარისა უნდა აღნიშნულ იყოს, როგორადაც სხვაც ყოველივე — სხვადროს და სხვაგან გულიანად გაიცინებდა, — თქვენო დიდებულებაო, რომ ეთქვათ — და აქ კი ცოტა არ იყოს სწყინდა, რომ თქვენო ყოვლად უსამღებელობაო არ ეუბნებოდა ეს მომაკვდაცი. სწყინდა და „ბატონოს“ პასუხად ენის წვერზედ ადგა სიტყვა „მამალიშვილი“; უნდადა, ეგრძნობინებინა მოხუცისთვის როგორც ხშირად მოუვათ ხოლმე ექიმებს და მღეცლებს რომ ის უბრალო გლეხეჲკაცი იყო, მიწის მუშა, მიწის შვილი და მეტი მოწიწებით უნდა აღემართა სიტყვა ეპისკოპოსისათვის. უნდოდა, მაგრამ ვერ აასრულა ეს ნდომა, რადგან ჩვეულება არა ჰქონდა. ეპისკოპოზის ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო გაჯავრებისა.

მასპინძელი კი ალერსით შესცემოდა ეპისკოპოსს, იმ თავდაბალი ალერსით, რომელიც შედეგი უნდა ყოფილიყოს სიკვდილის და მიწადექცევის შევნებისა.

ეპისკოპოსი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ცნობის მოყვარეობა ხშირად შეურაცხმულია აღამიანისა, მაგრამ აქ კი ვერ შეეცავებინა თავი და დაკვირვებათ სინჯავდა მოხუცს, თითონვე გრძნობდა, რომ ეს ცნობის მოყვარეობა სიმპატიის

შედეგი არ იყო და, სხვასთან რომ მოსკოლოდა, ქენჯნას და-  
უწყებდა ძინიდისი. კონვენტის წევრი კი სულ სხვად მიაჩნდა,  
თითქო მოკლებული ყოფილიყოს კანონთა და თვით სიბრა-  
ლულის მფარველობასაც კი.

გ.—მშვიდი, ძალითა და ღონით აღსავსე, წელში თითქმის  
მოუხრელი ოთხმოცის წლის მოხუცი იყო, ერთი იმ მოხუც-  
თაგანი, რომელნიც საკეირველებას წარმოადგენენ მეცნიერთა-  
თვის. რევოლიუციას ბევრი ჰყავდა თავისავით მძლავრი კაცი.  
პირველისავე შეხედვით სხანდა, რომ ბევრი რამ ენახა თავის  
სიცოცხლეში და ჭირსა შიგან გამაგრებულიყო. ცალი ფეხი  
უკვე სამარეში ჰქონდა, მაგრამ ჯერაც არ დაჲკარგოდა ძველე-  
ბური ვაუკაცური გამომეტყველება სახისა, სიცოცხლე და ელ-  
ვარება თვალისა და ტებილი სიმაგრე ხმისა. აზრაელი-მუსულ-  
მანთა სულთამხუთავი უკან გაბრუნდებოდა გაკეირვებული: ამ  
კაცს არაფერი სჭირს და რამ შემაცდინა, აქ რად მოვდიო-  
დიო! ისე იყო, თითქო უნდა და იმიტომ კვდებათ. სულთ-  
ანბრძავიც კი არა ჰყარგავდა თავისუფლებას. წხოლოდ ფეხი  
აღარ ემორჩილებოდა: ფეხითგან დაწყო წყველიადს იმის და-  
მორჩილება. ფეხი უკვე მკვდარი და გაციებული ჰქონდა, თავი  
კი ცოცხალი, სავსე სიცოცხლის და გონების მთელი ძალით.  
მომაკვდავი ამ უკიდურესს უამს აღმოსავლეთის ზღაპრის მეფესა  
ჰგავდა, ხორც შესხმულს წელამდე და მარმარილოს წელ ქვე-  
ვით.

ქვა იდო იქვე. ეპისკოპოსი ზედ ჩამოჯდა. ბაასის შესა-  
ვალი სრულიად მოულოდნელი იყო.

— მინდა მოგილოცოთ,—დაიწყო ეპისკოპოსმა საყვედუ-  
რის ხმით,—კიდევ კარგი, რომ საჭიროდ არ სუანით მეფის  
სიკვდილი.

ღიმილი გაუქრა მომაკვდავს და ისე უპასუხა:

— ნუ მილოცაეთ, ბატონო. მე მტარვალის სიკვდილი  
ვცან საჭიროდ.

ეს იყო რწმენით აღსავსე მრისხანება საყვედურის პასუ-  
ხად.

— მაგით რას ბრძანებთ, მე ვერ გავიგე?

— იმას მოგახსენებთ, რომ ადამიანს მტარვალი ჰყავს, გაუნათლებლობა, და მე საჭიროდ ვცან სიკვდილი ამ მტარვალისა. ამ მტარვალმა შვა მეფობა, რომლის ძალი ტყუიღზედ არის დამყარებული. კეშმარიტებაზედ კი მხოლოდ მეცნიერება არის დამყარებული და ადამიანთაც მხოლოდ მეცნიერება უნდა განაგებდეს.

— მეცნიერება და სინიდისი,—დაუმატა ეპისკოპოსმა.

— ერთი და იგივე გახლავთ: სინიდისი რაოდენობა გახლავთ დაბადებითვე თანდაყოლილს მეცნიერებისა.

ეპისკოპოსი ოდნავ გაკირვებული უსმენდა; ეს ლექსი სრულიად ახალი იყო იმისთვის:

მოხუცმა განაგრძო:

— რაც შეეხება მეფე ლურ მეთექვსმეტეს, არა—მეთქი, ვსთქვი. მე არა მაქვს უფლება კაცის კვლისა; მაგრამ ვალდებულება მაქვს ავის ამოვლებისა. მე წინააღმდეგი ვიყავ მტარვალისა—ესე იგი დედაკაცის გარეუნისა, ვაჟიკაცის დამონებისა და ბავშვის ბავშვობაშივე ულეტისა. რესპუბლიკის დაარსების მომხრე ვარ-მეთქი; რომ ვთქვი, ქალს ნამუსი შევარჩინე, კაცს თავისუფლება, ბავშვს—სიცოცხლე. ძმობის დაარსებას მივემხრე, თანხმობისას, განათლების ცისკრისას. შეძლებისამებრ მეც ვიღვაწე ცრუ-მორწმუნოებათა და შეცდომათა მოსასპობლად. ცრუ-მორწმუნოებათა და შეცდომათა მოსპობა სინათლის აღდგენაა. ჩვენ ძირს დავეცით ძველი ცხოვრება, ადამიანის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი და გლოვისა და ვაების წილ სიხარული მოვფინეთ ქვეყანას.

— ცრემლ ნარევი სიხარული,—სთქვა ეპისკოპოსმა.

— დიალ, შეძლვრეული იყო ეს სიხარული, დღეს უკვე გამქრალი. 1814-მა კვლავ აღადგინა ძველი ჯხოვრება, რა ვუყოთ! მეც ვიცი, რომ დამთაერებული არ იყო ჩვენი შრომა. ძველის წეს-წყობილებისა ჩვენ მარტო საჭმენი დავანგრიეთ, მაგრამ ვაი, რომ ძველის წყობილების აზრები ვერ შევკვალეთ! გიწიერება მაშინ მოხსპობა, როდესაც ძირიანად გამოუცვლით

ხალხს ზნეს, ჩვეულებას და მთელს ზნეობრივ მისს არსებას. დაანგრიეთ წისქვილი, მაგრამ წყალი კი იქვე რჩება. წყალი უნდა დასწყვიტოთ, რომ წისქვილიც გაუქმდეს. ჩვენ კი წისქვილი ვანგრიეთ.

— და დაანგრიეთ კიდეც! ეგ იქნება სასარგებლოც იყოს, მაგრამ ბრაზ მორეულის ნგრევისა კი არა მწამს-რა.

— უფლებას თავისი ბრაზი აქვს, ბატონ ეპისკოპოსო, და ბრაზი უფლებისა ერთი საშუალებათაგანი გახლავთ პროგრესისა. ეგ არაფერი! ბევრიც რომა სთქვან, საფრანგეთის რევოლუცია ქრისტის შემდეგ უძლიერესი ნაბიჯი გახლავთ კაცობრიობის წინ მსვლელობისა. სრული არ იყო ეს სვლა, ძალიან კარგი, მაგრამ ბრწყინვალებითა და ძლიერებით აღსახვე იყო. თუ ვერ გადაწყვიტა, წამოაყენა მაინც საზოგადოებრივა ყველა კითხვები. ადამიანს ვონება გაუხსნა, თვალი აუხილა, გზა დაანახვა და დაამშვიდა, ქვეყანას ნეტარი მომავალის სხივი მოჰქონდა. დიდი სიკეთე დასჭირ ქვეყნიერებას. საფრანგეთის რევოლუცია — კაცობრიობის თავისუფლად აღიარება და კურთხევა არის.

ეპისკოპოსს თითქმის უნებურად წამოსცდა:

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ოთხმოცდა ცამეტი?

მოხუცმა წამოიწია თავის სავარჩევლზედ და რამდენადაც კი შეეძლო მომაკვდავს, შეჰყირა:

— მე კი არ ვიცოდი, რომ ოთხმოცდა ცამეტს მახლიდით პირში! ათას ხუთასი წლის განმავლობაში ყროვდებოდა და იზრდებოდა ღრუბელი. თხუთმეტი საუკუნის შემდეგ მოსკდა და ჭექა-ქუხილი ასტეხა. და თქვენც სწორედ ეს ჭექა-ქუხილი განრისხებთ.

ეპისკოპოსმა იგრძნო, თუმცა, იქნება თავის და უნებურადაც, რომ სიტყვა მიუგეს. მაინც მაგრად დაუხვდა და მიუგო:

— მოსამართლე მართლ-მსაჯულების სახელით მოქმედებს; მოძღვარი — ლმობიერების სახელით, რომელიც უმაღლესი

მართლ-შავულება გახლავთ. ჭექა-ქუხილი და მეხი თავის გზას  
არ უნდა ასცდეს.

თვალი თვალში გაუყარა მოხუცს და ჰკიოხა:

— ლუი მეჩვიდმეტე?

მოხუცებულმა ხელი გამოიღო და მკლავი დაუჭირა ეპის-  
კუპონს:

— ლუი მეჩვიდმეტე? კარგით ერთი! ეს სტირით, ბატონი?  
უმანკო ბავშვი? მეც თქვენთან ვტირი. მეფის მემკვიდრეს? აქ  
კი დაფიქრება გახლავთ საჭირო. იღლიებში თოკები ამოუყა-  
რეს და გრეგის მოედანზე დაჰკიდეს ერთი პატარა, უმანკო ბავ-  
შვი, მხოლოდ იმიტომ, რომ კარტუშის\*) ძპად დაბადებულიყო;  
და ეკიდა ისე, ვიდრე საკვდილმა არ იხსნა ტანჯვისაგან. ეგ  
ფრთი. ტამპლის ციხეში სხვა ბავშვი მოჰკლეს, ლუი მეთხუთ-  
მეტეს შვილისშვილი, უსუსური, უმანკო, რომლის დანაშაულია  
ის იყო მხოლოდ, რომ მეფის მემკვიდრედ დაბადებულიყო.  
ახლა რა? იქნება ბრძანოთ, რომ მეფის მემკვიდრე კი შესა-  
ბრალისია და კარტუშის ძმა კი არა?

— ვის გაუგონია მაგვარი შედარება?

— რატომ, ბატონი? კარტუში? ლუი მეთხუთმეტე? ამ შე-  
დარებით რომელი მიგაჩნიათ შეურაცხოფულად?

ერთს წამს სიჩქმე ჩამოვარდა, კინაღამ ინანა ეპისკოპოსმა  
მოსელა: გრძნობდა, რომ რაღაც უცნაური ძალით არყევდა  
იმას კონვენტის წევრი.

მოხუცმა განაცრძო:

— ეს, ბატონი მოძღვარო, არ გიყვართ არა მკვაბე  
სიმართლე! ქრისტეს კი უყვარდა. მათჩას აიღებდა და ეკლე-  
სიას იმითი სწმენდდა. ბევრი მკვაბე სამართლე ათქმევინა თა-  
ვის მათჩას. რომ ბრძანებდა — კიყვარდეთ ბავშვებით — შეამო-  
მავლობით კი არ აჩევდა ერთმანერთში, ქრისტესთვის ერთი  
იყო ბაზაბას და ირადის შველი. უმანკოება, ბატონი, თა-

\*) კარტუში ჯერ ნორმანდიაში ყაჩაღობდა, მერმე პარიზში. და-  
გიხეს და მოჰკლეს 1721 წ.

ვისთავალვე გვირგვინია; უმანკოება შთამომავლობას არა საჭიროებს და ერთნაირად ბრწყინვალე გახლავთ, კონკებშია გახვეული, თუ სამეფო სამოსელში.

— ეგ მართალია,— სთქვა ეპისკოპოსმა ხმა-დაბლა.

— ლუი მეჩვიდმეტე მახალეთ პირში,— განაგრძო კონვენტის წევრმა.— თუ ყველას სტირით, ვინც უდანაშაულოდ მოუკლავთ ან უწამებიათ, განურჩევლად შთამომავლობისა, მეც თქვენთან გახლავართ. ოლონდ, მოგახსენეთ და კიდევ ვიტყვია, ისიც გავიხსენოთ, რა ხდებოდა ოთხმოცდა ცამეტამდე; რამდენი სატიროელი გყავთ ლუი მეჩვიდმეტემდე, ის კი გავიწყდებათ? მე თქვენთან ვიგლოვებ შეფის შვილს, ოლონდ თქვენც ჩემთან იგლოვეთ ხალხის შვილები.

— მე ყველას გსტირი,— სთქვა ეპისკოპოსმა.

— თანასწორად! — უეპყვირა მოხუცმა და, თუ უნდა დაიწიოს სასწორმა, დევ ხალხისკენ დაიწიოს. უფრო დიდი ხანია, რაც ხალხი იტანჯება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ მოხუცმა დაარღვია. წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო, მსაჯულთა და გამოშძიებელთა ჩვეულებისამებრ ცერსა და მოკაკულ სალოკ თითს. შეალოყა დაიჭირა და მომაკვდავის ენერგიით სავსე თვალით დააშტერდა ეპისკოპოსს. თითქა მოზღვავებულმა მდინარემ, გადმოხეთქაო, ისე გრგვინავდა იმისი სიტყვა:

— დიაღ, ბატონო, დიდი ხანია, რაც ხალხი იტანჯება. შაგრამ ეგეც არაფერი. ეს მიბრძანეთ, რა ვნებავთ ჩემგან? რად მობრძანდით და რად ამიშალეთ ლუი მეჩვიდმეტეზედ ლაპარაკი? მე თქვენ არ გიცნობთ. მას შემდეგ, რაც აქ გახლავართ, სრულიად მარტო, ამ ქოხს არ მოეშორებივარ, აღამიანი არ მინახავს, ამ ბავშვის გარდა; კიდევ კარგი, ეგ მეხმარებოდა. მართალია, თქვენმა სახელმა მოაღწია ჩემამდე და— თქვენდა სასახელოდ უნდა მოგახსენოთ— ეინც კი გახსენებთ, მადლობით და კურთხევით გახსენებთ,— შაგრამ ეგ არაფერს ამტკიცებს: მოხერხება ჰქონდეს კაცს, თორემ ხალხისთანა ადვილად მოსატყუებელი არა არის რა. მართალია, თქვენი ეტლის ხმა ვერ

გვიგონე, ჭალასთან დააყენებდით, უეჭველია გზის დახა-  
ხვევში. დიალ, კიდევ მოგახსენებთ, მე თქვენ არ გიცნობო,  
წელან მიბრძანეთ, ეპისკოპოსი ვარო; ძალიან კარგი, მაგრამ მე  
ეგ სიტყვა არას მეუბნება. თქვენი თანამდებობა კი არა, ზე-  
ობრივ მინდა თქვენი ცნობა. მაშ ვინ ბრძანდებით? ეპისკოპოსი,  
ესე იგი სულიერი მეფე მდიდარი და წარჩინებული, დინის  
საეპისკოპოსოს შემოსავალით წორედ რომ მეფურათ იცხოვრებს  
კაცი,— სამეფო პალატებში გამოიჭიმება, მრავალს მზარეულს და  
შინაუმას იყოლიებს, წინ მსახურს გაიძღოლიების და უკან მთელს  
ამაღლას, ოთხშაბათ პარასკევს ხოხობით შეექცევა და ფეხს არ  
გადორსდგამს სამეფო გვირჩვინით შემკულ ეტლიდგან- ეპისკო-  
პოსი— მოადგილე იმ ქრისტესი, რომელიც ფეხში შველი დადი-  
ოდა! ეპისკოპოსი ბრძანდებით! დიდი შემოსავალი, სასახლე,  
ეტლები და ცხენები, ტკბილი საჭმელ-სასმელი არ გაკლიათ ტკბი-  
ლზედ ტკბილი ცხოვრება; რა მოინდომოს თქვენმა სულმა და გუ-  
ლმა, რომ ყოველივე უხვად არა გქონდეთ თქვენდა სანეტაროდ.  
გაქვთ და სტკბებით კიდეც, ღმერთმა შეგარეოთ, მაგრამ ამით  
მე თქვენ ვერ გიცნობთ! თქვენს შინაგან ლირსებას ვერ ვხე-  
დავ! თქვენ ხომ იმ განძრახვით ინებეთ მობრძანება, რომ თქვენ  
ჩაგვითნებინათ მომაკვდავი ცოდვილისათვის. მაშ თქვენ ვიღა  
ბრძანდებით?

ეპისკოპოსმა თავი დაღუნა და მიუგო:

— მატლი ვარ.

— ეტლით მოსიარულე მატლი! შეჰყვირა მოხუცმა.

კონვენტის წევრის რიგი იყო: ეს მედიდური და ეკითხებოდა  
და ეპისკოპოსი თავმდაბლად უპასუხებდა.

— აგრე იყოს, ბატონო, დაიწყო მირიელმა ტკბილად.  
ოლონდ მიბრძანეთ, რით ამტკიცებს ჩემი ეტლი, აგრე ჭალა-  
სთან რომ გავაჩერე, რომ სიბრალული სათნოება არ არის.  
რითი ამტკიცებთ ჩემი სასახლე, ჩემი ბევრი შემოსავალი და  
ოთხშაბათს-პარასკევს დაკლული ხოხობი, რომ შენდობა ჩვენი  
მოვალეობა? არ არის და 93 შემაძრუნებელი არ იყო იმოდენი  
სისხლის ლვრით?

მომაკვდავმა შუბლზედ ხელი გადისვა, თითქო ღრუბელის შოშორებას ცდილობსო.

— ვიღრე მაგის პასუხს მოგახსენებდეთ, სთქვა მოხუცმა, უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ. შევცდი, ბატონი: ოქვენ ჩემთან ბრძანდებით, ჩემი სტუმარი ბრძანდებით და ამას არ უნდა ვივიწყებდე. ოქვენ ჩემს აზრებს ეწინააღმდევებით; მეც უნდა ეცდილობდე პასუხი გავცე აქვენს მსჯელობას და ჩემი დაგიმტკიცოთ. ოქვენი სიმღადრე და ფუფუნება უპირატკებობას მაძლევს, მათალია, მაგრამ კარვი იქნებოდა არ მესარა გებლა ამ უპირატკებობით. ეხლავე დავპირდებით, რომ მეციონის აღარ გავიმეორებ.

— გმადლობთ, ბატონი, დაუმადლა ეპისკოპოსმა.

მოხუცმა დაიწყო:

— მაშ დაცუბრუნდეთ იმ კითხვას, რომლის აღსნას წელან მიბრძანებდით. სად ვიყავით? დიალ, იმას მიბრძანებდით, 93 შემაძრწუნებელი იყოვო!

— დიალ, ბატონი. რას იტყვით მარატზედ, რომელიც ეშაჭოდთან იდგა და კაცის კვლას ტაშს უკრავდა?

— რას იტყვით ბოსსიუზედ, რომელიც — დილება შენდა ღმერთოო! — გალობდა, როდესაც პროტესტანტებსა ულეტლენ?

პასუხი უქმეხი იყო და მახვილის წვერივით შივ გულში დაესო ეპისკოპოსს. შეკრთა, პასუხი ვერ მოახერხა. ეწყინა აგრეთვე ბოსსიუეს ამგვარი ხსენება. საუკეთესო კაცებსაც ჰყავთ თავიანთი კერპები და გული ჩაეჭუთქებათ ხოლმე, როდესაც ლირსეული პატივისცემით არ უხსენებენ.

მომაკვდავს სუნთქვა უძნელდებოდა და ხმა უწყდებოდა.

— ერთი ორი სიტყვა კიდევ და მეტს ვეღარც შევძლებ. მთლიანად რომ გასინჯოთ, რევოლუცია აღამიანის უფლებათა აღიარება და დამტკიცება არის; 93-კი, საუბედუროდ, ძალატანებაა. რევოლუცია შემაძრწუნებელია, ბრძანებთ, მაგრამ სახელმწიფო უკეთესი ბრძანდებოდა? საძაგელი იყო ფუკუ-ტენ-ტენვილი; მაგრამ ლამუანონ-ბავილზედ რაღას ბრძანებთ?

საზიზლარია მაიარი, მაგრამ სოლტვანი უკეთესი იყო? სისხლით გაუმაძლარია მამა დიუშენი, მაგრამ მამა ლეტელიესას რაღას ბრძანებთ? უკრდანმა სისხლის ჩლვა დააქცია, მაგრამ მარკიზ დე ლუუა რომ უარესი იყო! ეჭ, ჩემო ბატონო, ძალიან მებრძლება დედოფალი მარიამ-ანტუანეტი, მაგრამ ის უბედური დეზაც მებრძლება, რომელიც — აქამ და ჰუგენოტი ხარო — 1685 წ. წელამდე გაატიტვდეს, ბოძედ მიაკრეს და შორიახლო თავის შველი დაუყენეს; ძუძუ რძით ევსებოდა საწყალს და გულივაებით; დამშეული ბავშვი დედას ხედავდა, ძუძუს ეტანებოდა და საზარლად გაპრივოდა; ჯალათი კი თავისას არ იშლიდა: უარი სთქვი შენს სარწმუნოებაზედაო! დაალ, ან ერთი უნდა გასწირო, ან მეორე: ან შვილს უნდა ულალატო, ან შენს სინიდისსაო. ამაზედ რაღას პრძანებთ, ბატონო, ამ ტანტალის ტანჯვით წამებულ დედაზედ? ეს რად გავიწყდებათ, ბატონო, რომ საფრანგეთის რევოლუციის თავისი საბუთები ჰქონდა. მომავალი სამართლიანად აღმარებს მის მრისხანებას. რევოლუციის შედეგი — ქვეყნის გაუმჯობესობა იყო. რაც უნდა საშინელი ყოფილიყოს მის მრისხანება, საფუძვლად მაინც კაცობრიობის სიყვარული ედეა. მაგრამ კმარა. მოკლედ მოვჭრი, რაფგან უპირატესობა ჩემი გახლავთ. ვკვდები კიდეც.

თვალი ააშორა ეპისკოპოსს და ამ მშვიდობიანი სიტყვებით დამთავრა თავისი ფიქრები:

— დიდ, პროგრესის მრისხანებას რევოლუციის უწოდებენ: დამთავრდება მოძრაობა და ყველა დარწმუნდება, რომ წინ წაიწია ადამიანმა, თუმცა კარგი მათრახიც მოხვდა.

მოხუცი კარგად ხედავდა, რომ ეპისკოპოსს თან და თან ართმევდა სიმაგრეებს და ეგონა, უკანასკნელიც გამოვაცალეო. მაგრამ ერთი კიდევ შერჩენდა მირიელს და ამ უკანასკნელ და უმაგრეს საბუთზედ დააქცია შისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ თავისი კითხვა, რომელშიც წელანდელი მრისხანება მაშილა:

— პროგრესს ღმერთი უნდა სწამდეს. კარგს არ შეიძლება.

მსახურად აეი ჰყავდეს. კლდეზედ გადასჩეხავს კაცობრიობას ის წინამძღვარი, რომელსაც ღმერთი არა სწამს.

მოხუცებულმა ხალხის წარმომადგენელმა პასუხი არ გასცა. შეთრთოლდა, ცას ახედა და თვალს ცრემლი მოადგა. ნელ-ნელა უგროვდებოდა ცრემლი და, როდესაც ველარ შეიკავა თვალმა, გადმოსკდა და ჩაყვითლებულ ლოყას დაედინა. მერმე ისევ ცას დააშტერდა და ცოტა ხანს შემდეგ ეს სიტყვები წარმოსთქვა, ჩუმად, თითქო თავის თაეს ელაპარაკება:

— შენ, იდეალო! მხოლოდ შენ არსებობ!

ეპისკოპოსი გამოუთქმელ რაღაც ძალით შეარყიეს ამ სიტყვებმა.

მცირედი სიჩუმის შემდეგ მომაკვდავმა თითო აიშვირა ცის-კენ და სთქვა:

— უსამძღვრო არსებობს. აგრ იქ არის. უსამძღვროს რომ თავისი „მე“ არა ჰქონდეს, ეს „მე“ მის სამძღვარს შეა-დგენდა და უსამძღვრო აღარ იქნებოდა. ესე იკი სრულიადაც აღარ იქნებოდა. და უსამძღვრო კი არსებობს, მაშასადამე თა-ვისი „მეცა“ აქეს. და „მე“ უსამძღვროისა არის ღმერთი.

მომაკვდავმა უკანასკნელი სიტყვები იმისთანა მაღალი და ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა, იშისთანა აღგზანებული კილოთი, თითქო ხედავს ვისმეო. სთქვა და თვალები დახუჭა: დაიღალა, ძალა აღარ მოსდევდა. ცხადი იყო, ამ ერთს წამს შეალია რამოდენიმე საათი, რომელიც კიდევ უნდა ეცოცხლა. ნათქვამი სიკვდილს უახლოვებდა. ახლოვდებოდა უამი განკით-ხვისა.

ეპისკოპოსმა იგრძო, რომ სიკვდალი უკვე-თავს დასტრია-ლებდა, და დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. სულიერი მოძღვა-რი თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. საყვედურით და მრისხანებით მოცული უკვე უსაფუძვლოდ პგრძნობდა ერთსაც და მეორესაც და მით უფრო უნდოდა ნუგეში ეცა მომაკვდა-ებისთვის. დააცქერდა თვალ-დახუჭულს, ხელი დაადო უკვე გაყინულს გამხმარს მის ხელს, დაიწია სულთა-მობრძავისკენ და ჩასძახა:

— ლვთისა არის ეს უამი. ნუ თუ სამწუხაროდ არ დაგრჩევათ, რომ ამაოდ ჩაიაროს ჩვენმა გაცნობამ?

კონვენტის წევრმა თეალი გაახილა. სახე შესცვლოდა, თითქო ჩრდილს გაუავყრა.

— ბატონო ეპისკოპოსო,—დაიწყო მის უსტებულის ხმით მოხუცებულმა და ძნელი სათქმელი იყო, რისაგან წარმოსუგებოდა ეს სისუსტე: სულიერი ღირსებისაგან, თუ სულთმობრძავის ულონობისაგან. სიკოცხლე სწავლას, ფიქრს და დაკვირვებას შევალიე. სამოცის წლისა გახლდით, როდესაც ჩემმა სამშობლომ მიხმო და თავის საქმეებში გარევა მიპრანა. დავემორჩილე, რასაც ირველია. ბოროტებას ვხედავდი და შევებრძოლე. მტარვალობას ვხედავდი და ანდერძი ავუგვა. ადამიანის უფლებათა პრინციპებს ვხედავდი და მაღლა ავმართე თავისუფლების ღროშა. სამშობლოს მტერი შემოსეოდა და განვალენე იგი. საფრანგეთს ემუქრებოდნენ და იარალით შევიმოსე. მდიდარი არ გახლდით; ღარიბი გახლავართ. სახელმწიფოს გამგეთგანი ერთი მეც გახლდით; ხაზინაში იმოდენი ოქრო და ვერცხლი გვქონდა, რომ ბოძები შევუდგით, სიმძიმით კედლები არ დაინგრენონ და მე კი პურს დუქანში გიახლებოდით და ჯერზე შვიდ შაურსა ვხარჯავდი. დევნილთ ვშეელოდი და განდევნილთ ნუგეშს ვაძლევდი. მართალია, სიკურთხეველს წმინდა სამოსელი ავგლიჯე, მაგრამ იმიტომ ავგლიჯე, რომ კრილობანი შემეხვივა სამშობლოსათვის. ყოველთვის ვეხმარებოდი კაცობრიობის წინ მსელელობას სინათლისაკენ; რამდენჯერმე წინააღმდეგობა გაუუწიე სიბრალულ-მოკლებულს პროგრესს. შემთხვევა მქონდა და რამდენჯერმე გამოვესარჩელე ჩემს მოწინააღმდეგეთ, ესე იგი თქვენ; ფლანდრში, პეტეკემში, სწორედ იქ, სადაც მეფეებს თავისი სახაფხულო სასახლე ჰქონდათ, მონასტერი გახლავთ; მე რომ არ ვყოფილიყავ, ქვა ქვაზედაც აღარ იქნებოდა იმ მონასტერში. მე ჩემი მოვალეობა ჩემის შეძლების და შეგნების და კვალიად შევასრულე; ქვეყნად სიკეთე ვთესე. და მას შემდეგ მხეცსავით დევნა დამიწყეს, სამშობლოდან განდევნა დამიპირეს, მასხარად ამიგდეს, ცილი დამწამეს,

დამწუევლეს, დაპირგუნეს, ჩასაქვავებლად აღარ დამინდეს. აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, ვგრძნობ, რომ დიდი და პატარა, ყველა ზიზღით მიყურებს ამხნის კაცს; საწყალის, უვიცი ხალხის თვალში რაღაც დამდამაზის, და შეჩერებულად მივაჩნივარ ლვოისა და ადამიანის წინაშე. და თუმცა ჩემნი დღენი ადამიანთა შორის სიყვარულის და ძმობის სამსახურს მოვანდომე, დღეს სრულიად მარტო გახლავართ, შეძულებული და განცალკევებული. ოთხმოცდა ექვსის წლისა გახლავართ. აგერ ვკვდები. რას მიბრძანებთ? რა გნებავთ ჩემგან?

— თქვენი ლოცვა-კურთხევა, უპასუხა ეპისკოპოსმა.

და მომაკედავის წინაშე დაიჩოქა.

როდესეც ეპისკოპოსმა თავი აიღო, გაბრწყინვალებული დახვედა მოხუცის სახე. უკვე სული განეტევებინა.

ეპისკოპოსი ლრმად ჩაფიქრებული დაბრუნდა შინ. მთელი ლაშე ილოცა. მეორე დღეს რამოდენიმე ცნობის მოყვარე თავისები გამოელაპარაკა კონვენტის წევრის შესახებ; პასუხად ზეცა დაანახვა, მას შემდეგ უფრო სიყვარულით და ალერსით ეკიდებოდა ბავშვებს და ავადმყოფებს.

ყოველი ხსენება „იმ საზოგადოების გ—ისა“ ლრმად ჩააფიქრებდა ხოლმე ეპისკოპოსს.

ნურვინ იტყვის, რომ გ—ის გონიერის და სარწმუნოების სხივი არ შეხებოდეს ეპისკოპოსისას და თავისი კვალი არ დაეწერის მის ცხოვრებაზედ და ზეობრივ სისრულეზედ.

მირიელის მიერ ყველასაგან შეძულებულის ნახეა დაფარული არ დარჩა და ცოტაოდენი მითქმა-მოთქმაც იღძრა პატარა ქალაქში:

— ნეტავი როგორ მოუვიდა, რომ იმ სულ-წაწყმენ დილის სანახავად წაბრძანდა? იქმნება ეგონა, პირჯვარს დავაწერინებო! მგლის თავზე სახარებას წაიკითხავენ? არ იცოდა, რა ხალხია ეს რევოლუციონერები? რა უნდოდა, რომ მიღიოდა? იქმნება იფიქრა, წავალ და ვნახავ, როგორ დაეპატრონება ეშმაკი ცოდვილის სულსაო!

ერთმა ყბედის-ჯისის ქვრიემა, რომელსაც თავი ჰკუს კოლოფად მიაჩნდა, მათრაზი გადაჰკრა ეპისკოპოსს:

— როდის დაიხურავთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელო-ესობავ, წითელ ქუდსა?

— მე ვერა, ჩემო ბატონო, და თქვენ კი დღესაც გხურავთ, მიუგო ეპისკოპოსმა.

## xi

## ბატარა შეზღუდვა.

ძალიან შესცდება, ვინც დასკვნის აქედგან, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა კეთილმოსული „ფილოსოფოსი ეპისკოპოსი“ ბრძანდებოდა ან „პატრიოტი-მოძღვარი“. გ—ის გაცნობამ, და-ადვილად შეგვიძლიან ვთქვათ,—სულიერმა მათ შეთანხმება გაკვირვებული დასტოვა ეპისკოპოსი.

მას შემდეგ თავისთვის აღარა უზრუნვის რა.

მართალია, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა პოლიტურ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ აქ იქნება უადგილო არ იყოს, ისიც მოვიხსენით, თუ როგორ მოიქცეოდა ეპისკოპოსი მირიელი პოლიტიკას რომ გაჰყოლოდა. მაშიც ცოტა ხნის წინეთ დავიწყოთ.

უკვე რამოდენიმე წელიწადი იყო, რაც მირიელი ეპისკო-პოსად ბრძანდებოდა, როდესაც იმპერატორმა ბარონობა უწყალობა. ნ მეათათვეს 1809 წ. ღამე პაპი დიკირეს; ნაპოლეონმა საფრანგელ და იტალიელ ეპისკოპოსთა კრება დანიშნა პარიზში. ეს კრებული ლეთის მშობლის ეკლესიაში ბჭობდა და პირველად თიბათვის 15 შეკრბა; კარდინალი ჭუშე თავმჯდომარედ ბრძანდებოდა. ოთხმოცდა თხუთმეტ ეპისკო-პოსთა შორის მირიელაც მიიწვიეს. მაგრამ ერთს კრებას და-ესწრო მარტო და სამს თუ ოთხს კერძო მოღაპარაკებას: მი-რიელი ერთის დაეიწყებულის, მთიანი მხარის, ეპისკოპოსი ბრძან-დებოდა, უბრალოდ ცხოვრებდა, მოყვასთათვის თავგანწირული

და იმისთანა აზრებს ადგა, რომ ხელს უშლიდა კარებულის ბჭობას. სულ სხვა ჰანგზედ აელერებდა თავის ჩანგს. ეპისკო-პოსი საჩქაროდ დაბრუნდა დინში. რომ ჰკითხეს, აგრე მაღე რად დაბრუნდითო? უპასუხა:

— ვუშლიდი როგორლაც. რომ ვიტყოდი რასმე, ისე ხვდებოდათ, თითქმ კარები ფალეს უცბად და გაყინული ჰაე-რი დატრიალდა ოთახშიო.

მეორედ სხვა მიზეზი ბრძანა:

— ეჭ, რას იზამთ? ისინი სულყველანი ბრწყინვალე თავა-დიშვილები ბრძანდებიან და მეკი უბრალო გლეხი-კაცი გახ-ლავართ.

მართალი ის გახლდათ, რომ მირიელი არ მოეწონათ. ამის მიზეზად, სხდათ შორის, იმასაც ამბობდნენ, რომ ერთს ცისკო-პოსთან მიწვეული იყო და რომ მივიდა, განცვიურებულა დარჩა და არც დამალა თავისი განცვიფრება: რად გინდათ, თქვენა ყოვლად უსამღვდელოესობავ, ამოდენი ავეჯი და მოსამსახუ-რენი? ეს ავეჯეულობა, ეს საათები, ეს ხალები? ეგ რომ მე მქონდეს, ერთს წამს ვერ მოვისვენებდი: წამ და უწუმ ჩამქა-ხებდნენ. ყურში: სიმშილით კვდება ხალხი! სიცივით კვდება ხალხი! განიკითხე საწყალო ხალხიო!

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვაო, რომ უგნურება იქნება შევიძულოთ ყოველივე ის, რაც აღამიანს ცხოვრებას. უტკბო-ბს და განცხრომას შესძენს. ეს სიძულვილი ხელოვნების უარ-ფოფა იქნება. სასულიერო წოდებისათვის კი სწორედ რომ საძრახისია ეს განცხრომა. ფუფუნებაში მყოფი, სხვის ტანჯვას ველარ თანაუგრძნობს. მდიდარი მღვდელი სრული უაზრობაა. მღვდელი ლარიბებთან უნდა იმყოფებოდეს. და განა შეიძლება შეუწყვეტლივ, დღე და ღამე, ყოველგვარ გაჭირვებას ეხებოდეს კაცი, ყოველგვარ სევდას, ტანჯვას, ადამიანის პიროვნების დამცირებას და შეურაცხოფას, და თითონ კი არ დაედოს უბე-დურება, როგორადაც მუშას მტკერი ედება? განა წარმოსად-გენია, ანთებულ საკირესთან იდგეს კაცი და არა სცხელოდეს?

განა წარმოსადგენია, ხაბაზს ან თმა არ შეემტრუსოს, ან ხელი არ გაერუჯოს, ან ოფლი არ დაასხას? უპირველეს ყოვლისა სილარიბე გამოაჩენს, მოწყალეა მღვდელი, და მეტადრე ეპისკოპოსი, თუარა?

ეჭვი არ არის, ამავე აზრისა ბრძანდებოდა დინის ეპისკოპოსიც.

ნურავინ იფიქრებ, რომ ეპისკოპოსი თავისდროს აჰყოლოდეს და მზა პასუხით დახვდომოდეს უმთავრესს საზოგადოებრივ კითხვებს. ღვთის მეტყველებრივს კირხვებში არც კი ერეოდა და გაჩუმებული იყო, როდესაც ეკლესიასა და მართებლობის შორის შუღლი რამე ჩამოვარდებოდა; მაგრამ რომ ჩასკიციოდა ვინმე, არ დამალავდა და ალიარებდა, რომ პაპის მომხრე უფრო იყო, ვიდრე პაპისგან საფრანგეთის ეკლესიის გათავისუფლებისა. და რადგან სურათსა ვხატავთ და დამალვა არაფრისა გვინდა, იძულებული ვართ ისიც მივუმატოთ, რომ ნაპოლეონს არაფერ-ში თანაუკრძნობდა. 1831 წელიდგან დაწყებული საცა კი ნაპოლეონის საწინაამდევო მოძრაობას გაიგებდა, თითონაც მიემბრობოდა. წმ. ელენეს კუნძულიდგან რომ დაბრუნდა, დინის ხელოს გაიარა და ეპისკოპოსმა არ ინება და არ ნახა იმპერატორი; არ დაემორჩილო ბრძანებას და „ასი დღის“ განმავლობაში განკარგულება არ მოახდინა თავის სამწყსოში, რომ ხელმწიფე იმპერატორი ნაპოლეონი მოეხსენებინათ ყირვა-ლოცვის დროს.

ბაპტისტინე-ქალის გარდა ორი ძმაცა ჰყავდა. ერთი გენერალი იყო, მეორე პოლიციელი მოხელე. ხშირი მიწერა—მოწერა ჰქონდა ორთავესთან. პირველს ცოტა ხანს ემდურებოდა, რადგან ნაპოლეონი რომ შემოვიდა საფრანგეთში, გნერალი ათას ორასი კაცით დაეჭვენა, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ ცხადი იყო, ნაპოლეონის მტრობა კი არა, მეგობრობა ეფვა გულში: მეორე ძალასთან უფრო ტკბილი განწყობილება ჰქონდა; დიდაც პატიოსანი, ლირსეულ კაცი იყო და, სამსახურიდან უკვე გამოსული, პარიზში ცხოვრებდა კასეტის ქუჩაზე.

ამგვარად მის ყოვლად უსამღვდელოებობასაც მოუხდა ერთს დროს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევა და მისი სიმწარის ნა-

ხეა. მიწიერთა ვნებათა ბრძოლამ ერთს ხანად დაჩრდილა იმისი შადლით გატაცებული გონება. ამგვარს კაცს, რომ სრულიადაც არა ჰქონდეს პოლიტიკური თავისი აზრი, სწორედ რომ უკეთესი იქნებოდა. ცუდად კი არ ჩამოგვართვან ეს სიტყვა და არ გვიკიუინონ: ჩვენთვის „პოლიტიკური აზრი“ სხვაა და პროგრესის შეგნება, პატრიოტული მისწრაფება და ხალხის და კაცობროლბის სამსახური-სხეა. ჩვენს დროში ამის მეტი არა უნდა ედვას რა საფუძვლად საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჩვენ არ დავუკვირდებით იმ კითხვებს, რომელნიც პირდაპირ არ შეეხებიან ამ წიგნის შინაარსს, ოღონდ ერთს ვიტყვით: უმჯობესი იქნებოდა, რომ მისი ყოვლად უსამღვდელებობა ორლეანელთა მომხრე არა ყოფილიყო და მისი გონების თეალი ერთს წამსაც არ ასკილებოდა იმ წმინდათა წმინდას, ადამიანთა მღელვარების და ქიშპობის ზემორე მყოფს, რომელიც ნათელსა ჰვენს ქვეყანას და რომელსაც სიმართლე, მართალმსაჯულება და მოწყალება ეწოდება.

მართალია, პოლიტიკური ბრძოლისთვის და სამსახურისთვის არ იყო შოვლენილი მირიელი, მაგრამ გასამართლებელ საფუძველს ვუპოვიდით მის საქციელს, ნაპოლეონის წინააღმდეგობა რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლების შელახვაზეც დაემყარებინა და მაშინ შებრძოლებოდა ამაყი და პრინციპით ძლიერი ბერი თავის ხელმწიფებს, როდესაც იგი ძლიერებით აღსავს იყო. ამომავალის, ძლევა-მოსილის შებრძოლებას მოვუწონებლით და დაცემულის, უკვე მისუსტებულის წინააღმდეგობა კი უნდა დავუწუნოთ. ბრძოლა ჩვენ შაშინ გვიყვარს, როდესაც განსაცდელს ვხედავთ. ბრძოლის დამთავრება და დამარცხებულის შეკვრა და დატყვევება, ხხოლოდ იმას შეჰქერის, ვინც ბრძოლა დაიწყო და დაამარცხა. ვინც გესლით სავსე ლექსით არ შერისხა გალალებული მტარვალი, ხმას ნულარ ამოილებს, როდესაც დაცემულს ნახავს. ჩვენი აზრით, როდესაც განგება ჩაერევა საქმეში და დევნას დაუწყებს ვისმე, განხედ გადგომაა საჭირო.

1812 წლიდან იწყობა ჩვენი მისუსტება.

1813 წ., როდესაც გარემოებათა ცვლილებით წაქეზებულმა კანონმდებელმა ჩვენმა კრებულმა ძლივს გაბეჭა და ხმა ამო-ილო ნაპოლეონის წინააღმდეგ, ტაში კი არ უნდა დაგვეკრა, უნდა აღვმოსოდებულიყავით; 1814 წ., როდესაც მარშლებმა ულალატეს, სენატმა თავს ლაფი დაისხა და პირში აფურთხა, ვის წინაშე გუშინ მუხლ მოდრეკილი ხოხავდა და თაყვანსა სცე-მდა, ზიზღით თვალი უნდა მოგვერიდებინა; 1815 წ., როდესაც პარმი უკვე ტრიალებდა სამშობლოს უბედურება, როდესაც საფრანგეთი უკვე თრთოდა მის მოლოდინში და სუსტი ლან-დივით მოჩანდა ვატერლო, ჯარისა და ხალხისაგან ნაპოლეო-ნის ხელმწიფედ მიღება სახუმაროს არას წარმოადგენდა და— მტარვალობა იქით იყოს—იმისთანა გულის კაცს, როგორიც დინის ეპისკოპოსი ბრძანდებოდა, უნდა ეგრძნო, რა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილიყვნენ უფსკრულის პირს მდგო-მარნი, შავრად ჩახვეულნი, სამშობლო და ნაპოლეონი.

ამას გარეშე კი ყოველთვის პატიოსანი, მართალი, მდა-ბალი, გონიერი და ლირსეული კაცი იყო. კეთილსა სთესდა და კეთილი სურდა. მლედელი იყო, ბრძენი ადამიანი და თვით პოლიტიკურ მის საქციელშიც კი, რომლის გამო ჩვენ ასეთი სასტრიკი საყვედური გამოვსთქვით, უფრო მეტი ლმობიერება გამოიჩინა, ვიდრე თითონ ჩენ.

სიმამასახლისო სახლის მექანიკურ თითონ ხელმწიფეს დაეყ-ენებინა ერთი მოხუცებული ჯარის-კაცი, ბრძოლის ველზე დაბერებული და ნაპოლეონის თაყვანისმცემელი. საწყალ კაცს ხშირად წამოსცდებოდა ხოლმე იმისთანა სიტყვები, რომელსაც კანონი „მაცუნებელს“ უწოდებდა და სჯიდა. „რომ მომკლათ, გულზე სამს ჯოჯოს ვერ ვატარებო“, — იძახ-და, როდესაც ნაპოლეონის ალაგი ლუი მეთვრამეტემ დაიკირდა ნაპოლეონის სახით შემკულის მედალის წილ თავისი დაა-წესა, რომელზედაც სამი ია ეხატა. ლუი მეთვრამეტეს დაუ-რიცებლივ ლანძლავდა მოხუცებული ჯარის-კაცის „ის ჭირიანი ისა, რომ საცემო მომართებიც კი ინგლისიდან მოაქვს, თითქო ჩვენში ვერ შეუკმავლენები პრუსსიაში. წავიდეს, ის არ ურჩევნიან!

ჯანაბას იმისი თავი და ტანი!“ — რაკი ლანძღვას დაიწყებდა, ლუისთან ერთად ინგლისს და პრუსიასაც შეუკურთხებდა, რადა გან მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა ქვეყნად მათი არსებობა. იმდენი ჰქნა, იმდენი სთქვა, რომ ალაგი დაკარგდ და ულუქმა— პუროდ დარჩა ცოლშვილიანი კაცი. ეპისკოპოსმა დაიბარა, ტკბილად დაარიგა და საეპისკოპოსო ტაძრის მეკარედ დანიშნა.

იმოდენი სიკეთე დასდო თავის სამწყსოს ეპისკოპოსმა ცხრა წლის განმავლობაში, იმოდენი მადლი მომფინა, რომ დიდი და პატარა ყველა თაყვანსა სცემდა წმინდა სულიერ მამას. ნაპოლეონის წინააღმდეგობაც კი აპატივა ხალხმა,— გულკეთილმა სუსტმა ცხოვარმა: იმპერატორი ლმერთიერთ სწამდა ხალხს, მაგრამ თავისი ეპისკოპოსიც უყვარდა.

## xii

### მარტობა ეპისკოპოსის მიზანებისა.

ეპისკოპოსს თითქმის ყოველთვის თავს დასტრიალებს მრავალი მღვდელი, როგორადაც მხედართ მთავარს — ჭაბუკი მხედრები. წმინდა ფრანსუა დესალმა სწორედ ამათზედ ბრძანა „ჯონგა მღვდლებით“, წარჩინებულს ყოველს ასპარეზე დ ფუტკარივით ეხვევიან წარჩინების მსურველნი. ძალა ჰქონდეს კაცს და ამაღა თავის თავად გაუჩნდება; შეძლება ჰქონდეს, და შინაუმანი თითონვე ეახლებიან. მომავალის მძებნელნი ფარვანასავით თავს ევლებიან აწინდელს ბრწყინვალებას. ყოველს ოდნავ-გავლენიან ეპისკოპოსს თან ახლავს მთელი რაზმი სემინარიელ ქერუბიმთა, რომელნიც დარაჯად ადგანან საეპისკოპოსო სასახლის წესიერებას და მეტალრე მის ყოვლად უსამღვდელოების ღიმილს. ეპისკოპოსის გულის მოგება მთავრად კურთხევის მოასწავებს. რას იზამთ? ყველა თავისას ცდილობს. წმინდა მოციქულობა აღარა სწუნობს. შემოსავლიან აღარა.

როგორც ყველა სხვას, ისე სასულიერო წოდებასაც პყავს თავისი დიდროვანი ბობოლები. ეს გახლავან მდიდარი, ფულის და შამულის პატრონი, მოხერხებული, საზოგადოებაში მიღებული ეპისკოპოსები. ამ ბობოლებმა ლოცვა იციან, რასაკირველია, მაგრამ დიდებულთა თხოვნა უფრო იციან. როგორც თითონ იმდაბლებენ თავს უმაღლესთა წინაშე, ისევე ამდაბლებენ მათთან მოსულს მთელს სამწყსოს, და მთელი დღით ალოდინებენ გარეთ, თითქო სასულიერო წოდებისა კი არა, დიპლომატები ბრძანდებიანთ. მოხელენი არიან და არა მოძღვარნი. ბეჭნიერია, ვინც მათთან არის! ძალი ხელთა აქვთ და, ვინც კი შესძლებს და თავს მოაწონებს, უხვად ურიგებენ მდიდარს სამწყსოს, შემოსავლიან ალაგს და საეკლესიო მამულებს. დიდებისაკენ მიიწევენ თითონ და თან მიშეავთ თავიანთი ერთგულნი, როგორადაც მჩეს თავისი თანამოგზაურნი. მათი ბრწყინვალება სხივსა ჰქონებს მათს ამალას. მათის კეთილდღეობის ნასუფრალს ხელ-აპურობილნი შესკუნავიან. მხლებელნი. რაც მეტს შეიძენს პატრონი, მით მეტს არვუნებს შინაყმას. და ბოლოს, რომიც ხომ აქვთ: თუ ეპისკოპოსი მოხერხებულია და არქიეპისკოპოსობა იშოვნა, თუ არქიეპისკოპოსი ბოხერხებულია და კარდინალობა იშოვნა, თქვენც უკან გაფიდევნებთ: ჯერ კარდინალის მორჩილად იქნებით, მერმეომფორს შეიძენთ საბჭოს წევრად გახდებით, პაპის შინა-ყმად და ეგეც თქვენი ყოვლად უსამლელოესობა; აქედგან კარდინალადმე ერთი ნაბიჯილაა და კარდინალი ხომ შეიძლება პაპის ტახტზედაც აბრძანდეს: ეგ კენჭხედ არის დამოკიდებული და კენჭს ხომ, საითაც გნებავთ, იქით გააგორებინებთ. დღევანდელი კუნკულა ხეალ შეიძლება პაპის თიარად იქცეს. ჩვენს დროში წესიერად მეფედ გახდომა მარტო მღვდელს შეუძლიან, ისიც რა მეფედ? უმაღლეს მეფედ. მაშ რამდენ ოცნებებს უნდა ასაზრდოვებდეს სემინარია! რამდენს ბალანს, რამდენს ახლად ნაკურთხს მღვდელს გაიტაცებს ბრწყინვალე მომავალის. ფიქრი და მოლოდინი, რადგან დიდების წყურ-

უილი მოწოდებად რაცხს თავის თავს, და იქნება გულშრფელადაც სწამდეს, დიდებისაკენ მისწრაფება მოწოდება არის ჩემიო.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი მირიელი — თავმდაბალი, ღარიბი, განმარტოებული, — ბობოლებში არ ირკუხებოდა. ეს იქიდგან ჩანდა, რომ მის სიახლოვეს იხლად ნაკურთხ მღვდლებს ვერა ნახავდით. პარიზშიც ხომ იუცხოვეს, როგორც უკვე ვთქვით. მომავალის მაძიებელს ერთსაც არ მოსვლია აზრად — ამ განცალკევებულს მოხუცს დავებოლაუჭები, დიდებისკენ ეს ამიტანსო. ის ჩრდილში ერთიც არ ამოსულა მომავლის ოცნებებით გაბერილი სოკო; იმისი დეკანოზები და მღვდლები მასავით გულკეთილი მოხუცები იყენენ, ხალხის მოსიყვარულე, ხალხის შვილნი, მასავით ჩამწყედეულნი თავიანთ სამწყსოში და თავიანთი წმინდა მოვალეობა ერჩივნათ კარდინალობასაც და პაპობასაც. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ეპისკოპოსი სრული იყო და ეს მღვდელ-დეკანოზები კი დამთავრებულნი. მის ყოვლად უსამღვდელოესობასთან მყოფი რომ წარმატებას ვერას ელირებოდა, ეს ცხადი იყო და დანიშნავდნენ თუ არა ყმაწვილ მოძღვარს მის საეპისკოპოში, მაშინვე სხვაგან გადასვლას და სხეა ეპისკოპოსთან სამსახურის ძებნას იწყებდა; ზოგი ექვსში გადადო-ოდა, ზოგი ოშში, რადგან, ვთქვით და კიდევ ვიტყვით, უკელა თავისას ცდილობს. იცით რა საშიშიოა წმინდანის ახლოდ ცხოვ-რება, რომელიც უარპყოფს მიწიერს ყოველივეს! ერთიც ვნა-ხოთ, გაგიწყრათ ღმერთი და სიხარბე შეგეყაროთ განუკურ-ნელი, სიძულვილი წარმატებისთვის საჭირო მღიქვობის და ფარისევლობისა! ერთიც ვნახოთ უარყოფამ გაგიტაცოთ და თქვენს ოცნებას გაღალატებინოთ! შორს, შორც ჩვენგან ქე-ციანო სათნოებავ!

ამიტომ იყო ისე განმარტოებული ეპისკოპოსი მირიელი.

წყვდიალით მოცულია ჩვენი საზოგადოება. პოახერხე და ქვეყანა შენიაო! ამ რას გვასწავლის დღითი დღე გახრწნილება.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით კიდეც, ბილწი რამ არის ეს მოხერხება. ბილწიმით არის, რომ ტყუილის მსგავსება აქვს ღირსებასთან და მით ატყუებს ხალხს. ბრძოსათვის მოხერხებას

იგივე შეხედულება აქვს, რაიც კეშმარიტ ლირსებას. მოხერხება იმდენად ემსგავსება ნიჭის, რომ ისტორიასაც კი ატყუებს. მაშ რას სჩივიან იუვენალი და ტაციტი<sup>1)</sup>? მოხერხებამ ყველა დაიმორჩილა ჩვენს დროში და თვით ფილოსოფიასაც კი ხელზედ მოსამსახურის ტანსაცმელი ჩააცეა. მოახერხეთ — აი თეორია. წარჩინებული ბრძანდებით, მაშ ლირსეული ბრძანებულხართ. ლოტორეით მოიგეთ, მაშ ლირსი ყოფილხართ. ვინც თავისას გაიტანს, სათაყვანო ის არას. ქუდ-ბედი დაყოლეთ და სხვა არა გინდათ რა. ბედი გქონდეთ, და ქვეყანა თქვენია. თუ კა ბედნიერი ხართ, მაშ დიდებული ყოფილხართ. ხუთი ექვსი მოლვაწე რომ გამოვრიცხოთ, რომელიც სხივსა ჰქონენ თავიანთ საუკუნეს, დანარჩენებისადმი თაყვანის ცემა ბეცის თაყვანის ცემაა. შევერცხლილი ვერცხლად გადის. ვიკინდარაც რომ იყოთ, არაერთ დაგძრახავთ, ოღონდ მოახერხეთ და უდიდებულესთა შორის გამოიჭიმეთ. ბრიყვი-ბებერი ნარცისია<sup>2)</sup>, რომელიც თავის თავს შესტრიფის, და ტაშს უკრავს ბრიყვს. ის უზენაავსი ნიჭი, რომელიც ჰქონის მოსეს, ესხილს, დან ტეს, მიქელ-ანჯელოს ან ნაპოლეონს, უჩინარია ბრძოსთვის; ოღონდ კი მოახერხოს, თავის მიზანს მიაღწიოს კაცმა, სულ ერთია, რაც უნდა იყოს შისი მიზანი, და ერთხმივ შეპატავლებს ბრძო და უზენაავსის ნიჭის პატრონად აღიარებს. უბრალო ნოტარიუსმა რომ დეპუტატობა გაიკრას; ვიღაც ყალბმა კორნელმა რომ „ტირდატი“ დაწეროს; ვიღაც თოჯამ რომ პარამხანა გაიჩინოს; ერთმა უბრალო ჯარის კაცმა რომ შემთხვევით მთელის საუკუნესთვის ფრიად მნიშვნელოვანი ბრძოლა მოიგოს; აფთიაქის მოხელემ რომ კარტონის ძირები დაუღოს წალებს, ამ წალებიზ შემოსოს მთელის სამეფოს ჯარი და ნახევარ მიღიონნის შემოსაელის პატრონი გახდეს; მეწვრილმანებ რომ სისხლის ფასად ასარგე-

1) იუვენალი, გამოჩენილი სატირიკოსი რომში. ტაციტი-რომაელი ისტორიკოსი. პირველ საუკუნეში ცხოვრებდნენ.

2) ნარცისმა თავის თავი რომ დაინახა წყალში, ისე მოეწონა, რომ თავისავე თხიფობით მოკვდა.

ბლოს ფული და მილიონები შეიძინოს; წუწკი ბერი რომ ფეხს ულოკავდეს დიდებულთ და ეპისკოპოსად იქცეს; უბრალო მოუჩავშა რომ ჯიბები დაიტენოს და—დახე, ფულის ყადრი სკოდნიაო—უინანსების მინისტრად მიიწვაონ... ხალხი გენი-ოსებად გახდის, გუნდრუკს უკმევს და ფეხ ქვეშ გაეგება.

## xiii

## და სწამდა.

ნუ დავეკირდებით მის ყოვლად უსამღვდელოესობას სა- რწმუნოების მხრივ. ძლიერის სულის წინაშე თავი მოვიხაროთ და თაყვანი ვცეთ. მართალის სარწმუნოებას დაკვირება არ უნდა. ეგეც რომ არ იყოს, აჭამიანი იყოს, ყოველი სათნოე- ბით შემკული, თორებ სულ ერთია, თუნდა ის არა სწამდეს, რაც ჩვენა გვწამს.

რა აზრისა იყო სარწმუნოების დებულებაზე და საიდუმლო- ებაზედ? ეს მხოლოდ გულთამხილავს შეეხება და ის ჰყითხვას, როდესაც მის წინაშე წარსდგება მიწიერისაგან განთავისუფ- ლებული. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით დაჭეშმარიტებით, რომ სარწმუნოების გამოსარკვევი კითხვანი თავის დღეში არ გადაუწყვეტია ფარისევლურად. აღმასს განა ლპობა შეეპარე- ბა რამე? იპისკოპოსს მეტი სწამდა, ვიდრე შეეძლო. მწამს მამა ჩვენი! იტყოდა ხოლმე ხშირად. კეთილ-მოქმედებაში ჰპო- ვებდა იგი იმ კმაყოფილებას, რომელსაც სრულიად სჯერდება სინიდის და რომელიც ჩუმად ჩაგვძახის—შენ ღმერთანა- ხარო!

ეს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტის მეტად, სარწმუნო- ებრივ ვალდებულებაზე უფრო მეტად, უყვარდა მოყვასი თვი- სი. სწორედ ეს მეტის მიტი სიყვარული აკვირვებდა იმ ვაუ- ბატონთ, რომელთაც ჩვენი ეკონიზმით გამსჭვალული დრო ჭკვი- ანს, დარბაისელს და წარჩინებულს უწოდებს. „მონანებას სკლი- ლობს, თორებ აფრე. თავ-განწირული არ იქნება ღარიბ-ღატა-

კისთვისაო". რა იყო ეს გადამეტებული. სიყვარული წმინდა კეთილ-მიღრეკილება არა მარტო სულიერობით, არამედ უსულოთა მიმართაც. ეპისკოპოსმა არც კი იცოდა, რა არის სიძულეილი. უველა კაცს, თვით ხაუკეთესოსაც, დაფარული აქვს რაღაცა შეუბრალებლობა, რომელიც ნადირთა მიმართ გამოაჩნდება. არც ეს გრძნობა იცოდა დინის ეპისკოპოსმა, თუმცა იშვიათი არ არის იგი სასულიერო წოდებაში. ბრამინის აზრისა არ იყო, მაგრამ ეტყობოდა; უკვე დაჭვიქრებოდა ეკლესიის სიტყვებს: ეინ იცის, სად მივა სული ნადირთა? ზე დაცემული და მახინჯი ვერა შეაშფოთებდა რა მის სიყვარულით აღსავსე გულს, თითქო, ლრმად ჩაფიქრებული, ცხოვრების გარეთად ეძებს შიზეზს სიმისინჯისას და თვით ლმერთისგან მოელის განმარტებასაო. როგორც ლინგვისტი ცდილობს ძველს ეტრატზედ წაშლილის აღგენას, ისევ უკეირდებოდა ეპისკოპოსი ჯერ კიდევ არსებულს ბუნებაში ხაოსს. ჩაფიქრდებოდა თავდავიწყებამდე, და ზშირად უკნაურს წამოიძახებდა რასმე. ერთს დილას ბალში იყო და მარტოდ ეგონა თავი, თუმცა და უკან მისდევდა ფეხ აკრეფით. უკბათ შეჩერდა, რაღასაც დააკერდა მიწაზედ. უშველებელი ობიბა იყო, შავი, ბალნიანი, საზარელი. ბაპტისტინებ ური მოპრა ეპისკოპოსის სიტყვებს:

— შენი ბრალი არ არის, შე საწყალო, შენა!

ბავშვობააო, იტყვიან, დიალ, მაგრამ ზეციური ბავშვობა გულკეთილის ადამიანისა. იგივე ბავშვობა სჭირდათ წმინდა ფრანცუა ასიზელს და მარკ აურელს. ერთხელ ფეხი იღრძო, რომ ჭინჭველა არ გაესრისა.

ასე ცხოვრებდა ეს მართალი ადამიანი. ხანდახან ბალში ჩაეძინებოდა და წმინდანს ემსგავსებოდა.

ამობდნენ, სიყმაწვილეში ძალიან ახირებული, ბრაზიანი კაცი იყოვო. უსამძღვრო მისი სიმშვიდე ბუნებრივი არ იყო, არამედ შედეგი ფიქრის და რწმენისა, რომელიც ნელ-ნელ უვარდებოდა გულში და ძირიანად უცვლიდა ბუნებას. როგორც წყალი გახვრეტს ქვას, წვეთ-წვეთ რომ სცემდეს, ისე

ხასიათს გამოსცვლის დაფიქრება და დაკვირვება. როგორც წყალისაგან დაღარულს ქვას ველარა შეასწორებს რა, ისე ველარა გამოსცვლის რა ამგვარად შექმნილს ხასიათს.

1815 წ., მგონი უკვე ვთქვით, სამოცდა თხუთმეტის წლისა სრულდებოდა, თუმცა შეხედულებით სამოცისაც ძლივს იყო. პატარა კაცი იყო; ცოტა არ იყოს, სისქე ეპარებოდა; ამიტომ ძალიან უყვარდა სიარული და დიდ მანძილს ვლიდა ფეხით. ჯერ ძალიან ჭარბაკად იყო. წელში ოდნავ მოხრილე ყოველმა ეს არასა ნიშნავს: გრიგოლ XVI ოთხმოცის წლისა ხარივით სწორე ბრძანდებოდა, მაგრამ ძალიან ცუდი ეპისკოპოსი იყო. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა კეთილმოსული მშვენიერი, ლამაზი კაცი იყო, მაგრამ იმისთანა მოწყალე გულის პატრონი, რომ სილამაზეს ვერავინ ამჩნევდა.

ლაპარაკს რომ დაიწყებდა თავის ჩვეულებრივ ალერსიანი მხიარულებით, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ყველას თავისკენ იზიდავდა და ატკბობდა, თითქო სიხარული გაძმოს-ჩეტესო. ელფერი სიყმაწვილისა ედვა, ბროლივით თეთრი კბილქერთი არ აკლდა და სიცილს უმშვენებდა, თვალის გამომეტყველება ანგელოზისა ჰქონდა; ერთი იმათვანი იყო შეხედულებით, რომლისას პატარაობისას „რაკარგი ბავშვიაო“, იტყვიან ხოლმე და სიბერეში „რა ტკბილი მოხუციაო“. და მართლაც ერთი შეხედვით, მეტადრე ვინც ჯერ არ იცნობდა, „ტკბილი მოხუცის“ შთაბეჭდილებას ახდენდა ეპისკოპოსი. მაგრამ ცოტა ზანი რომ დაკვეირებოდით და ღრმად ჩათიქრებული გენახათ, ნელ-ნელ ფერს იცვლიდა ტკბილი მოხუცი და რაღასაც დიდებულს შეიმოხსევდა; განიერს, მაღალს, თოვლივით სპეტაკი თმით შემკულს შუბლს სხივი ეფინებოდა. სიკეთით აღსავსე ძლიერად წირმოგიდგებოდათ და ამ ძლიერებას ნათელი ადგა სიყვარულისა, თითქო ანგელოზს ხედავთ მოლიმარს, რომელიც ნელ-ნელ ფრთებს იშლის, და ღიმილი კი არ ეყარგებათ. გამოუთქმელი რაღაც თაყვანისცემა გებადებოდათ გულში, იზრდებოდა, გულს გივსებდათ და გრძნობდით, რომ დიდ-სულოვანი, ძლიერი, ლმობიერი და მოწყალეა ეს ადამიანი და იმდენად

ამაღლებულია მისი ფიქრი, რომ სატკბოების შეტა აღარას შეიცავს.

როგორც უკვე ეთქვით, მთელს დღეს ლოცვას ანდომებდა, წირვას, მოწყალებას, შეწუხებულთა ნუგეშის ცემას, ყვავილების მოვლას, ძმობას, მოკრძალებას, სტუმართმოყვარეობას, უარყოფას, სწავლას და დაკარვებას; მთელს დღეს კეთილ ფიქრებს, კეთილ სიტყვას და კეთალ საქმეს ანდომებდა. და ლამეც, როდესაც ქალები ზევით ავიზოდნენ, ბალში გავიღოდა და რამდენიმე საათს იყო იქ, ვიდრე ძილს დააპირებდა. თითქო რაღაცა აკლდა იმ დღეს, როდესაც ავი დარი იდგა. და ლამე ბალში გასვლა არ შეიძლებოდა. ჩვეულებად ჰქონდა, დასაძინებლად ფიქრით უნდა მომზადებულიყო დიადი სანახავით მოჭედილ ცის ქვეშ. ხშირად შეუცვეიანდებოდა ბალში და, თუ არ ეძინათ ქალებს, ნელი ნაბიჯი ესმოდათ ეპისკოპოსისა. მარტო იყო იქ თავის თავთან, ჩაფიქრებული, დამშეიღებული, თაყვანის მცემელი და სიმშვიდეს თავის გულისას ეთვრის სიმშვიდეს უდარებდა; წყვდიადში მნათობთა ხილულს ბრწყინვალებას უკვირდებოდა და უხილავს ბრწყინვალებას ღვთისას; სულს უშლიდა იმ ფიქრებს, რომელთაც უზენაესი ანიჭებდა, როდესაც თავის გულს უშლიდა ყოვლად მოწყალეს, როგორც ყვავილნი თავიანთ ნექტარს; როდესაც ბნელ ლამეში ანთებულილამპარივით ეკიდებოდა ციური ძალი; როდესაც თაყვანისცემით შესცემოდა საწუთროს ძლიერს საიდუმლოებას, იქნება თითონაც ვერ ეთქვა რას გრძნობდა, ამ რას ფიქრობდა. გრძნობდა, რომ რაღაც შორდებოდა და უსამძლვროს უერთდებოდა; გრძნობდა, რომ რაღაც დასტოიდა უსამძლვაროსაგან; — საიდუმლო ერთობა სულის და ბუნების სილრმისა! ღვთის დიდებას და ყოვლად ძლიერებას უკვირდებოდა: დაუსრულებელის მომავალის უცნაურს საიდუმლოებას ფიქრობდა; უდასაბამო წარსულის უფრო უცნაურს საიდუმლოებას; საწუთროს უსამძლვოებას და დაუსრულებლობას უკვირდებოდა; არ ცდილობდა შეუგნებელის შევნებას, არ ცდილობდა ღვთის შეგნებას, მხოლოდ თაყვანსა. სცემდა. უყურებდა გონგბეს განსაცვი-

ფრებელს შეერთებას ატომებისას, რომელიც ნავთიერებასა ჰქონის, ძალს უდგაშს, ერთს გვარად აერთებს განკერძოებულთ, ურიცხვით ავსებს უსამძღვროს და სინათლის წყალობით შვენი-ერებასა ჰქმნის. ხედავდა, რომ სიცოცხლე ატომთა შეერთებაა და სიკვდილი შეერთებულთა დაშლა.

ნის სკამი ჰქონდა ბალში. ჩამოჯდებოდა და გაშტერებული შესკეროდა ვარსკვლავებით მოჭედროს ციხა კამარა. ეს ერთი მუჭის ოდენი ბალი, რამოდენიმე ხეხილით და ყვავილით შემ-კული, და უმსგავსი შენობებით დაუშნოებული, სრულიად აკ-მაყოფილებდა მის მოთხოვნილებას.

ან რა უნდოდა შეტი ამ მოხუცებულს, რომელიც, როცა კი დრო ჰქონდა თავისუფალი, დღე მებაღეობას ანდომებდა და ლამე დაკვირვებას! განა სამარისი არ იყო ეს პატარა, ირგვ-ლივ შემოზღუდული ალაგი, ლვთისა და მის გონება-მიუწდომელ ქმნილებათა საღიღებლად? მართლადა, განა ეს არ კარა ღა-მიანისთვის? სხვა რაღა ინატროს გულმა? პატარა ბალი სა-სეირნოდ და უსამძღვრო საოცნებოდ: ფეხ ქვეშ, რასაც და-თეს და მოიყვან, და ზევით, რასაც დაუკვირდები და ისწავ-ლი; რამოდენიმე ყვავილი მიწაზედ და ვარსკვლავთ კრებული ცაზედ.

## XXIV

### დას ფაქტობდა.

ერთი უკანასკნელი სიტყვაც.

რადგან ჩვენგან ასე დაწვრილებით აღწერა დინის ეპისკო-პოსის ყოველი წვრილმანი თვისებისა, ჩვენსდროში მოდად შე-მოსულ სიტყვისა არ იყოს, პანტეისტის ფიზიონომიას აძლევს მის ყოვლად უსამღვდელესობას და შეიძლება აფიქრებინოს ვისმე, მირიელის საქმერად, ან საძრახისათ, რომ ეპისკოპოსის ჰქონდა, როგორც მრავალს სხვას ამ საუკუნეში პირადი თა-ვისი ფილოსოფია, რომელიც აღორძინდება განდევგილთა ფიქრში, განვითარდება და იმდენად იზრდება, რომ სარწმუნოების ალაგს

იქერს; აშიტომ ვიტყვია, რომ, ვინც კი ეპისკოპოსს იცნობდა, ამას ვერავინ იფიქრებს. ამ კაცს ფილოსოფია კი არა, გული აბრწყინვალებდა. მისი სიბრძნე იმ სინათლიდან შესდგებოდა, რომელიც გულიდან გამოაშუქებს.

სისტემებით კი არა, საქმით იყო ძლიერი. ბნელი ფილოსოფია ხშირად თავბრუს ახვევს ადამიანს. მისი ყოვლად უსამღვდელებობა, რამდენადაც ვიცით, თავისდღეში არ დაჰკვირვებია აპოკალიპსი. მოციქული შეიძლება გამბედავი იყოს, მაგრამ ეპისკოპოსი კი მოკრძლებული უნდა იყოს. იქნება თავხედობად მიაჩნდა ღრმად დაკვირვება იმ დიალი კითხვებისა, რომელთა შეგნება და განმარტება მდევრ ეკუთვნით კაცთა შორის. საშინელებას პფარავს წმინდა საიდუმლოების კარიბჭე. ლია არის ეს ბნელი კარი, მაგრამ რაღაცა ჩაგდახით თქვენ, წუთის - სოფლის სტუმარს, რომ იქ შესვლა არ იქნება. ვაი იმას, ვინც შებედავს იმ კარს! წმინდა აზროვნებაში, განყენებულის უფსკრულს სილრმეში, რომელიც სარწმუნოების დებულებათა გარეშედ აჩსებობს, ეძებენ გენიოსები შეგნებას ღვთისას. თამაში კამათია მათი ლოცვა და შეკითხვაა მათი თაყვანისცემა. ეს არის ფილოსოფიური სარწმუნოება და ვაებით და პასუხის გებით ავსებს, ვინც მას შეუდგება.

უსამღვროა ადამიანის ფიქრი. გაბედულებით აღსავსეა და, თუმცა მრავალს საშიშს მოქლის, მაინც ცდილობს თვალის ახელას. შეიძლება თითქმის ფილოსოფულის ხმოთ, რომ ერთგვარი ბრწყინვალე რეაქციის ძალით, თითონ უსინათლო, ბუნებასაც აბრმავებს ადამიანი და ჩვენს ირგვლივ აჩსებული საწუთრო იმასვე გვიზღავს, რაც ჩვენგანა აქვს და იქნება ბუნებისთვის ჩვენც ისეთივე დასაკვირვებელნი ვიყვნეთ, როგორიც ის არის ჩვენთვის.

ასეა თუ ისე, არიან ქვეყნად იმისთვის. მაღლიანი ადამიანები — თუ შეიძლება მათი ადამიანად წოდება, — რომელნიც ფიქრის შორეულს პორიზონტზე ცხადად ხედავენ ერთ არსებას. და თვალწინ. უდგათ საზარელი მთა უსამღვროებისა:

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ამ კაცთაგანი არ იყო. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გენიოსი არ იყო. ის ერიდებოდა იმ სიმალლეს, რომელმაც ჰქუაზედ შეშალა მრავალნი, და ფრიად ძრიელნიც, როგორც სვედენბორგი და პასკალი. მართალია, ძლიერს დაფიქრების თავისი ზნეობრივი სარგებლობა აქვს და ამ საშინელი გზით უახლოვდება აღამიანი იდეალურ სისრულეს, მაგრამ მირიელმა უფრო მოკლე ბილიკი ირჩია, — სახარება.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სრულიადაც არ ცდილობდა და წინაწარმეტყველი ყოფილიყო; სრულიადაც არ ცდილობდა ნათელი მოეფინა წყვდიადით მოცულ მომავალისთვის; უყვარდა და სიყვარულით იყო ძლიერი ეს დიდსულოვანი მოხუცი. შეიძლება ლოცვით გატაცებულს მეტიც ელოცას, ვადრე აღამიანის ძალთ არის, მაგრამ განა. ლოცვას და სიყვარულს საწყაოს უნდა ვადებდეთ? დადგენილ ლოცვათა გარეითად ლოცვა რომ მწვალებლობა ყოფილიყოს, წმინდა ტერეზია და იერემია მწვალებელნი იქნებოდნენ.

თავსა ხრიდა ყველაზედ, რაც კი ჰკენესის და გოდებს. ქვეყანა ცრემლის ზღვად მიაჩნდა; ყველგან ტანჯვას, სნეულებას, ყველგან ჭირსა და ვარამს ხელავდა; და მიზეზის ვამოცნობას კი არა, წყლულის შეხვევას და განკურნებას ცდილობდა. საზარელი სანახავი ქვეყნიურის ვარამისა გულს უჩქროლებდა და სულ იმის ცდაში იყო, თითონაც მიეღწია და სხვებისთვის საც ესწავლებინა უკეთესი და უმეტესი შებრალება და ნუგეშის ცემა. ამ კეთილი და იშეიათი მოძღვრისთვის ჩვენი ცხოვრება დაუშრეტელს უბედურებას წარმოადგენდა, რომელსაც მანუგეშებელი ეჭირვებოდა.

რამდენი კაცია, რომ ლითონიდან გამონაღნობ ვერცხლის გამრავლებას ცდილობს; ის სიბრალულის გამრავლებას ცდილობდა და ლითონად ქვეყნიური ვაება ჰქონდა. ყველგან გაჭირვებას ხელავდა და ყველგან — შეიუგარეთ ერთმანეთით — ქადაგებდა. ეს იყო სრული მისი მოძღვრება და ამის მეტი არა უნდოდა - რა. ერთხელ ჩვენმა უკვე ნაცნობმა სენატორმა, რომ

მელსაც თავი ფილოსოფოსად მოჰქონდა, მოახსენა ეპისკო-  
პოს:

— ქვეყანას ვაღახედეთ, თქვენი ყოვლად უსამღვდელოე-  
სობავ! ნახეთ, რა ბრძოლა აქვთ ატეხილი ყველას ერთმანეთს  
შორის. კევიანი ის არის, ვინც უფრო ძლიერია. შეიყვარეთ  
ერთმანეთიო, რომ ბრძანებო, სულელი იქნება, ვინც დაგიჯე-  
რებთ, რაღაც დამარცხებული დარჩება.

ეპისკოპოსმა კამათი არ დაუწყო და დამშვიდებული ხმით  
უპასუხა:

— სისულელეც რომ იყოს, შიგ უნდა ჩაჯდეს სული, რო-  
გორადაც მარგალიტი ლოკოკინაში.

და მართლაც შიგ იყო ჩამჯდარი, შიგა ცხოვრებდა, მით  
კმაყოფილდებოდა; გვერდთ უვლიდა იმ კითხვებს, რომელნიც  
მიიზიდვენ და ანციფრებენ ადამიანს; შორს უდავ დაუბოლო-  
ვებელს სიღრმეს განყენებისას, უფსკრულს მეტაფიზიკისას და  
იმ ღრმა კითხვებს, რომელთაც მოციქული ღმერთონ მიჰყავთ  
და ღვთის - უარმყოფელი არარაობასთან.: რა არის ბედი, ავი  
და კარგი, სულდემულთა შორის ბრძოლა, სინიდისი ადამიანისა,  
ჩაფიქრებული მცონარეობა ცხოველთა, მიცვალება და აკლდა-  
მაში დაკრძალულ სიცოცხლეთა განახლება, არსება, ნივთიე-  
რება, სული, ბუნება, თავისუფლება, საჭიროება. ყველა ის  
მძლავრი და შეუგნებელი კითხვები, რომელთა გამოკვლევა  
კაცობრიობის მთავარანგელოზთა ხვედრია. უფსკრული რამ  
საშინელი, რომელსაც ლუკრეცი, მანუ, წმინდა პავლე და დანტე  
ჩასკერიან შორს მცვრები თვალით და უსმძღვროებაში ვარს-  
კვლავთ აჩენენ.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ერთი უბრალო მოშა-  
კვდავი იყო, ამ საიდუმლოებით აღსავსე კითხვებს არ უკვირ-  
დებოდა და მით სულის სიმშვიდეს არ ირყევდა. მირიელმა  
პატივისცემა იცოდა ბუნდოვანისა.

შიგნი მიორე.

დაცვა.

II

მთელის დღის საარელის შემჩერი.

1815 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ერთის ათის წინ, ვიდრე მზე ჩიეიდოდა, ერთი კაცი შევიდა პატარა ქალაქ დინში. ეს კაცი ფეხით მოგზაურობდა. ვინც კა იმ დროს ფანჯარაში იყურებოდა, ან ქუჩის კართან იდგა, ყველა რაღაც იჭვის თვალით სინჯავდა ამ მგზავრს. ძნელი წარმოსადგენია, იმისთანა უბედური შეხედულობისა სხვაც ყოფილობის ვინვე შუახნის კაცი იყო, ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი, უკვე დავაუკა ცებული, ასე ორმოცდა ექვსის ან რვა წლისა. თვალებზედ ჩამოფხატული ტყავის საშუალე ქუდისა ნახევრამდე უფარავდა მზისაგან დამწვარ მტვერიან და ოფლიანს სახეს. სქელ მოყვითანო საკინძ-ჩამოსხნილ ტილოს პერანგიდან ბალნიანი გული უჩანდა. ყელსახვევი ბაწარივით შეგრიხილი ჰქონდა. უბრალო გახუნებული, გახეხილი შალვარი ეცვა, ერთ მუხლში გათეთრებული, მეორეში გახეული; ერთი ძველი ლურჯი, დაფლეთილი ხალათი, იდაყვში მწვანე საკერებელით მიკონ კებული; ზურგზედ ჯარის კაცის გუდა ეკიდა სრულიად ახალი და საკმარისად გატენილი; ხელში უშველებელი ჯოხი ეჭირა; ფეხსაცმელი ნალიანი ეცვა ტიტველა ფეხზედ. თავი გაკრევილი ჰქონდა და გრძელი წვერი.

ოფლი, სიცხე, ფეხით სიარული და მტვერი რაღაც საზარელს შეხედულებას აძლევდა უმისისოდაც უმსგავს მოგზაურს.

ომა ჯაგარივით აშვეროდა; ეტყობოდა, კაი ხნის გაკრევილი იყო და უკვე ახალი ამოსდიოდა.

ამ კაცს არავინ იცნობდა. მგზავრი უნდა ყოფილიყო, გამვლელი. საიდან მოდიოდა? სამხრეთიდან. იქნება თვით ზღვისპირიდან, რადგან იმავე გზით შევიდა დინში, რომელითაც შეიდი თვის წინად იმპერატორი ნაპოლეონი, კანიდან პარიზისკენ რომ მიდიოდა. ეტყობოდა, მთელი დღე ევლო. ძალიან დაღალულს ჰგავდა. ძველს უბანში ქალებს ენახათ ეს კაცი: გასანდის ბულვარზედ ხეებ ქვეშ გაჩერებულიყო და, სასეიროს ბოლოს რომ აუზია, წყალი დაელია. ალბად ძალიან სწყუროდა, რომ ბავშვებს მოეფნის აუზთან, სულ ორასი ნაბიჯის მანძილზედ, კიდევ ენახათ გაჩერებული წყლის დასალევად.

პუაშერის ქუჩის კანჭულთან რომ მივიდა, მარცხნივ შეუხვია და სამამასახლისოსკენ გაემართა. შევიდა სამამასახლისოში და თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ გამოეიდა. ქვის სკამზედ კარებთან ეანდარმი იჯდა. ჟგზავრმა ქუდი მოუხადა და მოწიწებით სალამი მისცა.

ეანდარმმა სალამი არ გადაუხადა, ყურადღებით გასინჯა, ცოტა ხანი თვალი აღდვნა და მერმე სამამასახლისოში შევიდა.

იმ დროს დინში საუკეთესო სასტუმროდ „კალბასის ჯვარი“ ითვლებოდა. მისი პატრონი უკენალაბარი დიდად პატივცემული იყო ქალაქში, რადგან ნათესავი იყო იმ ლაბარისა, რომელსაც გრენობლში „სამის ბატონიშვილის“ სასტუმრო ჰქონდა. ნაპოლეონი რომ შემოვიდა საფრანგეთში, დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა სამის ბატონიშვილის სასტუმრომ: ამბობდნენ, გენერალი ბერტრანი, გლეხი-კაცის ტანისამოსით გამოწყობილი, ხშირად დაიარებოდა ამ სასტუმროში და ჯარისკაცთ ჯერებს ურიგებდა და მოქალაქეთ—ნაპოლეონის სახით მოკრილს ოქროებსაო. მართალი ამ ხებში ის იყო, რომ ნაპოლეონმა, გრენობლს რომ მივიდა, სამამასახლისოში არ ინება დადგომა, დიდი მადლობა გამოუცხადა ქალაქის წარმომადგენელთ და—ერთს კარგ, პატიოსან კაცს ეიცნობო,—„სამის ბატონისშვილის“ სასტუმროში ჩამოხტა. გრენობლელი ლაბარის ამგვარი დიდება სხივსა ჰფენდა. მთელი დღის საფალზედ მყოფს

დინელ ლაბარს. დინში ისე არავინ ახსენებდა ამ უკანასკნელს, რომ არ ეთქვათ — გრეხობლელის ბიძაშვილიაო.

მგზავრი ამ ხაუკეთესო სასტუმროსკენ გაემართა. სამზარეულოში შევიდა, რომლის კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. მშვენიერი ცეცხლი ენთო. მასპინძელი იქვე ტრიალებდა და ხან ერთს ქვაბს ჩახედავდა, ხან მეორეს: საგანგებო საღილს უმზადებდა მგზავრებს, რომელთა სიცილი და ხმა-მაღლივი ლაპარაკი გამოდიოდა დარბაზიდან. ჰუხარში კარგი სუქანი კურდლელი ეკიდა შესაწვავად; შამფურებზედ მცვრიანი ბწვადი იწოდა, და მრავალ სხვათა შორის ერთ ქვაბში ახალი თევზი იხარშებოდა.

კარის ხმაზედ არც კი მიიხედა მასპინძელმა. ახალი სტუმარი რომ დაინახა, ჰყითხა:

— რას ინებებთ, ბატონო?

— პურსა ვკამ და დავიძინებ, — უთხრა მგზავრმა.

— ადვილი გახლავთ, ბატონო. — ამ ღრუს მუშტარს გადახედა, თავით ფეხამდე თვალი ჩაავლო და დაუმატა:

— ფულით, რასაკვირველია.

მგზავრმა ჯიბიდან ერთი სქელი, ტყავის ქისა ამოილო და უთხრა:

— ფული მაქეს.

— მაშ თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე გახლავართ.

მგზავრმა ქისა ჯიბეში ჩაიდო, გუდა მოიხსნა და იქვე კართან დასდო, ჯოხი ხელთ შეირჩინა, მივიდა და ერთ პატარა დაბალ სკამზედ დაჯდა ცეცხლის პირას. დინი მთაშია და ოქტომბრის საღამოს უკვე ცივა.

მასპინძელი კი მიღი-მოდიოდა და მგზავრსა სინჯავდა.

— ჩქარა იქნება საღილი? — ჰყითხა მგზავრმა.

— ეხლავ, ეხლავ.

მანამ მგზავრი ხელებს ითბობდა, პატივცემულმა მასპინძელმა უაკენლაბარმა მის ზურგთ უკან იქვე მიგდებულს გაზეთს ქაღალდი ჩამოჰენა, ერთი თუ ორი სტრიქნი დასწერა, და კეცა და ისე დაუბეჭდავი. პატარა ბიჭს მისცა, რომელიც, ეტყო-

ბოდა, ქვაბებსაც უხეხავდა და სუფრაზედაც ემსახურებოდა. ყურში რაღაც უთხრა პატარას და ისიც შურდულივით გაექანა სამამასახლისოსკენ.

მგზავრმა ვერაფერი დაინახა.  
ერთხელ კიდევ იკითხა:  
— მალე იქნება სადილი?  
— ეხლავ, — უპასუხა ლაბარმა.

ბიჭი დაბრუნდა. ქალალდაც უკანვე მოიტანა. მედუქნემ საჩქაროდ გაშალა, ეტყობოდა პასუხს ელოდა. ყურადღებით წაიკითხა, თავი დაღუნა და ერთს წამს ჩატიქრებული იდგა. მერმე მგზავრს მიუახლოვდა, რომელიც რაღაც შავს ფიქრებს გაეტაცნათ.

— მე თქვენ ბინას ვერ მოგცემთ.  
მგზავრი წამოსწორდა თავის სკამზედ.  
— რატომ? იქნება გეშინიანთ, რომ ფული არ მოგცეთ?  
გნებავთ, წინადვე მიიღეთ. აკი მოგახსენეთ, ფული მაქვს-მეთქი.  
— საქმე ფული არ არის.  
— მაშ რა?  
— თქვენ ფული გაქვთ...  
— დიალ, მაქვს.  
— და მე კი ოთახი არა მაქვს.  
მგზავრმა მშვიდობიანად სთხოვა:  
— თავლაში დამაშვინეთ.  
— არ შემიძლიან.  
— რატომ?  
— ცხენებით გაჭედილია.  
— სათივეზედ დავწვები. ერთი ბეჭვა თივას როგორ ვერ  
მომცემთ? ეგ სადილს უკან მოხერხდება.  
— ვერც სადილს გაჭმევთ.

ეს სიტყვები მშვიდათ წარმოსთქვა მასნვინძელმა, მაგრამ იმისთანა გადაჭრილი კილოთი, რომ მგზავრს დიდ მნიშვნელოვანად ეჩვენა. და ფეხზედ წამოდგა.

— რა ვქნა, სიმშილით ვკვდები კაცი! მზე ამოვიდა და  
მეც წამოვევლ. მთელი დღე ეიარე. ფულს გაძლევთ. პური მშიან  
და პურსა გთხოვთ.

— მე არაფერი მაქვს, — უთხრა ლამბარმა.

მგზავრს სიცილი წასკდა და ბუხრისა და ქურებისკენ მი-  
ბრუნდა.

— არაფერი! ეს რაღაა?

— სულ ვაყილული არის.

— ვინ იყიდა?

— მგზავრებმა. დარბაზში არიან.

— რამდენნი არიან?

— თორმეტნი.

— ამით თუნდა ოც კაცს გააძლობთ.

— სულ ჟველაფერი იმათ იყიდეს და ფულიც წინადვე  
მომცეს.

მგზავრი დაჯდა და ხშის აუმალლებლივ უთხრა:

— მე სასტუმროში ვარ, პური მშიან და კიდევ დავრჩები.

მაშინ მასპინძელი დაიხარა და იმისთვის კილოთი ჩასძახა  
შიგ ყურში, რომ ააკანკალა მგზავრი:

— მომშორდით აქედან!

იმ წაში მგზავრი თავმოხრილი იჯდა და რკინის წევეტიან  
თავის ჯოხით ნაკვერცხალს ურევდა. ამ სიტყვებზედ უცბალ  
მობრუნდა და ის იყო პირი გაალო, უნდოდა რაღაც ეთქვა,  
რომ მასპინძელმა თეალი დაშტერა და ჩუმი ხშით უთხრა:

— კარკით ერთი! კმარა ამდენი ყბედობა. გინდათ, თქვენი  
სახელი გითხრათ. თქვენ უან ვალუანი ხართ. ახლა გინდათ  
ისიც გითხრათ, ვინა ხართ? აქ რომ შემოხვედით, რაღაც  
იქვემდინარა გულში, ბიჭი ვაფრინე სამამასახლისოში და არ  
რა მიპასუხეს. კითხვა იცით?

და ამ სიტყვებთან ერთად, ქალალდის ნაფხრეწი გადაუშა-  
ლა. თვალ წინ. ის ნაფხრეწი, რომელიც სასტუმროდგან სამა-  
მასახლისოში წაბრძანდა და იქიდან უკანვე დაბრუნდა, მგზავრმა  
თეალი გადავლო. ცოტა ხნის შემდეგ ლაბარმა უთხრა:

— მე ჩვეულებრივ ყველას ზრდილობიანად ვექცევია. წა-  
ღით აქედან.

მგზავრმა თავი დაღუნა. გუდა აიღო, რომელიც იქვე იდო,  
და წავიდა.

ლიდ ქუჩას გაჰყვა. თითონაც არ იცოდა, საით მიღიოდა. თავდაღუნული, გულჩაკლული, შერცხენილი მისდევდა გზას. ერთხელც არ მოუხედნია უკან. უკან რომ მიეხედნა, დაინახა-  
ვდა, რომ „კალბასის ჯვარის“ პატრონი ქუჩაში დგას, ვარს  
დარბაზიდან გამოსული მგზავრები ახვევიას და ქუჩაში მყოფი  
ხალხს, რაღაცას უამბობს გაცხარებული და თან მიმავალს უჩ-  
ვენებს. უკან რომ მიეხედნა და ზიზღითა და სიძულვილით  
აღსავსე მის. მაყურებელი ხალხი დაენახა, დარწმუნდებოდა,  
რომ ერთს წამს ელვასავით მოედებოდა ქალაქს იმისი იქ ყოფ-  
ნა. მგზავრმა კი არაფერი დაინახა. სევდით მოცულნი უკან  
აღარ იყურებიან. უიმისოდაც კარგად იციან, რომ უკან თავის  
შავბედი მისდევთ.

კარგა ხანი იარა ასე უცნობ ქუჩებში. დაავიწყდა, რომ  
დალლილი იყო, დაავიწყდა, რომ მშიერი იყო. ასე იცის სევდამ.  
უცბად საშინელის მწვაფი სიმშილი იგრძნო. უკვე ლამდებოდა,  
მიიხელ-მოიხედა, იქნება საჩემო ვიპოვნო რამეო.

საუკეთესო სასტუმრო დაკეტილი იყო იმისთვის. ერთს  
უბრალო დუქანს ეძებდა, იმისთანას, რომ დატაკთაც შეეს-  
ვლებოდეთ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქუჩის ბოლოში სინათლე და  
ბოძედ მიკრული ხის მწვანე ტოტი. ახლა იქით გასწია.

მართლაც დუქანი იყო, შატოს ქუჩაში რომ დუქანია. ერთ  
წამს გაჩერდა მგზავრი და ფანჯრიდგან შეიხედა  
პატარა, დაბალ დარბაზში; სტოლზედ ერთი პატარა ლამპარი  
იდგა და ის ანათებდა იქაურობას. რამდენიმე კაცი სეამდა.  
მედუჭნე თბებოდა. ბუხარში ცეცხლი ენთო და ზედადგარზედ  
ქვაბი დუღდა.

დუქანს ორი შესავალი ჰქონდა, ერთი ქუჩიდან, მეორე პა-  
ტივით საესე პატარა ეზოდან.

მგზავრმა ვერ შებედა ქუჩიდან შესვლა. ეზოში შეიპარა, ცოტა ხანი კიდევ შეჩერდა, მერმე მოკრძალებით მოძებნა რაზა და მიაწვა კარს.

— ვინ არის? დაუყვირა მედუქნებ.

— დამშეული და დაქანცული.

— ძალიან კარგი. ვახშამს მოგარომევთ და მოგასვენებთ.

მგზავრი შევიდა. ეინც კი დუქანში იყო, ყველა მობრუნდა, ერთი შხრივ ლამპარის შუქი სცემდა, შეორე შხრივ ცეცხლისა.. ცოტა ხანს, ვიდრე გუდას მოიხსნიდა, ყველანი იმას შეჰყურებდნენ.

მედუქნებ უოხრა:

— აი ცეცხლი. ვახშამიც მზადდება. მობრძანდით, გათბით, მეგობარო.

მივიდა, დაჯდა და ქანც მოწყვეტილი ფეხები წაუშვირა ცეცხლს. ქვაბიდან სასიამოვნო სუნელება ამოდიოდა. მის სახეს, ჭირისა და ვაებისაგან დაღვრემილს, სიამოვნებამ გადაჰკრა.

სახე ტანჯულის, მაგრამ ენერგიით საესე და მაგარი ხასიათის კაცისა ჰქონდა. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი გამომეტყველება: პირველი შეხედვით წყნარი გეგონებოდათ, მაგრამ, რა დაცექერდებოდით, სასტიკად გეჩვენებოდათ. წამწამო ქვემოდან ისე ელავდა მისი თვალი, როგორც ბუჩქში ცეცხლი.

ერთს იქ მყოფ მგზავრთაგანს შეთევზეს, ვიდრე იქ მივიღოდა, ცხენი დაება ლაბარის თავლაში. ამ კაცს ჯერ ისევ დილით შეხვედროდა ეს საზარელი შეხედულების მგზავრი ბრალასსის და — სახელი დამავიწყდა, — მგონი ესკუბლონის შეა. რომ წამოსწევოდა, ეთხოვნა ფეხით მომავალს — ძალიან დაღალული ვარ და ცხენს უკან შემისვიო. ამის პასუხად მხედარს მათრახი ეკრა ცხენისთვის. ამ ნახევარ საათის წინად რომ ხალხი ეხევეოდა ლაბარს, ეს მეტევზეც იმათში იყო და თითონაც უამბო თავის თავგადასავალი.

მეთევზემ იცნა მგზავრი და მედუქნეს მიუახლოვდა. რამო-  
დენიმე სიტყვა სთქვეს ჩურჩულით. მგზავრი ღრმათ ჩაფიქრებუ-  
ლი იჯდა ცეცხლთან.

მედუქნე ბუხართან მივიღა, უცბად ხელი დადო მხარზედ  
მგზავრს და უთხრა:

— ადე, აიბარგე!

მგზავრი მიბრუნდა და ტკბილად ჰკითხა:

— ოჟ! თქვენც იცით?

— ვიცი.

— სასტუმროდან დამითხოვეს.

— აქედანაც გაგაგდებ.

— მერე სად წავიდე?

— საცა გინდა.

მგზავრმა აიღო თავისი ჯოხი, გუდა და წავიდა.

გარეთ რომ გამოვიდა, ბავშვები დახვდნენ ქუჩაში, რო-  
მელნიც კალბასის ჯვარის სასტუმროდან დასუევნებოდნენ, და  
ქვა ესროლეს. გაბრაზებული გამობრუნდა უკან და ჯოხით  
მუქარა დაუწყო. ბავშვები ისე გაიფანტნენ, თითქო მტრედის  
გუნდს ქორმა დაპჭროლაო.

საპატიმროს წინ გაიარა. კარებზედ რკინის ჩაქუჩი ეკიდა,  
ჯაჭვით მიბმული. კარი დარაკუნა.

მეკარემ ფანჯარა გამოაღო.

— ბატონო მეკარევ,—შევედრა მგზავრი და პატივისცე-  
მით ქუდი მოიხადა,—ერთს დამეს ვერ გამათევინებთ ციხეში?

მეკარემ უარი უთხრა:

— საპატიმრო. დუქანი კი არ არის. დაშვებეთ რამე, და-  
გიჭირენ და მაშინ რამდენიც გნებავთ. და ფანჯარა მოკეტა.

ერთს პატარა ქუჩაში შევიდა, უფრო ორლობეში. აქეთ-იქით  
ბაღები იყო. ლობის მაგივრად ბუქნარი ჰქონდა ჩარიგებული  
და ეს მეტად ალამაზებდა ქუჩას. პატარა სახლი ნახა, ერთ  
სართულიანი; ფანჯარიდან სინათლე გამოდიოდა. ფანჯარაში  
შეიხდა, როგორც წელან დუქანში. დიდი ოთახი იყო, კირით  
შელესილი; ლოგინთან აკენი იდგა, რამდენიმე სკამი, კე-

დელზე ორლულიანი თათი ეკიდა. შუა ოთახში სტოლზე სუფრა იყო გაშლილი, თეთრი, სქელი ტილოს სუფრა, ზედ სავსე სალვინე და საჭმელი. სტოლთან ერთი მხიარული სახის კაცი იჯდა, ასე ორმოცის წლისა; მუხლზე ბავშვი უჯდა და ათამაშებდა. გვერდით ცოლი უდგა, ყმაწვილი დედაკაცი და ძუძუს აწოვებდა მეორე ბავშვს. ბავშვი იცინოდა, მამა სტებებოდა, დედას ნეტარების ღიმილი ადგა სახეზე.

მგზავრი კარგა ხანს იდგა გატაცებული ამ ტკბილი და დამამშვიდებელი სანახავით. რას ფიქრობდა? რას გრძნობდა? ამის პასუხს თითონ იმის შეტი ვერავინ იტყვის. ექნება იფიქრა, ამ მხიარულ სახლში სტუმართამოყვარეობაც ეცოდინებათ და, საცა იმოდენი ბეღნიერება სუფეეს, იქნება სიბრალულიც მოიპოვებოდესო.

ოდნავ, ოდნავ დაარაკუნა ფანჯარა.

ოთახში ვერა გაიგეს რა.

მეორედ დაარაკუნა.

დედაკაცის ხმა შემოესმა:

— ჩემო კაცო, მეონი ვიღაც არის;

— არავინ არის, უპასუხა ქმარმა.

მესამედ დაარაკუნა.

ქმარი წამოსდგა, ლაპბარი აიღო ხელში, კართან მიეიღა და გააღო.

მაღალ-მაღალი კაცი იყო; ხელოსანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ეტყობოდა, მეურნოებისათვისაც არ დაენებებინა ჯერ თავი. ტყავის წინსაფარი ეკრა, რომელიც მარცხენა მხარს უფარავდა, და ზედ ტყავისავე ჯიბეში ჩაქუჩი ჰქონდა, წითელი ხელსახოცი, სათოფისწამლე და მრავალი სხვა იარაღა: ისე ჰქონდა ჯიბე გამოტენილი, რომ ქამარი ძლივს იმაგრებდა. თავი მაღლა ეჭირა, ოდნავ უკან გადაგდებული. საკინძე გახსნილი ჰქონდა და ტიტველი, თეთრი, ხარისავით მაგარი კისერი უჩინდა. მსხეილი წარბ-წამწამი ჰქონდა, გრძელი წვერი თმის ფერი თვალი, და წვეტიანი, წინწამოშვერილი ნიკაპი. ყოველივე ამასთან, ის გამოუთქმელი გამომეტყველება, რომელ-

იც პირდაპირ ჩასახოდა იქ მიმავალს: წემს სახლში ვარ. და  
კა ქუდათ არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნაღმო.

— უკაცრავად გახლავარტ, ბატონო, — უთხრა მგზავრმა.  
— ფული რომ მოგაროვათ, ერთ კერძს საჭმელს ვერ მიბოძებთ  
და ამაღმ ბინასი ბაღში დავიძინებ, ამ წნულში. თუ ლმეროთ  
გწამთ! ფულს მოგარომევთ.

— ვინა ხართ? — ჰკითხა სახლის პატრონმა.

მგზავრმა უპასუხა:

— პიუი-მუასსონიდან გიახლებით. მთელი დღე ვიარე, სა-  
შინლად დავიღალე. ჴა, არ შეიძლება? ფულს მოგარომევედით.

— პატიოსან კაცს უარს არ ვეტყოდი, თუკი ფულს გა-  
დამიხდიდა. მაგრამ რატომ დუქანში არ მიხვალთ?

— ალაგი არა აქვთ.

— ეჲ, ეგ როგორ შეიძლება! დღეს ბაზრობა ხომ არ არის,  
რომ ალაგი არ იყოს. ლაბართან იყავით?

— ღიაღ.

— მერმე?

მგზავრი დაყოყმდა:

— არ ვიცი, არ მიმიღო.

— იმასთან იყავით, რა ჰქეიან...? შაფოს ქუჩაში?

მგზავრი აირია და ძლიერს წაიბუტბუტა:

— არც იმან მიმიღო.

სახლის პატრონს იქვი ალექსა, თავით ფეხამდე გასინჯა  
მგზავრი და უცბად შეჰვეირა აღშფოთებულმა:

— შენ ის ხომ არა ხარ?..

ერთხელ კიდევ გადახედა მგზავრს, უკან-უკან წავიდა,  
ლამპარი სტოლზედ დასდგა და კედლიდან თოფი ჩამოიღო.

შენ ის ხომ არა ხარო, რომ დაუძახა, დედაკაცი ფეხზედ  
წამოხტა, ორივ ბავშვი აიტაცა და უკან ამოეფარა თავის ქმარს.  
განცვიფრებული შესკეროდა მგზავრს, გულ ჩამოლელილი,  
ათრთოლებული და ჩუმად იძახდა: ეს მაწანწალა, ესა!

უოველივე ეს უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე აწერა შეი-  
ძლება. ცოტა ხანს უყურა სახლის პატრონმა მგზავრს, სწო-

რედ ისე, თითქო ცოფიან მხელს უყურებსო, მერმე კართან  
მივიღა და უთხრა:

— გასწი აქედან!

— ღვთის გულისათვის, — შეევედრა მგზავრი, — წყალი  
მაინც დამალევინეთ.

— ტყვიას დაგალევინებ!

კარი მოკეტა საჩქაროდ და ორჯერ გადაატრიალა გასა-  
ლები. ერთს წამს უკან ფანჯარა მოკეტა, დარაბა დაუშვა და  
რკინის ურდულის ხმა შემოესმა გარეთ მყოფს მგზავრს.

უფრო და უფრო ღამდებოდა. ალპის ცივი ქარი ჰქონდა.  
მიწურულის დღის სინათლეში ერთს ბალში რაღაც გალია დათ-  
ნახა თივით მოფენილი. გაბედვით გადაეიდა ღობეს და ბალში  
შევიდა. გალიას მიუხსლოვდა. დაბალი, ფიცრის ყუთი იყო,  
იმისთანა მცირე შესავალით, რომ ადამიანი ძლივს შეძვრებოდა.  
იფიქრა, გზის დარაჯის თავშესაფარი იქნებაო. სიცივე ცალკე  
აწუხებდა, სიმშილი ცალკე. სიმშილს კიდევ მოითმენდა, მაგრამ  
სიცივის გაძლება კი აღარ შეეძლო. იცოდა, რომ გზის დარა-  
ჯის ქოხში ღამე არავინ არის ჩვეულებრივ. პირქვე დაეცა და  
ისე შეძვრა გალიაში. იქ კი თბილოდა. ცოტა ხანს ისე ეგდო  
თივაზედ; ისე იყო დაქანცული, რომ განძრევა აღარ შეეძლო.  
მაგრამ რაკი გუდა აწუხებდა და ბალიშადაც გამოადგებოდა,  
თასმის ხსნა დაიწყო. ამ დროს საშინელი ლრენა შემოესმა.  
შეხედა. შემოსავალში ერთი უზარმაზარის ძალლის დალრენილი  
თავი მოხანდა.

ძალლის საწოლზედ თურმე მპირებდა განცხრომას.

თითონაც ღონიერი და უშიშარი იყო. ერთ ხელში ჯო-  
ხი დაიჭირა, მეორეში გუდა ფარად და როგორც იყო გამოძვრა  
უუთიდან. აქ-იქ უფრო დაეხა ჯლანები.

ბალიდანაც გამოვიდა. სულ უკან-უკან იარა, რომ ქოფაკს  
არ ეკბინა და თან საკვირველი ხელოვნებით ათამაშებდა ჯოხს  
გამგელებული ძალლის თვალწინ.

დიდი გაჭირებით, როგორც იყო, გადმოვიდა ღობეს. ისევ  
ჭურაში იყო, უბინაო, უიმედო, უმწეო, ძალლისაგანაც კი

გამოდევნილი. ქანცმოცვეტილი დაეშვა ქვაზედ და მწარეთ წამოიძახა:

— ძალის კი არა ვარ, მე უბედური!

ცოტა ხანს უკან წამოდგა და კვალად გზას გაუდგა. ქალაქს გარეთ გავიდა: მინდორში ხეს შევეფარები რასმე, ან ქვასაო.

კარგა ხანს იარა. როდესაც იგრძნო, რომ უკვე შორს იყო ადამიანთვან, თავი მაღლა აიღო და ძებნა დაიწყო. დაცემულ, ოდნავ დაღმართიან მინდორზედ იყო, ტიტველ მინდორზედ; ყანა მოეჭრათ და როგორც ხელის ვულზედ, ისე იქ ალარა მოიპოვებოდა რა.

ცას შავი ღრუბელი ედებოდა და ძირსძირს მოიწევდა; ბორცვს დაბჯენოდა და ისე ეფინებოდა იქაურობას, თითქმ ქვეყანას წარლვნას უქადისო. გეორე მხრე ამომავალი მთვარის შუქი ეფინებოდა იქაურობას, ისე, რომ მიწა განათებული იყო და ცა კი ნელნელ შავით იმოსებოდა. უცნაურს სანახაეს წარმოადგენდა ეს პატარა ნისლით მოცული პორცველი და ეს მოტიტვლებული მწირი მინდარი. გარეშემო არა-რა მოჩანდა, ერთი უხეირო დაკლაკნილი ხის გარდა, რომელიც იქვე მგზავრის გვერდით იდგა.

ამ კაცს, ცხადი იყო, არ უნდა ჰქონოდა განათლებულის, გონება გახსნილის ჩვეულებანი, რომელიც ზიზღა ჰგვრიან ადამიანს ამგვარ დამალონებელ სურათის ნახვაზედ. მაგრამ იმისთანა დაღვრემილი იყო ეს ცა, იმისთანა უდაბნო და უბედური იყო ეს მინდორი და ეს ხე, რომ იმანაც კი ველარ შესძლო და ერთის წამის ფიქრის შემდეგ უცბად უკანვე გამობრუნდა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბუნებაც კი მტრად ეჩვენება ადამიანს.

უკანვე დაბრუნდა. ქალაქის კარი დაკვეტილი იყო. დინს სარწმუნოებრივი ომების დროს რამდენჯერმე მოუხდა ბრძოლა და 1815 წ. ჯერ ისევ კარგი ქვითკირის კედელი ერტყა ციხეებით და კოშკებით გამაგრებული, აწი უკვე დანგრეული ერთ ალაგას გახსნილი ნახა კედელი და ისევ ქალაქში შევიდა.

რვა საათი იქნებოდა ლამისა. რადგან გზები არ იცოდა, ხეტიალი დაიწყო ქუჩებში.

სამამასახლისოს კარებზედ გაიარა, მერმე სემინარიისთან. საეპისკოპოსო მოედანზედ ტაძარი რომ დაინახა, მუშტი მოულდერა.

მოედანზედ ერთ კუთხეში სტამბა იყო. პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა პროკლამაციები იმპერატორისა და საეროვნო რაზმისა ჯარებისაღმი; ამ პროკლამაციებს თვით ნაპოლეონი უკარნახებდა მწერალთ. ქანც მოწყვეტილი და იშედ მიხდილი მიერდა და სტამბის კართან ქვის სკამზედ დაწეა.

ამ დროს ერთი მოხუცებული ქალი გამოვიდა ეკლესიიდან. სკამზედ გაშელართული კაცი რომ დაინახა, მივიდა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, შე კაი-კაცო?

მგზავრმა გაბრაზებით უპასუხა, უკმეხად:

— ვერა ხედავ, შე კაი-ადამიანო, ძილს ვაპირებ.

კაი-ადამიანი—მართლა რომ ლირსი ამ სახელისა—მარკიზ რ.—ის მეულლე იყო.

— ამ სკამზედ?

— ცხრამეტი წელიწადია, ცარიელ ფიცარზედ ვგდივარ,—უპასუხა მგზავრმა,—და ერთ ლამეს ქვაზედ ვერ დავიძინებ?

— ჯარის-კაცი ხართ?

— დიალ, ჯარის-კაცი ვარ.

— რატომ დუქანში არ მიხვალთ?

— იმიტომ, რომ ფული არა მაქვს.

— ვაიმე, ვაიმე! — შესწუხდა მარკიზის მეულლე,—რავენა რომ შავი ფულის მეტი არა მაქვს რა!

— დე, შეეი ფული იყოს.

ფული ჯიბეში ჩაიდო მგზავრმა. მოხუცებულმა განაგრძო:

— ემაგ ფულით ვერას გახდებით დუქანში. მაგრამ სკადეთ კი? აქ როგორ უნდა გაატაროთ მთელი ლამე? შეგცივათ და გეშიებათ კიდეც. სამაღლოდ მაინც დაგაძინებენ.

— მე ყველა კარი დავარაკუნე.

— მერმე?

— პანლურის ცემით გამომისტუმრეს.

შკრი-აღამიანმა: მხარზედ ხელი დაადო და მოედნის მეორე მხარეს საეპისკოპოსო სასახლის გვერდით ერთი პატარა, დაბალი სახლი დაანახვა.

— მაშ ყველა კარი დაარაკუნეთ?

— დიალ.

— აგრე, ის კარი?

— ის არა.

— მაშ ის დაარაკუნეთ.

## II

### სიბრძნეს გაფრთხილებას უჩემენ.

იმ სალამის მისი ყოვლად უსამღვდელოებისა ქალაქში სეირნობის შემდეგ კარგა ხანი უჯდა თავის ხელნაწერს „მოვა-ლეობათა“ შესახებ, რომელიც, საუბედუროდ, დაუმთავრებელი დარჩა. გულმოდგინეთ აკვირდებოდა სულ ყველის, რაც კი დაწერილია წმინდა მამათაგან და ლვითის-მეტყველების ღოქტორ-თაგან ამ საგანზედ. ობზულება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველში საზოგადო მოვალეობას სინჯავდა, მეორე-ში—მოვალეობას კერძო კაცისას მის წოდებისამებრ. დიდი მოვალეობა საზოგადო მოვალეობა. წმ. მათე თოხს საზოგადო მოვალეობას ასახელებს: მოვალეობას ლვითისაღმი (მათე, VI), მოვალეობას თავის თავისაღმი (მათე V. 29,30), მოვალეობას მოყვასისაღმი (მათე VII, 12), მოვალეობას არსთაღმი (მათე VI. 20. 25). რაც შეეხება კერძო მოვალეობათ, ეპისკოპო-მა სხვაგან მოძებნა იგინი: ხელმიწიფეთა და ქვეშევრდო-მთა მოვალეობანი—ეპისტოლეში რომაელთაღმი; მოხელეთა, ცოლთა, დედათა და ყმაწვილ კაცთა მოვალეობანი — წმ. პეტრეს ნაწერში; ქმართა, მამათა, შვილთა და მსახურთა მოვა-ლეობანი—ეპისტოლეში უფესელთაღმი; მართლმორწმუნეთა

მოვალეობანი — ეპისტოლეში ებრაელთადმი; ქალწულთა მოვალეობანი — ეპისტოლეში კორინთელდადმი. გულმოღვინეთ ჰკრებდა წმ. მამათა ნათქვამს და უნდოდა ერთი ჰარმონიული თხზულება შეეღვინა სულთათვის.

რვა საათზედ ჯერ ისევ მუშაობდა. მუხლებზედ დიდი წიგნი ედო გაშლილი და ჰატრაპატარა ოთხუთხს ქაღალდებზედ სწერდა. ამ ღროს მაგლუარი შემოვიდა და განჯინიდან ვერცხლის კოვზები გამოილო. ცოტა ხანს უკან, რა ნახა, რომ სუფრა გაშლილი იყო და ბაპტისტინე-ქალი ელოდებოდა, ეპისკოპოსი წამოდგი, წიგნი შეკეცა და სასადილო ოთახში გავიდა.

სასადილო გძელი ოთახი იყო, პუხრით და, როგორც უკვე ვთქვით, ქუჩაში გამავალი კარით. ერთი ფანჯარა ბაღში გადიოდა.

მაგლუარს უკვე გაშლილი ჰქონდა სუფრა.

მაგლუარი თან სუფრას დასტრიიალებდა, თან ბაპტისტინე ქალს ებაასებოდა.

სტოლს ლამპარი ანათებდა. სტოლი ბუხართან იდგა. ბუხარში (კეცხლი) ენთო.

ძალიან ადვილია ამ მოხუცებულ ქალთა წარმოღვენა; სამოც წელიწადს გადასულნი იყვნენ ერთიც და მეორეც. მაგლუარი ჰატრაპა ადამიანი იყო, ჩასუქებული, თუმცა ცქრიალს არ იშლიდა. ბაპტისტინე ქალი — წვრილი, ტკბილი, სუსტი, ძმაზედ ცოტა უფრო მაღალი, აბრეშუმის თალხი კაბით მოსილი; ეს კაბა ჰარიზში ეყიდნა და ჯერაც ეცვა. მდაბიური სიტყვით რომ ვთქვათ — და მდაბიური იმით არის კარგი, რომ ერთი სიტყვით ახასიათებს საგანს, რომელის აწერას ერთი ფურცელიც არ ეყოფოდა — მაგლუარი გლეხის დედაგაც იყო და ბაპტისტინე — ქალი კი ქადაგონი. მაგლურს თეთრი თავსახვევი ეკრა, ყელზედ ოქროს ჯვარი ეკიდა — მთელს სახლში ერთად-ერთი სამკული ქალისა; თეთრი ხალათი ეცვა და შავი, მოკლე და განიერი სახელოიანი კაბა; მწვანე ადგილიანი წინსაფარი ჰქონდა მწვანე ქამარზედ შემოკრული, ყვითელი წინდები, როგორც მარსელში იციან და ტლანქი ფეხსაცმელი.

ბაპტისტინეს კაბა 1806 წლის მოდაზედ იყო გამოქრილი: მოკლე ტანიანი, ვიწრო ქვედატანიანი და განიერ, მრავალ დუგ-მიანი სახელმით. ჭალარა ომაზედ დახუჭუჭებული პარიკი ჰქონდა, მაგლუარს ჰკვიანი სახე ჰქონდა, ცოცხალი და კეთილი. ზედა ტუჩი უფრო სქელი ჰქონდა, ვიღრე ქვედა, პირის ერთი მხარე ოდნავ აწეული და ერთი შეხედვით თავის ნათქვამი და აბეზარი გეგონებოდათ. როდესაც მის ყოველად უსამღვდელოესობა გაჩუმებული ბრძანდებოდა, მაგლუარი გაბედვით ელაპარაკებოდა, პატივისცემით, მაგრამ თავისუფლად. მავრამ ბრძანებდა რასმე ეპისკოპოსი, და მაგლუარიც, როგორც უკვე ვნახეთ, ხმის ამოუღებლივ ასრულებდა ყოველს მის ბრძანებას. ბაპტისტინე-ქალი არც კი ლაპარაკობდა; სულ იმის ცდაში იყო, ძმის სურვილი ვაეგო და ყოველივე ისე მოეგვარებინა, რომ მირიელს თქმაც არ დასკირებოდა. ბაპტისტინე სიყმაწვილეშიც არ იყო ლამაზი; დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, გრძელი, კოროშიანი ცხვირი; მაგრამ იმისთვის სიკეთე ეტყობოდა მთელს მის არსებას, რომ ულამაზობა აღარცყი ემჩნევოდა. განხორციელებული სიმშეიდე იყო, მაგრამ რწმენას, ქველმოქმედებას და იმედს, სამს სათნოებას, რომელნიც სულს აცხოველებენ, წმინდათა მსგავსად გარდაექმნათ იგი. ბუნებას ბაპტისტინე-ქალი კრაეალ გაეჩინა, და სარწმუნოებას ანგელოზად შეექმნა. საბრალო წმინდა ქალი!

ბაპტისტინე-ქალს იმდენჯერ უამბნია საეპისკოპოსო სახლში იმ ღამეს მომხსარი ამბავი, რომ დღესაც ბევრია ცოცხალი, რომელთაც მშვენივრად ახსოვთ ყოველივე დაწერილებით.

ეპისკოპოსი რომ შებრძანდა, მაგლუარი გაცხარებული ლაპარაკობდა: ბაპტისტინე-ქალს უმტკიცებდა, შემოსაეალ კარს დასაკეტა უნდა გავუკეთოთო. მაგლუარი ხშირად ასტებდა ხოლმე კარის დაკეტაზე ბაასს და ეპისკოპოსიც უკვე შეჩერებული იყო ამ საგანს.

ამ საღამოს, საეკროდ რომ ყოფილიყო ბაზარში, მაგლუარს რაღაც ხმებისთვის მოეკრა ყური. ვიღაც მაწანწალაზედ თურმე

ლაპარაკობდნენ, ვიღაც საეჭვო შეხედულობის კაცზე. ქალა-  
ქში შემოსულა და ვაი იმისი ბრალი, ვინც დაიგეიანებს და  
ლაშე გარედ დარჩება: შეიძლება შეხვდეს და ვინ იცის, რა  
მოხდესო. პოლიცია ხომ სრულებითაც არ ასრულებს თავის  
მოვალეობას, რადგან მამასახლისი და თემის თავი გადაკიდე-  
ბულნი არიან ერთმანერთზე და მოქალაქეთა სიკეთეს კი არა,  
მარტო ერთმანერთის ქიშპობას უნდებიანო. ისე რომ, ვისაც  
ხიფათის ეშინიან, თავის თავს თითონ უნდა უპატრონოს,  
ლობები და ფანჯრეები გაამაგროს და კარები დაკეტოსო.

უკანასკნელი სიტყვები მაგლუარმა მრავალ მნიშვნელო-  
ვანი კილოთი სთვა. მაგრამ ეპისკოპოსს თავის ოთახში შეს-  
ცივნდა და, გამოვიდა თუ არა, მაშინვე პუხარს მიუჯდა,  
თავის ფიქრებში გაერთო, და საკუთრივ მისთვის ნათვამ  
სიტყვას ყურიც ვერ მოჰკრა. მიგლუარმა თავისუ არ დაიშალა  
და გაიმეორა. მაშინ ბაპტისტინე-ქალი ჩაერია ლაპარაკში;  
უნდოდა ისე მოეხერხებინა, რომ არც მაგლუარს სწყენოდა  
ეპისკოპოსის უყურადღებობა და არც მირიელის საწყენი  
თქმულიყო რამე. თავის ძმას მიუბრუნდა და მრკრძალებით  
შებედა:

— გესმით, ჩემთ ძმაო, რას მოგახსენებთ მაგლუარ-ქა-  
ლი?

— დიალ, რაღასაც ამბობდნენ ქალაქში.

მერმე ნახევრად სკამი მოიბრუნა, ორივე ხელი მუხლებზე  
დაიწყო, მხიარული, სიყვარულით სავსე თვალი დააშტერა მა-  
გლუარს და ალერსიანი ხუმრობით შესძახა:

— რა ვქნა, რა მოხდა? რა ამბავია? იქნება მართლა გან-  
საცდელში ერთ?

მაგლუარი თავიდან მოჰყვა ისტორიას და თავისდა უნე-  
ბურად ცოტა არ იყოს გააზიადა გაგონილი. ქალაქში ვიღაც  
ბოშა დაეთრევა, ვიღაც მაწანწალა, საშინელი შეხედულობის  
კაცი, გლახა, ავაზაკი, კაცის-მკვლელი. უკენ ლაბართან მისულ  
იყო დასაძინებლად; მაგრამ ლაბარს არ მიეღო; გასსანდის ბულ-  
ვარზედ გამოევლო და ბინდისას ქუჩებში დაწანწალებდა. იმისკ

თანა შესაზარი სანახავია თურმე, რომ ადამიანი იმის მსგავსს ვერას ნახავსო.

— ნუ თუ მართლა? — შეეკითხა ეპისკოპოსი.

ამ კითხვამ, ეპისკოპოსის ყურადღებამ, ფრთხები შეისხა მაგლუარს: ახლა კი მომხედა ღმერთმა და ეპისკოპოსიც შეშინდა.

— დიალ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, — განაგრძო გახარებულმა მაგლუარმა. — ქვეყანა მოგახსენებთ, ამაღამ ქალაქში უბედურება რამ დატრიალდებათ. პოლიციის იმედი ნურავის გექნებათო! გამიგონია, გენაცფალეთ! მთელს ქალაქში ერთი ლამპარი არსად ანთია ქუჩებში, რომ ქრისტიან ადამიანს კარში გაესვლებოდეს ლამე! მერმე ამისთანა მთიან ქვეყანაში! ჰო-და იმას მოგახსენებდით, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, და აი ქალბატონიც იმასა გთხოვთ, რომ...

— მე არაფერს მოგახსენებთ, მაგლუარ ქალო, — შეაწყვეტინა სიტყვა ქალბატონმა. — მე ის ზინდა, რასაც ჩემი ძმა ინებებს.

მაგლუარმა ისე განაგრძო სიტყვა, თითქო ბაპტისტინე-ქალი მართლა დამოწმებოდეს:

— იმის მოგახსენებთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ფარლალალა გახლავთ ეს სახლი და, თუ ნების მიბოძებთ, პოლენ მიუზღუასთან გიახლებით და ვეტყვი, კარებს ძველი ურდულები გაუკეთოს. შენახული მაქვს და ერთი წუთის საქმე გახლავთ. ამაღამისთვის მაინც, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რადგან, ვინ იცის, რა მოხდეს? ერთიც ვნახოთ მოვიდეს და... თქვენ ხომ მაშინვე „მობრძანდითო“ დაუძახებთ. მაგრამ ლამე კარის რაკუნს კი არ დაგვიწყებს: მოაწვება და შემოვა.

ამ დროს ვიღამაც მაგრად დაარაკუნა კარი.

— მობრძანდით, — დაუძახა ეპისკოპოსმა.

## III

გმირდა და უსამძღვრო მორჩილება.

კარი გაიღო.

ვიღამაც უცბად შეაღო კარი, გაბედეით, ძალით, თითქო გაჯავრებულიაო.

ვიღაც კაცი შევიდა სახლში.

ჩენ უკვე ვიცნობთ ამ კაცს. ის მგზავრი იყო, რომელიც მთელს საღამოს დადიოდა და ბინას ეძებდა.

შევიდა, ერთი ნაბიჯი წასდგა და გაჩერდა. კარი ღია დასტოვა. გუდა ზურგზედ ეკიდა, ხელში ჯოხი ეჭირა; მკაცრი, გაბედულებით სავსე, დალლილი, თუმცა მხეცური გამოშეტყველება ჰქონდა. სინათლე პირდაპირ სცემზა სახეში. საზარელი იყო. უბედურების მომასწავებელი იყო ეს სტუმარი.

მაგლუარს ენა ჩაუვარდა პირში, თრთოდა და პირლიც შესცეროდა ამ მოჩვენებას.

ბაპტისტინე-ქალი მობრუნდა, დაინახა შემავალი კაცი და შემკრთალი ზეზედ წამოხტა; მერმე, როგორც იყო, ბუხრისკენ გადაიხდა და თავის ძმას დაუწყო ყურება. უყურებდა ეპისკოპოსს და თან და თან უმშვიდდებოდა სახე.

ეპისკოპოსი დამშეიდებული თვალით უყურებდა მგზავრს.

ის იყო უნდა ეკითხა ამ კაცისთვის, რა უნდოდა, რის-თეის მოსულიყო? რომ მგზავრი ორივე ხელებით თავის ჯოხს დაებჯინა, რიგრიგით დაათვალიერა ეპისკოპოსი და ორივე ქალი და მაღალი ხმით სთქვა:

— მოგახსენოთ! მე უან ვალაუანს მეძახიან. კატორგელი გახლავართ. ცხრამეტი წელიწადი გავატარე კატორგაში. ოთხი დღეა, რაც გამათავისუფლეს და ახლა პონტარლიეში გიახლებით. ოთხი დღეა, რაც ტულონიდან მოვდიეარ. სულ უეხით ეიარე. ამ საღამოს ქალაქში რომ შემოვედი, დუქანში მივედი, მაგრამ გამომავდეს, ჩემის ყეითელი პასპორტის გამო, რასა-

კვირველია, რომელიც სამამასახლისოში წარვადგინე. უამისობა არ შეიძლებოდა. ერთ დუქანში შევედი, გამომაგდეს,—გასწი, გაეთრიეთ! მეორეში შევედი, გამომაგდეს. არავინ მინდობა, ბინა არავინ მომცა. საპატიმროში მივედი, არც იქ შემიშვეს. ძალლის საწოლზედ წავეგდე; ძალლმა დამგლიჯა და გამომაგდო, თითქო ისიც ადამიანი ყოფილიყოს. იქნება იმ ძალლმაც იცოდა ჩემი ვინაობა? მინდორში გავედი, იქ დავიძინებ მეთქი ცის ქვეშ. ცა მოიღრუბლა; ვიფიქრე, გაავდარდება, სად არის ღმერთი, რომ იმან შაინც შემიბრალოს მეთქი, და დავბრუნდი; მინდოდა კარებთან მივგდებულიყავ საღმე. აქ მოედანზედ წავ-წექ ქვაზედ. ერთმა კეთილმა დედაკაცმა დამანახვა თქვენი კარი და მითხრა, ის დაარაკუნეო. მეც დავარაკუნე. რა არის ეს სახლი? დუქანია? თუ დუქანია, მე ფული მაქვს. ოთხი თუმანი და შვიდი შაური მაქვს ჯიბეში. ცხრამეტი წელიწადი ვიმუშავე კატორგაში და ოთხი თუმანი და შვიდი შაური ვიშოვნე. ფულს მოგართმევთ. რა მიშავს, რა? ფული მაქვს. საშინელი დალალული ვარ, დღეს მთელი დღე მუხლი არ მომიკეცნია და ძალიანაც მშიან. შეიძლება დავჩჩე?

— ერთი კერძი კიდევ, მაგლუარ ქალო. უბრძანა ეპისკოპოსმა.

მგზავრი წინ წამოდგა და ლამპარს მიუახლოვდა. გაკვირვება დაეტყო. ეტყობოდა ვერა გაეგო-რა.

— მოგახსენოთ, დაიწყო ხელმეორედ სტუმარმა. აგრე არ გახლავთ საქმე. კარგად კი გაიგეთ ჩემი ნათქვაში? კატორგელი ვარ მეთქი, კატორგელი. კატორგიდან მოვდივარ.

ჯიბიდან ქალალდი ამოილო, ყვითელი ქალალდი, და გაშალა.

— აი ჩემი პასპორტი. ხომ ხედავთ, ყვითელი გახლავთ ეს იმიტომ მაქვს, რომ საცა მივალ, პანლურის ცემით გამხეთქონ და ისე გამისტუმრონ. გნებავთ, წაიკითხეთ. წიგნი მეც ვიცი. კატორგაში ვისწავლე. სკოლა გახლავთ კატორგაში და, ვისაც უნდა, ასწავლიან. მოისმინეთ, აი რა ჩამიწერეს პასპორტში: „უანვალენი, გატორგიდან გათავისუფლებული, სოფელი...

თქვენთვის რა საჭიროა, სადაური ვარ... ცხრამეტი წელიწადი დაჲყო კატორგაში. ხუთი წელწადი ქურდობისთვის. თოთხმეტი წელიწადი ოთხჯერ გაპარვისთვის. ძალაან საშიშარი კაცი არის“. აი ჩემა ვინაობა. ყველგან უარი მითხრეს, სახლში არავინ შემიშვა. თქვენა? თქვენც გამაგდებთ? ღუქანა ეს სახლი? პურს ვერ მაჭიევთ? ამაღამ ვერსად დამაძინებთ? თავლა არა გაქვს?

— მაგლუარ-ქალო, ბრძანა ეპისკოპოსმა, ახალ ზეწარს გაშლით სასტუმრო ლოგინზედ.

ჩვენ უკვე ავხსენით, რა ბუნებისა იყო ამ ქალთა მორჩილება, როდესაც ეპისკოპოსი ბრძანებდა რასმე.

მაგლუარი გავიდა ბრძანების ასასრულებლად.

ეპისკოპოსი მგზავრს მიუბრუნდა.

— დაბრძანდით, ბატონო, და გათბით. ეხლავ გახშმად დავსხდებით და, ვიდრე პურს მიირთმევდეთ, ლოგინსაც გაგრძლიან.

ახლა კი გაიგო მგზავრმა. აქამდე მხეცური, გაშმაგებულის კაცის გამომეტყველება უცბად შეეცვალა და სახეზედ განცვაფრება დაეტყო, იჭვი, სიხარული. სიხარული ველარ შეიკავა და გაუივით მოჰყვა:

— მართლა? კარგით ერთი! მაშ პურს მაჭიევთ? არ გამაგდებთ? კატორგელს? ბატონოო, მითხარით, არა? თქვენობით მელაპარაკებით! გასწი, შე ძალლოო! ყველგან ასე მიძახიან და თქვენ კი.. დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენც გამაგდებლით. პოდა მეც იმიტომ მოგახსენეთ, ვინცა ვარ, შემოვედი თუ არა, მაშინათვე. ოჭ, ის კეთილი ადამიანი, თქვენი სახლი რომ მასწავლა. მაშ ვახშამსა ვჭაბ? ლოგინში დავიძინებ, ნაალზედ, ზეწარზედ? ცხრამეტი წელწადია, რაც ლოგინში არა ვწოლილვარ! მაშ დავრჩე, დავრჩე, ნულარ წავალ? ლირსეული კაცი ყოფილხართ! მაგრამ ფული მაქვს და გადაგიხდით. კარგად გადაგიხდით. უკაცრავად, ბატონო მედუქნე, თქვენი სახელი? რასაცა მთხოვთ, იმას მოგარდომევთ. ძაან-ძაან კაცი ყოფილხართ. მედუქნე თქვენა ხართ, არა?

— მე მღვდელი ვარ და ამ სახლში ვდგევარ, მიუგო ეპი სკოპოსმა.

— მღვდელი? ოჲ, რა მადლიანი ყოფილხართ! მაშ ფულს არა მთხოვთ? ამ საყდრის მღვდელი იქნებით! ბიჭი! მართლა, ეი! რა სულელი ვარ! ე ანაფორა როგორ ვერ დავინახე?

ამ ლაპარაკში გუდა მოიხსნა და ჯოხთან ერთად კუნ-ჭულში მისდო, პასპორტი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მერმე მივიღდა და დაჯდა. ბაპტისტინე-ქალი სიბრალულით უყურებდა.

მგზავრმა განაგრძო:

— კაცომოყვარე ყოფილხართ, მამაო, სიძულვილი არა გცოდინათ. მღვდელიც მაგისთანა უნდა. მაშ ფული არ გინდათ?

— არა, თქვენთვის შეინახეთ,— მიუგო ეპისკოპოსმა. — რამდენი გაქვთ? ოთხი თუმანი სთქვით, მგონი?

— ოთხი თუმანი და შვილი შაური.

— ოთხი თუმანი და შვილი შაური. რამდენ ხანში მოაგროვეთ ეგ ფული?

— ცხრამეტ წელიწადში.

— ცხრამეტ წელიწადში!

ეპისკოპოსმა ღრმათ ამოიხსრა.

— ჯერ არა დამიხარჯავს რა, — სთქვა მგზავრმა. — ამ ოთხს დღეში სულ ექვსი შაური შევქამე და ისიც გრასში მომცეს, ბარები მაზიდვინეს. ერთი თქვენსავით მღვდელი ჩვენცა გვყავდა კატორგაში. ერთხელ კიდევ ეპისკოპოსი მობრძანდა, მღვდლების მღვდელი. უკაცრავად გახლავართ, რომ ამეებს მოგახსენებთ, მაგრამ, რავჭნა, მე მეტი არა მინახავსრა. ჰო და იმ ეპისკოპოსმა ჩვენთვისთ სწირა, კატორგელებისთვის. ოქროს რაღაც ეხურა, თავზედ. ისე ელავდა სამხრეთის მზეზედ, რომ უკეთეს ვერას ნახავს თვალი. სამმხრივ ჩვენ ვიდექით ჩამწკრივებულნი, პირდაპირ ზარბაზნები. ეწყო და ჯარის კაცებს ანთებული პატ-რუქი ეჭირათ ხელში. კარგად ვერც კი ვხედავდით ეპისკოპოსს. ქადაგებაცა ბრძანა, მაგრამ ძალიან შორს იყო და ვერა გავიგეთ რა, ან რა არის ეპისკოპოსი.

მანამ მგზავრი ამას ამობდა, ეპისკოპოსი წამოდგა და კარი მიხურა.

მაგლუარი შემოვიდა და სუფრაზედ ერთი კერძი კიდევ გამართა.

— მაგლუარ-ქალო,— უთხრა ეპისკოპოსმა, — ეგენი აქეთ დაწყეთ, ცეცხლთან.

მერმე სტუმარს მიუბრუნდა:

— ძალიან ცივი ქარი იცის ჩვენს მხარეში. შეგცივდებოდათ, ბატონო?

ტკბილი, მეგობრული კილო ეპისკოპოსისა და ეს ზრდილობიანი სიტყვა „ბატონო“ ციურ მანანასავით ედებოდა მგზავრის გულს და სახეზედ ბრწყინვალებასა ჰყენდა. ბატონო, კატორგელს რომ უთხრათ, ვითომც წყალწალებულისთვის თოკი გადაგიგდით. უშვერებას პატივისცემის წყურვილი ჰკლავს.

— ეს ლამპარი დღეს როგორლაც ვერ ანათებს, — ბრძანა ეპისკოპოსმა.

მაგლუარი მიხედა ამ სიტყვების მნიშვნელობას, გავიდა მის ყოვლად უსამღვდელოესობის საწოლ ოთახში, სანთლებს მოუკიდა და ორივე ვერცხლის შანდალი სუფრაზედ დაალაგა.

— კეშმარიტად, კეთილი კაცი ყოფილხართ, მამაო. სთქვა სტუმარმა — ზიზღით არ მიყურებთ. სახლში შემომიყვანეთ, ჩემთვის სანთლები აანთებინეთ. ხომ არ დამიმალავს თქვენთვის ვინა ვარ და საიდან მოვლივარ. ხომ მოგახსენეთ, რა უბედური ვარ.

ეპისკოპოსი გვერდთ უჯდა - ოდნავ შეეხო მგზავრის ხელს და უთხრა:

— თუნდა სულაც არა გეთქვათ რა. ეს სახლი ჩემი როდია, ეს სახლი იესო ქრისტესი არის. ეს კარი შემომავალს იმას კი არა ჰყითხავს — რა გქვიანო? არამედ — რა გაწუხებსო? გაჭირვებული ხართ; გშიანთ და გწყურიანთ; კეთილი იყოს თქვენი მოსელა! მადლობას ნუ მეტყვით; ნუ მეტყვით, რომ ჩემს სახლში მიგიღეთ. ეს სახლი იმისია, ვისაც ბინა უჭირს, და სხვა არაეისი. თქვენ მგზავრი ხართ, მაგრამ ამ სახლში თქვენ

უფრო თქვენს სახლში ხართ, ვიდრე მე. ყველა თქვენია, რაც კი აქ მოიპოვება. რად მინდა მე თქვენი სახელი? თუ არადა, თქვენ ჯერ ხმაც არ ამოგელოთ, რომ მე უკვე ვიცოდი, ვინ იყო ჩემი სტუმარი.

გაკვირვებულმა მგზავრმა თვალები დაჭურდა.

— კარგით ერთი! იცოდით, ვინა ვარ?

— დიალ, მიუგო ეპისკოპოსმა, თქვენ ჩემი ძმა ხართ.

— იცით, მამაო, სიმშილით ვკვდებოდი, აქ რომ შემოვედი, მაგრამ თქვენ ისეთი კეთილი სულისა ბრძანდებით, რომ არ ვიცი, რა მომივიდა, სიმშილი გადამავიწყდა.

ეპისკოპოსი დაცემრდა და ჰეითხა:

— დიდ წვალებას გამოივლილით კატორგაში?

— ოჟ! ხელში ბორკილი, ფეხში ბორკილი, ფიცარზედ ძილი, სიცხე, სიცივე, ჯაფა, ამხანაგები, ცემა-ტყეპა! ხმა რომ ამოგველო, ჯაჭვით დაგვაბამდნენ, ბნელ ოთახში ჩაგვყრილნენ. ავადმყოფებსაც კი ჯაჭვს ათრევინებდნენ. ძალლი რა არის, ძაღლიც კი უფრო ბედნიერია! ცხრამეტი წელიწადი! ორმოცდა ექვსისა გახლავართ. ჯიბეში ყვითელი პასპარტი მიდევს. ეეჭ!

— დიალ, საშინელებას მორჩენილხართ, უთხრა ეპისკოპოსმა. მომისმინეთ. ერთად რომ წარსდგნენ ყოვლად ძლიერის წინაშე ერთი მტირალი ცოდევილი, რომელსაც უკვე შეუგნია ცოდვანი თეისნი; და ასი მართალი, ის ერთი უფრო იამება ღმერთს. ხომ გაათავეთ, თავი დაახწიეთ თქვენს სატანჯველს; თუ იქიდან ბრაზი გამოიყოლეთ და ადამიანთადმი სიძულვილი, ღირსი ხართ შებრლებისა; და თუ იქიდან დამშვიდებული გული გამოიტანეთ და ადამიანთაღმი სიყვარული, თქვენ ვერ-ავინ შეგედრებათ ჩვენში.

მაგლუარმა ხარშო შემოიტანა, ცოტა ლორი, ერთი ნაჭერი ცხვრის ხორცი, ყველი და ლელვი და რაღან, ჩვეულებრისამებრ, როდესაც სტუმარი ჰყავდათ ლვინოსაც მიართმევდა ხოლმე, ერთი ბოთლი ლვინო დასდგა სტოლზედ.

ეპისკოპოსს ის ნეტარი მხიარულება დაეტყო, რომელიც მარტო სტუმართმოუკარეთ იციან.

— აბა, დაბრძანდით! წამოიძახა მის ყოვლად უსამღვდელოესობამ.

ყოველთვის ისე იცოდა და იმ ღამესაც მარჯვნივ სტუმარი მოისვა. ბაპტისტინე-ქალი, სრულიად დამშვიდებული, მარცხნივ მოექცა.

სუფრა აკურთხა ეპისკოპოსმა, მერმე თითონვე დაასხა ხარშო. ესეც ჩვეულებად ჰქონდა. მგზავრი ხარბად სჭამდა.

უცბად, თითქო რაღაც მოაგონდაო, ეპისკოპოსმა ბრძანა:

— ღმერთმან იცის, რაღაც აკლია ამ სუფრას.

მართლაცა და მაგლუარს სამის კაცისთვის გაეშალა სუფრა და მხოლოდ ის დაელაგებინა, რაც სამისთვის იყო საჭირო. ეპისკოპოსმა კი იცოდა, როდესაც ჰყავდა ვინმე, თავის ვერცხლეულს მთლად სუფრაზედ დაალაგებინებდა. სისუსტე მის ყოვლად უსამღვდელოესობისა, მაგრამ მცირე და უმნიშვნელო სისუსტე ამ სასტიკ და ტკბილ სახლში, რომელშიც სილარიბე სათნოებად გამხდარიყო.

მაგლუარი მიხვდა შენიშვნას; ხმის ამოულებლივ გავიდა და ერთს წამს უკან სუფრაზედ დაალაგა ეპისკოპოსის სუფრის დამამშვენებელი კოვზები ,თითო-თითო ყველა კერძის წინ.

#### IV

### როგორ ხევთებენ პონტიარები უგეღს.

ბაპტისტინე-ქალს ისე მშვენიერად აეწერა ბუაშვერონის მეულეოსთან მიწერილ წიგნში ყოველივე, რაც ვახშამზედ მოხდა ან ითქვა, ისე მარცვალ-მარცვალ აკარიბა ყოველი სიტყვა ეპისკოპოსის და იმის სტუმრისა, რომ ეს წერილი მოვიყვანოთ, მგონი სრულიად საკმარისი იყოს ჩვენი მოთხრობის-თვის.

„ეს კაცი ყურადღებას არავის აქცევდა და დამშეულის სიხარბით ილუკმებოდა. მაგრამ ბურის ჭამა რომ გაათავა, სთქვა:

— უნდა მოგახსენოთ, მამაო, ეს ყველა ძალიან კარგი იყო ჩემთვის, მაგრამ, მე რომ გამომაგდეს დუქნიდან, იქ გაცილებით უკეთესი საჭმელი მზადებოდა მგზავრებისთვის.

ჩენწმი დარჩეს: ცოტა არ იყოს მეწყინა ეს შენიშვნა. ჩემმა ძმამ უპასუხა:

— იმიტომ, რომ ის მგზავრები გაცილებით მეტს მუშაობენ და იღლებიან, ვიდრე მე.

— არა, მამაო, იმიტომ, რომ იმათ უფრო მეტი ფული აქვთ. იქნება თქვენ მღვდელიც არ იყოთ, ჰა? არა, ღმერთმანი, მღვდელი კი ხართ მართლა? ეჭ, ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, თქვენც ნამდვილად მღვდელი იქნებოდით.

— ღმერთს სამართალზედ მეტი აქვს,—მიუგო ჩემმა ძმამ.

ცოტა ხანს უკან ჰყითხა:

— ბატონო უან ვალუან, თქვენ პონტარლიეში მიბრძანდებით?

— დიალ; წინადვე მიბრძანეს: ამა და ამ გზაზედ წახვალო. ხვალ გათენებისას უნდა გავიდე. დიდი გზა მაქვს გასაელელი. დამე სიცივე შემაწუხებს და დღე—სიცხე.

— ძალიან მღიდარ ქვეყანაში მიხვალთ,—უთხრა ეპისკოპოსმა.—რევოლუცია რომ ატყდა, სულ დავკარგე რაც რამ მებადა; ფრანშ-კონტეს შევეხიზნე და კარგა ხანი ვცხოვრობდი ჩემის ხელის მონაგებით. სურვილი მქონდა შრომისა და ძალაც მომდევდა. საქმეს ყველგან იშოვის იქ კაცი, რამდენ-საც უნდა. ქალალიდის ქარხნებია, ტყავისა, არყისა, ზეთისა, საათისა, რა ვიცი! საუკეთესო ფოლადი იქიდან გამოდის. ოც-ზედ მეტგან აღნობენ რკინას, ლოდში, შატილიონში, ოდინკურში.

მგონი არა ვცდები და ეს სახელები ბრძანა ეპისკოპოსმა; მერმე მე მომიბრუნდა და შეითხა:

— ჩვენ იქ ნათესავები უნდა გვყავდეს, ჩემო საყვარელო დაო?

— როგორ არა, გყვავდა. სხვათა შორის ბატონი ლიუსნე, კაპიტანი ქველის ჯარისა.

— დიილ. სთქვა ჩემმა ძმამ, ნათესავები გვყავდა, მაგრავ 93-ს ნათესავობა აღარავისა სწამდა და ყველა თავის მარჯვენითა ცხოვრობდა. მეც ჩემმა მარჯვენამ მაცხოვრა. პონტარლიეში, ბატონი, ერთი მშვენიერი ძველებური ხელოვნება იციან... ყველის გაკეთებას მოგახსენებთ, ჩემო დაო.

საჭმელს სთავაზობდა სტუმარს და ოან ყველის გაკეთებას უხსნიდა, როგორც პონტარლიეში იციან:

— რომ იტყვიან, „დიდი ძროხაო“ ევ ის არას, რომ მდიდარ კაცზედ ლაპარაკობდენ, რომელსაც ორმოცი, ორმოცდათი სული ეწველება და ერთ ზაფხულში შვიდს, რვა ათა სს კვერეულს გაკეთებს; „საამხანაგო ძროხაო“ რომ იტყვიან, ლარიბებზედ ლაპარაკობდენ, იცოდეთ; საწყალ გლეხ-კაცებზედ, რომელთაც ერთად დაუდით ძროხა და შემდეგში გაიყოვენ, რასაც ლმეთი მისცემთ. ყველის გაკეთებას ერთს ამხანაგთაგანს მიანდობდენ, ან სხვას დაიჭირენ ვისმე, მოჯამაგირეს; რძეს დღეში სამჯერ უგზავნიან ამხანაგები; აპრილის დამლევს იწყობენ ყველის გაკეთებას და თიბათვის შუა რიცხვებში ძროხას მთაშე მიერკეციან.

სტუმარი ყურს უგდებდა და მადიანად სჭამდა. ელაპარაკებოდა ჩემი ძმა და ოან ლვინოს სთავაზობდა, თუმცა თითონ კი არა სვამს: ძალიან ძვირიაო, მოგახსენებთ. მხიარულად, ალერსიანად უამბობდა ყველის გაკეთებას, დაწვრილებით უხსნიდა ყველაფერს, თითქო ცდილობს შეაგნებინოს ამ კაცს, თითქო ცდილობს ურჩიოს, რომ ამ ხელობაში ადვილად იშოვნის ლუკმა პურს და ბინასაო. ერთმა გარემოებამ გამაკვირვა. ხომ მოგახსენეთ, ენ იყო და რა იყო ეს კაცი. ჩემმა ძმამ მთელი საღამო ისე გაატარებინა, რომ ერთი სიტყვითაც არ უგრძნობინებია ან იმისი და ან თავისი ვინაობა. ერთი კი უთხრა, ეს სახლი ჩემი არ არის, არამედ იესო ქრისტესიაო, და მას შემდეგ ამ საგანს აღარ შეჰებია და რა კარგი შემთხვევა ჰქონდა — ეპისკოპოსი ვარო-ეთქვა და მით უფრო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა იმ უბედურის სულზედ. იქნება სხვა რომ ყოფილიყო, ესარგებლა ამ შემთხვევით, მოჰკო-

ლოდა და დარიგება დაეშეს, ცოდვათა მონანიება ერჩია; სულის მოპოვება და ზნეობრივი ცხოვრების შეთვისება. ეპისკოპოსმა არ დაარიგა; არც კი ჰყითხა, საღაური იყო ამ როგორ ჩაგარდა იმ უბედურ ყოფაში; არ ჰყითხა, რაღან ხედავდა, რომ უბედური იყო ეს კაცი და სევდას სევდაზედ დაურთავდა უბედურების მოგონება. ისეთი მორიდებით და სიფონილით ებასებოდა იმ კაცს, რომ ერთს წამს შესდგა და შემქრთალმა გადახედა, ხომ არ ვაწყენინეო? პონტრარლიელ მთიულებზედ ელაპარაკებოდა და სწორედ ბედნიერები არიან თავიანთ მთაში, ღმერთთან დახხლოებულნი, რადგან უმანკონი არიან. სთქვა და შესდგა შემქრთალი. დიდი ფიქრის შემდეგ, მე მგონი, მივხვდი ჩემი ძმის გულის ფიქრს: დარწმუნებული ვარ, ეპისკოპოსი იმას ცდილობდა, რომ ამ კაცს, ამ ეან ვალეანს, რომელსაც საშინელი ტვირთი ედვა ტანჯვის და ვაებისა, ერთს წამს მაინც დავიწყებოდა თავისი უკეთურობა, ერთს წამს მაინც ლირსებოდა დავიწყება, გართობა და იდამიანად გახდომა. დიალ, ისე ექცეოდა მთელს საღამოს ეპისკოპოსი, თითქო უნდა ჩაგონოს, რომ შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც ყველა სხვაო. მე მგონი, რომ სწორედ ასე უნდა გამოიხატებოდეს კეშმარიტი სიბრალული. სიყვარული მოყვასისადმი, ის შეწყალება ბედისაგან ღაჩაგრულისა, რომელიც ქრისტემ გვამცნო, დარიგებით და ქადაგებით არ უნდა შეეხებოდეს უბედურის წყლულს. დიალ, მგონი ეს უნდა ყოფილიყო ჩემი ძმის ფიქრი, თუმცა მთელი საღამო ისე გაატარა, რომ არაფრით შეუმჩნევინებია ამგვარი თავისი წადილი: თავით ბოლომდე იგივე იყო ეპისკოპოსი, როგორც ყოველთვის არის და ამ ეან ვალეანთან ისე შეექცა ვახშამს, თითქვა გულითადი თავისი მეგობარი ჰყავს ვინმე სტუმრად, ან ჩვენის ტაძრის მოძღვარიო.

ბოლოს, ხილს რომ გიახლებოდით, კარი დაარაკუნა ვიღამიაც. უერბოს ქვრივი იყო თავის პატარა ბავშვით. პატარას შუბლზედ აკოცა ეპისკოპოსმა და სამი შაური გამომართვა უერბოს ქვრივისთვის. ჩვენი სტუმრად ამ დროს ყურადღებას არა-

ფერს აქცევდა, არ ლაპარაკობდა და ძალიან დაღლილსა ჰგავდა. საბრალო ქვრივი რომ წავიდა, ეპისკოპოსმა ჩამოილოცა, მერმე მგზავრს მიუბრუნდა და უთხრა: დაღალული ხართ და მოსვენება გინდათ. მაგლუარმა საჩქაროდ აალაგა სუფრა. მე და მაგლუარი ჩვენს ოთახებში ავედით: ეტყობოდა, ძალიან ეძინებოდა ჩვენს სტუმარს. არ შესცივდეს მეთქი, მშველის ტყავი მაქვს ჩემს ოთახში, ის ჩავუგზავნე მაგლუარის ხელით. საშინელი სიცივე იცის ლამე და ეს ტყავი ცოტათი მაინც და-ათბობდა. დაძველდა, აღარ ვარგა. ჩემი ძხა რომ გერმანეთში იყო, იქ ეყიდნა ეს ტყავი, ცოტლინგენში, დუნაის სათავეში.

მაგლუარი თისაქმის მაშინვე ამოეიდა. ერთად ვილოცეთ ორივემ ჩვენს დიდ დარბაზში, სადაც სირეცხს ვაშრობთ ხოლმე, და მერმე ხმის ამოულებლივ ჩვენს ოთახებში შევედრთ.

## v

## მშეიდობა

ქალებს რომ გამოეთხოვა, ეპისკოპოსმა შანდალი აიღო, მეორე მგზავრს მისცა და უთხრა:

— წამობრძანდით, ბატონო. თქვენს ოთახში მიგიყვანთ. მგზავრი გაჰყეა.

ზემოდაც გვქონდა მოხსენებული, რომ სტუმრის ლოგინი სამლოცველოში ეგო და იქ მიმავალს, ან იქიდან გამომავალს, ეპისკოპოსის საწოლ ოთახზედ უნდა გაეარა.

როდესაც ეპისკოპოსი და სტუმარი ამ ოთახში შევიდნენ, მაგლუარი განჯინაში ალაგებდა კოვზებს, ეპისკოპოსის ლოგინის თავით. ასე იცოდა, ჯერ ვერცხლეულს შეინახავდა მაგლუარი და მერმე დაწვებოდა.

ეპისკოპოსმა ტახტან მიიყვანა მგზავრი. ზედ სუფთა, ახალი ლოგინი ეგო. მგზავრმა იქვე პატარა-სტოლზედ დასდო შანდალი.

— ღამე მშვიდობისა; გამოეთხოვა ეპისკოპოსი. ხვალ, ეი-დრე თქვენს გზას გაუდებოდეთ, პატარად შენაყრდით. შინაურ რძეს მოგარომევთ, ჩვენი ძროხისას.

— გმადლობთ, მამაო.

ჯერ არც კა გაეთავებინა ეს მშვიდობით ოლსავსე სიტყვები, რომ უცბად, ყოვლად მოულოდნელად, ისე შეეცვალა სახე, რომ შიშის ზარს დასცემდა, ქალები რომ იქ ყოფილი ყვნენ. დღესაც ვერ გაგვიგია, იმ ერთს წამში რა მოუყიდა ამ კაცს? ეპისკოპოსის გაფთხილება უნდოდა, თუ მუქარა? ან იქნება თავისთვისაც შეუვნებელს, ინსტინქტიურს ბნელს ძალას ემორჩილებოდა? უცბად მობრუნდა მოხუცისკენ, გულს ხელი დაიკრიბა, მხეცური გამომეტყველებით დააშტერდა თავის მასპინძელს და რაღაც ხრინწიანი ხმით შესძახა:

— შაშ აგრე, რაღა! აქ მაწვენთ ამაღამ, თქვენს გვერდით? საშინელი სიცილი წასკდა.

— რატომ არ ფიქრობთ, რას სჩადიხართ? რა იცით, რომ კაცის მკვლელი არა ვარ?

ეპისკოპოსმა მიუგო:

— ეგ ღმერთმა იცის და მე არ შემეხება.

მერმე ჩუმად ლოცვა დაიწყო, მარჯვენა ხელი ააპყრო და პირჯვარი გადასწერა.

მგზავრმა თავი არ დახარა.

რა გადასწერა პირჯვარი, ეპისკოპოსი გაბრუნდა და ნელი ნაბიჯით თავის ოთახისკენ წავიდა.

როდესაც სამლოცველოში სტუმარი იწვა ვინმე, ფარდას გააბამდნენ მთელი ოთახის სიგანეზედ. ამ ფარდასთან რომ მივიდა, დაიჩოქა და ცოტა ხანს ილოცა.

მერმე ბალში გავიდა და მოჰყვა სიარულს. დადიოდა, ოცნებობდა, ცას უკვირდებოდა, სული და ფიქრი სავსე ჰქონდა იმ დიდი საიდუმლოებით, რომელსაც ღმერთი მთვარიან ღამეს მოუკვლენს ადამიანს.

მგზავრი კი მართლა საშინლად იყო დაღალული, იმდენად, რომ ლოგინით ვერც კი დასტურდა. კატორელების ჩვეულებისამებრ სანთელი ცხვირით გააქრო და როგორც იყო ჩატული, ისე მიეგდო ლოგინზედ და მაშინვე ღრმად ჩაიძინა.

შუალამე დაჭკრა, ეპისკოპოსი რომ შებრძანდა თავის ოთახში.

ცოტა ხანს შემდეგ ყველას ეძინა პატარა სახლში.

თბ. მაჭაგარიანი

(შემდეგი იქნება)

# პატარა ეიოლფი

პოემისა სამ მოძველებად

პერის იზსენისა

მეორე მოძველება

(ალმერსის სახლის გვერდით, ზღვის პირად, ტექშა, კიწრო ხევია. მოჩანან ბებერი ხევია, რომლებსაც მთელს მოუღნად დაფერებულს ადგილზედ გაუშლიათ თვისი ტორები. უკან ფერდობიდან ჰატარა წერალი გადმოქვებს, რომელიც ტექს პირში, ქებში სრულიად იგარება. ამ წერალის ნაშირს ბილიკა შესდეგს. მარჯვნივ გზაცალგამებული ხევში მოჩანს; იქით მოჩანს ეზოს კუთხე და ნაშირზედ გამოთრეული ნაკი, ძევლს დიდს სებს ჭიშ, მარცხნივ, მაგიდა სდგას რამდენისმე სკამათა და ერთიც გძელი სკამებია, რომელიც რევის ხის ტოტებისგან არის გაკათებული. მოღრუბლებული და წერმანი დარია; ცეზედ ღრუბლები მისცურავენ).

ალფრედ ალმერსი იმავე ტანიამოსით, როგორ შეაც 1-ლს მოშენებაში იურ, იდაუკ-დაუკდნობილი ზის მაგიდასთან, შლიაპა გვერდით უძეგს. როგორდაც არეული გაჭურებს ზღვასა და კრთს წერტილს მისჩერებია. ჰა-

\* ) იხ. „მოამბე“ № V.

- ტარა** ხანს უკან ზემოხსენებული ბილიკით ასტა ჩამოდის, რომელსაც ხელში გაშლილი ქოლგა უჭირავს.
- ასტა** (წერმად და ფრთხილად მაუახლოედება). ასეთს დარში აქ ჯდომა არ გარგებს ვგონებ, ალფრედ.
- აღმერსი** (ნელად აქნევს თავს; არაფერს არ ეუბნება).
- ასტა** (ქოლგასა ჰეტცს) შენს. ძებნაში რამდენი ვიარე.
- აღმერსი**. (უგულოთ) გმაღლობ.
- ასტა** (სკამს მიაცურებს და აღფორედის გვერდით დაჯდება). დიდი ხანია, რაც აქა ზიხარ? სულ ექა ხარ?
- აღმერსი**. (ჯერ არაფერს ეუბნება, მერე კი ლაპარაკს დაუწეუბს) არა, ურ მიეხედარვარ, ეს უბედურება შეუძლებელია!
- ასტა** (თანაგრძნებით დაადებს მხარზედ ხელს). საბრალო ალფრედ!
- აღმერსი**. მაშ, უკელაფერი ეს ნამდეილად მოხდა, ასტა? ან იქნება კეუიდან შევიშალე? იქნება სიზმარი! წარმოიდგინე, რა კარგი იქნებოდა, რომ გამომედეიძოს, ტყუილი გამოდგეს!
- ასტა**. ვინ იცის, რას არ მივცემდი, რომ ეს სიზმარი იყოს...
- აღმერსი** (წეალს გაჭუურებს). როგორ მრისხანედა და შეუბრალებლად გამოიყურება დღეს ზღვა. როგორი შემზარველია; ტყვიის ფერი დაჰკრავს; შიგ შავი ღრუბლები ისახება.
- ასტა** (ხელში კილოთ). გემუდარები, ალფრედ, ნუ გაჰყურებ სულ მუდამ ზღვასა.
- აღმერსი** (უკას არ უგდებს). მაგრამ მხოლოდ ზევადამ არის ისე დამშვიდებული. იქ, შუაგულ სილრმეში კი, ზღვა ქუხს, მაგრად ისკდება დედამიწასა, ჰგმინავს...
- ასტა** (შეწეხებული). ღვთის გულისათვის, ნუ ჰფიქრობ, იქ სილრმეში რა არის.
- აღმერსი** (წენარად შეჭუურებს ასტას). შენ-კი გგონია, ვითომ წყნარია, — არა, სრულიადაც არა, ასტა! სუდები, გავიწყდება, რა სისწრაფით მიქუხს ზღვა იმ აღგიალას. ყველა, რაც კი მოჰვედება, შორს, შორს მიაქვს გაუმაძლარს ზღვასა.

- ასტა.** (თავს მაგიდაზედ დასჭებს და ჰითზედ ხელ-მიღარებული და ქვითინებს). ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!
- აღმერსი.** (მოღრუბლებით). აი, ამისთვის არის ჩვენი პატარა ეი-ოლფი ასე ძალიან დაშორებული ჩვენზედ!
- ასტა.** კმარა, ალფრედ, ნულარას იტყვი, საზარელია!
- აღმერსი.** ეს შენც შეგვძლო გამოგეანგარიშნა, — შენ ხომ ჭკვიანი ხარ. ასე 28—29 საათის განმავლობაში, აბა, დათვალე!
- ასტა.** (შექვევლებს და უურჯებში თათხი დაიცვამს). კმარა, ალფრედ, გაჩუმდი!
- აღმერსი.** (მუშტად შეკუმშელს ხელს სტოლზე დაუშვებს). მაგრამ, მითხარი, რა აზრია ყველა ამაში?
- ასტა.** რაში?
- აღმერსი.** და აი ამაში, რაც მე და რიტას დაგვემართა?
- ასტა.** შენ აზრს ეძებ, ალფრედ?
- აღმერსი.** ოჰ, რასაკვირველია, უთუოდ რაიმე აზრი უნდა იყოს ამაში. სიკო-ცხლეს, არსებობას, ბედს—ყველა ამას აზრი უნდა ჰქონდეს.
- ასტა.** ოჰ, ჩემო საყვარელო ალფრედ! განა ამის შესახებ გარკვეული, ნამდვილი რამე ითქმის?
- აღმერსი** (მწარედ იცინის). არა, არა! იქნება შენ მართალიცა ხარ. იქნება მართლა ყველა ისე ხდებოდეს, უცაბე-დად, როგორც მოჰკვდება, უფიქრელად, უაზროდ როგორც ლელვის დროს ზღვაში უპატრონოდ და-ტოვებული გემი წარამარად დაქანაობს. ადვილი შე-საძლებელია; ეს ჩვენი შემთხვევა მაინც მეტადა ჰგავს ამას.
- ასტა.** მერე, ეს რომ მარტო მოჩეუნება იყოს?
- აღმერსი** (გამოფხიზებული). მართლა რომ აგრე იყოს? არ იკისრებ, ასტა, როგორმე გამოარკეონ ეს? მე-კი უარს ვამბობ. (უფრო დამშვიდებული) ის იყო ეითლ-ფი გონიერულს ცხოვრებას იწყებდა. რამდენი და-ფარული ნიჭი გაჰქრა იმასთან ერთად, იქნება სამა-

გალიოო და სათაყვანებელი ნიკიც!.. ვვოუნებობდი  
მე უბედური, რომ ჩემი სიამაყე გახდებოდა, სიხა-  
რული. და აი, საკმო იყო მხოლოდ ვიღაცა  
ბებრულუნა გამოთაყვანებულისა და იმისს ფინის  
ნახვა და გაჭქრა ყველა ეს...

**ასტა.** მაგრამ ჩვენ ხომ სრულებით არ ვიცით, რანაირად  
მოხდა ეს?..

**ადმერსი.** რასაკვირველია, რომ ვიცით. ბავშვებს დაუნახავთ,  
ნაერთ ზღვაში როგორ შეცურებულა. დაუნახავთ  
ეიოლფიც, რომელიც ზღვის პირასა მდგარა. დაუ-  
ნახავთ, როგორ გაშტერებით უყურებდა თურმე, მე-  
რე თვალები დახუჭა, თაებრუ დაესხა (გააჭანჭალებს) ...  
აი, მაშინ თურმე ჩავარდა წყალში და დაიღუპა,  
შთაინთქა ზღვის ზეირთებით დამძიმებული...

**ასტა.** მართალია, შესაძლებელია, მაგრამ...

**ადმერსი.** არა, დამერწმუნე ის ბებრულუნაა მრზეზი, რომ ეიოლ-  
ფი ეხლა იქ, შორს, ზღვის ძირას არის!

**ასტა.** მაგრამ, საყვარელო ალფრედ, რად უნდა მოქცეუ-  
ლიყო ასრე?

**ადმერსი.** ა! საქმეც მავაშია? რად? აქ შურის-ძიებას ადგილი  
არა აქვს. ისეთი არა ყოფილა-რა, რომ დაწყევლილს  
ბებერს შური ეძია. ეიოლფს მისს დღეში არა უმ-  
ტრია-რა. არ დასცინოდა, იმის ფინისა ქეებს არ ეს-  
როდა. გუშინდღამდის თვალით არ უნახავს არც ის  
და არც იმისი ფინია; მაშასადამე, შურისძიება ტყუი-  
ლია, საქმე ამითი არ აიხსნება. მაინც შენთვის  
კარგადა სცხოვრებ, თუმცა უაზროდ; ასე, ასტა.  
როგორცა სჩანს, ასეთი მოვლენა ქვეყნიერობის წეს-  
რიგს სრულიადაც არ არღვევს თურმე.

**ასტა.** უთხარი რამე ამის შესახებ რიტას?

**ადმერსი** (უარის შასუხად თაგან აქნევს). მე თითქმის შენთან  
ლაპარაკი უფრო მეაღვილება, ასტა (სუნთქვა უმნელ-  
დება). დიალ, თითქმის ყოველის საგნის შესახებ.

(ასტა ჭიბიდგან ნებსებს, ძაფს და ქაღალდში გახვეულს რაღაცას ამოიდებს. აღმერსი არეულად ადეკნებს; თვალს),

**აღმერსი.** ეგ რა გაქვს, ასტა?

**ასტა.** შავი მიტყალი (აღმერსის შდიაპის აიღებს).

**აღმერსი.** ოჲ, ეგ რაღად გინდა?

**ასტა.** რიტამა მთხოვა. ნებას მომცემჩი

**აღმერსი.** რა ვიცი, ჩემთვის სულერთია.

(ასტა შდიაპის გარეშემო შავს აკერებს).

**აღმერსი** (ასტას უყურებს). რიტა სად არის?

**ასტა.** ვგონებ, ბაღში გაეიდა სასეირნოდ; ბორპხეიმია იმასთან.

**აღმერსი** (წოტათ გავვირვებული). განა ბორპხეიმი აქ არის?

**ასტა.** შუადღის მარარებელით მოვიდა.

**აღმერსი.** ამას-კი არ მოველოდი.

**ასტა** (ჭერავს). იმას ისე გულით უყვარდა ეიოლფი.

**აღმერსი.** ბორპხეიმს ერთგული გული აქვს, ასტა.

**ასტა.** (დაშვიდებული, მაგრამ გრძნობით). ეგ მართალია, გულ-მრუდე არ არის.

**აღმერსი.** სწორედ რომა ვთქვათ, შენც ხომ თანაუგრძნობ.

**ასტა.** რასაკეირველია.

**აღმერსი.** მაგრამ მაინც ვერ გარდაგიწყვეტია...

**ასტა** (გაწევატინებს). ოჲ, ალფრედ, მაგას თავი დავანებოთ!..

**აღმერსი.** არა, არა... მარტო მე მითხარ; რატომ არ შეგიძლიან გამოტყდე?..

**ასტა.** ლვთის გულისათვის, გეველრები! ნუ ეცლები. შენ არ იცი, როგორ მემძიმება ამისი თქმა... აი, შენი შლიაპა მზად არის.

**აღმერსი.** გმაღლობ.

**ასტა.** მაგრამ ჯერ არ გამითავებია, —ახლა მარტენა მკლავ-ზედ უნდა გაგიკეთო.

**აღმერსი.** როგორ? მკლავზედაც?

**ასტა.** ლიალ, ბერა ჩვეულება.

**აღმერსი.** კარგი მაშ; როგორც იცოდე. (მიგა და ახლა სამეღლ-ვიარო შავს მეღავზედ აკერებს).

- ასტა.** ხელს ნუ ანძრევ, თორემ ნემსს გიჩხელეც.
- აღმერისი** (რდნავ იდიმება). თითქოს არა მომხდარიყოს-რა, ისე უარ რაღაც დამშვიდებული.
- ასტა.** მართლა, ალფრედ?
- აღმერისი.** როდესაც შენ პატარა გოგონა იყავი, მაშინაც ასე ჰაზრუნავდი ხოლმე ჩემის ტანისამოსისათვის.
- ასტა.** რაც-კი შემეძლო, მუდამ ვცდილობდი ხოლმე.
- აღმერისი.** მახსოვს, სულ პირველად სამგლოვირო შავი დამიკერებ.
- ასტა.** მართლა?
- აღმერისი.** მამა რომ მოშიკვდა, ჯერ ისევ სტუდენტი ეიყავ, ქუდზედ შავი შემომიკერე.
- ასტა.** წარმოიდგინე, მე ეს სრულიად არ მახსოვდა.
- აღმერისი.** რასაკვირველია, არ გეხსომება. შენ მაშინ ისეთი პაწია იყავი.
- ასტა.** მართალია, პატარა ვიყავ.
- აღმერისი.** და ორის წლის შემდეგ, დედა რომ მოგვიკვდა, მა- შინაც შენ დამიკერე სამგლოვირო შავი სახელო- ზედ.
- ასტა.** მეგონა, ასე უნდოდა.
- აღმერისი** (სელზედ სელს უსვამს). რასაკვირველია, ასე უნდა, ასტა. მერე-კი, როდესაც ობლად დაერჩით... გაა- თავე?
- ასტა.** გავათავე. (ნემსისა და ძაფს ალაგებს). მაინც რა კარგი იყო ის დრო, ალფრედ! გახსოვს, ორნი რომ ვცხოვ- რობით მარტოდ.
- აღმერისი.** ოჯ, რასაკვირელია, მაგრამ საკმაოდ ბევრიც ვიშრო- მეთ.
- ასტა.** ჰო, შენ.
- აღმერისი** (ფიცხად). მაგრამ შენც მუდამ შრომობდი, როგორც კი შეგეძლო. (იღიმება). ოჯ, ჩემო საყვარელო ერთ- გულო... ეძოლფ.
- ასტა.** კარგი, ნუ მოიგონებ, გემუდარები!

**ადმენსი.** შენ რომ ვაერ ყოფილიყავი, ხომ უთუოდ ეიოლფს დაგარქმევდნენ.

**ასტა.** რასაკვრელია, რომ... მერე, როდესაც სტუდენტი გახდი... (უნებურად ეღისება). ლმერთო ჩემო, როგორი რამ იყავი, ნამდვილი ბაეშვერი ხასიათი გქონდა...

**ადმენსი.** მართლა, ასტა?

**ასტა.** ეხლა მაინც ასე მეონია, წარსულს რომ ვიგონებ. შენ თითქოს გძულდა, გწყინდა, რომ ძმა არა გყავდა და მარტო და გყავდა.

**ადმენსი.** არა, ტყუილია, ეგ შენ გაბრაზებდა.

**ასტა.** იქმნება, მართლა აგრეც იყო, ვინ იცის, მაგრამ ცოტათი მებრალებოდი კიდეც!

**ადმენსი.** მჯერა. მახსოვს, ერთხელ ჩემი ტანისამოსიც ჩაიცვი.

**ასტა.** დიალ, შენი კოხტა სადღესასწაულო ტანისამოსი. გახსოვს, ლურჯი ხალათი და მოკლე, მუხლებამდის, შარგალი?

**ადმენსი** (ასტას შესცემის). იო, თითქოს ეხლაცა გხედავ. ისე კარგად მაგონდება, როგორ დარბოდი მაშინ ჩემს ტანისამოსში გამოწყობილი.

**ასტა.** რასაკვირველია, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტონი ვიყავით ხოლმე შინ.

**ბლმენსი.** მახსოვს, მაშინ მე მუდამ ჰატარა ეიოლფს გიძახოდი ხოლმე.

**ასტა.** იმედი მაქს, ალფრედ, შენ ამას რიტას არ უამბობდი!

**ადმენსი.** როგორდაც მახსოვს, ვგონებ, ვუამბე ერთხელ.

**ასტა.** ჰმ, როგორ შეიძლება, ალფრედ?

**ადმენსი.** რას იზავ, ხომ იცი, ცოლს ჟველაფერს უამბობენ ხოლმე.

**ასტა.** ჰო, ეგ მართალია.

**ბლმენსი** (თითქოს ეს არას გამოიღვიძაო, შებლზედ სედს იტაცებს და წამოხტება). როგორ ვგონია, ვანდ ეხლა აქ ჯლობი და ლაპარაკი შემტერის, როდესაც...

- ასტა** (შეწუხებული წამოდგება) რა დაგემართა, ალფრედ? აღმერსი. მე თითქმის გადამავიწყდა, სრულიად დამავიწყდა ის... ასტა. ეიოლფი?..
- აღმერსი.** ვზივარ და წარსულს ვიგონებ; იმას კი აღგილი ამ მოგონებაში აღარა აქვს...
- ასტა.** ეს მხოლოდ შენა გვინია აგრე, ალფრედ; ეხლა არ იყო ეიოლფზედ ლაპარაკობდი.
- აღმერსი.** არა, არა! გავქრა, ჩემის ფიქრიდგან, გულიდგან მოიწმინდა. არის და იყო ისეთი წამიც, რაც აქა ვსხედვართ და ვყბედობთ, როდესაც იმას ვეღარა ვხედავდი, სრულიად დამავიწყდა.
- ასტა.** უნდა შეისვენო თუ არა, დროებით დაივიწყო ეგ შენი მწუხარება.
- აღმერსი.** არა, არა! საჭირო არ არის. აქ მოსვენებას აღგილი არა აქვს! არავითარი უფლება არა მაქვს და არც გული მიმწევს (საშინად აღელებული მარჯვნივ გაუხევებს). ერთი-ლა დამრჩენია: ვიყო იქ, ზღვასთან, ან შიგ ზღვაში, სადაც უძირო სიღრმეში წყალი ეიოლფს უწყალოდ ატრიალებს!
- ასტა** (მაჭვარდები და დამკერს) ალფრედ! ალფრედ! არ წახევიდე.
- აღმერსი.** არა, ასტა! ასე უნდა. თავი დამანებე. ამ ნავს მოვსნი და...
- ასტა** (შეშინებული). ნუ წახვალ-მეთქი; გეუბნები!
- აღმერსი.** კარგი, რა წავალ, გამიშვი.
- ასტა.** (მაგიდასთან მიიუქანს). რა არის, ერთს წამს მაგ ფიქრებს თავი დანებე. მოდი, აქ დაჯეპ, ალფრედ.
- აღმერსი** (უნდა დაჯდეს) რასაც კი მეტყვი, ყველას ავასრულებ.
- ასტა.** არა, აქეთ არა. აქედან მუდამ წყალს უნდა უცქრო. (ზურგს შეაბრუნებინებს ზღვისაგენ და ისე დაჭისვაში სკამზედ). აი, ეხლა ლაპარაკი განვაგრძოთ.

- ალმერისი** (სუმბუქად სუნთქვას). ოპ, რა კარგი იქნება, თუნდაც  
ერთს წამს რომ შევიძლებდე დაეიწყებას, ნალველი  
გადმეყრებოდეს.
- ასტა.** ღიალ, ალფრედ, ეს უთუოდ საჭიროა.
- ალმერისი.** მაგრამ მითხარი, სისაძაგლე და სიმდაბლე არ არის  
ჩემის მხრივ, რომ დავიწყებასა ვნატრობ?
- ასტა.** სულაც არა. განუწყვეტლივ ერთისა და იმავე წერ-  
ტილის გვერდით ტრიალი შეუძლებელია.
- ალმერისი.** ჰო, ვხედავ, რომ შეუძლებელია. აი, ვიდრე შენ  
მოხვიდოდი, მე აქ მარტოკა ვიჯექი და საშინლად  
ვიტანჯებოდი. და მერე, ამ მწარე ტანჯვის დროს...
- ასტა.** ჰო, რა, რა?..
- ალმერისი.** ერთბაშად წარმომიდგა, დაიჯერებ თუ არა; ასტა,  
თუ დღეს საღილად რა გვექნება.
- ასტა.** (დაშვიდებულის კილოთი). ლმერთო, მერე, რა არის,  
თუ კი ცოტათი მაინც არის დაგამშვიდებს ეგ.
- ალმერისი.** წარმოიდგინე, რომ მართლაც დავმშვიდე ერთს  
წამს. (ხელს გაუშვერს მაგიდაზედ) რა ბედნიერი ვარ,  
ასტა, რომ შენა მყევხარ! ეს დიდი შელავათა ჩემ-  
თვის ამ მწუხარებაში!
- ასტა** (დაფიქრებული შექურებს). ჯერ უპირველეს ყოვლისა  
იმითი უნდა იყო ბედნიერი, რომ რიტა გყავს.
- ალმერისი.** ეგ, რასაკვირველია, აგრეა. მაგრამ მე და რიტა შეუ-  
ნათესავობა არ არის, დობას იგი მე ვერ გამიშევს.
- ასტა** (მაღლატანებით). აგრე გგონია?
- ალმერისი.** ღიალ, ჩვენს ოჯახობს რაღაც თავისებური და უცნა-  
ური ჩვეულება აქვს (თითქოს დაცინებით). მაგალითად,  
ჩვენი სახელები ხმოვანის ასოებით იწყობა. გახსოვს,  
ამაზედ მე და შენ ბევრს ვლაპარაკობდით ხოლმე.  
ნათესავები ყველა ღარიბები არიან და თვალებიც  
ყველას ერთის ფერისა აქვთ...
- ასტა.** როგორ გგონია, ვითომ ჩემი თვალებიც ისეთია?

- აღმერისი.** არა, შენ-კი თითქმის სულ დედასა ჰგევხარ. ჩვენი მზგავსები სრულად არა გაქვს. თითქმის მამასაც კი არა ჰგევხარ, მაშინ როდესაც...
- ასტა.** რა, როდესაც?
- აღმერისი.** ჩემის ფიქრით, ერთად ცხოვრებამ მზეობრივად ორივეს ერთი და იგივე ბეჭედი დაგვასვა.
- ასტა** (აღელვებული). ოჲ, ალფრედ! თუ ვარ, შენგნით ვარ ისევ ბედნიერი ცხოვრებაში!
- აღმერისი** (თავს აქნევს). პირიქით, შენ ჩემი მოვალე არაფრითა ხარ, ასტა.
- ასტა.** თითქმის ყველაფრით! ეს შენც კარგად იცი, ჩემთვის არასა ჰზოვავდი...
- აღმერისი** (სიტუაცია აწევეტინებს). კმარა, რა გამსხვერბლეს ნერა? ბავშვობიდგანვე მეტად მიყვარდი და მორჩა, გათავდა. (მცირე შავზა). მერე-კი მეგონა, რომ მოვალე ვიყავ დანაშაული გამომესყიდნა.
- ასტა** (განცვითებული). დანაშაული!
- აღმერისი.** იქმნება ჩემიც არა, მაგრამ მაინც...
- ასტა.** მაშ ვისი?
- აღმერისი.** მამის მხრივ იყო ეს.
- ასტა** (სკამიდან წამოხტება). მამის მხრივ!  
(დაჯდება). რა გინდა სთქვა, ალფრედ!
- აღმერისი.** ნამდეილად კეთილი მამა ის შენთვის არასოდეს არა ყოფილა.
- ასტა.** ო, ნუ იტყვი მაგას!
- აღმერისი.** ხომ მართალია, ასტა, არ უყვარდი; და თუ უყვარდი,—ისე არა, როგორც რიგი იყო.
- ასტა** (მორიდებათ). იქნება მირთლაც ისე ძალიან არ ვუყვარდი, როგორც შენ, მაგრამ ეს აღვილო გასაგები არის.
- აღმერისი** (თავისას განთვალისწილებს). და დედაშენსაც ხანდახან სასტიკად ეპყრობოდა. უკანასკნელს წლებში მაინც ისე იყო.

- ასტა** (ჩუმად). ნუ დაივიწყებ, რომ დედა მამაზედ ბევრად პატარა იყო.
- აღმერსი**. როგორ, გვონია, ვითომ ისინი ურთმანერთის შესაფერისნი არ იყვნენ?
- ასტა**. მაინც ასე იყო.
- აღმერსი**. თუნდაც აგრე ყოფილიყოს, მაინც საკვირველით, რომ ის ისეთი კეთილი, მოალერსე და გულ-შევა-რდნილი იყო ყველაზედ და ყველასათვის...
- ასტა**. მაგრამ დედაც ხომ ყოველთვის ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო.
- აღმერსი**. დედა შენი?
- ასტა**. ასე მეონია.
- აღმერსი**. მამასათვის?
- ასტა**. დიალ!
- აღმერსი**. უნდა გამოვტყდე, არ შემიმჩნევია.
- ასტა** (დება და ცრემდას ძლივს ძმაგრებს). ოჰ, საყვარელო ალფრედ! ნუ შეაწუხებ ჩვენს ძვირფასს მშობლებს (მარჯვნივ მსაჯეს გადადის).
- აღმერსი** (ადგება). კარგი, იმათ თავით დავანებოთ. მაგრამ თვით ის მკვდრები რომ არ გვასვენებენ, ასტა, არც დღით, არც ლამით,
- ასტა** (გრძნობით შეჭურებს აღმერსს). დრო ყველას და გვავიწყებს, ალფრედ!
- აღმერსი** (უძლურად). მერე, შენც აგრე ჰეიქრობ? მაგრამ, მითხარ, როგორ გავატარო ეს პირველი საზარელი დღეები (ზმა წასული) არ ვიცი—სწორედ!
- ასტა** (მხრებზე ხელებს დაადებს და ხვეწის გიღოთა). წალი რიტასონ, გეველრები, წალი.
- აღმერსი** (ხელიდგან გაუსხლოება; სასტიქად). არა, არა ნუ მთხოვ! არ შემიძლიან! (დამშვიდებული) ნება მომეცი, შენთან დავრჩე.
- ასტა**. კარგი მაშ, არ წავალ.
- აღმერსი** (ხელს გამოართმებს. ასტას). გმალობ (რამდენსამე

სანს წყალს უუკრებს). ნეტა, ეხლა ჩემი პატარა ეღ-ოლფი სად უნდა იყოს (მწუხარე ღიშილით) შეგიძლიან ამისნა ეს, შენ ჩემო დიღო ეოოლფ? (თავს აქნებს). არა, ამას აქ, ქვეყანაზედ, ვერავინ მეტყვის. მე ვიცი მხოლოდ ერთი რამ—საზარელი, ნამდვილი, —ეს ის, რომ ეოოლფი აღარა მყავს.

**ასტა**

(მარცხნივ იუურება და აღმერსს ხელს წართმევს).  
(ქ-ნი აღმერსი და ბორჭევიძი ბილიგაზედ მოდიან, როტა წან მოდის. შავი ტანისამოსი აცვია; თავზედ სამგლოვარო ჰირბადე ასვევა, ბორჭევიძის იღლიას ქვეშ ქოლგა უჭირავს).

**აღმერსი** (მიეგებება რიტას). რიტა, თავს როგორა ჰერძნობ!

**რიტა** (აღმერსის წინ არ გაჩერდება). ოჟ, ნუ მკითხავ.

**აღმერსი**. აქ რად მოხვედი?

**რიტა.** შენ დაგვეძებდი. რა იქნენ? რას აკეთებ?

**აღმერსი**. არაფერს. ასტა მოვიდა ჩემთან.

**რიტა.** დიალ, მაგრამ ვილრე ეგ მოვიდოდა? დილიდან აქნობამდის არ მინახიხარ?

**აღმერსი**. ვიჯექი აქ და ზღვას გავყურებდი.

**რიტა.** მერე ეგ შესაძლებელია განა?

**აღმერსი** (აღელგებული). ეხლა ყველაზედ მეტად მარტო ყოფნა მირჩევნია!

**რიტა.** (შეშფოთებული წინ და უქან გადა-გამოდის). ეგრე ერთს ადგილს უნდა იჯდე უმოძრაოდ?

**აღმერსი**. ხომ არსად მეჩქარება, რა უშავს.

**რიტა.** მე-კი თითქმის ვერც კი საღმე დავმჯდარვარ. ყველაზედ მეტად-კი ეს ადგილია ჩემთვის აუტანელი. ზღვის ცქერა არ შემიძლიან.

**აღმერსი**. მე-კი აი, სწორედ ეს სანახაობა მიზიდავს აქეთ.

**რიტა** (ბორჭევიძის). როგორ გგონიათ, არა სჯობიან, ალფრედმა ჩეენთან ერთად გაიაროს საღმე?

**აღმერსი**. არა, არა, მე აქ დამტოვეთ.

**რიტა.** მაშ თუ აგრეა, მეც შენთან დავრჩები, ალფრედ!

- ალმერსი.** დარჩი, თუ გინდა. შენც, ასტა.  
**ასტა** (ბორჯევიძეს ხუმად). ორნი დავტოვოთ.  
**ბორჯევიძი** (ხანგრძლივად შეჭედავს). ბ-ნო ასტა, გნებავთ, ზღვის  
 ნაპირისაკენ გაეისეირნოთ? ეს უკანასკნელი იქნება,  
 სულ უკანასკნელი?
- ასტა** (ქოლგას აიღებს). კარგი, წავიდეთ.  
 (ასტა და ბორჯევიძი სანაკო ეზოს; მაეფარებიან. ალმერ-  
 სი წინ და უკნ გადი-გამოდის, მერე ჩის ქვეშ ჩამო-  
 ვდება ქვაზე, წინა სცენაზედ).
- რიტა** (ალმერსის წინ, შესდგება ხელები ძალს ჩამოუშვია და  
 თაოები ერთმანეთზედ გადაუხლართავს). ილფრედ, შეგი-  
 ძლიან თუ არა მიეჩიოთ იმ ფიქრს, რომ ეიოლფი  
 ალარა გვყავს?
- ალმერსი** (მოღვრბლები უსაზღვართ სივრცეს გაჭეურებს). ძალა-  
 უნებურად მივეჩვევი,,
- რიტა.** შე-კი არ შემიძლიან, არა. მერე, ახლა ეს საზარელი  
 მოჩვენება! არა, მთელს სიცოცხლეში მოსვენებას  
 არ მომცემს!
- ალმერსი.** (თავს მაღლა ასწევს და ჩააცემარდება). რა მოჩვენება?  
 რა ნახე, რიტა?
- რიტა.** მე არასთერი. მაგრამ საშინელება-რამ მიაშეს...!
- ალმერსი.** მიიმშე, რა არის?
- რიტა.** ბორჯევიძს ვთხოვე, ნავთ სადგურამდის გამომყოლოდა.
- ალმერსი.** მერე, იქ რა გინდოდა?
- რიტა.** შავშებისათვის უნდა მეკითხნა, როგორ მოხდა ეს უბე-  
 ღურება.
- ალმერსი.** განა არ ვიცით, როგორც მოხდა?
- რიტა.** მაგრამ, აი, მე კიდევ ახალი რაღაც შევიტყე. ეს  
 აქამდის არ ვიცოდით.
- ალმერსი.** რა?
- რიტა.** როგორც სჩანს, მართალია, რომ ერთბაშად ას  
 შთაუნთქავს ზღვას...;
- ალმერსი.** აჲა! განა ამასაც ამბობენ ეხლა!

- რიცხ.** დიალ; ბავშვებს უნახავთ, როგორ დებულა ეიოლფი ზღვის ძირას; დღესავით თერმე სჩანდა წმინდა წყალ-ში.
- აღმერსი** (კბილების კრატეუნით). მერე, კი არ უშველეს?
- რიცხ.** ალბად არ შეიძლებოდა.
- აღმერსი**. არა, იმათ ყველამ ცურვა იციან. მერე, არა სთქვეს, როგორ იდვაო?
- რიცხ.** დაუნახავთ, რომ ზურგზედ დებულა, პირალმა, თვალები ახელილი ჰქონია.
- აღმერსი**. თვალებ გახელილი? უმოძრაოდ?
- რიცხ.** დიალ, უმოძრაოდ. მერე რაღაც მიესია და წაილოო; უთუოდ ზეირთი იქნებოდა.
- აღმერსი** (თავს ოდნავ აქნებს). მაშ, აი, საქმე როგორ ყოფილა.
- რიცხ** (ცურვების იმაგრებს). დიალ.
- აღმერსი** (ურუდ). და ველარ, ველარა ვნახავთ.
- რიცხ** (ხელებს იმტკრებს). დღე და ღამ ეხლა თვალ-წინ სულ ის მედგება, თუ იქ, ზღვის ძირას, ეიოლფი როგორ იწვა.
- აღმერსი**. თავისის დიდრონის გახელილი. თვალებით.
- რიცხ** (შეხტება). დიალ, გახელილი თვალებით. მე სწორედ იგრე ეხედაე! იგრე ვხედაე! აი, ახლა ჩემ თვალ-წინ არის.
- აღმერსი** (მძიმედ წამოდგება და ცივად, მრისსანედ შეჭეურებს). ავი თვალია დამნაშავე, განა, რიტა?
- რიცხ** (გაფითოდება). ავი თვალი!..
- აღმერსი** (უფრო ახლო მივა). იმ ბავშვს, რომელიც იქ, ზღვის სიღრმეში, იწვა, სთქვი ავმა თვალმა დაჰკრა?
- რიცხ** (წახარბაცებს). ალფრედ!..
- აღმერსი**. მიპასუხე! მართლა ავმა თვალმა დაჰკრა?
- რიცხ.** (შეჭერებს). ალფრედ! ალფრედ!
- აღმერსი**. აგისრულდა, რიტა, რაც გსურდა.
- რიცხ.** მე? მე მსურდა?
- აღმერსი**. დრალ, შენ გსურდა, რომ ეიოლფი არ ყოფილიყო.

- რიტა.** არასოდეს. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ეიოლფი ჩვენ შუა არა მდგარიყო.
- აღმერსი.** და აი, ეხლა ხომ აღარ არის.
- რიტა** (ჩუმად მაშტერდება თავის წინ სიკრეს). იქნება ეხლა უფროა, ვიდრე უწინ. (შიშისგან ზარდაცემული). ეს საზარელი მოჩვენება!
- აღმერსი** (თავის ქნევით). დიალ, დიალ, ავი თვალი.
- რიტა** (შეშინებული უგან დაიწევს). თავი დამანებებები, ალტრედ! შენ მე მაშინებ. ასე საშიშრად არსად მინახევხარ.
- აღმერსი** (სასტიგად და ცივად შესცემის). ხალხს მწუხარება აბრაზებს.
- რიტა** (საწერინდ გილოთი და თანაც შიშით). მეც მაგასევე ეგრძნობ.
- (აღმერსი მარცხენა მხარეზედ გადადის და ზღვას უუკრებს. რიტა მაგიდასთანა ჭდება. მცირე შავზაა).
- აღმერსი** (თავს რიტას გენ მიაბრუნებას). რიტა, შენ ის სულით და გულით არასოდეს არ გყვარებია!
- რიტა** (ცივად და თავდაჭერით). არც თუ ოდესმე ყოფილა იგი სავსებით ჩემი.
- აღმერსი.** ეგ იმიტომ, რომ შენ არასოდეს არა გქონია სურვილი შენი ყოფილიყო.
- რიტა.** ო, არა! ვკლილობდი, მაგრამ პირველ წამიდანვე ჩვენ შუა ვიღაცა ჩადგა.
- აღმერსი** (რიტას გენ მიაბრუნება). როგორ, ვითომ მე ვიყავ ეგ ადამიანი?
- რიტა.** სრულიადაც არა, შენ ამ შემთხვევაში მეორე ადგილი გეჭირა.
- აღმერსი** (მიუკლოვდება). მაში, ვინ იყო, ვინ?
- რიტა.** მამიდა.
- აღმერსი.** ასტა?
- რიტა.** დიალ, ასტა.
- აღმერსი.** მარტოა დარწმუნებული ხარ?

- რიტა.** პირველ დღიდანვე ასტამ წამართვა იგი. იმ დღიდანვე, რა დღესაც მას ის უბედურება დაემართა.
- ადმერსო.** მაგრამ თუ ეგ მართალია, იკოდე ასტას სიყვარულით მოსდიოდა ეს.
- რიტა.** საქმეც ეგ არის! სიყვარულის განაწილება არა მჯერა, მძულს! და არც თუ ვისმეს გავუყოფ.
- ადმერსო.** მხოლოდ მე და შენ უნდა გაგვეყო მისი სიყვარული ერთმანეთში და სხვას არავის.
- რიტა** (ირონიულად შეჭირდვას). მე და შენ? შენ ( ) ხომ არა გყვარებია, როგორც რიგი იყო.
- ადმერსო** (ზარდაცემული შეჭირულებს). როგორ, მე არ მიყვარდა?
- რიტა.** შენ მთლად შენის თხუზულებით იყავი გატაცებული... მოვალეობის შესახებ.
- ადმერსო** (ძალა-მომატებული). დიალ მართალია, თითქმის სავსებით იმ თხზულებით ვიყავ შთანთქმული, მაგრამ იმასაც ნუ დრიკიშვებ, რომ მე იგი ბოლოს ეიოლფს ვამსხვერპლე.
- რიტა.** კმარა, ეიოლფის სიყვარული არ იყო მიზეზი, რომ წერას თავი დაანებე.
- ადმერსო.** მაშ რა იყო მიზეზი, უმიზეზოდ ხომ არ იქნებოდა?
- რიტა.** იმიტომ, რომ ეჭვი არ გასეენებდა; არა გჯეროდა, რომ დიდის ნიკის პატრონი იყავი.
- ადმერსო** (აკვირდება) მართლა? განა შემნიშნევი
- რიტა.** დიალ, ბოლოს და ბოლოს ამ დასკვნას დავადექ. და აი, მაშინ ცხოვრების ევ ნაკლი, რომ რითიმე ამოგევსო, შენ სხვა საგანს დაუწყე ძებნა: მე-კი—მე ველარ გაკმაყოფილებდი.
- ადმერსო.** ეგ, რიტა, ბუნების კანონია.
- რიტა.** შენც ამისთვის გინდოდა პატარა ეიოლფი საკვირველებათ გარდაგეჭმნა.
- ადმერსო.** არა, მე ეგ განზრახვა არა მქონია; მსურდა მხოლოდ ბედნიერება მიმენიჭებინა, აი, რა იყო ჩემი აზრი.

- რიცა.** მაგრამ სიყვარულით კი არ ჰქოლმდღვანელობდი. აბა სულის სიღრმეში. ჩაიხედე (შემინებულის გამომეტვე-დებათ). კარგად დაკვირდი, იმ სიღრმეში თავს რა იფარავს.
- ადმერსი.** უკეთესია; არ ჩავიხედო.
- რიცა.** ი, ხომ ჰქოდავ, შენც მასვე ჰქოქრობ?
- ადმერსი.** (ჩაიფაქრებული). მაშ, თუ რასაც ამბობ, მართალია, ეიოლფი ჩვენი არასოდეს არა ყოფილა.
- რიცა.** სავსებით ჩვენი? არასოდეს არა ყოფილა და არც თუ სიყვარული გვქონია შესაფერი.
- ადმერსი.** და ასე მწარედ კი ვგლოვობთ?
- რიცა.** (ბრაზმორებული). მართლაც, განა სასაცილო არ არის რომ სხვის შვილს ასე ვგლოვობთ?
- ადმერსი** (აღეჭვებული). სხვისას? განა შეიძლება აგრე ითქვას!
- რიცა.** (მწესარედ და ნალექანად ჰაქნებს თავს). ჩვენ ის ვერ მოვახერხეთ, ალფრედ, რომ ჩვენი შვილი ხელთ გვე-გდო, —ვერც მე და ვერც შენ.
- ადმერსი** (სედებს იმტკრებს). ეხლა გვიან-ლაა, გვიან!
- რიცა.** ო, რა უბედურებაა!..
- ადმერსი** (ცწავად წამოხტება). ყველაფერში შენ ხარ დაშნა-შავე!
- რიცა** (ესეც ადგება). მე?
- ადმერსი.** დიალ, შენ! დამნაშავე ხარ იმისა, რომ ეიოლფი და-კოჭლდა! დამნაშავე ხარ იმაშიც, რომ დარჩიბას. ველარ გადაერჩინეთ!
- რიცა** (თავის გამართლებით). ალფრედ!.. როგორ არა გრცხევ-ნიან, რომ ყველაფერს ბრალს მე მახვევ.
- ადმერსი** (თავს კელარ იმაგრებს). დიალ, დიალ! შენ არ იყავა, რომ ძუძუთა ბავშვი მაგილაზედ დასეი და თავი და-ნებე.
- რიცა.** არა, ის იმ დროს რბილს ნაალზედ იწვა და თავის-თვის ეძინა. შენც პირობა მომეცი, ყურს ეუგდებო.

- ადმერსი.** დიალ, დაგპირდი, მაგრამ (ხმას დაუდაბლებს) მოხვე-  
დი შენ და ბავშვისათვის თაერ დამანებებინე.
- რიტა.** (ხელწისა და რწმუნების კილოთი). უკეთესია გამო-  
ტყდე, რომ შენვე დაგავიშულა ბავშვიცა და თით-  
ქმის ყველაფერი!
- ადმერსი (გაჯავრებული).** დიალ, დამავიშულა... (ჩუმად) შენს  
ხევვნაში.
- რიტა (გაბრაზებული).** ალფრედ! ალფრედ! ეს შენ მხრივ დი-  
დი უსინიდისობაა!
- ადმერსი (ხელს მოჭებულის ჩუმად გაბრაზებული).** პატარა ეი-  
ოლფიც აი, სწორედ იმ წამიღან გასწირე სას ცეკ  
დილოდ.
- რიტა (გამხეცებული).** შენც აგრევე ჰქმენ; შენც, რაკი საქმე  
მანდამდის მივიდა!
- ადმერსი.** კარგი, თუ გინდა ბრალი მეც დამდე. ჩვენ ორივენი  
დამნაშავენი ვართ და ეიოლფის სიკვდილი ღირსე-  
ული სასყიდელია ჩვენთვის.
- რიტა.** სასყიდელი, ჯილდო?
- ადმერსი (თავს შეიმაგრებს).** დიალ, ეს მე და შენი, სასჯელი  
ღირსეულია. სანამ ცოცხალი იყო, ორივ ვერიდე-  
ბოლით, რალაც საიღუმლო შიში და საზარელი  
გრძნობა გეაშორებდა. არ შეგვეძლო გულ-ცივალ  
გვეცეირა იმ საგნისათვის, რომელიც მას მუდამ თან  
დაჰკონდა... ეს...
- რიტა (ჩუმად).** საბჯენრ ჯოხისათვის?...
- ადმერსი.** დიალ, და ეს ჩვენი მწუხარებაც იგივ სინიდისის  
ქენჯნა და ღრღნაა, რიტა. სინიდისის ქენჯნა და სხვა  
არაფერი.
- რიტა (შემინებული და გაფითრებული).** ოპ, ყველა ეს სასოწარ-  
კვეთილებამდის მიმიყვანს, ჰკუიდგან შეგვშლის ორ-  
ივეს. ამ ბოროტს საქმეს ჩვენ ხომ ვერასოდეს ვე-  
ლარ გამოვისყიდით!

**ადმერსი** (უფრო მორბილებული). წუხელის სიზმარში ეიოლფი ვნახე, ეითომ ნაეთსადგურიდან მოღიოდა. იმას ისევე შეეძლო სირბილი, როგორც სხვა ბავშვებს. მაშასადამე, კოჭლი აღარ იყო. მეგონა, ეითომ ეს საზარლობა მხოლოდ სიზმარი იყო. ოჯ, რომ იცოდე როგორ ვმაღლობდი, როგორ ვაღიდებდი... (შესდგება).

**რიტა** (ძალან აკარდება ადმერსს). ვის?

**ადმერსი** (რიტას თვალს აარიდებს). ვის?

**რიტა.** ჰო, ვისა ჰმაღლობდი, ვის აღიდებდი?

**ადმერსი** (მექანიკი). ეს სიზმარში იყო-მეთქი, არ გესმის?

**რიტა.** როგორ, თითქოს არ გჯერა, ვიღაცა?...

**ადმერსი.** ე! არათერი! ასე მომიარა, მეც არ ვიცი, რად. სიზმარში...

**რიტა** (საუკედურის კილოთი). ტყუილად მაეჭვიანებ, ალფრედ!

**ადმერსი.** მაშ, ის უკეთესი იქმნებოდა, რომ მთელს სიცოცხლეში მაგ ბურუსში იყო.

**რიტა.** იქნება ჩემთვის უკეთესიც იყოს. სხვა არა იყოს-რა, ეს მწუხარება მაიმედებდა; ეხლა-კი სრულიად აღარა გამეგება-რა.

**ადმერსი** (აკარდება)-ვსთქვათ რომ შეიძლებოდეს ამისი არჩევა, რომ შეგეძლოს ეიოლფს გამოეკიდო იქ, საღაც ამ უამაღ იყია...

**რიტა.** მერე?

**ადმერსი.** ისიც რომ ნამდვილად იცოდე, რომ იპოვნი, იცნობდა მთელს მისს აშშავს, ვითარებას შეიტყობ?

**რიტა.** დიალ, მერე?

**ადმერსი.** თანახმა იქნებოდი, ამ აზრით წყალში გადავარდნილიყავ, დამრჩვალიყავ? შენის ნებით დაგეტოვებინა ყველა ეს, რაც გარს განვევია, სიცოცხლეს გამოჰსალმებოდი? თანახმა იქნებოდი, რიტა?

**რიტა.** ეხლა? ამ წუთას?

**ადმერსი.** დიალ, დღესვე. მიპასუხე გარდაწყვეტით?

რიტა (ყოფილი). ჴა, არ ვიცი, ალფრედ! ვგონებ, არა. შე ჯერ კიდევა მსურს შენთან სიცოცხლე.

ალმერსა. მხოლოდ ჩემის გულისათვის ვერ გაჰქიდავდი?

რიტა. დიალ, მხოლოდ მაგისთვის!

ალმერსა. მერე-კი ისურვებდი? მითხაო!

რიტა. ოჭ, ღმერთო ჩემთ! როგორ ვიპასუხო? გეუბნები, რომ ვერა-მეთქი. არასოდეს, არა!

ალმერსა. მეც რომ წავსულიყავ ეიოლფთან? და რომ ისიც ბეჯითად იცოდე, რომ ორივეს იქ გვნახავდი. დას-თანხმდებოდა მაშინ?

რიტა. სიამოვნებით! მაგრამ....

ალმერსა. მაგრამ რა?

რიტა (ნედა ამთათხებებს). ვგრძნობ, რომ ვერ შევძლებდი. არა, არა, ირაფრის გულისათვის არ შემიძლიან!

ალმერსა. არც მე შემიძლიან.

რიტა. ხომ აგრეა, ალფრედ! ვერც შენ შესძლებდი განა?

ალმერსა. არა, დედამიწის შვილნი ვართ; ჩვენი სამშობლო აქ არის.

რიტა. დიალ, მხოლოდ იქ ვპოვებთ იმ ბედნიერებას, რომ-ლის შესახებაც მუდამ ვოცნებოთ.

ალმერსა (მოღრუბლები). ოჭ, ბედნიერება, ბედნიერება! მაგრამ იცი, რა...

რიტა. შენ გინდა სთქეა, რომ ჩეენთვის ბედნიერება არ არსებობს; რომ ვერასოდეს ვერ ვიჰემებთ მას. (კათ-ხვითის გამომეტებელებით აკირდება). მაგრამ უცბად რომ? (მსურვალედ) არა, არა! თქმას ვერა ვბედავ! ფიქრიც-კი არ შემიძლიან.

ალმერსა. სთქვი, რიტა, სთქვი!

რიტა (ყოფილი). ვცალოთ... იქნება დაეივიწყოთ როგორმე...

ალმერსა. დაეივიწყოთ ეიოლფი?

რიტა. ჩვენი მწუხარება, ჩვენი სინანული.

ალმერსა. ნუ-თუ შენ ეს გსურს?

რიტა. დიალ, რომ შეიძლებოდეს. (აღეღვებული) იმიტომ რომ,

- ასეთს მდგომარეობას დიდხანს ვერ გაეუძლებ! ოჭ, ნუ  
თუ ისეთს ვერას მოვიგონებთ, რომ დავვავიშკოს?  
აღმერსი. (თავს აქნებს). ისაც-კი ვერ წარმომიდგენია, თუ ეს  
შესაძლებელია?
- რიტა. იქნება შორს საღმე რომ წავიდეთ...
- აღმერსი. სახლიდგან? მერე შენ ხომ ისე კარგად არსაღა ჰერძ-  
ნობ თავს, როგორც შინ?
- რიტა. მაგრამ, იცოდე, მხოლოდ მაშინ, თუ რომ ჩვენს სახლ-  
ში სტუმრები მუდამ ბლომად იქმნებიან, ან და ისეთს  
თავგასართობს რასმეს გავიჩენთ, რომელსაც ჩვენი გა-  
ბრუება, ამ მწუხარების შესუბუქება შეეძლება...
- აღმერსი. არა, ავრეთს სიცოცხლეს ვერ ავიტან; ისევ ისა-  
სჯობს მაშ, ჩემს სამუშაოს დავუბრუნდე.
- რიტა (მკაფიოს კიდოთი). შენს სამუშაოს, რომელმაც ჩვენ  
შუა მთელი მთა ამართა?
- აღმერსი (აკერდება). ამას იქით უფრო დაშორებულები ვიქ-  
მნებით.
- რიტა. რისთვის?
- აღმერსი. ვინ იცის, იქნება ეს ბავშვის თვალები დღე და ღამ  
თვალ-წინ გვედგეს...
- რიტა (დაბალის ხმათ, კანკალით). ალფრედ, ეგ ისეთი საზა-  
რელი ფიქრია, რომ!
- აღმერსი. ჩვენი სიყვარული ერთ დროს ცეცხლივით მწველი  
იყო. მაშ უნდა ჩატერეს?
- რიტა. ჩატერეს!
- აღმერსი (მკაფრად). ერთს ჩვენთაგანს იგი კიდევაც ჩაუქრა.
- რიტა (თავზარდაცემული). მერე, პბედავ კიდეც და მეუბნები?
- აღმერსი (ტებილად). რიტა! მოისპო, მოკვდა ის სიყვარული,  
მაგრამ ის, რასაც ეხლა მე შენდამი ვგრძნობ ამ ერთ-  
ობისა და შენანების გამა, თითქოს განახლებად  
მეჩვენება.
- რიტა.. ძალიანაც მესაჭიროება ეგ შენი განახლება.
- აღმერსი. რიტა!

**რიტა.** მეც კაცი ვარ! მეც სისხლი მიღუდს, რომელიც შენს ცივს, გაყინულ სისხლს არაფრით ემზავება. (ხელებს იძრკულებს) და ი, სამუდამოდ განწირული ვარ, განწირული ქენჯნისა და ტანჯვისა მსხვერპლათ მერე ეისთან? იმ კაცთან, რომელსაც ამის შემდეგ ჩემობა აღარ ეთქმის, სხვისია!..

**ალმერსი.** საქმე მაინც ასე უნდა დაბოლოვებულიყო, რიტა.

**რიტა.** ჰმ, ასე უნდა ყოფილიყო! პირველად კი... ო, რა შეუდარებელის სიყვარულით ვიყავით ორივე გატა-ცებულნი!

**ალმერსი.** მხოლოდ არ დაივიშუო, მე-კი არა.

**რიტა.** მაშაბა რას ჰერძნობდი მაშინ, როგორ მეპყრობოდი?

**ალმერსი.** რასაც მაშინ ვგრძნობდი, ეს შემდეგი სიტყვით შეიძლება ვამოიხატოს: «შიშს» აი, რას.

**რიტა.** მესმის, მაგრამ, რითი დაგიმორჩილე, ნეტა?

**ალმერსი** (დაბალის ხმით). მაგ, კაცის დამადნობელის მომხიბლავის, სილამაზით.

**რატა** (აგვირდება). მარტო ამითი? სულ ეს იყო?

**ალმერსი.** არა, კიდევ სხვა რაღაც.

**რიტა.** ვიცი, მიგიხვდი, ეგ რაღაცა რა იყო? ეს იყო ჩემი ქონება“, როგორც შენ ამბობ ხოლმე. ხომ მართალია, ალფრედ?

**ალმერსი.** დიალ, აგრეა.

**რიტა** (უკედრებით შეჭურებს). ოჟ! განა შეგეძლო?

**ალმერსი.** ჩემთვის საჭირო იყო ასტასათვისაც მეფიქრა.

**რიტა** (მწეხარე და მწარე კალოთი). მაშ აგრე, ასტამ შეგვა-უდლა?

**ალმერსი.** არა, იმან არაფერი არ იცოდა. ეხლაც-კი არა იცის-რა.

**რიტა.** სულ ერთია. კველაფერი ეს ასტას მიზეზით მოხდა! (იღიმება და ქურდულად გადასვლებს საკედურით თვალს.) მაგრამ არა, უფრო-კი პატარა ეიოლფია დამნაშავე. იცი, რომელი ეიოლფი?

**ალმერსი.** ეიოლფი?

**რიტა.** დიალ, ეიოლფი. ხომ ასე ეძახდი ხოლმე ასტას? როგორ არა, მე მახსოვს. არ მახსოვს, როდის, მაგრამ

შენ თითონ გამომიტყდი ერთხელ. (აღმერსთან შვი). გახსოვს ის საათი,—ის ისეთი მხურვალე და მომხი-ბლავი რამ იყო?

**აღმერსი** (ზარდაცემული იუგან გაიწევს). მე არაფერი არ მა-სხსოვს და არც მინდა, რომ მახსოვდეს!

**რიტა.** ეს ის დრო იყო, ჩვენ რომ მეორე ეიოლფი დაგვი-კოქლდა!

**აღმერსი** (მაგიდის დაებჯინება; დაბალის წმით, ყრუდ). შურის-ძიებავ!

**რიტა.** დიალ, შურისძიებაა!

(ასტა და ბორჭევიძი სახავე ეზოს შერივ შემოდიან. ას-ტას ხელში უვავილები უჭირავს).

**რიტა.** (თავს იმაგრებს). ასტა, რაც კი სათქმელი გქონდათ, ხომ ყველაფერი უთხარით ერთმანეთს?

**ასტა.** ვგონებ ყველაფერი. (ქოლგასა და უკავდლებს სკამზედ დაწყობს).

**ბორჭევიძი.** სეირნობის დროს ქ-ნი ოლმერსი ძალიან ცოტის ლაპარაკობდა.

**რიტა:** მართლა? აი, ჩვენ, მე და ოლფრედმა კი ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს.

**ასტა** (შემფოთებული შექუურებს ხან ერთსა და ხან მეორეს). რა იყო, რა მოხდა?

**რიტა.** დიალ, ჩვენ იმდენი რამ ვუთხარით ერთმანეთს, რომ ვგონებ, მთელს სიცოცხლეში გვეყოს. (კიდოს გა-მთაცელის). წავიდეთ ყველანი. მაღლა ავიდეთ. ამის შემდეგ ჩვენთვის საზოგადოებაა საკირო. თორემ მე და ოლფრედი ერთმანერთთან ვერ მოვთავსდებით.

**აღმერსი.** კარვი, წალით. (ასტას გენ მაბრუნდება) და შენ კი, ასტა, რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრა.

(რიტა და ბორჭევიძი შედგართს ბილიკთ აფლიან).

**ასტა** (შეწუხებული). რა მოგიხდათ, ოლფრედ?

**აღმერსი** (მოღრუბლული). ის, რომ აქ ცხოვრება ოლარ შემი-ძლიან.

**ასტა.** აქ, ე. ი. რიტასთან?

**აღმერსი.** დიალ, მე და რიტას ერთად ცხოვრება ოლარ შეგვი-ძლიან.

- ასტა (ადმინის ხელი, დაჭრებული, და ახულოების). საშინ ელებაა, ამას რას ამბობ, ალფრედ!
- ადმენისი. კეშმარიტად აკრეა! ჩვენ მხოლოდ ერთი მეორეს-და ვაბრაზებთ.
- ასტა (მწერალებისაგან აღელვებული). ოჰ, ნუ-თუ მოვიფიქ- რებდი, რომ ასე მოხდებოდა!
- ადმენისი. ამაზედ დღემდის არც მე მიფიქრია.
- ასტა. ახლა გინდა!.. რომ... გამაგებინე, რა გინდა ალფრედ?
- ადმენისი. მსურს გაუვიკარონ, აქაურობას მოვშორდე.
- ასტა. გსურს, ისევ მარტოდ - მარტო იყო?
- ადმენისი (თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს). დიალ, ისევ მარ- ტოდ-მატრო, როგორც წინად.
- ასტა. შენ სრულიადაც არა ხარ ისეთი კაცი, რომ მარტო იცხოვრო.
- ადმენისი. რატომ არა? თუ კი წინად შემეძლო.
- ასტა. წინად! მაგრამ მაშინ მე ვიყავ შენთან.
- ადმენისი (ჭერს ასტას ხელი გამოართება). რასაკვირველია, აგრე იყო. და ის, ეხლაც შენთან ერთად მსურს ვი- ცხოვრო, ასტა.
- ასტა (არ აძლევს). ჩემთან? არა, არა, ალფრედ! ეს შეუ- ძლებელია!
- ადმენისი (მოწევილი შეკუჯრებს). მაშინადამე, ჩვენ შუა ბორ- პერიმი სდგას!
- ასტა (ცოცხლიდ). არა, არა! სცდები. ის არაფერს შუაშია.
- ადმენისი. მაშ კარგი. თუ აგრეა, მოვდივარ შენთან, ჩემო დაო, ჩემთვის შენ უთუოდ საჭირო ხარ. უნდა უთუოდ შენთან ვიმუოფებოდე რამოდენიმე ხანი, რომ გან- ვიწმიდო და კვალად აღვსდგე ამოდენი ხნის შემდეგ, რაც მასთან ვცხოვრებ...
- ასტა (განრისს გებული). ალფრედ! რიტასთან დამნაშავე ხარ შენ!
- ადმენისი. მართალია, ვიყავი, მაგრამ ეხლა აღარ ვარ. ოჰ, ასტა, მოიგონე, როგორ კარგად ვცხოვრობდით ერთად! თავისუფალნი, ბრწყინვალე დღესასწაულივით მხია- რულნი!

- ასტა. დიალ, ევ მართალია, ალფრედ! მაგრამ ამ სიტუაცია  
ბის, ამ ცხოვრების ორჯელ გამოცდა შეუძლებელია.
- ალმერსი (მწარედ). შენ გინდა სთქვა, რომ ქორწინებამ გამო-  
უბრუნებლად, სამუდამოდ შემბლალა?
- ასტა. არა, ამის თქმას სულაც არა ვფიქრობდი.
- ალმერსი. მაშ თუ აგრეა, ჩვენ ისევ ძველს ცხოვრებას დაუუ-  
რუნდებით.
- ასტა (გარდაწყვეტით). შეუძლებელია, ალფრედ!
- ალმერსი. შეიძლება, შეიძლება. ძმისა და დის სიყვარული...  
თავდებია.
- ასტა (თავს იმაგრებს). კარგი, აბა, განაგრძე!
- ალმერსი. არის ერთად-ერთი კავშირი, რომელიც ევოლიუციის  
კანონს გამოჰქმარვია...
- ასტა (შემცრთალი დაჭრუნავს თავს). მაგრამ ჩვენს შორის  
რომ არ...
- ალმერსი. რა?
- ასტა. სულაც არა არის და-ძმური დამოკიდებულება?
- ალმერსი (განცეკიფრებული შექტურებს). ღვთის გულისათვის, რა  
გინდა სთქვა?
- ასტა. კარგი, ალფრედ! სჯობია მაშ ბარემ ყველაფერი ერთად  
გითხრა.
- ალმერსი. რასაკვარველია, სთქვი!
- ასტა. ის დედას წერილები... პორტფელში რომ მაქვს...
- ალმერსი. მერე, რა?
- ასტა. როდესაც მე წავალ, უთუოდ უნდა წაიკითხო.
- ალმერსი. მერე რისთვის?
- ასტა (საშინალებ აღელვებული). იქიდგან შეიტყობ...
- ალმერსი. სთქვი, რას?
- ასტა. რომ მე უფლება არა მაქვს... მამიშენის გვარი ვარა  
რო.
- ალმერსი (თავზარდაცემული განზედ გაიწევს). ასტა! რას ამბობ  
მაგას?
- ასტა. წაიკითხე, ეს წერილები და პნახავ, ყველას მიჰევდე-  
ბი. და იქნება მაპატიო კიდეცი... მეც და დედასაც.
- ალმერსი (საფეხქებზედ ხელს იტაცებს). ლაშის მთლიად დავიბნე-  
თავი მიბრუის. შენ, ასტა, მაგრამ არა....

- ასტა.** შენ, ალფრედ, ჩემი ძმა არა ხარ!
- აღმერსი** (გაბედვით და მუდარის გამომეტევილებით). მერე, რა არის განა! განა ამით ჩენი დამოკიდებულება ერთმანეთთან შეიცვალა? სრულიადაც არა.
- ასტა** (თავს აქნევს). ყველაფერი შეიცვალა, ალფრედ! ეს დაძმის დამოკიდებულება აღარ იქნება.
- აღმერსი** მართალია, მაგრამ ამითი ხომ იმ დამოკიდებულებას, რა დამოკიდებულებაც ჩვენ გვქონდა, არაფერი ეყნება, იყი თავისს სისპერაკეს არა ჰყარგვეს. სამუდამოდ ისე დარჩება, როგორც აქამდის იყო.
- ასტა.** ნუ დაივიწყებ, ალფრედ, რომ ამის შემდეგ იგიც იმას დაემორჩილება... რასაც შენ „ევოლიუციის კანონს ეძახი՞“
- აღმერსი** (გამოსაცდელებად ძალიან აკვირდება). მაშ გინდა სთქვა, რომ...
- ასტა** (ჩემად, აღელექტული). სიტყვა აღარ სთქვა, საყვარელო ალფრედ. (სკამიდან უკავილებს აიდებს). ამ წყლის იასამანს ჰედავ?
- აღმერსი** (ოდნავ და მძიმედ უქნევს თავს). ეგ იმ გვარისაა, რომ-ლებიც ფესვებს ლრმალ გაიდგმენ ხოლმე.
- ასტა.** ეს იასამანი ტყის წყაროს პირას დავკრიბე, სწორედ იმ ადგილას, საღაც წყარო ზღვაში გადაქუჩს. (უკავილებს აძლევს). არ გინდა, ალფრედ, აიღე?
- აღმერსი** გმაღლობ.
- ასტა** (თვალცრუმლიანი). უკანასკნელს სალამს გიძლვნიან პატარა ეიოლფისაგან.
- აღმერსი** (შექუურებს). იმ ეიოლფისაგან, რომელიც იქ ზღვის ძირას არისეს. თუ შენგან?
- ასტა** (ჩემად). ორივესაგან (ჭოლგას აიღებს). ეხლა ზემოდ წალი რიტასთან (ბილაგს გაუდგება).
- აღმერსი** (მაგიდიდგან შლაპას აიღებს და მწუხარე კილოთი შიჭმართავს ასტას). ასტა... ეიოლფ! პატარა ეიოლფ!.. (უგან გაჰქვება).

ინ-ანი

(დასასრული მეორე მოქმედებისა)

# ოՐՈ ՀԵՑՈՑԻՇԱ

(ԸՆՍԱՏՐԱԿԱՆ\*)

Կոնց պռլուս Շերտվուս Շեթքը Յարուշի ոյու և օյ ուսցը  
հայուղքիոց ալբապետուլս մեցոնձրական պետքանքնեան արարեթքնեն  
ուս և մուշլու Շեթքը ուսցը Ֆաւուլութերգի Բազութա և օյունան  
սբյուս մուշլուս: „ԵՇՈՒՐԱԾ զոթեսենք եռլուց օյ ու լուցքնես, հուս  
օյ ուսցուտ... հաւ սինդա մուշլուս, հայեն մանց սուզուլումամքուս ցանչ-  
սբյուլու լազրիցտ. մահուալուս, մանդասրմա կրուրույուսեծմա մուլուած  
յրտուանած ցագամպուազյէս, մացրամ մե կո մանց սուպութլուս զու-  
բանցօն: յեց ոցու, մե տյշեն մուցարեսահու, տյշենիւ զայտուիրուն,  
սուտյշենու մուշյունու զար”... „Ծուզու եանու տյշենս Շյեսաեց  
առա յուրու-հա, հյեմու յցուրտասու մեցոնձարու! այս պետքանքնա առ  
մուցարս; այս մցոնուս, հյեմու արսեցնուս յրտու նախուլու մայլուս...  
նախցամքուս, հյեմու սացարելու մեցոնձարու. տուտյմուս մույլու հյեմու  
պետքանքնա սուտյշենու ցազարարյ. ամանց սմեցացսու ոյնցնա համբէ  
հուցուրու սուցութանուս, մույլուս հյեմու ցուլուտա և սուլուտ մու-  
ցարեսահու... տյշենու Բինանցուլու ցրմնուցնեն առ մոմայլուտ.  
սուցությունիւ սուտյու յցուրտասու ամ պետքանքնա յս առուս հյեմ-  
տվուս”... „ամանց սուտյու սուսուլյույ ցոնաեցստ համբէ, նոյ տոյ  
այս յրտմանցը մուշուրեցնուլու սինդա զուցնետ մույլու հյեմու  
սուպութլու! մե օյ ցանցուցուլուտ զպետքարուն, տյշենու հուս օյ  
սպետքարունուցտ սալուց մաթլունցնել ցամոյածնուշնու, մերու առա

\*.) ու. „մռամնեց” № V.

მინდა-რა. ნახეამდის, ჩემო კეთილრ და ძვირფასო მეგობარო! თუმცა ეს საუკუნე მეტად გულუიყადა სისტიკი, მაგრამ მარტო ჩვენი მეგობრობაა საკმარისი, რომ შემაყვაროს იგი. მრავალი რამ თოლვევა და ჰქონება ჩვენს თვალს წინ, მაგრამ ეს მეგობრობა ისეთი რამ არის, რომ თავის დღეში არც გაჰქონდა და არც შესუსტდება... იერემიასი არ იყოს, დავიყვირებდი, რომ შესაძლო იყოს: იერუსალიმ! იდეალურო სიონო, წმინდა გერმანია იღუპები! გერმან ელთა ტაძარი ირლვევა\*), ამ ნანგრევებზე ვდგავარ და გეხვევი და მიყვარხართ, როგორც ერთი უშმვენიერესი ანგელოზი მოშავლისა. ძვირფასო ანგელოზი! განთავისუფლდით ცაეპისაგან“. „გულ-ახდილი გეტყვით, რომ უთქვენოდ და კიდევ უზოგიერთოდ ეს დედა-მიწა საზიზლრად მომეჩვენებოდა. ნუ თუ შესაძლოა, რომ ლვთის სული ჰქონდეს ჩაბერილი ისეთ ადამიანებს, როგორიც ზემოხსენებულია (კუზენი). ამ გვარი შემთხვევა ეჭვს მიძრავს პანტეიზმის შესახებ. მაგრამ ეს კი თავის დღეში საეჭვოდ არ მექმნება, რომ თქვენში კარგა ძალი ლვთაებრივი ნაწილია მოთავსებული. ნახეამდის! თქვენი ერთგული მორწმუნე“. „ჩემო კეთილო და დიდებულო მეგობარო, თქვენი გამარჯვება ჩემი გამარჯვება. საჭიროა, რომ თქვენ გაიმარჯვოთ ორივე ჩვენს მაგივრად. იყავით ბედნიერი ისე, როგორც სახელოვანი ხართ. ნუ დამივიწყებთ თქვენს გამარჯვების დღესასწაულში“.

ასეთის აღტაცებულის, ასეთის წმინდა გრძნობებით არის აღსავსე ამ შესანიშნავის კაცების მიწერ-მოწერა. კინ ეს გულისა და სულის დიდებულობის უკეველი საბუთია ამ გვარი უცვლელი და მტკიცე მეგობრობა და გრძნობის ასეთის წარმტაცის ენით გამოხატვა. ზემოდაც მოვისენიეთ, კინ ესთვის ეს ხანა ისეთი ბედნიერი იყო, რომ ჩვეულებრივ მომაკვდავთა აზრით ყოველივე უნდა დავიწყებოდა. აღგზნებულად შეყვარებულს, მრავალის

\* ) კინე აქ ძველის გერმანიის დარღვევაზე ლაპარაკობს, რომლის შემდეგაც გაერთიანებული გერმანია უნდა გამოვიდეს ისტორიის სცენაზედ— მისივე აზრით.

ტანჯვის შერმე ძლიერ ელირსა თავის საყვარელ არსებასთან (მინა-მორე) შეკავშირება. მაგრამ ამ გაბედნიერებამ მის გრძნობას მიშლესაღმი ცეცხლიც კი მიუმატა. გარდა ამისა, ორივე მეგობრები ერთსა და იმავე სარბიელზედ მოღვაწეობდნენ ისტორიაში და ლიტერატურაში. კინე ხელავდა, რომ მეგობარმა ერთობ წაასწრო, რომ მისი მეგობრის დიდებულებას მტრებიც კი ვერ ჰყოფდნენ უარს, მაგრამ მის თავში ერთი წუთითაც, ერთხელაც არ გაუელვებია შურისა და სიხარბის რაიმე მსგავსს. მისი მეგობარი, დიდებულად აღიარებული, ნივთიერადც კარგად მოეწყო. მას პროფესორობის ადგილი უკვე ჰქონდა დაჭრილი მაშინ, როდესაც კინე ძლიერ ირჩენდა თავს პონორარებით, რომელსაც იგივე მიშლე უხერხებდა, მაგრამ არც მა შემთხვევას გამოუწვევია რაიმე მსგავსი თუ გინდ გულის-გაგრილებისა. ეს გასაკვირველი კი არ არის ისე, როგორც არც ის იქმნებოდა გასაკვირველი, რომ წინააღმდეგი მომზდარიყო — ქვეყანაზე გასაოცარი არა ხდება-რა, მაგრამ რამდენად აღტაცებული ხარ კაცი, რამდენად მაღლობელი და კრაიონილი, როცა ხედავ, რომ ამ აღამიანებს სწორედ ლვთის სული ჰქონიათ ჩამორილი, რომ მათ უმაღლესს, იდეალურს განწყობილებას არავითარი მიწიერი ჩირქი და ბიწიერება არ მოსცებია. გიხარია და თავი მოგწიანს, რომ კაცობრიობას კიდევ არ მოსპობია ლვთის მსგავსი აღამიანები. მაგრამ ქართველ მკითხველს კი გული უფრო უკვდება და უფრო შხამით ევსება, რომ გადაავლებს თვალს თავის ლიტერატურის დიდებულ პირთა ბიოგრაფიის და დაინახავს, რამდენად ეს დიდებული შორს იყვნენ ლვთაცებრივობაზე და ბრმა არ არისო. და ბოლოს თავისის სიცოცხლისა და ცხოვრების მიზნად და საზოგადო მოღვაწეობის აზრად ის აღუარებიათ, რომ ერთი მეორეს ყოველნაირი სიბინძურე მოახვიოთ თავზე და შემდეგ, თუ მოახერხებენ, სამარის კარამდისაც გალანძღვლი და გულ-გახეთ-

ქილი მიიყვანონ. მაგრამ თუ ჩვენი ცხოვრება სანუგეშოს არას გვაძლევს, სხვაგან მაინც ვიძიოთ სულის ერთი წუთით მომასევნებელი, სასოების წარწყმედისაგან იქნებ რაიტე ნაირად თავი დავაღწიოთ ერთს საათს შაინც.

მიშლეს ნიადაგი ზრუნვა და ფიქრი ის იყო, რანე ნაირად კინესათვის კათედრა ეშოვა პარიზის უნივერსტეტში, ან მასწავლებლის ადგილი პარიზში, რომ მეგობარნი განუყრელნი ყოფილიყვნენ. მაგრამ კინეს აზრებს არა ჰყავდა მოსარჩევე და თანამედრობი იმ დროის უფერულ ბურეუაზიულ მთავრობაში და ძლიერ გასაჭირი შეიქმნა ეს საქმე. მხოლოდ 1838, როცა ვილმენსმა (შესანიშნავი კრიტიკოსი და ისტორიკოსი XVIII საუკლიტერატურისა) იშოვნა მინისტრობა, კინეს მისცა პროფესორობა ლიონში და კინეც დასთანხმდა, მით უმეტესს, რომ მიშლემ ურჩია—ლიონი პარიზის გზა არისო. „ვსთანხმდებიო—სწერს იგი მიშლეს,—ამით დიდი მსხვერპლი მოვუტანე აზროვნებას. თუ ამით (ლიონში წასვლით) თქვენ ვერ გიახლოვდებით და თუ ამით ვერ მივაღწიე მას, რომ დანარჩენი ჩემის ცხოვრებისა გამეტარებია თქვენთან და ჩვენ მეგობრებთან, მე მაინც რაც კი შემეძლო ყოველივე ლონე ვიხმარე, რომ დაგახლოვებოდით. ნახვამდის, ჩემო მეტად ძვირფასო მეგობარო! გიყვარდეთ ისე, როგორც მე მიყვარხართ“. მიშლე ჰქითხულობს და სტამბავს კინეს თხზულებებს. „თქვენი La vis des jesus საერთო აღტაცებას იწვევს“, —სწერს მიშლე კინეს. „ბედნიერი ვარ, რომ საერთოდ მოწონებული დარჩა თქვენი თხზულება, რაიცა თქვენ ეგრე მაღლად გაყენებით. პარიზში თქვენი თხზულება დიდ სახელს მოიხვევს“. მიშლეს ამ დროში ცოლი მოუდღება. ის მაინც არ შესწყვეტს კინესთან წერას, მისი თხზულებების კითხვასა და განსჯას. „საფრანგეთის უნივერსიტეტში წავიკითხე თქვენი ლექსები (les boscs du Rhin), რომელნიც აღტაცებით იქმნენ მოსმენილნი. მე ვსთქვა, ის რაცა მრწამს, — რომ თქვენ ხართ ერთი იმ ორ და სამ დიდებულ პოეტთაგანი, რომელიც ამშვენებს პროზით აღსავს ამ ქვეყანას. თქვენ თან

და თან იკავებთ თქვენს შესაფერს ადგილს ლიტერატურა-ში...“

მიშლეს თავისი ოცნება აღუსრულდა და თავისი ცდა არ გაუ-  
ცუდდა. 1841 წ. კინეს პარიზის უნივერსიტეტში მისცეს კათედრა-  
სამხრეთ ევროპის ლიტერატურისა და მათი მეგობრული კავ-  
შირი, რასაკვირველია, კიდევ უფრო განმტკიცდა, თუ კი შე-  
საძლო იყო ესა. სულიერსა და გონებრივ თანხმობას ზედ და-  
ერთო თანხმობა მოქმედებისა და ორი აღტაცებული კაცი  
შეუდგნენ ახალგაზღობის აღზრდასა და წვრთნას, მას ულვი-  
ძებდნენ საუკეთესო გრძნობებსა და აზრებს. იგინი ამხედრდნენ  
პოლიტიკურის ინდიფერენციისმისა და გარუცნილების წინააღმ-  
დებ, გამოილაშქრეს იეზუიტების წინააღმდეგ სარწმუნოებასა  
და პოლიტიკურს მოქმედებაში. ამ დროებზე მოდაში იყო შე-  
მოსული განსაკუთრებული გატაცება პაპისმით და სარწმუნოე-  
ბაში საშინელი მოუთმენლობა დამკვიდრდა; შატობრიანიც კი  
გაიტაცა რეაქციამ. პროფესორები ორ დასად გაიყო. მიშლე  
და კინე, მათი ახალგაზღა თაყვანისმცემლებით ეომებოდნენ  
აზრითა და გრძნობით ხანს გადასულს დასს პროფესორები-  
სას, რომელიც გააფთრებულის კათოლიციისმის დაცვას კის-  
რულობდა. კინეს ლექციები ამის გამო შეჩერებულ იქმნა,  
რაღაც ბრალად დასდევს საგანს გადასცდაო. მართალია, აზ-  
რი და გრძნობა თითქმის მთელის სახოგალოებისა მიშლესა  
და კინეს მხარეზედ იყო და ასეთი გამარჯვება მათ ყოველივეს  
ერჩიათ, ხოლო ფაქტიურად ინტრიგებისა და ქვეშ-ქვეშაობის.  
წყალობით იეზუიტები იმარჯვებდნენ. Revus des deux Mondes-  
მაც უდალატა ორ მეგობარსა. ამ ეურნალის რედაქტორმა  
სიცუკა მისცა კინესა და მიშლეს, თქვენი საწინააღმდეგო ჩემს  
ეურნალში არა დავსტამბო-რაო და მოატყუა და მიშლეს წი-  
ნააღმდეგ ამხედრდა. კინემ არც აცივა არც აცხელა და მაშინვე  
რედაქტორს თავი დაანება. საშინელ გაცხარებულ ბარათსა  
სწერს მიშლეს ამ შემთხვევის გამო და ასე ათავებს: „ნახვამდის,  
საყვარელო მეგობარო. ეს ჩემი ზომაზედ გადასული გაჯავრე-  
ბა დამანახვებდა, ამდღნად მე თქვენ მიყვარხაოთ, რომ კიდე-

ვაც არა მცოდნოდა-რა თქვენდა მომართ ჩემის გრძნობის ძლიერების „შესახებ“. კინე ამ ფამად ესპანიაში იყო, რათა აღგი-ლობრივ შეესწავლა ინკვიზიციის ისტორია. ჩემულებრივად, აქედანაც ხშირადა სწერს მეგობარს ბარათებს და ამხნევებს: „ნუ-რასი გეშინიანთ, იცოდეთ, რომ ჩემი ფიქრები ნიადაგ თქვენთან არის.“ 1845 გამოვიდა კინეს „ქრისტიანობა და საფრანგეთის რევოლუცია“, რომელსაც წინ მიუძღვოდა შემდეგი წერილი მი-შლებადმი: „ერთი ჩემთვის მიუკილებელი რამ ეკლებოდა ამ წიგნს, რომ თქვენთვის არ მეძღვნა, თქვენთვის, ჩემთ მეგობარო და ძმათ გულისა და ფიქრისა. რა შემთხვევას უნდა მივაწეროთ ის მოვლენა, რომ იმ დღიდან, რაკი ჩევნ ერთმანერთი გავი-ცანით, ერთად ვიყავით, თუ ერთმანერთზედ დაშორებულნი, ყო-ველს წუთში ერთსა და იმავეს ვთიქრობდით, ერთი და იგივე გვწამდა და ხშირად ერთსა და იმავე საგანს წარმოვიდგენდით ხოლმე—თუმც ამაების შესახებ არც კი გვილაპარაკნია ერთმა-ნერთთან. ჩევნთვის ეს თანხმობა სულისა იყო დამამტკიცებე-ლი საბუთი ჩევნის აზრის კეშმარიტებისა; ოცი წელიწადია ჩევნ ამ ნაირადა ვართ შეკავშირებულნი“. შემდეგ კინე თავისი თხზულებებისა და ლექციების გეგმას იხსენიებს. იხსენებს თავისს მტრებსაც, რომელთაგან უსამართლო დევნა მას ბრაზს კი არა ჰგვრიდა, არამედ აძლევდა შემთხვევას ებრძოლა თავის თავთან, მის ბრძოლას ძალას უმატებდა და უფრო აქეზებდა და ამაგ-რებდა კეშმარიტებისათვის ბრძოლაში და ბოლოს: „ამ სიტყვე-ბსა ვსწერ და წინდაწინვე ვიცი, ჩემთ მეგობარო, რომ ამ სიტყვებით თვით თქვენ აზრსაც გამოჭირვამ. ჩევნის მოლეა-წეობის საუკეთესო ნაწილად ყოველთვის მიმაჩნდა. ის, რომ ჩევნის არსებითის თანხმობის საბუთებს ვიძლეოდით. თუ ვისამე გრძნობაზედ რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენს ეს წიგნი, მსურს იმანა სთქვას: „დახეთ ამ თუ ადამიანს, ყოველთვის ერთსა და იმავე საგანს ემსახურებოდნენ და მათი მეგობრობა დღითი დღე სიკვდილამდის იზრდებოდა“. ამავე 1845-ში სტუდენ-ტებმა მიართვეს მიშლეს, კინეს და მიცკევის მედალი, რო-მელზედაც ზემოხსენებულის სამის პროფესორის სახე იყო გა-

მოქანდაკებული და ქვეით ეს წარწერა პქონდა: „საფრანგეთი და საფრანგეთის უნივერსიტეტის სტუდენტები“. სტუდენტთა წარმომადგენლმა ამ სიტყვებით დაათავა ამ სამის ლილებულის პროფესორის დახასიათება: „მხოლოდ ამათ არ დასტოეს ჩვენის ისტორიის ღიადი დღეების ხსოვნა და სწავება და მხოლოდ ამათის შეალობით დავუკავშირდით ამ ღიადებულს წარსულს“. მეზალის მეორე გვერდზედაც ეს ლათინური წარწერა იყო „ut omnes sumus sint“ (ყველანი ერთად იყვნენ).

კინეს მიშლემაც უძლვნა თავისი წიგნი „ხალხი“ (peuple). ამის შემდეგი ბარათი მიშლესი აი რა შინარსისა. უეს წიგნი რაღაც წიგნზედ მეტია; იგი თვით მე ვარ. ამიტომაც იგი თქვენ ვეკუთენით. გავგედავ და ვიტყვი, რომ ეგ წიგნი მე ვარ და იგივე ხართ თქვენ. თქვენ ძლიერ კარგად შენიშვნეთ, გაგვიზიარებია თუ არა ერთმანეთისათვის ჩვენი აზრი, ეს სულ ერთი ყოფილა, ყოველთვის ჩვენი აზრი ერთმანეთის თანახმა ყოფილა. ჩვენ ერთისა და იმავე გულით ვსკოვრებთ. მშვენიერი პარმონია და საკვირველი რამ არის ეგ პარმონია, მაგრამ განაბუნებრივი არ არის? ჩვენის შრომის სხვადასხვაობა ერთსა და იმავე ცოცხალს ფესვებზედ ალზრდილა: ეს ფესვია „საფრანგეთის გრძნობა და მამულის სიყვარული“. მაშ მიიღეთ ეს წიგნი ხალხის შესახებ, რადგან იგი თქვენა ხართ და იგივე ვარ მე“. ალტაცებით აღაესო კინე მ აწერილმა და მაშინვე გამოხატა წერილში ეს ალტაცება. „რა მშვენიერი საჩუქარია, ჩემო მეგობარო! არ შემიძლია გამოვთქვა, რას ვფიქრობ მის შესახებ. ჩვენს შემდეგ ყველას ეცოდინება, რომ დღითი დღე უფრო და უფრო უუახლოვდებოდით ერთმანეთს...“ „სანამ თქვენ ეყოლებით (თქვენ კი ყოველთვის ჩემი დარჩებით) რას დავეძებ, იზარდოს ჩემ მტრებთა გუნდმა; ჩვენი კავშირი ისე მჭიდრო და მტკიცე გავხადოთ, როგორიც თავის დღეში არა ყოფილა. წ ჩვენს მტრებს თავისდღეში ოცნებითაც კი ვერ წარმოუდგენიათ ჩვენ შორის ჩადგომა“. 1846-ში კინეს ხელ ახლა მისცა წინადაღება მინისტრმა, შენის ლექციების საგანი შესცვალეო. კინემ ჩვეულებრივის სიმტკიცით უარპყო ეგრეთი. წინადაღება

და ასეთი წერილით მიშმართა მინისტრს. „ჩემის ლექციების პროგრამმა არის დაფუძნებული იმ პრინციპზედა, რომელიც მე მიმართ აღმართულია და განათლების ქვა-კუთხედათ. მოსპეციალური მინისტრი და მოისპობა ჩემი მოქმედება სწავლა-განათლების ნიადაგზედ, მე მოკლელებული ვიქნები ყოველივე საშუალებას, რაიმე გავაკეთო ამ ასპარეზზედ. ბატონო მინისტრო, თქვენ აღმიკრძალეთ ლიტერატურასა და საზოგადო დაწესებულებათა შორის კავშირისა და მათი ურთიერთშორის გავლენის შესახებ ესთქვა რამე; კი, მაგრამ ეს კავშირი, ეს დამოკიდებულება არის მეცნიერული და ფილოსოფიური საფუძველი ყოველივე საგნისა, რომლის შესახებაც მე უნდა წავიკითხო ლექციები; იგი ჩემის კათედრის არსებობის მიუკიდებელი პირობაა: უამისოდ მას არ შეუძლია აღასრულოს თავისი როლი. სწორედ ამ მიზეზით მიკაეთ მე იგი კათედრა; მოსპეციალური ხასიათი მისი და მისი არსებობაც მოსპობილია. თუ თქვენი წინადადება მივიღე, ჩემი ლექციების კათედრა ჩემისავე ხელით უნდა დავამსხვროთ და უნდა ვუდალატო არა თუ სწავლა-განათლების ჩემს პრინციპს, არამედ საზოგადო პრინციპს ლიტერატურისა, ისტორიისა და ფილოსოფიის სწავლებისას.

ყოველივეს ვარჩევდი იმისთვის უცნაურს მდგომარეობას, რომლის თავი მოთხოვნილება იქმნება ვუდალატო ჩემს გულწრფელობას თქვენს წინაშე, საზოგადოებისა და თვით ჩემის თავისი წინაშე“.

29 იანვარს, 1846-ში, როცა მიშლემ დაიწყო თავისი ლექციების კითხვა, სტუდენტებმა დიდი მანიფესტაცია მოახდინეს. სასმენი ზალა გაჭედილი იყო და კინეს უნივერსიტეტიდან დახსოვნის გამო აღელვებული მსმენელნი იძიებდა დროს. თავისი გრძნობები ხმა მაღლად განეცხადებია. მიშლე აღელვებულის ხმით და თითქმის თვალცრემლიანი გაიხსენებს საყვარელს სახელს, გაიხსენებს სულისა და გულის საიდუმლო კავშირს, რომელიც აერთებს თავის აზრის თანამოძმე და მეგობართან. აღტაცებული ტაშისცემა და ვაშა-ვაშას ძახილი დიდხანს გაისმის ზალუში, როცა კინეს სახელი წარმოითქმება, და მიშლეც მაღ-

ლობას უხდის საზოგადოებას თავისს მეორე „მე“-ს მაგიერად“ კინესთან ამის შემდეგ სტუდენტებმა დეპუტაცია გაჰგავნეს, რომლის აზრი იყო პროცესტი განეცხადებია კინეს ლექციების მოსპობის გამო. კინემ ჩინებული პასუხი უთხრა დეპუტაციას: „„ასჯერ უმჯობესია თავის დღეში არ გნახოთ, ვიდრე გნახოთ და თან წამოვილო ჩემის პრინციპების ნახევარი.. სწავლება მარტო სიტყვით არ შესაძლებელია, სიტყვა საქმით უნდა იყოს განხორციელებული და მოელის ცხოვრებით უკვდავად გარდაქცეული. მართალი გითხრათ, მე არა მგონია ჩემს ლექციებს იმდენი სარგებლობა მოეტანოს თქვენთვის, რაც მოგორუნათ იმ შემთხვევამ, რომლის მოწმედაც თქვენა ხართ ეს რამდენიმე დღე.... მართალიც რომა ვსთქვათ, რა მნიშვნელობა აქვს პირადობას და მის შემთხვევას. თესლი დათხსილია, განლვიძების ზარი დარეკილია. ეს ახალმა თაობამ გაიგონა და აღარ დაიძინებს. თქვენ მოუხვეჭთ დიდებას ჩვენს ქვეყანას და ეს იქნება ჩემის შრომის ჯილდო, თუ კი ჩემი შრომა ჯილდოს ღირსია. მაში გვიფიცოთ აქა და აღუთქვათ კიდევ ერთხელ ერთმანეთს და რაც უნდა დაგვემართოს, მაინც მტკრცელ ვემსახუროთ თავისუფლებისა და მეცნიერების კავშირს; რა მდგომარეობაშიაც არ უნდა ჩავარდეთ, თავის დღეში არავის შევაბლალვით ჩვენის გონების დიდებულება და ჩვენის ზნებრივის ცხოვრების უფლებანი. ამაშია ხსნა კერძოდ ყოველივე ჩვენთაგანის და საზოგადოდ კი—თვით ჩვენის ქვეყნისაც“.

მიშლე თავისს მეგობარს ატყობინებს ყოველივე მოვლენას უნივერსიტეტის ცხოვრებიდან. თუ რასმე დაწერს, პირევლად კინეს გაუგზავნის; რასაკვირველია „რევოლუციის ისტორიის“ ერთ ტომს უგზავნის და თანაც მიშლე სწერს მეგობარს: „ქ. კინეს ძეირფასსა და წმიდა ხელს ვაბარებ, ჩემო მეგობარო, რაც კი რამე მყავს ამ ქვეყნად ძვირფასი: შენთან ერთად ჩემს შვილ ალფრედი... რაღა დამრჩნია ამ ქვეყნად, თუ არ თქვენ? მხოლოდ სულის და გონების ნათესაობა დამშენენია ამ სოფლად“.

1848-ში მიშლემ მეორე ცოლი შეირთო და ამ დღიდან მათი “ეჭითაბა”, როგორც ამბობს ამ მშვენიერის წიგნის ავტორი ქ-ნი კინე, გათავდა. აქნობამდის მათი ცხოვრება შედუღებული იყო. 1848 წლის ნოემბრიდან სხვა სახელი ამოუღება გვერდით მიშლეს სახელს, სხვა ძალა შეიქმნება მისი ცხოვრების უფალი.. რაღა თქმა უნდა, „უწინდელი კავშირი თავისდღეში აღარ განახლდება“. ჩვენ კი გვგონია, ქ-ნი კინე აქ, ცოტა არ იყოს; სცდება და ეჭვით არის შეცდომაში შეყვანილი. მართალია, მიშლეს, როგორც ჰგავს, უწინდელი ცოლი დიდათ არად მიაჩნდა და, რასაკვირველია, კინეზედ უძვირფასესი ქვეყანაზედ სულიერი არა ჰყანდა და მერე, რა კი სიყვარულით აღტაცებულმა შეირთო ცოლი, საყვარელ მეგობარს გვერდით საყვარელი ქალი ამოუღება მის გულში; მაგრამ ვერასფერი დამამტკიცებელი ხაბუთი ვერა ვნახეთ ჩვენ ამ წიგნში და ვერც ორ მეგობართა წერილში იმისი, რომ მიშლეს გრძნობა კინესადმი შეცვლილიყოს. წინააღმდეგ, უფრო გაძლიერებულიც გვეჩვენება ეს გრძნობა და ეგრეც უნდა ყოფილიყო. რაც უნდა განვითარებული, განათლებული და ნიჭიერი ქალი ყოფილიყო მიშლეს მეორე ცოლი (და მართლაც რომ ეგრე იყო), მანც ისეთს მეგობრობას ვერ დაავიწყებინებდა მიშლეს. 50 წლის კაცი იყო და თითქმის 25 წელიწადი თავისი ცხოვრებისა გაატარა ამ მეგობრობის თაყვანის ცემაში და განა შესძლო იყო, რომელსამე სხვა გრძნობას იგი გაექრო და მისი ადგილი სავსებით დაეჭირა. გარდა ამისა, გრძნობა მეგობრობისა ისეთივე ბუნების მოთხოვნილებაა, როგორც გრძნობა სიყვარულისა, ეს ორივ გრძნობა თითქმის ერთის ძლიერების არის და პირველი უფრო წმინდა და იდეალურია კიდევაც. ეგ ორი გრძნობა ადამიანის სულის ორგვარის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია და ერთს მეორეს როლის აღსრულება არ შეუძლია.

ამ გრძნობამ მეგობრობისამ მიშლესა და კინეს დამოკიდებულებაში მოიპოვა სამაგალითო განხორციელება—ასეთი კავშირი მხოლოდ არა ჩვეულებრივ ადამიანთა ხელისა და ყოვ-

ლად შეუძლებელია ისეთი შაბლონური ბოლო მისცემოდა, როგორც ქ.ნ. კინესა ჰერინია. აქ ერთია მხოლოდ უეჭველი: ეს ის, რომ მიშლეს ახალ ცოლს არ ექაშნიკებოდა მისი ქმრის ასეთი აღტაცებული გრძნობა კინეს მიმართ, თვით კინეს ცოლს კი გულსა სწვავს ერთის მხრით ამნაირი უკმაყოფილება მიშლეს ცოლისა და მეორეს მხრით ის, რომ მისი ქმრის საყვარელ მეგობარს, რომლის ერთად ერთ ძვირფასს არსებას კინე შეადგენდა, ჰეორე ადამიანი გაუჩნდა ასეთივე საყვარელი და ძვირფასი. მიშლეს გრძნობა არ შესცვლია კინესადმი, ამის დამამტკიცებელი საბუთები სავსეა ამ წიგნში, ხოლო მიშლე დავადგინდა, ნერვები ეგშალა და ხანდახან უსამართლოდ გაებუტებოდა ხოლმე მეგობარს, თუმცა, მიუხედავად ამისა, თვითვე პირველი სცდილობდა „მცირე რამე საყვედურის“ მოსპობას.

1851-ში ნაპოლეონ III-ის ცულლუტობით საფრანგეთში შმართველობის ცვლილება მოხდა. სხვა რომ არა, ამ მეფობის ხასიათის შესაგნებად ისიც კმარა, რომ საუკეთესო კაცები საფრანგეთისა სამშობლოდან განაძევა. 1851-ის თებერვალში მიშლეს ლექციებიც მოსპეს და იმ მიშლე, უკვე სამი წლის ჯვარ დაწერილი, რასა სწერს კინეს:

„რა მყავს ამ ქვეყნად თქვენს გარდა, ალფრედისა და ჩემის ცოლის გარდა. თქვენი ხართ ჩემის ფიქრის ძმები და შვილები“. ეს ისევ იმ სიტყვების გამეორებაა, რომელსაც ცოლის შერთვამდი სწერდა კინეს მიშლე: „თქვენს მეტი რა გამაჩნია ამ ქვეყნადო“ — მხოლოდ აქ ეხლა ცოლიც მოიხსენია, მაგრამ ამით არა დაშავებია-რა გრძნობას მეგობრობისას.

1851 წელმა კინეს საზოგადო უბედურებასთან პირადი უბედურებაც მოუტანა. მას მოუკვდა საყვარელი ცოლი მინა-მორე და ამასთან ახალმა იმპერიამ იგი განდევნა სამშობლოდან. მართალია, ასეთი განდევნა სასახელო და სასიქადილო ხყო მისთვის. მისი სახელი დღეიდან, მრავალ სხვა დიდებულო გარდა, ჰუგოს სახელობან არის. შეერთებული, როგორც დე-

ენილისა სიმართლისათვის და ეს მისი სახელი კიდევაც უქვდავ ჰყო დიდებულმა პოეტმა თავისს „ერთის ბოროტ მოქმედების ამბავში“, სადაც ჰუგოს დაწვრილებით აქვს მოთხოვნილი კინეს განდევნის ამბავი. ნაპოლეონ III-ის შინაუმებთან დარჩენას, რასაკვირველია, კინეს ასეთ დიდებულ კაცებთან ერთად განძევება ერჩია და მან უკანასკნელ დღემდის დიდებულიდ შეისრულა თავისი როლი განდევნილისა.

მიშლე ათასნაირად გულ მოჭყლული დარჩა. მისი წყნარი ხასიათი არ მიიჩნია საშიშრად ნაპოლეონის მთავრობამ და სამშობლოში დასტოფა, მაგრამ სამაგიეროდ ხელები შეუკრა და ენა მოსჭრა და მოაშორა. საუკეთესო თავისს მეგობარსა და იმედს, მიშლე, რაკი დარჩენილ იქმნა სამშომლოში, კინეს ნივთიერის მდგომარეობის უზრუნველ ყოფას შეუდგა, მისი ნაწერების ბეჭდვასა და გასაღებას და ყოველივე ამაში მამობრივ მზრუნვალეობას იჩენდა. „ჩვენი სული თქვენთან არის, ძვირფასო ჩემთ, ჩვენი ფიქრები თქვენ დაგრიალებენ მარადის“. — სწერს მიშლე განდევნილ მეგობარს, — „აგერ 25 წელი გადის მას შემდეგ, რაც მე შემიყვარდა თქვენი ვენიოსტობა, საყვარელო მეგობარო! და ეს გრძნობა ჩემში თან და თან იზრდება. ეს არის ვათავებ თქვენ უკანასკნელ თხზულებას, (რევოლუციია იტალიაში), რომელიც ღრმა გრძნობებს აღძრავს ჩემში. ეს უფრო დიდი რამ არის, ვიდრე წიგნი. იგი საქმეს გააკეთებინებს ადამიანს. უკანასკნელი ფურცლები აღსაესეა იმ გმირულის გრძნობითა და აზრით, რომელიც გმირობას ბადებს კაცში, და რომელიც ადამიანის სულს თავის თავზედ ერთი ორად უფრო მაღლად აყენებს“. ეს ისევ ის მიშლეა, რომელსაც ქ-ნი კინე ეწამება მისი ქმრის შესახებ გრძნობის შეცვლას და ი კიდევ: „ჩემის სულის მარტოობა სალამს უძღვნის შენის სულის მარტოობას. რა ბედნიერი კაცი ხართ ჩვენთან შედარებით, თავის უფლების ჰაერით სუნთქვათ“. „სულით არ მომშორებიხართ ერთის წუთითაც და მეტად ძლიერად ვგრძნობ, რომ ამ სასტიკმა შემთხვევამ შეაერთა ჩვენი გული, დაუახლოვა ერთმანეთს ივინი, ვინც ერთმანეთისათვის უმახლობელესი არსებანი იყენენ,

განამტკიცა შინაგანი ერთობა, თუმც გარეგანად აქეთ - იქით მიგვყარ-მოგვყარა.“

კინე ხომ, რასაკვირველია, ისეთივე აღტაცებული მეცნიერია, მიშლეს ყოველი წერილი მას ბედნიერებით აღავსებს: „რა ბედნიერება მომანიჭა ამ ძვირფასში ნაწერმა, რომელიც მომევლინებოდა ჩემის ცხოვრების ყოველივე მძიმე შემთხვევის დროს“.... „ძვირფასო და მეტად ძვირფასო, ორნაირად ვარ განდევნილი, როცა არა ვიტი რა თქვენს შესახებ და როცა არასა მწერთ ხოლმე“.

ამავე დროებში კინე მეორე ცოლს შეირთავს, იმ ქალს, რომელსაც ეკუთვნის ზემოდ მოყვანილი წიგნი კინესა და მიშლეს მეგობრობის შესახებ. ორ მეგობართ დაშორება მეტად მწეველ მიაჩნდათ და ყოველი მათი წერილი აღსავსება ამ სიმწევის გამოხატვით: „როდისლა ვნახავთ ერთმანეთს? როდის ვიქნებით ერთად, ერთსა და იმავე ქალაქში?.. ოპ, ჩემო ძვირფასო, მეტად დიდი სურვილი მაქვს თქვენის ნახვისა, თქვენის გადახვევისა, მომწერეთ ხოლმე! ისეთს ბედნიერებას ვკრძნობ ხოლმე, როცა თქვენს ხელს დავინახავ. საფრანგეთი ერთი ორად უფრო ცალიერად მიმაჩნია რაკი თქვენ აღარა ხართ იქა კიდევ და კიდევ ნახვამდის! მე თქვენთანა ვარ თვალით, გულითა და სულით“. ასე სწერს კინე მიშლეს. მიშლეც არა ნაკლებ გრძნობდა მეგობრის სიახლოების საჭიროებას, თუმცა სამშობლოში დარჩენის ნება მაინცა ჰქონდა: „იმ საშინელს დროში, რომელშიაც ჩეენ ვიმყოფებით, თან-და-თან მეზრდება სურვილი თქვენთან სულიერისა და გონებრივის დამოკიდებულებისა. ჩემი დიდი სურვილი ის არის, რომ თუმცა განცალკევებულად ვშრომობთ, მაინც ჩეენს შრომაში განგრძელდეს ის ჰარმონია და თანხმობა, რომელიც აქნამდის არსებობდა“. იგივე მიშლე სწერს: „თქვენ გიჭიროვთ წმინდათა წმინდას ადგილი ჩემს სამუშაო ოთახში. ჩემს კაბინეთში თქენი სურათი რევოლუციის მეომრების შუა მაქვს ჩამოკიდებული.... ჩვენი განშორება და უბედურება ჩეენის ცხოვრებისა თან და თან უფრო მჭიდროდა ჰქმნის ჩვენს

ძმობას, ჩვენს კავშირს, ძვირფასო მეგობარო. თუმცა შორსა ხართ, მაგრამ თქვენი სიშორე შეიძლება უფრო მეტს ხსოვნასა და სიყვარულს იწვევდეს ჩვენში, ვიდრე თქვენს აქ ყოფნის დროს.“

ყირიმის ომში ნაპოლეონ III-ეს გამარჯვებამ ფრანგების გული მოუყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, როდესაც ისეთმა დაუძინებელმა ნაპოლეონის მტერმაც-კი, როგორც კინე იყო, ეს გამარჯვება თითქმის სიამოვნებით მიიღო: აი რასა სწერს თავისს მეგობარს: „ჩემი განძვევება რომ მთელი საუკუნე გაგრძელდეს, მაინც კმაყოფილი ვარ რუსეთის ტერრორიზმის დამხობით. ევროპას სლავიანებთა შემოსვეის შიში ძილს უფრთხობდა. მადლობა ლმერთს, ევროპა აღარ გაყაზახდება... თუ დესპოტისმი დაეტაკა ერთმანებს, თურივ საზიზლარია, მაგრამ ერთია დესპოტისმი მთელის ნაციისა, მთელის ერის გულში აქვს გადგმული ფესვები ამ დესპოტისმს და გულით მსურს მისი დამხობა, მეორეა დესპოტიზმს ერთის ოჯახისა, იგი ერის ნაპირზეა მარტო და თავისითაც გაივლის“. ასეთივე აზრის იყენენ სხვა მტრებიც ნაპოლეონის რევიმისა და ნაპოლეონმა შენდობის თვალით დაუწყო მათ ყურება, მაგრამ თუ დეკემბრის გმირისაგან კეთილშობილნი შვილნი სამშობლოისა არავითარ შენდობასა და წყალობას არ ღებულობდნენ. მიშლე გულ-დამწვარი უყურებს პოლიტიკურ მდგომარეობას თავისი სამშობლოისას, ერთის მხრით საზოგადოებას სულს უხუთავს მთავრობა, მეორეს მხრით თვით საზოგადოება სულთამშუთავს დიდის მოთმინებით და ქვეშვრდომობით კვიდება. „ჩემი გული და ჩემი ნება კი თან და თან მამაცდება, — სწერს კინეს. — დლი-თი დღე ჩემი გული თქვენ უფრო და უფრო გიკავშირდებათ“.

„გიცხადებთ ჩემს საუკეთესო გრძნობას, — სწერს კინე მიშლეს, — ამ 1855 ახალის წლის მთახლოვებისა გამო. ეს წელი როგორილაც მომხიბლველობით არის ჩემთვის აღსავსე: იგი მაცნობებს, რომ 30 წელიწადია მას. მერე, რაც ჩვენი მეგობრობა დაიწყო, ასე მგონია, რომ პირველ დღიდანვე ეს მეგო-

ბრობა ისეთივე იყო, როგორც დღეს“. ამ ხანში მიშლემ დასწერა თავისი რენესანსის ისტორიის წინასიტყველია, რომლის შესახებ კინებს სწერს: „იმდედი მაქვს, რომ აქ გამოითქმულ აზრთა თანხმობა თქვენ აზრებთან კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენს ლრმა ძმობას. განვაგრძოთ ქვეყნის სამაგალითოდ ეს მტკიცე მეგობრობა და პარმონიულის უცვლელის თანხმობით აღსავსე შრომა. ქვეყნისათვის მხოლოდ ეს არის კეთილი და და მრავალიც მაჟყავს აღტაცებაში, და შემდეგში: „ბედნიერი ვარ ჩვენის თანხმობისა, რომელიც ასე ძლიერადა გაქვთ გამოხატული; მხოლოდ იგია ჩემთვის ლრმა სიმშევიდის მომცემი, ჩემი გამაძლიერებელი; ჩემის ზნეობრივის სიმრთველის წყარო, რაკი ფიზიკური აღარა მშეყალობს... თავის დღეში ჩვენის ძმურის კავშირის სიძლიერე ასე სავსებით, ასე ლრმად არ შევიგნია. ეს რაღაც საიდუმლოა, განვების შექმნილი“. 1855 წლის ივლისის თვეში ორი მეგობარი ერთმანერთს გადაეხვია ბრიუსელის სადგურზედ. მიშლე წავიდა განძევებულის მეგობრის სანახავად. 1856 კინეს მოუკედა 16 წლის გერი—შვილი მეორე ცოლისა. საოცარია, რომ ასეთის უბედურების დროსაც სანუგეშოდ ისა აქვს, რომ მის მეგობარსაც დაეკარგა რამდენიმე თვის წინად ქალი: „რანაირათ წააგავს ჩვენი ბედი ერთმანეთს, —სწერს მიშლეს, — „მამა თქვენ მოგიკვდათ და ცოტა ხნის შემდეგ მე დავკარგე დედა. ადელი აქეენ მოგიკვდათ და მე უორეი“.

ხშირად სხვა და სხვა გარემოების გამო მეგობართა მიწერ-მოწერა შესწყდებოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც მათი წერილებიდან სხანს, ყოველთვის ერთმანეთთან იყვნენ აზრით.

აი რასა სწერს მიშლე კინებს: „ერთს დღეს არ გუვლია ისე, რომ თქვენზედ გამუდმებით არ ვფიქრობდე. ყოველს წუთში ჩემის ფიქრისა და გრძნობის საგანი თქვენა ხართ“... „რაღაც შესამჩნევი აკლდა ამ ბოლოს ხანს ჩემს ცხოვრებას, —სწერს კინე, —ის რომ თქვენთვის კაი ხანია ბარათი არ მომიაწერია... მუშაობამ ჩამითრია... მაგრამ სულითა და გონებით ხომ სულ თქვენთან ერთად ვიყავი, ამას რაღა თქმა უნდა... და შემდეგ: „მას დღეს აქედ, რაც ერთმანერთს ვიცნობთ, არც

ერთი თქვენი წერილი არ მიმიღია ისეთი, რომელსაც ჩემთვის ბედნიერება არ მოენიჭებიოს“.

1859-ში ნაპოლეონ მე-III-ებ საზოგადოების სიმპატიაც კი დაიმსახურა. ასეა ხოლმე საბრალო კაცის საქმე. ის ერთობ თეინიერი პირუტყვია და ილვილად მოსათოკავი. თავდა პირველად იუცხოებს ხოლმე ყოველსავე ახალს, სულ ერთია, კარგია იგი, თუ კული, და ბოლოს ძალა უნდა უნდა შეუტიკებება. როცა ცუდს დაემორჩილება ხოლმე, სინიდისი და გრძნობა მაინც აღშფოთებული რჩება და მაშინ იწყება სხვა და სხვა სოფიშმებით თავის გამართლება. ნაპოლეონ III-დესპოტისმი ყოველის მხრით საზიზლარი იყო და არავითარი მოსაზრება მას არ ამართლებდა, არც რელიგიური და არც საზოგადოებრივი, მან გასტეხა ფიცი, ულალატა კონსტიტუციას, მოახდინა ქურდული აჯანყება, რომელმაც ოცდა ათი ათას კაცზედ მეტი იმსხვერპლა, განედევნა სამშობლოდან საუკეთესო მისი შეილები, მისი სახელისა და დიდების შემქმნელნი და ამგვარად წამოსკუპდა საფრანგეთის სამეფო ტახტზედ. საზოგადოება, პირველად სიძულვილით აღსავსე, შიშმა მოიცვა, შიშმა მხდალის და ლაპრის მონისამ, რომელიც მზად იყო პირველსავე შემთხვევაში. უზურპატორისათვის მალულად კისერი გამოედრა. თან და თან-კი შიშმი გულ-გრილ მორჩილებად შეიცვალა და შემდეგ სასიამოენო ჯაჭვადაც გარდაეგცა საზოგადოებას ნაპოლეონის ტირანიული მმართველობა. ამას ხელი შეუწყო ნაპოლეონ III-ის გარეშე პოლიტიკამ. ყირიმის ომის მოგებამ მთავრობის ისეთი შეურიგებელი მტერიც კი ასიამოვნა, როგორიც კინე იყო, და მთთ უშეტეს მთელი საფრანგეთი. ჯერ ერთი, ყოველ ერს, რაკი ომში ჩაებმება, გამარჯვება, რასაკვირველია, სისარულს უბადებს და მეორე — იმ ხანში კიდევ მძლავრი იყო სიძულვილი დ ზიზლი იმ ხალხისადმი, რომელმაც ნაპოლეონ I დაამარცხა და მასთან ერთად მთელი საფრანგეთი დაამცირა, ხალხისაგან განდევნილი დინასტია გაამეფა ისევ და ხალხის სისხლით გამეფებული აზრები მიწაზედ დაანარცხა. შემდეგ იტალიის განთავისუფლების ბრძოლაშიაც ნაპო-

ლეონ III-ეშ დაჩაგრულს მისცა მხარი და ამანაც საზოგადოება ასიამოვნა და ამ ხანში საზოგადოების გული-მოგებული პქონდა მოღალატე დესპოტის. ამ ტახტის ქურდმა გულ მოწყალეობის თამაშობიაც ისურვა და განდევნილთ „შეუნდო“ და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. მაგრამ ფრანგთა შორის კი-დევ დარჩენილიყვნენ. ორიოდე კაცი მომავლისა, ორიოდე გმირი და წინასწარმეტყველი, რომელთაც ნაპოლეონის ოინები ვერ მოჰსიბლავდნენ, — ეს ორიოდე კაცი საფრანგეთის გარეშე ცხოვრებდნენ და ორჯერ და სამჯერ უფრო მაღლად იდგნენ საფრანგეთის იმ დიდ ნაწილზედ, რომელიც ნაპოლეონის III ჯალაბობას სიამოვნებით კისრულობდა. „რევიუ დე-დე მონ-დის“ რედაქტორს ბიულოზს კინემ შემდეგი მანიფესტი გა-მოუცხადა პასუხად იმპერატორის მოწყალებისა: „შენდობა სკირია იმას, ვინც დაარღვია კანონი და არა მათ, რომელ-თაც თავს იდვეს კანონის დაცვა. სიმართლისათვის და კანო-ნიერის უფლების მოთხოვნისათვის შენდობა არავის გაუ-გონია. განდევნილთ არავისი ნება არა სკირიათ სამშობლოში დასაბრუნებლად. მხოლოდ მათ შეუძლიათ ამოირჩიონ დრო და მომენტი, როცა ხელსაყრელი იქმნება: სამშობლოში დაბ-რუნება, იმ სამშობლოში, რომლის მათთვის წართმევის უფლე-ბა არავის არა აქვს მინიჭებულია. ასეთივე მანიფესტები გა-მოსცეს ვიქტორ ჰუგომ და პოლკოვნიკმა შარჩიასმა.

1858-იდან კინც შვეიცარიაში გადასახლდა და აქ დაჰყო მან. 1870-ამდის, როცა მისი განმდევნელი დაემხო.

ერთ ერთი ადგილი კინეს ამ ხანში დაწერილის თხზულე-ბისა მიშლეს ეხება და ასეთის შშვენიერის და წარმტაცის ენით არის დაწერილი: „წალი და ნახე ის, რომელიც იყლის შენთან ერთად ყველაზედ უფრო დიდხანს, და რომელიც პირველის დლიდან უკანასკნელამდის იქმნება შენთან შეკავშირებული უძლიერესის მევობრობით! იუმცა ის შენი ძმა არ არის, მაგ-რამ ძმაზედ უკეთესია. ბევრნი ეცდებიან თქვენს განშორებას, მაგრამ მათი ცდა თქვენ მხოლოდ უფრო და უფრო დაგაახ-ლოვებთ ერთმანეთს: ოჯ, სიმშეიდევ, ძლიერებავ და განსცე-

ნებავ! ოჯ, სიამოვნებავ, რომელიც დაგბადა სიმართლისათვის საბრძოლფელი დ შექმნილმა ორთა სულის კავშირმა! შეხედე მას! ეს ის არის, რომელსაც ხელში უკავიდ ჯერ კიდევ ცალიერი დაფა, რომელზედაც დაიწერება საფრანგეთის ისტორია!“.

მიშლემ აღტაცებით მიიღო ეს წიგნი: „ასეთი დიდებული არა მინახავს რა: თქვენ შეპქმენით ამ საუკუნის თავნი წიგნი... ორი დღე მატირა ამ წიგნმა. დიდი იმედი მაქს, რომ იგი აღადგენს აქ მას, რაც ყველაზედ უფრო დავიწყებულია,—მოვლენათა ნამდვილს აზრს, სკედას“... და მეორე ბარათში: „მართლაც არა წამიკითხავს-რა უფრო დიდებული, უფრო მდიდარის შინაარსისა და უფრო ნაყოფიერი... იმედი მაქს, მალე გნახოთ, ეს იქმნება ერთი დიდ ბედნიერ შემთხვევათაგანი ჩემის ცხოვრებისა. მართალია, გარს გვარტყია თოვლი, განშორებული ვართ ადგილითა და შრომით, მაგრამ მაინც ყოველთვისა ვგრძნობთ ურთიერთ შორის საუკუნო მიმზიდველობას“. შვეიცარიაში მიშლე რამოდენიმეჯერ ესტუმრა მეგობარს, მაგრამ ეს არ ჰქმაროდა მისთვის. უნდოდა რამენაირად ჩამოეტყუებია პარიზში კინე, ამას თხოულობდა მისი გული, რომელიც ასეთის სინაზით იყო აღსავსე კინეს მიმართ, ამას თხოულობდა საზოგადო საჭიროება და საუკეთესო წარმომადგენელი საზოგადოების უკმაყოფილო წაწილისა: „საყვარელო მეგობარო!“ —სწერს მიშლე 1864-ში, —თქვენი აქედან გარდახვეწა ბევრს აწუხებს. და თქვენ იცით კარგად, რომ „ყველაზედ უწინ მე ვარ დატანჯული თქვენის ხიშორით. ჩვენ არას ვიტყოდით ამის შესახებ, რომ არ მიგვაჩნდეთ მეტად სასარგებლოდ საფრანგეთის დასუსტებულის გულის მეოხად, რომელიც ილვიძებს და უნდა იკოტხლოს... ყველამ ისურეა, რომ თქვენმა ძველმა მეგობარმა მოგელაპარაკოთ ამის შესახებ. თქვენი მეგობარი მეტად მონდომებულია ამ საქმისა. რაღა არის უფრო სასურველი ჩვენთვის, რომელნიც თითქმის ერთად დავიბადეთ, თუ არ ის, რომ ერთმანეთი ვინახულოთ და ერთად ვიშოქმედოთ. მოიფიქრეთ და კარგად ასწონ, დასწონეთ საქმე, მეტად ძვირფასო მეგობარო.“

და, დარწმუნდათ, თუ გადასწყვეტთ პარჩში ჩამოსცელას, ეს ჩვენთვის იქმნება უბეღნიერესი დღე“. ამას თან მიჰყვა აღრესი, რომლითაც კინეს სთხოვდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ამ აღრესის ქვეშ ხელი ეწერა მრავალ ცნობილ მწერალთ და საზოგადო მოღვაწეთ.

კინემ ასეთი პასუხი გასცა. „ჩემი პასუხი ისეთი არ იქნება, როგორსაც მოელოდით და ეს ყველაზედ უფრო მემძიმება. უეპველია, მეტად წარმტაცი რამ არის ჩემთვის თქვენს სიახლოვეს ცხოვრება და ზოგიერთ მეგობართან ახლოს ყოფნა. მაგრამ ვად, რომ ენდა უარ ვყო ასეთი ნაბიჯი. და მხოლოდ ყველასათვის თვალ საჩინო უმაღლესი და უწმინდესი მოვალეობა მაძალებს ასე მოვიქცე... ეხლა რომ მე დაებრუნდე, ეს იმის მომასწავებელი იქმნება, რომ ზავი ჩამოგდებულია და მუხლის მოყრით უნდა ვემთხვიო ჩვენს მდევნელს“. ქნ. კინე მოგვითხრობს, რომ მხოლოდ მიშლეს გულმა, წმინდა მეგობრობით აღსავსემ გაიგო კინეს მოსაზრება და აპატივა მას ეგრეთი სიმკაცრე, თუმც “უმაღლესს ბეღნიერებად“ სთვლილა მეგობრის დაბრუნებას. სხეებმა კი იმწუთხეს ამგვარი სისასტაკე და დღესაც არ აპატივეს მას ეს მისი მოქმედებაო.

დრო გადიოდა, ეს უცნაური და უხილავი დამამხობელი ყოველივესი. მის გულ-გრილსა და სასტიქს მსვლელობას გაუქელავს ფეხ ქვეშ ყოველივე „სუსტი და ძალგულოვანი“, გენიოსი და უბრალო მომაკვდავი, საგმირო მოქმედება და დიდებული მოქმედება. დრომ თავისი შეუბრალებელი დაღი დაასვა დიდებულის კაცების სხეულს და სულზედაც გადაიტანა თავისი მმუსრავი ხელი. მიშლე და კინე დაავადმყოფდნენ. ორნივ მეტის მეტის შრომისაგან მოიქანცნენ. მიშლეს საშინლად აეზალა ნერვები, ყოველ უბრალო შემთხვევასაც კი მოთმინებიდან გამოჰყავდა. თანაც როგორდაც მოღუნდა და პოლიტიკურს მდგომარეობის სამშობლოისას მოთმინებით და თითქმის მფარველობით დაუწყო ყურება. კინე კი თანდა თან უფრო სისასტიკითა და სიცხარით ეკიდებოდა მთავრობას და მის მოქმედებას. ეხლა მის მოქმედებაში თითქმის ავადმყოფური სიფიცე

სჩანდა. თანაც მეტად უბედურად გრძნობდა თავს, რომ მისი მეფის, მისი ნუგეშისმცემელი მეგობარი მის გაცხარებას არ თანაუგრძნობდა. ხედავდა, რომ მიშლე დამშეიდებულია და ვეღარც კი ბედავდა მასთან თავისი პოლიტიკური ზიზლის გადმონთხევას: ვაი თუ მეგობარში ისეთი თანამგრძნობი ხმა ვეღარ გავიგონო, როგორიც ჩვეულებრივად მსმენია ხოლმეო. მაგრამ მაინც მათ მეგობრობას ისე უვლიდა, როგორც მებაღე სიცივისაგან დაზარალებულს ხე-ხილს. „1825-ის წლის ძვირფას მეგობარს“ ემუდარებოდა — „კარგათ მოვუაროთ ამ ჩვენს ძველს ნაშთსაო (ე. ი. მეგობრობას, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე უსრულდებოდა). „ჩვენ ვართ შეკავშირებული და ასე უნდა დავრჩეთ, ძვირფასო მეგობარო“, — სწერს კინე მიშლეს: „ხშირად ამბობენ, საფრანგეთში ორი კაცი არ მოიძევება ერთმანერთის თანახმაო. ჩვენის შაგალითით კიდევაც გავამტყუნეთ და აწიც გავამტყუნოთ ასეთი აზრი. ამიტომაც, მეგარდავსწყვიტე საგნის იმ მთავარ მხარეს შევეხო ხოლმე, რომელზედაც ჩვენ შორის სრული თანხმობაარსებობს, და იმ წვრილმანს არ გამოვეკიდო, რომელიც ყოველთვის გამოიწვევენ ჩვენ შორის უთანხმობას, რადგან ცოტა რამ განსხვავება ყოველთვის უნდა იყოს კაცა და კაცს შეა, რადგან იგი მცირე ვანსხვავება პირადობის მიუკილებელი ნიშანია. საუკუნის ქარტებილი ცდილობს ყოველივე მტვრად აქციოს, იგი ეცდება ჩვენც ერთმანეთის წინააღმდეგ აგვამხედროს, მაგრამ მე გადაწყვეტილი მაქვს მისი სურვილი არ აღვასრულო ამ შემთხვევაში. მუხის ორი ფოთოლი წვრილმანში თუმცა განსხვავდებიან, მაინც მუხის ფოთოლი არიან. იმ გვარადვე შეკავშირებული ვარ თქვენთან და, ჩემის აზრით, ყოველივე გრიგალს უნდა ერთ-სულ და ერთ-ხორც შევებრძოლოთ... ნახვამდის, ძვირფასო მეგობარო... გვიყვარდეს ერთმანერთი და კიდევ უფრო მჭიდროდ შევუერთდეთ ერთმანერთს, რათა წინააღმუდგეთ აღვირ-წახსნილს რეაქციას.. გიყვარდეთ ისე, როგორც მე ყოველთვის მიყვარდით. ვამ, რომ სიცოცხლე მეტად მოკლეა და დრო მეტად სსწრაფლ შავალი.. ჩემის წარსულის ცხოვრების ერთ დღესაც ვერ გადავფურცელდეთ.

ლავ ისეთს, რომ თქვენ არ გეჭიროსთ უმთავრესი ადგილი. ნუ თუ გვეპატივება, რომ ამ წმინდა საგანს არ მოვუაროთ ისე, როგორც ძვირფასს განძს?“

ასეთია გარდახვეწილის მეგობრის აღტაცებული წერილები, მაგრამ მიშლეს, ავადმყოფობით ნერვებ აშლილს, მაინც ეჩვენებოდა თუ კინე გაგულებრილდა ჩემს შესახებო და ა 44 წლის აღტაცებულის მეგობრობის შემდეგ, იმ მეგობრობისა რომელსაც თითქმის ნახევარ საუკუნის დროს ერთხელაც ციფი ქარი. არ მოხვედრია და ღრუბელი არ მოვლენია, მათ შორის ერთი წუთით, რომ იტყვიან, შავმა კატამ გაირბინა. ეს კატა მაინცა და მაინც ისე შავი არ იყო და მისი გარბენაც მეტად სწრაფი, თითქმის შეუმჩნეველი იყო; მაგრამ გული მაინც ძლიერ ატკანა მევობრებს. ყველასთვის გულ-სატკენია ეს თითქმის უმნიშვნელო მოვლენა იმიტომ, რომ ცხოვრების ულმობელი ბრჭყალები თურმე ყოველივე წმინდა საგანს შებლალავს და ვერაფერი, თვით უმაღლეს გრძნობათა წმიდათა-წმიდაც ვერ გადურჩება მათგან გაკაწრვას. 1868 წლის 9 სექტემბრის ბარათი მიშლესი კინეთან მათთვის არა ჩვეულებრივის ენით არის დაწერილი: „გული, მართალია. იგივე დარჩა, მაგრამ გარევანი დამოკიდებულება ჩვენს შორის მეტად გამწვავდა. უკვე 65-ში და 67-ში შეგამჩნიეთ, რომ თქვენზე მოსალოდნელის ნაწერების შესახებ აღირას მელაპარაკებოდით და სცდილობით პოლიტიკურ საგნებს არ შეჰქებოდით. შემდეგ თქვენ პირდაპირ უსამართლოდ შოიქეცით, როცა თქვენს „რევოლიუციის ისტორია - ში ერთის სიტყვითაც არ მახსენეთ მაშინ, როდესაც ვერც ერთია მწერალმა ვერ ამიარა გვერდი ამ შემთხვევაში, რადგან რევოლიუციის არხივების გადმოქვექა და გაჩხრევა მე მეკუთვნის. მე, მიუხედავად ამისა, ყოველთვის მხარს გიჭვრდით და ვებრძოლებოდი თქვენს მტრებს და ყოველის შემთხვევით ვსარგებლობდი, რომ აღმენიშნა ქვეყნისთვის ჩვენი სულიერი თანხმობა და ჩვენი უცდელი მევობრობა“. ამ წერილს, მკვახესა და უსამართლოს, მაინც დიდებულის გრძნობებით აღსავს სიტყვებით ათავებს მიშლე. ეგრეთ დიდებულთ შორის საყველურიც სხვაგვარია თურმე, „არ

დასაღარი“ უბრალო გაპირუტყვებულ ადამიანთა საყვედურისა. „შრედები“ — განაგრძობს მიშლე — „და ვერასფერი ვერ შესცვლის მას. წინააღმდეგ, დროთა განმავლობამ, ჩვენმა შრომამ და თქვენის გენიოსობის ჩემმა ოღტაცებულმა თაყვანისცემამ, რომელიც თან და თან იზრდება, ჩემი გრძნობა თქვენდა მომართ უფრო განაძლიერა. ეს გრძნობა იმ გვარის არის, რომელსაც ვერაფერი დასთოვუნავს ვერც ამ ქვეყნად და ვერც იქ, იმ უხილავს ქვეყნაში; გულით გეხვევით. მეტს ერთს სიტყვას აღარ უუმატებ“. ქნი კინე ამ წერილს შემდეგს დასძენს: „მიშლეს კეთილი და ნაზი გული ამ წერილის ბოლოში იხატება. დასაწყისი ეკუთვნის მის ნერვებ-აშლილ ბუნებას. გარდა ამისა, იგი ემთარჩინებოდა ძალას, რომელიც განაგებდა მთელს შის ცხელებას“. ადვილი მისახვედრია, რომ აქ მიშლეს მეორუ ცოლს ხვდება მათრახები.

კინემ ამის პასუხად შეგობარს მაღლობა მისწერა გულახდილის საუბრისათვის და აუხსნა, რომ სრულიად უსამართლოდ ესაყვედურება, ვითომ მიშლე არ მოიხსენია თავისს „რევოლუციის ისტორიაში“. წინააღმდეგ, თქვენს მეტი არავინ მომიხსენებია და თქვენის ნიჭის წინაშე თაყვანისცემა განვაწადე. რაიცა შეეხება პოლიტიკურს საგანს, მე ვიცი, რომ დღევანდელი მთავრობა არც თქვენ მოგწონს და თუ წერილმანში არ ვეთანხმებით ერთმანერთს, ეს არას შეიცავს, ხეალისევ შევთანხმდებით“. „ჩვიდმეტი წელიწადი ცოცხლად დამარხული ვარ, — განაგრძობს კინე — შესაძლოა, ჩვიდმეტის წლის განდევნილობამ, მარტოობამ და მივიწყებიმ ცუდად იმოქმედეს ჩემზედ, შესაძლოა ამის მიზეზით უფრო გულ-დახურული გაეხდი და ლაპარაკს მოვუკელი. მე ვსცდილობ არ შევეხო ხოლმე იმ მძიმე შემთხვევებს, რომელთაც სული მომიშვილეს. ვხელავდი, რა დავიწყებაში ჰყავდათ სამშობლოები განძვევებული ნი, რა გულ-გრილობით ეპყრობოდნენ მათ, და ხანდახან ამის მიზეზით კრინტის დაძრაუც კი მექნელება. ეს ჭრამარიტია, მაგრამ ამან კი არ უნდა დამაშოროს თქვენი თავი, წინააღმდეგ, უნდა მომიახლოვოს.

Ի՞նչ մոեցք հայեն Շորով? և ըստու առաջյուրու! հայեն գան-  
ֆյունծութեամի պալութեա օվենեծութ Շելցոց, հռմյունսաւ առա-  
զուարու Յոնենի առա էյշոնա, ու մանը և մանը առ մոց-  
ծեթիւնա մի յաշնորու ահեծութա. Շեսամլու ոսկենց օմուստան  
աճամունցի յայսանամու, հռմյունտաւ և սուրտ հայեն գանտությա. նու  
գայախարյուն մատ; նու յարդաւչիմնու քաշու լռութելու գուլ յար-  
բյենութ և լուլցաւ. հայեն եանու յմարա մուտցու, հռմ տան  
և տան սեպուտ ալցուցեաս պետքրյան, հայեն հալաւ զոյմարյուն  
պյութլու Շեմա. պուզել գուլ զոնմե հայեն մաթլութելուացանու սա-  
սայունու զարուցեան. մա՛ հայեն ճաշրիւտ յրտմանցուտացու, հայեն  
մեցութրուն ծյունուրյան հայեն. ամ մշմունցարց գրութի հայեն  
սնւա մոցսպրտ յայսանաս ծոլումուն մացալուտու ամցարուս մեցո-  
ծրութուսա. Ի՞նչ յանեարյունցն մուրյան, հռմ Շյեմլու հայ-  
ենու յանշորյուն վարմուցցենա. յելու յանաթլյուն Շյոյմա մու-  
տունա սատրանցյուն. մա՛, յելու յանշորյուն գրու յո առա, դաաս-  
լուցյուն մայցս, հռմ ուսցու աս ճաշրիւտ տյացենու, հապ զոյսայո. պ-  
յարայուրու զեր յանմանշորյուն տյացեն տացս, Շյոցնյու յանցանցած.  
տյացեն մունշորյուն նոնացս հեմուցու հեմուս ահեծուս սասկյուցուն նա-  
նիուս մունշորյունա. մյ տյացեն սկզբունքու—յազեցաւ և զուրպու—  
յուրացուլուսու մեցութարու զար. նու դամացլյուն. պուզելու Շյեմտեզյ-  
ամու, հապ սնւա մոեցքս, հապ սնւա մոպու, պուշլուցու, հա-  
լունսաւ յնեցաւ, Շյցութուատ մոմեցնութ և ուսցու ժցյու մյ-  
ցութրաւ մոցուլութ. պյարայուրու վարմուցցու սասուցաս, մյ տյացեն  
Շյեսաեց յուրացուլու ճաշրիւտ, ամուս սուրպուց տցուտ հեմս տացս  
յամլյու”.

Քմուտ, ամ տությունս սանումոցնու “սասպելյուրուտ” ճամտապրաւ  
պույցուզ սկմապուցուլուն մատ Շորուս և մուկույ, յուրացուլուն  
մեցութրուն ժցյունցուրաւ յամալու յուրացուն. յրտու ժցուս Շյեմլյու  
հայունութրուն մովյա-մովյա յամարտա մեցութարու Շորուս. եռլու  
և վորու վորու տացնյու սասպելյուրուն ճարատուս Շյեմլյու, 9 և յիւր-  
1868 վելու մուշլու ամ սուրպուց և վորու յոնցս: “հեմս յայլու  
յուրացուլու տյացեն Շյեսաեց. մուրյ սասպելյուրու պյարաւ լաակ-

ლებს, ნუ გეშინიანთ. ამ საყველურს აწ თავისდღეში აღარ გავიხსენებ. მე ვარ და ყოველთვის ვიქმნები თქვენი. <sup>4</sup> ანა და... „ახლოს ვარ თუ შორს თქვენგან, ხშირად გწერთ, თუ გვიან დროის მიხედვით, მერწმუნეთ, რომ თქვენზედ უფრო ძვირფასი არა მყავს-რა და ჩემი გული თქვენ გეკუთვნის.“

1870 კინე შემოვიდა თავისს სამშობლოში ისე, როგორც მას სურდა, არა როგორც დამნაშავე, რომელსაც დანაშაული ეპატივა ტახტის გულმოწყალე მფლობელთაგან, არამედ როგორც მამაცი და ერთგული მამულის შვილი. მას შემდეგ, რასაკეირელია, თითქმის 20 წლის განშორებულნი მეგობარნი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, მაგრამ დიდის ხნით არა, მალე იგინი განაშორა ისეთმა ძალამ, რომლის მეუფება საუკუნოებითაც არ ისაზღვრება და რომლის ტახტის წინაშე ძალაუნებურად მუხლს იყრის ყოველივე, „სუსტი და ძალგულოვანი“. 10 თებერვალს 1874 წ. მიშლე მოსტაცა მეგობარს სიკვდილშა, მაგრამ კინემ მეგობრობა სიკვდილითაც დაუმტკიცა და თავისი ძვირფასი, უცვლელი მეგობრის შემდეგ ერთი წლის მეტიც არ უციცხლია. იგი გარდაიცვალა 27 მარტს 1875-ში. ამგვერად დასრულდა ეს დიდებული ეპოქეა მეგობრებისა. სიკვდილმა ვითომ სამართლიანობა. იხმარა და რაკი მიშლე უფროსი იყო, კინეს ერთის წლის სიცოცხლე აჩუქა. მაგრამ ამ სამართლიანობაში რამდენი უსამართლობა იხატებოდა. მიშლეს, სიცოცხლეში უფრო ტანჯულს და გვემულს, ეს ერთი სიმწარე კიდევ აჩვენა და განუყრელი მეგობარი მოაშორა. მაგრამ თუ ხორცედ სრული უფლება გამოიჩინა ყოველ მტარვალზედ უმტარვალესმა „ყოველისა დამამხობელმან“, სულს ვერა რა ავნო და ეს სულის ნაშთი, ეს „სამაგალითო და წმინდა მეგობრობა“ და ამ ორი კაცის ნიკისა და გულის ნაყოფი ნაშრომი სამარადისო სათაყვანებელ საკნად იქმნება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა.

მეორე დიდებულ მეგობრობის შესახებ — რენანსა და ბერტლოს შორის — შემდეგში მოვილაპარაკოთ.

კატა აბაშიძე.

არხეოლოგიური მოქაურობანი და შენიშვნანი\*)

რუისი მდებარეობს მახლობლათ ურბნისისა, ორი ვერსის მოშორებით. რუისში უძველეს დროიდან ყოფილა დიდი საეპისკოპოსო ეკლესია, კათედრა მროველებისა. მროველ ეპისკოპოზი ანტონი მოხსენებულია შატბერდის კრებულში. ამას უძლვნის დაჩი თავის წერილს პსალმუნების განმარტების თარგმანის შესავალში. ძველი ეკლესია რუისისა აღმოუფხრია ძირიანად თემურ-ლევნგს მეთოთხმეტე საუკუნეში. ეხლანდელი გუმბათიანი და საზოგადოთ ლამაზი ეკლესია რუისისა აშენებულია, როგორც წარწერა უჩვენებს, ალექსანდრე მეფის მიერ (1413—1442). ეს ის ალექსანდრეა, რომელმაც მცხეთა განაახლა. სამართლიანათ შენიშვნაეს დ. ბაქრაძე, რომ ძველი ეკლესია რუისისა ბევრათ უფრო დიდი და ულამაზესი ყოფილა. ახალზე. რომ ძველი ეკლესია უდიდესი ყოფილა, ეს სჩანს საფუძველის ნაშთებიდან და რომ ულამაზესი ყოფილა, ამას ამტკიცებს ძველი ჩუქურთმები აქა იქ ჩატანებული ახალ ეკლესიის კედლებში. ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით ეკლესიას აქვს ეკვტვრები. ჩრდილოეთის ეკვტერის მარტო აღმოსავლეთის ნაწილია დაცული და ეს ეკვტერი მშვენიერი ნახელავია. შემკობილია ლამაზის თალით და გრეხილებით. სამხრეთის ეკვტერი მდარე ხელობის არის. მშვენიერი ჯვარი და სხვა ჩუქურთმები ამკობენ აღმოსავლეთის კედელს ეკლესიისა. ჩუქურთმები საკმაოდ არის სხვა კედლებშიაც. გარშემო ეკლესიას

\*.) იხ. „მოამბე“ № V.

უკლის გალავანი. გალავანის შესავლის თავზედ ამართულია კოშკის მსგავსი ორ სართულიანი სამრეკლო, რომელიც აშენებულია მროველის დიონოსი ლარაძის მიერ. რუისის ეკლესია ძველ ხელონაწერებში ღვთაების ეკლესიათ არის მოხსენებული, ხოლო შემდეგ ფერისცვალების ეკლესიათ იხსენიება. (სრული ცნობები რუისის ეკლესიის შესახებ ნახე: ბაკრაძე. კავკავ ვъ древнихъ памятникахъ христианства, стр. 124—125. Материалы для археол. Кавказа, вып. IV, стр. 145—147. Brosset. Voyage. Rapp. IV, p. 7—8).

### წარწერები გედღებისა:

I. კარის-ბჭეს დასავლეთის მხრით აქვს ასომთავრული წარწერა:

1. წ. ზე ადიდენ ღრ მეფთა მეფება დიდისა ალექსნდრეს
2. რლსა მრ კდ ალეშენა საყდარი ესე ადიდენ ღრ და ს-ლი მთი კუხლ ყს.

II. მარჯვენით კარის-ბჭისა დასავლეთ კედელზე ხუცურად აწერია:

ნ (?) გ-შანს: გრგ-ლს:. შმ  
ლნს ლმერთმ;. ჩმსა  
: ლდა მდებლ შგწ  
გისა. ხთი დლე

III. ჩრდილოეთის კედებლზე სხვა და სხვა ქვებზე ნაშები წარწერებისა

1. წ: ს-ბა; შ-ნს ღ-ნ
- 2...რთ მ-ნ ა-ნ

IV. ჩრდილოეთის კარის ზემოთ:

ქ. ქსტე შ-ე ფ-დ.. [ცოდ]ვილი და  
სახითა ოდნ მღღ[ელი]. სყს.

¶ ჩრთილოეთის ეკვტერის კარის ზემოთ ძველი მხედრულის ხელით:

VI. ამათ ზემოთ ნაწყვეტი ხუცურის წარწერისა  
... ლითა ლთ.

VII. ჩრდილოეთის ეკვტერის შიგნით თაღზე ხუცურათ:  
ქ' შ' სლი ი' ებსკპსა ა'

VIII. საკუროთხეველში ჩრდილოეთის ეკვტრისა გრეხი-ლიანი თაღის არყაზე ყოფილა ორსტრიქონიანი ხუცური ასო-მთავრული წარწერა, რომელის თავი და ბოლო მოსჩანს მხო-ლოთ:

1. სხლითა ლითა მე. . . . . ბ დღულისა  
2. ვინცა ლ . . . . . თმთვ ან.

IX. სამხრეთის კარის მარცხნივ ასომთავრულით სწერია:

გალატოზთ ზედა მოეგსა შალვას შეუნდვნეს ღმერთმან ამინ.

X. ჩრდილოეთის კარის მახლობლათ მერმენდელის ხუცურით:

## ၅. စာပါ ဖျော်ဥက္ကား လမ်းရော်မာန.

#### XI. Կանքյուղից եօս մեջը ըլլատ և բյուրօն:

კურთხეულ არს ღმერთი, რომელი სამობასა შინა ერთო-  
ბითა და ერთობასა შინა სამებით იქადაგების და იდიდების,  
შეტყველების, რომლისა შეწევნითა გაკეთდა კანკელი ესე  
ლუთაებისა მრავალ-ნაწილიანისა ფერის-ცვალების ხატისა ასა-  
მაღლებლად და განსაძლიერებელად უკეთოლმსახურებისა მსახუ-  
რისა და უმაღლესისა მპყრობელისა ყოვლისა ზემოისა საქარ-  
თველოისა მეფისა იაკლი მეორისა, დავითიან-ბაგრატიონისა,  
კეთილმორწმუნისა ყოვლისა საქართველოისა დედოფლისა და

დიანის ასულისა დარეჯანისა და კეთილად წარსამართებელად ქეთა და ასულთა მათთა. მამათ-მთავრობასა ანტონი მეფის ძისა, დავითიან-ბაგრატონისა, უნაკლულოდ შესრულდა კანკელი ესე საფასითა და წარსავებელითა მროველ-მიტრაპოლიტისა ყიფიანის ძის ნიკოლოზისათა. საუკუნოდ იყავნ კსენება ძისი. ნოემბრის დღე, წელსა ჩდჰა, ქვეს უდი 1).

XII. ზარზე, რომელიც ეხლა დაზიანებულია, მხედრულათ აწერია:

ჩვენ ყოვლად უსამლედელოესმან მრტრაპოლიტ-მან ძალალაშვილმან იუსტინემ გიძლვენ რუისის ღვთაების ეკლესიასა ზარი საფასითა ჩემითა საოხად გლახავისა სულისა ჩემისათვს წელსა ჩეგბ. ქვეს. უფა.

XIII. აღმოსავლეთის კედელზე სამრეკლოსა ხუცურათ აწერია:

ღმერთო შეიწყალე მაშენებელი სამრეკლო[სა] ლარაძე დოონოსი მროველი.

### ეპიტაფიები.

I. საქართველოს მეფეთ მეფის ვახტანგის მეულლე და იმერთა და კახთა მეფის აჩჩილის და ქართლის მეფეთ მეფისა და ყანდაარისა ქირმანისა ზირიშვისა და აიალათის მპყრობელისა და სპარსეთის სპასალარისა მეფის გიორგისა და ერანის მდივანბეგის ლევანისა და ძმათა მათთა დედა და ორბელის ძის ყაფლანის ასული დედოფალი როდავ ყოფილი ცქემლისანი ეკატირინე აწ მდებარე ვიქენ მკვდრსა ამას საფლავსა ჩვენსა . . . . . ესე არს განსასვენებელი ჩემი ამას დავემკვდრე რამეთუ მთნავს ესე ქვეს: ტოთ: სვეტო ცხოველო შფარველ ექმენ ძეთა ჩემთა ყოველთა.

1) წარწერები №№ II, IV, V, VI, VII, VIII აჭ პირველად იძევდება.

II. ეპიტაფია არა აქვს; მაგრამ საყდარში იპოვება საფლავები:

გრიკოლ მროველისა, ომელიც გარდაცვლილია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყიში და გერვასი მროველისა, ომელიც მიიღვალა 1816 წელს. ამას გარდა რუსის ეკკლესიაში მარხიან მრავალნი პირნი ბაგრატიონ-დავითაშვილებისა (ამათი შეამომვლობითი სია ნახე ბროსსეს Rapp. VI, p. 8—10).

III. ქ. ვაი სიკედილისა მანგლით მოკვეთ  
ილსა და მიწად მიქცეულსა ყაფლა  
ნის შეილის ასულსა და ზეულლისა ჩემისა გამზღვ  
ლისა და პატრიონსა საქართველოს მსაჯულთ  
უხუცესისა აბაშიძე ნიკოლოზისა და სამთა  
ძეთა და ექვსთა ასულთა ჩემთა ჩემთვის  
მტირალთა და განმ . . . ფელსა და აწ საფლავსა  
ამას მდებარესა მხევალსა ანნა . . . . .  
ბისა რუსის ეკლესიისა სამწირველოს . . .  
სა მიწად მიცემულსა შემიწყალეთ მხილველთა  
და შენდობა ბძანეთ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის სიყვარულისათვის ქრისტესა აღვესრულეთ თებერვლის ქადაგს  
[გთხ<sup>1</sup>].

ხატები და ნიგოთები რუსის ეკლესიისა.

I. ხატი ფერისცვალებისა დიდი ზომისა, სულ  $107 \times 70$  სანტიმეტრი, დიდი ხის კუბოთი, რომლის ერთ კარზე გამოჲარულია პეტრე კლიტიორთ და მეორეზე პავლე. ზემოთ კუბოზე გამოხატულია მამა ლმერთი. ხატი წარმოადგენს ფიცარს სულ სავსეს სხეადასხვა ნაწილებით. სიგრძეზე მოთავსებულია 22 უჯრა ნაწილებისა, განზე 25, ასე რომ სულ უნდა

<sup>1)</sup> ქორონიკონი უდრის 1789 წელს. ეს ეპიტაფია აქ პირველად იბეჭდება.

იყოს 550 უჯრა ნაწილებისა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაკარგულია. წარწერები ნაწილების სახელებისა უჯრებზე ხუცურია. ნაწილების ქვემოთ ხუცური. წარწერაა, ძალზე გადასული და ამიტომ სრულათ არ იკითხება. ჩვენ აქ წავიკითხეთ:

- 1 ...თარ სხლი.. ქ'ბლი.. კრ'ხლი.. და დ'ბლ არს  
სკ'ნითგ'ნ უ'კე.. მე.. გლ'ხემ'ნ.. ფ'ლ.. ც'ლვლმ'ნ..  
და.. ყ'თა.. ეფისკოპ'თა.. და.. მ'ნზნ'თა.. უნრჩევეს...
- 2 ...ნ.. მ'ხლველ(?).. გლ'ს.. მ'დგინებ'თ.. ვნ'ებე.. კაზშდ..  
ენ'ბ'თა.. ა'მთ ბრძანებითა პ'ტრნის.. მერ'ბისითა..  
დლეგრ'ძლ'ბით.. საუკ'ნო.. იყ'ვნ კ'სნბა.. მ'თი მ'რდის..
- 3 დ.. და.. სხ'ლვ'დ (მ)ცველ'ლ.. სლ'ისა ჩ'ნისა..  
და მშ'ბლთა.. ჩ'ნთა.. სა(ოხლ) შეგამკევინე ხატი  
ესე მფთ მეფისა.. კსტნტინესითა.. და.. დედფლთა  
დედფლისა [თსა?] ქ'...<sup>2)</sup>)

ჩვენის აზრით, ეს წარწერა ეკუთვნის კონსტანტინე III, რომელიც გამეფდა ქართლში 1478 წელს.

კუბოს კარებზე ხატისა მხედრულათ სწერია:

- 1 ლ'ო ყ'ისა შემოქმედო და ყ'თა ცხოველთა ცხოველობისა  
მიმცემო მსმე
- 2 ნი სიტყუათა მათ შენთა საღ'თოთა რ'ლსაცა იტყვ პირი-  
თა შ'ითა უტუელი
- 3 თა საღ'თოსა შ'ა წერილსა ესრეთ. „მოიძიეთ პირი და  
შევედრენით მე და შევი
- 4 სმინო ჰეცით და მოწყალე [გ]ექმენე თქულნა; ნ მე მსმე-  
ნელმან ამათ სიტყუათმან

<sup>2)</sup> ეს წარწერა ვერ არის კარგათ წაკითხული ბროსეს მოგზაურობაში. მეფე კოსტანტინეს სახელი იქ სრულებით არ იხსენიება.

- 5 მოვიძიებ შემწე-მფარულად და პირი სახე და ხატი ღრთა-  
ებისა შეისა და წე შენსა წრ
- 6 მ'ღვიმილი ვყოფ ვეღრებასა გულითა მძრწოლარითა და  
ეინათგან თვთ შენტე უკი
- 7 ჰსჯულის მდებლობ მონისა შეისა მოსეს მართ და იტყვ  
ვდ ,არა მეჩეტნოთ წე პირსა ჩა
- 8 ცარიელი“: და ამისთვის მეცა წინაშე პირსა ღიდებისა  
შეისასა წარმოდგომილი კად
- 9 ნიერ ვიქმნები და მოგიძლიუნი მცირითა წრსაგებელითა  
ჩრთა შემზადებულსა შთასასუნებელსა<sup>1)</sup>.
- 10 და შენცა უკუტე ხატო ღრთაებისაო შემწეო მორწმუნეთა,  
ღიდებაო მაღიდ
- 11 ებელთაო, და მფარუტლო მსასოებელთა შენთაო, შენ  
შემწე ექმენ მორწმუნესა
- 12 შენსა შემომწირუტლსა ამის მცირედისა შესაწირავისასა,  
შენ ღიდებაო მაღიდებელ
- 13 თა შენთაო ღიდებულ ჰყავ მაღიდებელი იგი შეი მონა და  
მოსავი ღრთაებისა შეისა
- 14 ციცისშეილი ზაქარია და შეზღუდე ძალითა შეითა უძ-  
ლეველითა, მეულლი
- 15 თურთ თვისით, ძეებითურთ და ასულით და ნუ გარე  
მიაქცევ სასოებასა მის
- 16 სა და ეც ფარუტა წრთა შეა ღლეთა მისთა:
- 17 წელსა 1786.

მეორე მხარეს მარცხენა კარისა მხედრულათ სწერია:

- 1 ყრთა ცხოვრებისა და ცხოველ მყოფისა მეუფისა ჩრისა  
და ღრისა ხატო სახეო და მაგალი
- 2 თო და უსაბამოხსა ღრთაებისაო ვინათგან სათნო შესა-  
წირავ და მსხუტრპლ შენდა არს სული

<sup>1)</sup>) აქ თავდება პირველი კარის წარწერა, დანარჩენი მოთავსებულია  
მეორე კარზე ანუ უკეთ ვთქვათ მეორე ნახევარზე.

- 3 შემუსრკლი გული შემუსრკლი. და დამდაბლებული,  
რლსაცა არა შეურაცხ ჰყოფ თქმისა  
4 ებრ წულისა შისა დავითისა: ამისთვის უკუც სასოებისა  
თვსისა შენ ზა დამდებელმან მო  
5 ნამან შენმან ციცისშვლმან დედოფლის სახლთ უხუცეს-  
მან ზაქარიამ სულით და გულით შემუსრკლით და დამ-  
დაბლებულით  
6 მოგიძლუანა მცირედი ესე შესაწირავი წა ბუდე ესე  
7 შთასასუცებელი და შემოგწირა სასოებითა ფრითა შენ  
თაყუანის საცემელსა ყრასა ხა  
8 ტა ღთაებისასა: <sup>1)</sup>  
9 შთასასუცებელსა ამას ბუდესა ხატისა ღრთაებისა შრსასა  
და შემოგწირავ მონა  
10 შენი ციციშვილი დედოფლის სახლთ უხუცესი ზაქარია:  
ხ შენ ღთაებათ  
11 შეუცრულებელო ყოველთაო ნუ უგულებულს ჰყოფ სა-  
სოებასა ჩემსა და მოიხილე  
12 ზა ზეცით წმიდით სამკვდრებელით შენით და მოწყალე  
მექმენ და დამიტა  
13 რენ ყრა დღეთა ჩემთა მე მეუღლითურთ წემით და  
ძეებით და ასულით  
14 ურთ, რათა მდის გადრდებდეთ შნ საფარუცელსა შა  
შენსა დაცულნი და  
15 ქუცელის მოქმედებისა შისა მმადლობელნი:  
16 წელსა 1786 <sup>2)</sup>.

ამ ხატის შესახებ ამბობენ, ვითომც ეს იყოს გაძარცული  
ნაშთი იმ შესანიშნავი ნაჭედი ხატისა, რომელსაც მოიხსენიებს  
მურავიევი. ჩვენ გვვონია, ამ ხატს სრულებით არ ეხება მურა-  
ვიევის სიტყვები.

1) ამას ქვემოთი სტრიქონები მოყვანილია მეორე მხარეს მარჯვენა  
კარისა.

2) ამ კუბოს კარების წარწერების ტაქსტები პირველად იბეჭდება აქ.

II. ჯვარი გარეთ სატარეპელი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი. მხედრული წარწერა ზემოთ ცოტა გადასულია, მაგრამ წაკითხვა მაინც შესაძლოა:

- 1 ქ. ეპა შენ ცისა მოქცევით მძღვანელოւ ზეშთა ზედან აღმაფრენისა სუფევად ყოველთა მაცხოვრისა
- 2 საჭეთ მჭრველი მტრთლ ჯისა ამის მიმრთმელი რუსსა ვმროველობ ნიკოლაოზ ორბელისშვილი.
- 3 ქ. წნო ძმანო ჯი ესე ლარაძეთ მოუპოვებიათ დეონისე პირეელ ერუშნელი ყოფილა იმას შემოეწირა დიალ დალეჭილ იყო აწ მე მ
- 4 როველ ურბნელმა ნიკოლაოზ ხელახლა გავაკეთებინე ვეცხლიც მოუმატეთ ვინც იხილვიდეთ პირველად დეონისე მროველს
- 5 მოიკენებდეთ და შემდგომად მეცა შენდობით მომიკენებდეთ და თისათვის გერბი ქესა აქეთ ჩლიგ ქ'კს უკ (sic)
- 6 მებობისა ბაქარისასასა გაკეთდა ვინკა ამა საყდრისათვის შემამეწია რასმე ლ'ნ აკურთხოს ა'ნ<sup>1)</sup>.

### სელითნაწერები.

I. სახარება 33 × 21 სანტიმეტრი, ღაწერილია ქალალზე წუსჩა ხუცურით ერთ სვეტად. ყდა ვერცხლისა იქვს. სურათები ოთხისა მახარობელთა და სათავები თუმცა ფერადებით არის ნახატნი, მაგრამ ხელობა საიმისო არ არის. ზოგი ფურცლები არეულია. ბოლოს სარჩევია და სარჩევის წინ სწერია:

- 1 დაიწერა წ'ა ესე სხრ'ებ'ა წელთა შვდი ათას ორის
- 2 ათ ხუთმეტს კლიტა ფ'დ ც'ოდვილისა. დიმიტრისითა:
- 3 ვინცა მიუმთხვეოდეთ წ'ა ამ'ს სხრ'ბსა, შენდობ'ხსა
- 4 ჰყოფდით ჩ'მ ც'დვლისა თ'ს.:<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> ამ წარწერის ტექსტი აქ პირველად იბეჭდება.

<sup>2)</sup> 7215 წ. ქართულის სათვალავით უდრის 1611 წელს.

სარჩევის ბოლოს სხვა ხუცურის ხელით სწერია:

- 1 ეს წე სხრბა დაეგირბინა ნიკზ ქუს ხერხეულიძეს და
- 2 მე მროველ მატრაპოლიტზნ დავიკუსნ სამ თუმნდ
- 3 იყო გირაოდ და მე თხუთმეტ მილანთული მივეც.
- 4 ჩემ ცლვლისათვეს შენდბას ყოფდეთ მროვლისა ისბისათვა:

II. შმარხვანი  $32 \times 12$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ ნუსხა ხუცურით ორ სვეტად. ბოლოს სწერია:

ღო ღო შე ცდკლო გი.  
 ოდეს მეფობდა საქართველო  
 სა შა. მეფე ვახტანგ ლეონის  
 ძე ბაგრატიონი. მშინ უსჯლთა  
 ოსმალთა მოტყუებით დაიპყ  
 რეს საქართველო, და მშრ მეფე  
 [ვ]ერლარა მდგომ იქმნა სმკვდრე  
 ბლსა თსსა, და წრმოვიდა დედა-  
 წულით რუსეთად; და მრკლი  
 ეფისკპსნი და დბლნი თან იახლა  
 და თვთ მროველ ეფისკპზი ორ  
 ბელის ძე ნკზ თან ვახლა რლ  
 სა თა ჰყვეს ძმი სმნი, და ძმი  
 სწული ორი, და ბიძის ძე ერთი;  
 თვინერ ყრმებისა და დედათასა;  
 მშინ სმრთოსა ქლესა მოსკოვს ყო  
 ფასა შა მიბრძანა წერად მრხვ-  
 ნისა ამისა და დავსწერე დიდის სსჯ-  
 ილითა მრხვნი ესე, მრკლ ემ  
 იერ ყოს უნ წელნი და ემნი მისისნი;  
 ხ წესი და რიგი რუსისა დავსწე  
 რეთ; გზი მე გლე კი მლდლი გიო  
 რგი სმიერლი ებიტაშვლი ვინც  
 ნამცათარი ნახოთ უდრტვნელდ

გამართეიდეთ, გბ'ი სყვრ'ლნო  
მკითხერ'ლნო წყოვა და შეჩვენება  
არა ჰყოთ ჩ'მ ც'დკლისთს ა'დ  
გ'ბი კ'თა მხილველთა ვინ(;) იკ  
შარებდეთ ლ'ის სიყვრლ'ისა  
თ'ს ამ'ს... მღდლთ მთვა  
რსა მროვლ ნკ'ს შენდობით  
მოიკასნებდეთ; და მეცა გ'ბი გლ  
ახ'კი ამისი მწერალი მღდლი გ'ი  
გ'რდამოცვენებლის ნაბიჭვევ  
ისგნ თვთო შენდობას მეც მიხდი  
წებდეთა: ნაშრომი ჰგიეს. ხ' მუშაკი  
მტუტრ და ავლ:..

ქ'ეს: აქათ: ჩ'ღ: ქ'ტ:.. თვე  
სა:.. ივნისსა: ა:.. მეფობასა  
შე[ო]რესა იმპერატორი: პ'ე ალ  
რ'კ'სის შკლისსა:..

შემდეგ ჩართულის ხუცურით სწერია:  
ვერ მგრძნობი, ამის უმეცრებით წერისად:-  
თუც დაგვთაროს ნუ საბასრო ბერისად:-  
მგრძნობი ნუ ცხად ჰყოფს, ზეწერით უშვერისად.  
გესავ შემინდოთ, ქ'ს მსასოფ სერისად.  
უგრძნო ნუ ეძებს, ცხადად ვწერე შტერისად:-

შემდეგი ლექსი მოყვანილია მხედრული ასოებით:

მე დედა ზარდლის, ქსელისა უსუსტე:..  
კეც კაცი ვმონებ, მემსხვერპლე თუ ხენეში:..  
არა ხენეშთაგან, კაწახ მონოზანობ:..  
მმკობსა ჩემსა, ვამკობ ძალისად ნიკოლაოზ:..  
მკსენ ვიყო მხილველთაგან ორბელიანი:..

ამ ლექსებს შეუა სწერია:

ღრთო მამაო ძეო და სულო წ'ო, ღიღად ღიღებულო.  
და მეუფეო უფალო ჩემო იქო, ღრთო და  
კაცო სრულო. შე მე ძე ორბელისა ულირსი  
ნიკოლაოზ მროველი ცუდი მონაზონი.

შემდეგ სხვა ხელით:

უ'ო ღრთო ც'ი შ'ე.. ქ'ეს აქეთ ჩდგჭ:- ივლისს ით:  
აღესრულა

მე ორბელის შვილმან: ქართველთა: იმერთა და კახთ მე-  
ფეთ დედის ძმიწულმან: და საქართველოს მოსამართლეთ უხუ-  
ცის ძემან: მროველ ეფისკოპოზმან ნიკოლოზ აღვაწერინე  
მარხვანი ესე: და შევსწირე ქართლში რუისის ღრთაგბასა: ვინც  
გამოსწიროს ღრთნ დასწყევლოს და შეაჩვენოს:- ვინც იხილოთ  
შენდობას ვითხოვ ღრთის გულისათვის:-

III მარწუხი  $22,5 \times 16,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქა-  
ლალდზე ნუსხა ხუცურით. სათაურები ნაწერია წითელის მელ-  
ნით, ყავა აქვს. ბოლოს სწერია:

აღიწერა და სრლ იქმნა საღმთო ესე: მარწუხი: წელსა  
1723 (უნდა იყოს 1753) თვესა. მაისსა: 30:. საქართველოსა-  
ზედან: მეფობზ სა: ცხებით გვრგვნოსნისა: მეფისა ერეკლესა ძისა:  
თეიმურაზისაზე:. და ძისა მთ ისა კე-თა მეფისა ერელესასა: სა-  
ქართველოსა მ-მამთვ-რისა: და უფროსად პატრიარქისა: ანტონი  
მეფის იქება ძისათა: მშრომელისა მმუშკებელისა ქუთათელ მიტ-  
რპ-ლიტ უფლისა და ქ-რთლისა. არქიეპისკპის ტიმოთესა:  
ღრთ შეიწყალე ამისი მჩ-ბბლი ც'ი ქრისტეფორე:

IV. კურთხევანი  $20 \times 14,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქა-  
ლალდზე ნუსხა ხუცურით. თავი და ბოლო აკლია. ყდა არა  
აქვს. უნდა ეკუთვნოდეს მეთვრამეტე საუკუნეს.

V. გულანი in folio,  $45 \times 31,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ნუსხა ხუცურით და შავის მელნით. სათაურები ნაწერია წითელის მელნით. თავი და ბოლო აკლია. ქორონიკონი ჩვენ ვერ ვიპოვნეთ. ხელის და მასალის მიხედვით გულანი მე-XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს ან მე-XVIII და საწყისს. ბოლოს მიკერძებული აქვს ორი ტყავის ფურცელი, რომელზედაც სახარების განმარტების (თარგმანის) ტექსტი ყოფილა.

VI. ძილისპირი  $20,5 \times 14,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ნუსხა ხუცურით. ყდა აქვს. ქორონიკონი არ უზის. ხელთნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეXVII—XVIII საუკუნეს.

VII. მარგალიტი  $21 \times 16,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ნუსხა ხუცურით, ხელთნაწერში მოიპოვება ოთხიოდე სურათი საკმაოდ კარგი ნახელავი. ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

წ:: დაიწერა წიგნი ესე მრგლტი ეყლითა ფრ ც ც ლვლისა რუისელი მღვდელ შონოზონის კლიმაშვილის იოსებისთა ს-მეუფოსა ქლ-ქსა რუსეთს- მოსკოვს და შევსწირე წიგნი ესე რუის ხატსა ხთაების-სა ვინც გ-მოსწირ[ოს] ისიმც რისხ ეს და მისნი გნ-წყობილნი და ნურც ივსნების ს-ლით და კორცით და რანიც წ-ნი სვიქსარსა შიგ-ნ სწერიან ისიმც რისხეს ამის გ-მომწირლსა ან. ჩლგა. დაიწერა წიგნი ესე ჩლგა.

VIII. დასდებელი ინდრია კრიტელისანი  $20,5 \times 14,5$  სანტიმეტრი, ნაწერია ქალალდზე ნუსხა ხუცურით, თავი და ბოლო აკლია. ხელითნაწერი მე-XVIII საუკუნის უნდა იყოს.

IX. ეფრემ ასურის სიტყვად ფერისცვალებისათვს  $21 \times 15$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ნუსხა ხუცურით. ბოლოს სწერია:

მრავალ ე-მირ წინამძღვის შვილი მრთელ მიტროპოლიტი

გერმანე, რისა საფასითა აღვწერე ულირსმან მღდლმ ნ სიონის  
დეკონისზე ნკლზ: ჩდაც. 1768.

მე მროელ გერმანეს ამ მღთაებისათვეს შემწირავს სულისა  
ჩემისა საოხად ნურვინ იკადრებთ გამოწირვად

X. წესი კურთხევისათვეს ეკულესისა  $27 \times 12,5$  სანტიმეტრი,  
დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით. ბოლოს  
აქვს მინაწერი:

გარდმითარგმნა რუსულისაგან ქართულად ილუმნის  
ტრიფილესგან იუნის 21 წელს 1784

ქვემოთ სწერია:

გე

სენნედ იოანემცა ულირსი უკონომისა დეკანოსი ტფილის  
სიონისა აღმწერი ამისი მკითხნო  $17\frac{3}{20}92$ .

XI. თოვენი, რომელიც შეიცავს საკითხავებს ივნისისა,  
ივლისისა აგვისტოსა,  $31,5 \times 21$  სანტიმეტრი, დაწერილია  
ქალალდზე ნუსხა ხუცურით: ყდა დამტვრეულია, თავი და ბოლო  
აკლია. ხელთნაწერი ჩვენის აზრით მე-XVIII საუკუნეს  
უნდა ეკუთვნოდეს.

XII. ნაწყვეტები დავითის ფსალმუნებისა  $20 \times 15$  სანტიმეტრი,  
ნაწერი ყდაში, ნაწერია ნუსხა ხუცურით. მხოლოდ რამოდენიმე  
ფურცელია დაცული. ხელითნაწერი ჩვენის აზრით მე-XVIII  
საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

XIII. წიგნი იოანე დამასკელისა  $16 \times 10,5$  სანტიმეტრი,  
დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით, ყდა დაცულია. ბოლოს  
სწერაა:

ქ'ეს აქეთ: ათას შვიდას ოცდა რვასა ეს წიგნი მე მროველ  
ეფისკოპოზმან ნიკოლოზ რუსის ღთაებას შეესწირე:  
ისიმც რისხავს და იქსო ქრისტე: და სული წმიდა: ვინ იმ რუსის  
ღთაების საყდარს ეს გამოსწიროს ყოველს მროველს. და

წამკითხავთ გეხვეწები შენდობას მიბანებდეთ: ღრთის ყსიგა-  
რულისათვის:

მე ორბელის შვილმან მროველ ეფისკოზმან ნიკო-  
ლოზ ალვაწერინე იოანე დამასკელის. წიგნი ქსე: ქალაქსა  
შინა ასტარხანს: ქართლიდამ რუსეთს მოვდიოდით მეფე ვახ-  
ტანგს ვახლდით: იქ ქართლიდამ წამოლებული დიალ ძველი  
წიგნი იყო: აღარც თავი ჰქონდა: და აღარც ბოლო: რაც  
ჩნდა ეს გარდმოვაწერინე დაუკარგაობისათვის: და შეახედაც  
ცხრამეტი და ოცი თავი ამოვლეჯილი იყო: რომელსაც ღრ  
ქართლის თათრისავან გამოკინა გალირსოსთ ამის გათავებას  
ეცადენით. ღრთის სიყვარულისათვის: და ვინც ნახევდეთ თვი-  
თოს შენდობას მიბანებდეთ და ამ წიგნს რუსის ღრთაებას  
ნურავინ გამოსწირავს: თუ ეინ პეგამოსწიროს, ისიმც ღრთა-  
ება რისხავს.

ამის ბოლოს სწერია:

ღო შე ფლ ცდვლი ის გლიმიაშვილი ამისი დამწერი.

XIV. ნეტაფრასი  $21 \times 16$  სანტიმეტრი, დაწერიალია ქა-  
ლალდზე ნუსხა ხუცურით. ყდა დაცულია, ბოლოს სწერია  
ტექსტის ხელით:

სადიდებლად წისა სბოსა. მე გლხემზე ხუცეს მონაზონმნ  
ვიგლს მოდგინე, და ალვაწერინე. საფასითა ჩმთა: ყდ წის  
ღრის შშობლის შბის საკითხვი: და ჯის აბალლების ნეტა-  
ფრასი: და: წამება: წისა ღბლის მთვრ მწმისა დიმიტრისა:.  
და ტაძრად მიყვნების შესხმა და ქება და წამება: და წამება:  
წისა მოწამისა ღბლისა რედენისა: ცხრბა და მოქლება:  
წისა მწმისა ჩნ ისა ნიკოლოზისა და მიცვლბბა ყდ წისა  
ღისა მშბლრისა შესხმა და ქბე: და ვინცა ჩმს უკან მიემ-  
თხვივნეთ ამთ ჩმთა ნალეაწთა შენდობასა ჰყოფდეთ ჩმ გლ-  
ხების ბერის გერმანესათს რა ლოცვა თქნი მეოს მეყოს მე  
უდებსა და თქნცა სათნო ეყოთ შემოქმედსა: სანამ ცოცხლ  
ვიყო ნუ ვინ იკადრებთ მიმდლავრებით გინა მიხვეჭით ამ წიგ-

ნის მიღებაშა. და როცა მოვკდე მას უკან თქნ იცით ცოცხლი უკეთ მოიხმარო:

ამის ბოლოს იუსტინეს ხელით მხედრულათ სწერია:

მე მროვლმან მიტროპოლიტმან იუსტინემ შევწირე წმინდას ფერისცვალებისა ეკლესიას მეტაფრასი ესე.

XV. სახარება ტყავისა  $24,7 \times 15,7$  სანტიმეტრი, ნაწერია ნუსხა ხუცურით, თავში აკლია ეტრატის ფურცლები, რომლების მაგიერ მიკერებულია ქალალდის ფურცლები მერმენდელის ტექსტით. ტყავი ხელნაწერისა გაღანარეცხი (პალმფსესტი) მოჩანს. ყდა ხისა აქვს ტყავ გადაკრული, ბოლოს დართული აქვს სარჩევი ყოველ დღიური საკითხავებისა. როდის ან ეისგან არის წიგნი გადაწერილი, არა სჩანს, მაგრამ პალმოგრაფიურის ნიშნებით, ჩვენის აზრით, ხელთნაწერი უნდა იყოს გადაწერილი არა უკვიანეს მეთერთმეტე საუკუნისა. და როგორც სჩანს მინაწერებიდან ჰკუთნებია სვეტის საყდარს ტბეთის მახლობლებთ. არა ტექსტის ხელით მინაწერები ამ სახარებაზე ბევრია და ზოგი მათგანი ძველ გვარებს მოიხსენებენ. მოგვყავს აქ ეს მინაწერები:

1. ჩუენ სკუტვითა დაწერილი ესე: პატრონმან ივწენე საბაზიარო. გაგვშვა. და სხუა მრავალი კეთილი საქმე უყო სკუტსა აწ. ჩუენ გაუკეთეთ კლთა სახარებისა წარკითხვაზედა და ლოცვა ვინცა მოკულოს. მისთუისმცა გაიკითხეის.
2. აღიდე: სახარებაო: სალი ჩექას ძის დავთხა შეიწყალე: აქა და მას სუკუნ.
3. სალსა ავალიშვილისა გვირგვირნასა შენ ღნ: ეინცა ესე ლუკვა მოუშალოთ ღნ ჰკითხოს
4. სალსა [ავალიშვილისა სუმონისა შენ ღნ.
5. სალსა თურმანის ძისა მარუშიასსა შენ ღნ და სალსა მეუღლისა თუალისა შენ ღნ.
6. სალსა ილიას ძესა ქუმისისა შეუნდნეს ღნ.

7. სულსა სულკურთხეულისა... შეილისა ბაზატისსა შ-ნ ღ-წ  
მისა მეუღლესა გულსრამს შ-ნ ღ-წ
8. სულსა დაფურისძესა კლადნონასა და მისსა შეილს გორჩ-  
გის შ-ნს ღ-წ ა-წ.
9. ელისესა შ-ნს ღ-წ ა-წ.
10. ს-ლსა რჩეულსა შეილის ზავრა ყოფილისა ზაქარიასა  
შ-ნ ღ-წ და მათსა ძესა ხორშეს შ-ნ ღ-წ
11. ს-ლსა თეთრაძეს ინდოსა და მისთა დედა შ-მთა შ-ი  
ღ-წ ა-წ.
12. ს-ლსა ყუდაძესასა აბრამს და მისთა დედთა შ-მთა შ-ი  
ღ-წ.
13. სულსა ხარტშიძესა ივანსა და მისა მეუღლეს მანიქრსა  
და მისა დარსაწულსა სალმინაერის შ-ნ ღ-წ
14. ს-ლა მოზაურერაძესა ზაურაშას შ-ნ ღ-წ
15. ს-ლსა ქარციძესა მ... და მისთა დედა მამა შ-ი ღ-წ
16. ს-ლსა ქარციძესა ბდირიასა მეუღლესა მისსა მაიანს შ-ნ ღ-წ
17. ს-ლსა დევადარაძესა ბდირის ძისა მისა მეუღლესა კეკე-  
ლასა და მისთა შეილთა შ-ნ ღ-წ
18. ს-ლა ლალივაშვილსა აეგაროზს მისსა მეუღლესა მაზისა.  
• თუალსა ხარადარს შ-ნ ღ-წ
19. ს-ლსა ხუციძესა აბესლ-შსა შეუნდნეს ღ-წ.
20. სულსა ბუჭიტეძესა დარისპანსა შეუნდნეს ღ-თმნ
21. ს-ლსა სალმინიძესა იოსებსა შეუნდნეს ღმერთმან.
22. ს-ლსა ლასურიძესა სფრიფონს და მისა მეუღლესა  
ყისყისა შ-ნ ღ-წ.
23. სულსა შალიკაშვილისა ელიასასა დღეგრძელობით ცოდ-  
ვანი შისნი შენდნეს ღმერთმან
24. ს-ლსა იროდნს მღმდევლსა შ-ნ ღ-წ
25. სულსა მკეციძის ასულს როდენ ყოფილს სიძესა და მის  
ძვის წულს იოსებს შეუნდნეს ღმერთმან.
26. ს-ლა კავაკასიძესა ზაქარიასა და მისა მეუღლე ულპია-  
სა შ-ნ ღ-წ
27. ს-ლსა ამილხორის შავილსა(sic) იობ შ-ნ ღ-წ
28. სულსა კოპასძეს როსაბს შ-ნ ღ-წ.

29. სულსა ადმაიფარს შენ ღწნ
30. ს'ლსა ქუმასიასა შენ ღწნ
31. სულსა შამიძესა დაჯავრსა შენ ღწნ და მისა მეცხველ-  
რესა ანასა და მისა ძესა დაეკითხა შენ ღწნ.
32. სულსა გოგოლა შენ ღწნ
33. შვილსა გაისა ელილბლეს შენ ღწნ და მისა მეულლესა,  
ბისა ძესა რომანოზსა და მისა მეულლესა გულსურუმს  
შენ ღწნ.
34. სულსა მაღარაძესა გრგის და მისა მეულლეს ქეთეონს  
შენს ღწნ
35. სულსა ანტონიძესა დანიელს შენ ღწნ
36. სულსა ვარდანიძესა ნიკოლოზს მისა მეულლესა მისა  
ძესა შენ ღწნ
37. თაგდირიძესა ნაეროზს შენ ღწნ
38. ს'ლსა შარაბიძესა ხანკუთისა დეკანოზსა ათანასეს და  
მისთა დედა მამათა შენს ღწნ
39. სულსა დეკანოზსა დემეტრეს და მისა ძმასა იეს მირაქს  
შენ ღწნ და მათთა დედა მამათა შენ ღწნ
40. ს'ლსა სუტის დეკანზსა კუციძესა მსეს შენ ღწნ.<sup>1)</sup>

## გ. თაყაიაშვილი

(შემდეგი იქნება)



<sup>1)</sup> ქართული ტექსტები ხელთნაწერების მინაწერთა აქ პირველად  
იბეჭდება.

# ქველი თაობა

იღია ჭაგტაგაძე, როგორც შებუაცისტი

III<sup>1)</sup>

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ერთი შესამჩნევი მო-  
ვლენა. ერთი ნაწილი ქართველ ახალგაზღობისა (სამოცდაათ-  
ოთხმოც წლებისა) სამშობლოს გაურბოდა და თავის მოვა-  
ლეობადა სთვლიდა რუსეთის საშუალებით კაცობრიობის მო-  
ძრაობაში ჩარეცულიყო. რამდენად გულწრფელი იყო ამ ახალ-  
გაზღობის მისწრაფება, იმდენად უნაყოფო იყო მისი მოქმედება  
და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზღობამ, ასცდა რა  
იგი სამშობლო ნიადაგს, კაცობრიობის უშუამავლო სამსახური  
მოინდომა.

ბევრი რამ იყო ჩვენს ცხოვრებაში მისითანა, რამაც და-  
ბადა ჩვენში ეს „უნიადაგო“ ტიპი. ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება  
ვერ აკმაყოფილებდა განვითარებულ გონებას, მეორეს მხრით,  
ვიწრო პატრიოტულმა მიმართულებამ, რომელიც თან-და-თან ფეხს  
იდგამდა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში და რომლის დამა-  
ხასიათებელი თვისება იყო თავმოწონება, წარსულ გმირთა და  
ცხოვრების თაყვანის ცემა, განურჩევლად იმისა, თუ რა იყო ამ  
წარსულში სათაყვეპებელი და რა გასაკიცხი, როგორლაც და-  
აფთხო, დაქანქანა ჩვენი ახალგაზღობა. და ამ დაქანქანასაც  
გარემოება ხელს უწყობდა — ჩვენი განათლებული ახალგაზღდა  
თავის სიჭაბუკეს უცხო ქვეყნაში ატარებდა. რამდენისამე წლის

1) იხ. „მოამბე“ № VI. 1901 წ.

განმავლობაში იგი ეცლებოდა ჩვენს დაქვეითებულ ცხოვრებას და ატარებდა რუსეთის დიდ ცენტრებში, საცა შედარებით ცხოვრება სდუღდა, საცა ახალგაზდა კაცი აღვილად ჰპოულობდა გონების საზრდოს და თავის გულის პასუხსაც აკმაყოფილებდა. ყველა ამან დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევი კვალი, გამოიწვია ერთვარი მოძრაობა, რომელსაც ჩვენ „უნია-დაგო“ მოძრაობას გუწოდებთ. ამ მოძრაობას უნიადაგობის სახელს იმიტომ კი არ ვაძლევთ, რომ იგი ვითომ ჩვენს ცხოვრებიდან წარმოშობილი არ ყოფილიყოს, არამედ ამიტომ, რომ მან უმგზავსი, უსამართლო და მიდგომილი ხასიათი მიიღო.

ჩვენებურმა ვიწრო პატრიოტობამ რეაქცია გამოიწვია. ეს რეაქცია გამოისახა კაცობრიობის ფართო, ფრთებ-შეუკვეულ სამსახურის სურეილში. ახალგაზდა ქართველი ჰშორდება ეროვნულ ნიადაგს და ამ დაშორებით თან-და-თან სულიერ კავშირსაც ჰკარგავს იმ წრესთან, რომელშიაც იგი აღიზარდა. ამ სულიერ კავშირის გაწყვეტასთან მის გულში სამშობლოსადმი გულ-გრილობამ და უსამართლობამ დაისადყურა. არც წარსულში, არც აწმყოში, არც მომავალში ის არა ხედავდა სანუგეშოს, სანუკვარს, გამახალისებელს და გულის გამკეთებელს. ბარბარასობა წარსულში, ბარბაროსობა აწმყოში და მომავალი ბურუსით მოცული — აი ის დასკვნა, რომლამდინაც მივიდა ერთი ნაწილი ჩვენის ძველი თაობისა თავის ახალგაზღობაში. ამ მიმართულების<sup>1)</sup> ტრიური გამომსახველი იყო ბ-ნი ნარ-ლონი, „Письма о Грузии“-ს ავტორი.

ამ წერილებმა ისეთი შთაბეჭილება მოახდინეს ჩვენს საზოგადოებაზედ, როგორც რუსეთში ცნობილმა ჩაადავის „ფილოსოფიურმა წერილმა“ რუსეთის საზოგადოებაზედ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ჩაადაევმა, შეშინებულმა იმ დროის რუსეთის დაქვეითებით, გარ აცებულმა დასივლეთ ვეროპის კულტურით, უარპყო რუსეთის წარსულ ცხოვრების ღირსება, გააქარწყლა ყოველი იმედი უკეთესის მომავალისა და რუსეთის

1) Сб. Вѣст. 1889 г. Февраль и Март.

ერთად-ერთ სხნას იმაში ხედავდა, რომ რუსეთს უნდა უკუ-  
ეგდო თავისი ეროვნული თვისებები, მართლმადიდებელი სარწმუ-  
ნოებაც შეეცვალა კათოლიკეს სარწმუნოებაზედ და სხვა. ჩა-  
ადაეცი მით უფრო მოგვაგონებს „Письма о Грузии“-ის დამწერს,  
რომ ამ ორივე კაცის სულიერი მდგომარეობა ერთისა და იმავე  
ანალოგიურ წყაროდამ გამომდინარეობს. ერთსაც და მეორე-  
საც ვერ აკაციფილებდა შინაური ცხოვრება, ერთიც და მე-  
ორეც დაწაფა კაცობრიობის გაუზომელ ცხოვრების ზღვას,  
ერთიც და მეორეც ამ ზღვის ტალღებმა ნაპირს, მკვიდრ  
ხმელეთის ნიაღაგს მოაშორეს და იქ, აღ შფოთებულ მდელვარე  
ზღვის შუაგულში, მკაცრი, სასტიკი, ერთ მხრივი და ულმობე-  
ლი მსჯავრი გამოათქმევინეს უველა იმაზედ, რაც დარჩა ხმე-  
ლეთის ნაპირას, და რაც ბუნდოვანად მოჰქმდა შორიდამ,  
აღ შფოთებულ ზღვის შუაგულიდამ.

„Письма о Грузии“ თავზარი დასცეს ჩვენს საზოგადოებას. შთაბეჭდილება მით უფრო ძრიელი იყო, რომ ამ წერილების  
ავტორი შემოსილი იყო მეცნიერების სამოსელით და მისი  
მკაცრი მსჯავრი თვით სამართლიან ულმობელ მეცნიერების  
მსჯავრს მოაგონებდა კაცს. ამ წერილებში დამცირებული იყო  
არამც თუ ის, რაც მართლა დასამცირებელი იყო; არამედ ისიც;  
რითიც თავი მოგწონდა და რითიც გავირვებაში თავს ვინუვე-  
შებდით. ავტორმა თავის სურეილისამებრ გადააკეთა ჩვენი ისტო-  
რიის დასაწყისი, მისი მიმდინარეობა, ჩამოაცალა ჩვენს თვალში  
ყოველი ლირსება და ჩვენს სულ-მოკლეობას საზრდო მისცა. ამ  
მიმართულების წინააღმდეგ გალაშქრება იყო საჭირო, საჭირო  
იყო პასუხის გაცემა; საზოგადოების დამშვიდება, აღგზნებულ  
ცუდ ვნებათა ჩაქრობა. ერთის სიტყვით, დრო მოითხოვდა  
ჩვენი ისტორიის უმთავრესს მომენტების გადასინჯვას, ცრუ მე-  
ცნიერულ დასკვნების დარღვევას. საჭირო იყო ჩვენს თავზედ  
მოგროვილ ღრუბლების გაფანტვა, ჩვენი არე-მარის მზის სხი-  
ვებით მოფენა და განათება. აქაც ილია ჭავჭავაძე გამოდის და  
სწერს თავის ყოველის მხრივ შესანიშნავ „აი ისტორია“-ს.

საკურიველია, მკონი, არსად არ უნდა იყოს გავრცელებული ესოდენ ცალმხრივი უსამართლო დაფასება კაცისა, როგორც ჩვენში. თუ რომელსამე კაცს ერთ კითხვაში არ ვეთანხმებით, არ შეგვიძლიან, რომ სხვა კითხვებში დავეთანხმოთ, თუნდაც ეს სხვა კითხვები სწორედ ისე ჰქონდეს გაგებული, როგორც ჩვენც გვესმის. თუ ერთ რამეში არ მოგვწონს კაცი, ჩვენ ვცდილობთ, ყოველ ღონისძიებასაც ვხმარობთ დავაქვეითოთ, დაესცეთ და ფეხ ქვეშ გაეთელოთ ადამიანი. სწორედ ამავე მიღომილობასვე ვიჩენთ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც კაცს ვაქებთ და როდესაც მისი აზრები მოგვწონს — აშკარა სისულელე და უგუნურებაც რომ წამორომოს ამ კაცმა, ჩვენ ვერ დავინახავთ ამ უგუნურებას. მეტის-მეტის სიფიცხით, ვნებათა ღელვით და აჩქარებით მოგვდის ყველა ეს.

აი თუნდა ჭავჭავაძის მაგალითი ავილოთ. ეს არის დაფიწყეთ ჩვენ ამ მწერლის დაფასება, დავბეჭდეთ წერილი, რომელშიაც თანხმობა გამოვუცხადეთ ეროვნულ კითხვების განმარტება-გარკვევაში და ამასთან ისიცა ვსთქვით, რომ მისს ეროვნულ პროგრამას სხვა ეკონომიური საფუძველი უნდა დავუდოთ. ამის შესახებ „კვალის“ 30 №-ში ვკითხულობთ: „ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება, თუ რად ულალატა ბ-ნმა ჯორჯაძემ თავის მანერას, თუ რად შესცვალა მან წერის კილო? ესე იგი თანახმად თვისი ეკონომიური პროგრამისა, პირდაპირ, შეუკიბ შემოუკიბავათ, რად არ უარჲყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა?“ ყველა ეს სიტყვების ავტორს იმისთანადანაშაულობად მიაჩნია, რომ იგი გულმტკივნეულად დასძენს: „ჩვენ ძლიერ ეწუხვართ ბ. ჯორჯაძისთვის, რომ იგი ასე ჩქარა დამდგარა თავდაღმართ გზაზეო“...

როგორც ხდედავთ, „თავდაღმართ გზაზე“ დადგომა ყოფილა სწორედ ის შემთხვევა, როდესაც თქვენ გაბედეთ და სთქვით, რომ ამა და ამ კაცის ერთი აზრი მომწონს, ხოლო მეორე — არა. ეს შეუწყნარებელია, ორივე აზრი ერთად ან უნდა მოგწონდეთ, ან არ მოგწონდეთ. ასე ვსჯით ჩვენ და ამ აზრებით ანუ უკეთ ამ „ვნებებით“ საჯაროთაც გამოვდიგართ.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის დაფასებას, აქ ჩასაფრაულიც სხვა მოსაზრებაც, რომლის დარღვევა აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩინა. „კვალი“ უმთავრესს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცხოვრების ერთ მხარეს — ეკონომიურ ურთიერთობას და ამას სდებს ეროვნულ და პოლიტიკურ ცხოვრების საძირკვლად. თუ ამ აზრზედ დავდექით და ყოველი ჩვენი კითხვა ეკონომიურ ურთიერთობიდამ გამოვიყენეთ, მაშინ, რასაკვირველია, თქვენი ეკონომიური პროგრამა იმავე დროს თქვენი ეროვნული და პოლიტიკური პროგრამაც იქმნება. მხოლოდ, თუ ამაში არ დასთანხმდით და ის აზრი გამოსთვით, რომ ეკონომიური ურთიერთობა მხოლოდ ერთი მხარეა ცხოვრებისა და ამ ცხოვრების მეორე მხარესაც ისეთივე დიდი გავლენა აქვს ცხოვრების მომდინარეობაზედ, თუ მხედველობაში მიიღეთ „განსაკუთრებული“ პირობები, რომელშიაც პოლიტიკურმა ცვლილებამ ჩვენი ერის სვე-ბედი ჩააყენა, და თუ ამ მოსაზრების ზედ-გავლენით, თქვენ შეიმუშავეთ იმგვარი ეროვნული პროგრამა, რომელიც ჩვენი განსაკუთრებულ პირობების დაგვარი იქმნება, — მაშინ ეროვნულ და ეკონომიურ ურთიერთობის გაერთიანება არ არის საჭირო, უკეთ ვსთქვათ, მაშინ ეროვნული პროგრამა თავისს შინაარსით ეკონომიურ ურთიერთობის განმარტების პროგრამად აღარ ჩაითვლება და ამისათვის, ამ შემთხვევაში, შეიძლება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს ჰქონდეთ სხვა-და-სხვა გაგება, ეკონომიური ცხოვრების მხოლოდ ერთი განმარტება ეროვნულ კითხვებისა. აი ჩვენ სწორედ ამ მოსაზრების ძალით ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძის (პირველ ხანის) ეროვნული პროგრამა არც ჩვენ ეროვნულ კითხვების განმარტებას ეწინააღმდეგება, არც უნდა ეწინააღმდეგებოდეს თვით „კვალი“-ს პუბლიცისტებისაც.

„აი ისტორია“-ში ილია ჭავჭავაძე გვაძლევს იმ საზომის, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართულ ისტორიის უმთავრესს მომენტების დაფასებაში. ავტორს აქვს მხედველობაში პოლიტიკური და კულტურული მხარე ჩვენის ისტორიისა. ჩვენ არ გამოვუდგებით აქ იმის აღნუსხვას, თუ რა და რა აზრი

დაურღვია ჭავჭავაძემ „Письма о Грузии“-ის ავტორს. ჩვენ მოკლედ აღვნიშნავთ ჭავჭავაძის მოსაზრებას ქართველების ძველებურ გარეშე პოლიტიკაზედ, ქრისტიანობის მნიშვნელობაზედ სა-ქართველოში, ჩვენს ძველ ხუროთ-მოძღვრებაზედ, ქართულ ენის გავრცელებაზედ და სხვა. და ამასთან ვეცდებით გამოვააშკარავოთ ავტორის საზოგადო შეხედულება ისტორიაზედ, კრიტიკაზედ და სჯულის ევოლუციაზედ. „აი ისტორია“ იმგვარ ნაწარმოებთაგანია, რომელიც, ერთის მხრით, წარსულ ისტორიის ვითამდა უნაყოფობის აზრს აქარწყლებს, მეორეს მხრით, გვაძლევს მისალას ავტორის ფილოსოფიურ შეხედულების გა-თვალისწინებისათვის.

ჰქონდა თუ არა ქართველობას ისტორიის მსვლელობაში განსაზღვრული პოლიტიკური იდეალი და ამ იდეალის მისაღწევად შესაფერი მოქმედებაც, თუ იგი მოკლებული იყო პირ-ველსაც და მეორესაც და მისს პოლიტიკურ ცხოვრებას არა-ვითარი გონიერი აზრი არა ჰქონდა? აი რას გვეუბნება ავტორი ამ კითხვაზედ:

...მას შემდეგ, რაგა სომხეთი შეიძუსრა, სამხრეთი ჩვენი და დარჩეს მცირთათვის შემთხვევად. ამ მიზეზის გამო, სომხეთის შემუშავის შემდეგ, არც ერთი შეფე არ ყოფილა დარსეველი ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისავენ არ სჭიროდეს და აქედ საბრძოლებელად არ გამოსულიყოს, რომ ან ჩვენი მიზნა სამხრეთისა საქართველოზედ შორის გაედგა მოსიგებისა და უმი მრიაბისათვის, ან მტრისათვის იმისთანა ზარი დაეცა, რომ დიდხასს დარა შემოებედა-რა საქართველოსოფის. ეს იუთ პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ერავდებოდა ჩვენს მშვიდობათ ყოფნასა და არსებობასა... გრძა სულელები იუკნენ დაკით აღმაშენებელი და მისნი შემდგომნა თამარაძე და თამარის შემდეგ სხვა მეფებიც, რომ სულ აქედ იწევდნენ სათმრად. ქართველებს ამ მხრით რომ გამაგრება მოგესტროთ — ვინ იცის — საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო (ხაზს ჩვენ კუსვამთ) — საუბედუროდ ეს კერ მოსსწრეს და ამისი მრდელი კი სხვათა შორის თამარა ჩვენმა აკრიტიკა (ბ-ნმა სარ-დოხბა) გამოაკლო დადგებას და სახელსა<sup>1</sup>».

<sup>1)</sup> „ივერია“ № 90, 1889 წ.

ამრიგად, ავტორის შეხედულებით, ჩვენი ძველი დროის პოლიტიკური ცხოვრება სტიქიონს არ მოაგავდა, მისი მსვლელობის შინაარსი შემთხვევაზე არ იყო დაფუძნებული, პირიქით, გონივრულად გამოანგარიშებულ მოსაზრებაზედ. ჩვენი მეფები სულ სამხრეთისაკენ იშევდნენო, აქ იყო საჭირო ჩვენი დამაგრება, რადგან აქედან გვაწვებოდა ის ძალა, რომელმაც ჩვენს პოლიტიკურ დამუშკიდებლობას ბოლო მოუღო. დავით ალმაშვილები და თამარი ამ აზრებით ხელმძღვანელობდნენ, ის თამარი, რომელზედაც ჩვენს ავტორს მოჰყავს ერთი გერმანელის სიტყვები: თამარ მეფე იმისთანა სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახს ამ სახელოვანის მეფის სახელსა...“

პოლიტიკურ ცხოვრების განმტკიცებაში საქართველოს დიდ სამსახურს უწევდა ქრისტეს სჯული. ერთ ჩვენ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ეროვნული ხასიათი ქართულ ძეელ ეკულესისა. ეს ჩვენი მოსაზრება სასაცილოდაც არ ეყოთ ჩვენს ცრუ თავისუფალ მოაზრეთ. „სამღვდელოებას ანიჭებთ დიდ ნაციონალურ როლსა და ხალხს კი მარტო შრომას და გაჩუმებას უქადაგებთო“.

ამ უამაღ თავი დავანებოთ იმას, რასაც ჩვენ ხალხს ვუქადაგებთ, მხოლოდ მივაქციოთ ყურადღება ჩვენის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისის შეხედულებითაც სარწმუნოებას ჩვენი პოლიტიკურ საძირკვლის გამაგრებისათვის.

ექისტეს სჭული ქართველებისათვის, ამბობს აკტორი, მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამისთან შოდიატიკური ქვითვირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაუთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობა ერთობა მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელი არ იყო ეს ჩვენის ასტრონომის დასაბამიდან სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერთ ამისათვის უფრთხილებოდა თავის სჭულს, რომელიც თავის შინაგან დირსე-

<sup>2)</sup> „ივარა“ № 90, 1889 წ.

ბის გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა <sup>1)</sup>). ამნაირადკე სამართლანხად მსჯელობს აკტორი შესახებ რელიგიურ სუროთ-მოძღვრებისა. ჩექენ, თა თქმა უნდა, გვეუბნება აკტორი, ჩექენ სუროთ-მოძღვრებისა საჭეუნო მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მსოფლიდ ვამბობთ, რომ ერთ შესვდება ხოლმე დრო, როცა—თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით—წყურვილს სულისას ივლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ, რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა.

მხოლოდ ყველა ეს საკმარისი არ არის ისტორიულ სინამდვილის აღსადგენად. ერის კულტურა და მისი სულიერი ძალა, სხვათა შორის, იმითაც გაიზომება, რამდენადც გავრცელებულია მისი ენა. ორი მეზობელი ხალხი ხშირად ითვისებს ხოლმე ერთი ერთმანეთის სიტყვებს. მხოლოდ ის ერი, რომლის ენაში ნაკლებია უცხო ერის სიტყვები, კულტურით შედარებით მაღლა უნდა იდგეს. მაგრამ მას, რაც ჩვენდა სასარგებლოდ ღალატებს, ჩვენი კულტურის დამცირებისათვის ხმარობლენ ბევრნი და მათ შორის „Письма о Грузии“-ის ავტორიც. ჭავჭავაძეს მოჰყავს ლენორმანის დაგატრერისის—ორი დიდ მეცნიერის მოწმობა ამ საგნის შესახებ. გატრერისი გადაწყვეტით ამბობს, რომ თუ მომეტებული ჩაწილი ქართულ სიტყვებისა იპოვება სომხურს ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინისომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესლაც ღიალ გავრკელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ეიდრე არიელები შემოვიდოდნენ (\*), ასე რომ ქართულ ენას კი არ შეუთვისებია სომხური სიტყვები, არამედ სომხურ ენას ქართული. და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან, იმავე მეცნიერების აზრით, როდესაც პირველად მოვიდნენ სომხები დიდ სომხეთში (გეოგრაფიული ტერმინია—ჭავასტანს არ ნიშავს), ქართველებს; იქ დასახლებულებს, უკვე შესამჩნევი კულტურა ჰქონდათ.

რაც შეეხება თვით ქართული ენის ჩამომავლობას, ავტორი არა სწყვეტს გადაჭრით ამ კითხვას (მეცნიერებაში არ არი-

\* ) „ივერია“, 1889 წ. № 106.

სო გადაწყვეტილი). მხოლოდ «Писма о Грузии»-ის ავტორის შესახებ ამბობს: „ავტორს ჰსურს ქართული ენა არიულის, სემიტურის და თურანულის ნაბიჭვრად გაპხადოს ჩამომავლობით და ლირსებით ხომ მიწასთან გაასწოროს, როგორც ყველაფერი, რასაც კი ქართული სახელი ჰქვიან.“

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძის მოსახლეობა მყვირალა, ცრუ-პატრიოტული მოსახლეობა არ არის. ყოველი მისი დასკვნა დაფუძნებულია ზაფიქრებაზე, ფაქტების ცოდნაზე და მეცნიერულ კულტურის განვითარებაზედ. მას აქვს სახელმძღვანელოდ მეცნიერული კრიტიკა და ამ კრიტიკის საშუალებით იკვლევს იგი გზას. „არის კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან,—ამბობს ავტორი,—იგი „ჰო“-ს სათქმელსაც და „არა“-ს სათქმელსაც ერთ ნაირის აწონ-დაწონებით ეპყრობა, იგი იმითია ლირსეული, რომ „ჰოს“ სათქმელსაც და „არა“-ს სათქმელსაც ერთ ნაირის სიფრთხით, ეპყრობა. იგი იმითია ლირსეული, რომ „ჰო“-ს საბუთსაც ისეთისავე გულმოლგინებით იძიებს, როგორც „არას საბუთს, რა-დგანაც სახეში მარტო მართალი აქვსდა სხვა არა-რა. იმისთვის კრიტიკა მართლ-მოყვარე გამომძიებელია და მართლ გამკითხავი სასწორი“ \*).

გავიცანით რა ჭავჭავაძის შეხედულება კრიტიკაზედ, ჩვენ თან-და-თან მივუახლოედით ავტორის ფილოსოფიურ აზრებს. ჩვენს ეხლანდელ მწერლობაში ბევრს ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა სოციოლოგიურ თემებზე, სხვათა შორის, იმაზეცაც, თუ რა ჰქმნის ისტორიას, რა არის იმისი მმოძრავი ძალა და საფუძველი. ამ კითხვების გადაწყვეტაში ჩვენში თან-და-თან ფეხს იდგამს „მარქსისტიული“ შეხედულება ისტორიულ პროცესის მსვლელობაზე. „მარქსისტიული“ შეხედულება, როგორც მოეხსენება მკითხველს, იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელი ძალა და ეკონომიკური ხალხის ურთიერთობა იჯულისხმება, როგორც ისტორიის უმთავრესი ფაკტორი—იგია

\*) „ივერია“ 1889 წ. № 106.

ისტორიის შექმნელი ძალა; სხვა, დანარჩენი, ამ ძალის შედეგია ანუ „ზედ-ნაშენი“; ამ გვარ ისტორიის განმარტებას უწოდებენ ეკონომიკურ მატერიალიზმს. საინტერესოა, რა გვარად სსიცა ამ კითხვებს ჩვენი ავტორი? ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ იმავე „აი ისტორია-“ში\*).

...ცეკვილიზაცია ანუ წირმატებულობა ადამიანისა მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგია უფერ იმ ძალ-ღონისა ერთად, რომელიც ერთად კრებულიად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოება და თვითგეულ ერში ცალკე. (ხაზს ჩვენ ვუსკვამთ უკელიგან). ამგვარს ძალ-ღონებს სოციალურ ძალ ღონებს ეძახიან. ცოდნა, გონებრავი და ზნეობრავი აღმატებულება, მრეწველობას, სიმდიდრის მეტ ნაკლებობა, რწმუნება (Вѣрованія) იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩინება, ძართვებულობა, წეს-წყობილება რვახური, საზოგადოებრავი, სამოქალაქო; კანონება, ჩვეულებანი, ზნე სასიათო და სხვა ამისთანა სულ ერთად ჭირის იმას, რასაც რომელისამე დროის მდგრადრების ერთიას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცეკვილიზაციას თავის მეტ-ნაკლებობათ.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, სოციოლოგიურ კითხვების გაღაწეულებაში ჩვენი ავტორი უფრთხის ცალ-მხრივ დოკტრინა-ლურ მოძღვრებებს. იგი ერიდება ცალ-მხრივ მოძღვრების საშუალებით რთულ და მრავალშტოიან ისტორიულ ცხოვრების განმარტებას. ამისათვის, ავტორი უარ-პყოფს სოციოლოგიაში როგორც აბსოლიუტურ იდეალიზმს, ისე აბსოლიუტურ მატერიალიზმს. მისის აზრით, მჩერწველობის, სიმდიდრის მეტ-ნაკლებულობა (ეკონომიკური ურთიერთობა და მწარმოებელ ძალთა ვითარება), ოჯახურ, საზოგადოებრივ წეს-წყობილებასთან, ცოდნასთან და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად ჰქმნიან ისტორიას.

არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენი ავტორის მოსაზრებანი პირველ ყოფილ რელიგიაზედ. ეს კითხვა თეორეტიულადაც ფრიად საინტერესოა ქართველების პირველ ყოფილ რელი-

\*.) „ივერია“ 1889 წ. № 77.

გიის გარკვევისათვისაც. ბევრსა ჰვონია, ვითომ თავდაპირველად ქართველები კერპებს ემსახურებოდნენ და კერპთ-თაყვანის-მცემლობა პირველ-ყოფილ რელიგიად მიაჩნიათ როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც. ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ „თავდაპირველად ქართველები ერთს ღმერთს სცემდნენ თაყვანსა... მას მერმე ქართველებს, ჩვენის მატიანეს სიტყვით, მრავალლმერთობა შემოუღიათ და ბოლოს ხომ კერპთ მსახურებაო“<sup>\*)</sup>. ამ აზრის დასასაბუთობლად ავტორს მოჰყავს ფრიად საყურადღებო მოსაზრება. და ეს მოსაზრება მით უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ იგი ეთანხმება თანამედროვე, ჩვენი დროის სოციოლოგიურ გამოკვლევებს — მაქს მიულერისას, რიზ დევილსისას და სხვებისას.

«პირველ-დაწუებით სჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანის ცემა ცისა: ეს წის თაყვანის მცემლობა ერთ ღმერთობას მოასწავებდა, არა ღმერთას, რომ ეპირისპიროს მრავალ-ღმერთობას, რადგან მრავალ-ღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანში. ამ პირველ უფლებით ერთ-ღმერთობას მოჰყავა მრავალ-ღმერთობა.... ამ თანახმა ადამიანის წარმოდგენილი აქვს დფთაება განუენებულად; აქ დფთაება იდეაა, აზრია და მას არავითარს ნიკოირს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოსახვით, არც გამოქანდაკებით. დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოსახულების ხილულ ბენებისაგან უხილავ, ხორც-უსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცეულად გარდაქმნის სალოცავად. კერპები, რომელიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა ან გამოსატულობით, ან გამოქანდაკებით, ასაფეს ხხნას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიას წინ წასულა, პირველ დაწუებით ბენების სჯულს რომ შეადაროს. ადამიანის დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ წაწევა განვითარების გზაზედ, კადრე კერპთ მსახურებამდე მაღწევდა<sup>\*\*</sup>..»

ეს მეცნიერთა გამოკვლევაზე ჭამყარებული შეხედულება ფრიად გამოსადევია ჩვენი ისტორიის დასაწყის ხანის შესწავ-

<sup>\*)</sup> „ივერია“ № 130. 1889 წ.

<sup>\*\*)</sup>  „ივერია“ № 120. 1889 წ.

ლისათვის, მეტადრე იმ აზრის დარღვევისათვის, რომელიც გვაუწყებს, ვითომ ის ხანა ჩვენის ისტორიისა, რომელსაც „მცხეთის ხანას“ უწოდებენ, პირველ დაწყებითი ხანა და კერპთ მსახურება, ევრე გაერცელებული საქართველოში ქრისტეს რჯულის გავრცელებამდე, პირველ-ყოფილი რელიგია ყოფილიყოს ქართველებისა.

ამ სახით, ჩვენ გაეითვალისწინეთ ილია ჭავჭავაძის გონივრული ფიზიონომია. ჩვენ ჯერჯერობით გვაინტერესებდა ჩვენი ავტორი, როგორც ეროვნული მწერალი და ამ მწერლის გასაცნობად, იმის გონების ავლა-დიდების გასაზომად საჭირო იყო გადაგვესინჯა ავტორის შეხედულებანი სხვა-და-სხვა სოციოლოგიურ კითხვებზედაც. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა იარაღით არის შეიარაღებული ჩვენი მწერალი, ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ მისი მეცნიერული მომზადება. ამ კითხვებს შემდეგად კიდევ დაუუბრუნდებით. ამ უამად კი ავტორის დასახასიათებლად, ინისს ეროვნულ გრძნობათა გამოსასახავად გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ავტორის „მგზავრის წერილებზე“.

მწერლის ნამდვილი ხასიათის გასაგებად ძალიან გვშველის იმისი სულიერ ცხოვრების გაცნობა. საუკეთესო წყაროდ ამ სულიერ ვითარების გასაცნობად თვით მწერლის ნაწერები უნდა ჩაითვლებოდეს, რაღაც სხვა, გარეშე პირი, ვერ გამოსახავს ნათლად და მარტივად კაცის საიდუმლო სულის მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (1861 წ).—ეს ხელოვნური ნახევრად პუბლიცისტიური ნაწარმოები—მდიდარი მასალაა ავტორის დაფარულ ვინაობის გასარკვევად, იმის აზრების, გრძნობების და მისწრაფების ასახვნელად. თუმცა ჩვენ ამეამად არ ვეხებით ავტორის ხელოვნურ ნაწერებს, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ავტორის „წერილებში“ ზოგიერთ ხელოვნურ ადგილებზე, სწორედ იმ ადგილებზე, რომელნიც გვიხატავენ ავტორის საზოგადოებ-

რივ ხასიათს, იმისს მოქალაქობრივ ენერგიას და ბრძოლის უნარს. მაშ ყური დავუგდო თვით ავტორს.

„მენტვარი.. დიდებულია, მუქდრო და შეკიდობანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს-ურთის სიტუაცით მენვარი. მენვარი მთელის თავის დიდებულებითა საკირველია და არა შესაუვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეუნის ყაუნი, ქვეუნის ქარმშალი, ქროლი, ქვეუნის აკარგი მის მაღალ შებლზედ ერთ ძარღვაც არ აატრიკებს. ძირი თუმცა დედა მიწაზედ უდია, თავი კი ცას მაუბაზინება, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიუვარს არც მაგისტრანტის სიმაღლე, არც მაგისტრანტის მაუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისე თაგზედ ხელ-აღებული, გიურ, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონხავი მღვრიე თერგი. შევის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და შიძლავის და აბდავლებს თავის გარეშემოსა. მიუვარს თერგის ზარანი ხეილი, გამაღებული ბრძოლა, დროვინვა და კარ-კარლახი. თერგი სახეო ადამიანის გალვიძებული ცხოვრებისა, ამაღელვებული და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის მფრიე წელში სჩანს მთელის ქვეუნის უბედურების ნაცარ-ტურა. მენვარი კი უკედაგებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკედაგება და ჩუმია, როგორც განცხრომა. არა, მენვარი არ მიუვარს, მით უფრო, რომ მიუვარებლად მაღალია. ქვეუნიერების ბედნიერების ქვა-უუთხედი კი უოველთვის ძირიდამ დაღებული, უოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა ასად არ დაწესებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეუნის შეიძლის, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მენვარი არ მიუვარს: მისი სიცივე ჭიშესხაეს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას კერ აკრიდები და ის მე კერ ჩამომწვდება! არა, არ მიუვარს მენვარი. მენვარი დადგმტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირნისა. ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსკენარი ხარ. აბა ჰატარა ხანს დადეგ, თუ მურალ გუბედ არ გადაძეცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ხაყავების ყიუიზედ არ შეგმოვალოს. მოძრა-

ობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემთ თერგო, ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მომცემი“\*)...”

ამ პატარა ხელოვნურ ნაწყვეტში მკაფიოდ გამოირკვევა ავტორის სულიერი ვითარება, მისი საზოგადოებრივი ტემპერა- მენტი, მისი ცხოვრებისადმი სიყვარული. აქ ჩვენ გვაქვს საჭმე ევროპიელ ქართველთან, რომელსაც უარ-ჰყვია, უკუ-უგდია აღმოსავლეთის უსაქმობა და უმოძრაობა.

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემთ თერგო, ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მომცემი,—ამბობს ავტორი, რომელიც ეტრუიალება თერგს,—რადგან იგია სახე იდამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა“, ცხოვრება მდინარეს მიაგავს. შე- ჩერდება თუ არა მისი მოძრაობა, იგი „მყრალ გუბედ“ გადა- იქცევა ხოლმე. მოქმედება, დაუღალავი მოძრაობაა თავდები ცხოვრების წინ-მსვლელობისა, წარმატებისა. ავტორი თვითონვე გვაძლევს თავის სულიერ ცხოვრების გასაღებს. საზოგადო მო- ლვაშე, გატაცებული საქმით, მოქმედებით, თვით ცხოვრების მიმღინარეობით არ უნდა გრძნობდეს სულის ობლობას, ცხოვ- რებისაგან ჩამორჩენას, გამორიყეას“. არის იმისთანა წუთნი მარტოობისა, — გვიხსნის ამ აზრს ავტორი, — როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამი- ტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიაც არსად მარტო არა ხარ. პოი თრ-ფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს ეძახიან (ibid.) ასევეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც, ჩვენ თითქოს ჩვენსაც ვაგებინებთ და იგი თავისას ჩვენ გვაგებინებს. ამგვარი მჭიდრო კავშირია კაცისა და ცხოვრების შორის. და ამ კავშირზე გვესაუბრება თვით ავტორიც: „ამ ღამეს ვგრძნობ გვეუბნება ის, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იღუმარი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოქს და მკლავი მითროთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა“ (ibid.). ამ სტრიქონების დაწერის შექ- დეგ ბევრმა წელმა გაიარა — ეს იყო დრო ჭავჭავაძის სალიტე-

\* ) თხუზლებანი ილია ჭავჭავაძისა, II „მუზავრის წერილები“.

რატურო და სახოგადო ასპარეზზე მოქმედებისა. და აი დღეს სწორედ ამ „დრომ“ მოგვცა პასუხი აეტორის მიერ დაყენებულ კითხვაზედ. ეს პასუხი მისი მოლგაწეობაა, მისი ნაწარ-მოები, რის დაფასების და გარჩევის ჩვენ ვკისრულობთ დღეს.

ამ რიგად ჭავჭავაძე გვიწვევს ჩვენ ცხოვრებაში საბრძოლველად, ის არ გვიმალავს, რომ ეს ცხოვრება „ტანჯვაა, წვალება, ბრძოლა და ვაი-ვაგლახი. სხვა გზა, სხვა სხნა არ არის. ან ბრძოლა, ან სიკედილი. მხოლოდ ბრძოლისათვის მომზადება უნდა; ცხოვრებას ჩაფიქრება ესაკიროება და გამოაშკარავება უველა იმისა, რაც მისს ვარამს შეადგენს. და აი ჭავჭავაძე სცდილობს დაგვანახეოს ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა, ის, თუ საიდან წარმოსდგება ჩვენი საერთო უბედურება, უნუგეშობა. ყური დავუგდოთ.

«ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, — კუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია: ამ სტეფან-წმინდის ჰირდაპირ რა მონასტერია?»

— თერგ-გადმით?

— დიად.

— გიწყალობნისთ ცოცხალთა, შეგინდოსთ მეგდართა წმინდა სამების სახტარი არნ, უწინალო განძთა საფარი, ერთა საბჭო (კურ-სივი ჩვენია უგელგან).

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა მეუესა განძი აქაიდ უფარვენ მორიანობას, მცხეთად საუნჯე საფარად აქ ზიღულა მრავალჯერ.

— საბჭო რადა არის?

— საბჭოი იქაიდ არნ სენაქ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაოცა მძიმა საქმე სეკრი აკარდის, მუნ იბჭობილენს.

— გერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა სოლმე?

— რაიდ გერ გეტყვი? რაიც კუწეა შეგასმენ. როდის ასტუდის ერთბაზი დიდ-დავა, დიდ-საჭმე, დიდ-აზჩევანი, ერთბას აქაიდ გამართვინ, არჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, შეიტრობით<sup>1)</sup> სახელ-

<sup>1)</sup> პეიტრობით — მეტის გონებით სახელ-განთქმულნი.

დებულით, დასხმიან მათ იმ სენაკით საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენის თქმიან, გადასჭრილიან, არეინ შეშლიან, არეინ გადავდიან.

— შენ მოსწრებითხარ მაგისთანა ბჭობას?

— რაიდ შეგესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრასვენ.

— ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

— აწინა?..

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მეტახა მე:

— შენ რაი მიღეთის ხარნ?

— ქართველი კარ, განა გერ შემატეუ?

— რაიდ შეგეტევის? ტალავარ<sup>2)</sup> არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

— კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეატევის?

— თეალთათვის ტელად სამოსელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბეკრი საუბრობს: სვამებიც, თუსიც, თათარიც, სხვა მიღეთიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავარის იერი<sup>3)</sup> სრულად სხვაია. რუსული ქართველ კაცს მეუცხოვების.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თურქმ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ, მაგრამ გულით კინ ჩაიხედნის? გული შიგ-ნიდ არნ, უსედეველ, ტალავარ გარედ არნ, სახედ კელ.

— თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი კარ.

— ვწერის.

არ კიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბასა გავაძით.

— წელანდელ სიტუაზედ რომ პასუხი არ მომცი, — დავიწევ გვიავ მე: — მე გვითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკუში.

<sup>2)</sup> ტალავარი — ტანისამოსი.

<sup>3)</sup> იერი — შესედულობა.

— აწინა?.. ერთხა სადა არნი რუსობაზე ვარნ. აწინა უკეთად გაცემდის, უკეთად გაუქმდის. სამებას ძირში სოფელ გერგეთ არნ. იქაუედ გაცთა მეფეთა შეუთქეს სახტირის დარაჯობად. მის მაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუვარიც მაჭისცის საშეილი-შეილად. უკავედ დამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჭად იგზავნების. გერგეთენ აწინაც სახტირის დარაჯობას თავ-დებულიაბენ, მაგრამ რუსობაზე თარხნობა გაცემდის, მეფეთ გუვარს რუსობამ უური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვაგითა ბეკრობს. გაუქმდის ადრინდელ დაწეობა, სთის მათხავნილ მაღლით ბჭობაც სამებაზი გადავარდისა.

ავტორი ძველი ისტორიულ ცხოვრების წესის ერობის დარღვევაზედ გვითითებს. აქედან იწყობა ჩვენი ჩამორჩენა. „აწინა ყველაი გაუცემდის, ყველაი გაუქმდის“, როგორც ამბობს გულ-უბრყვილო მოხევე. როგორი იკითხავს მკითხველი, ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ, პოლიტიკურ ცვლილების შემდეგ, ამოდენა სიკეთე გაკეთდა ჩვენში და ავტორი კი მაინც ძველ დროს ეტრუიალებაზე რითი აიხსნება ეს? ერთმანაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ უკვე განმარტა და ასენა ილია ჭავჭავაძის სიყვარული წარსულისადმი. ავტორი ამ წარსულში „ფეოდალურ“ წეს-წყობილებას ეთაყვანებათ და აი მიზეზი მისის გულ-ჩვილობისათ განცლილ დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი. ჩვენ სრულიად უარ-ეყოფთ ამ განმარტებას. დაუუგდოთ ისევ ყური თვით ავტორს. ამ შემთხვევაში ჩვენ მისი სიტყვებს დიდ ფასს ვაძლევთ. ეს მისი სიტყვები აგვისხნიან ავტორის ნამდვილ მისწრაფებას და შემდეგ დაგვანაზებენ, რომ ამ სახით, მისი აზრი შესამჩნევად ცვლება. მხოლოდ ამაზე შემდეგ, ეხლა კი მოვისმინოთ ავტორის მოხევესთან საუბარი.

— მაშ უწინდელი დაწეობა და დრო უგეთესი იურ?

— რაად არა?

— რით იურ უგეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეუყდნეს, მით იყვის უკედ. ადარიდა ერთ ერთბადის, გული გშლობდის, კაჟა კაჟობდის, ქალა ქალობდის. ადრიდა? ერთ-ერთს

დაგეუფლიდნით; ერთ-ერთს კიხვეწებდით. ადრიდა? ქვრივ-ობოლ კიტა-რეკლიდით... ერთ-ერთს ლად მტერთში ჩაგეფარვიდნით, დაცემულ კიურ-კებდით, ატირდომილს კისომშნიდით და ესრულ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერთბა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, სარბობა, ანგარი გამრივნის, ერთ-სულობაი დაფარდნის, მტრობა მქარვად გასშირდის. აწინა ქვრივ-ობოლ კინ განიკითხოს, ატირდომილ კინ გაიცინის, დაცემულ კინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ, ჰირად და გულად ჭულურ არნ. ური დაეარდნილ გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილი. წარსდა ქართველთა სასლი, ქართველთა წესთ-უბაა. ადრიდა ჩვენობა იყვის ე წარსდა, მოისხნა ქვეყანა, რათა აწინა ჩვენი დარჩენა?

— ესლა რომ მშვიდობიანობა არის.

— რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას, ცარიელ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატყეანს ჟანგი დაედვის, უსრიოლეო წევალში ბაჟანი, ჭია-ჭუა, ქემძრომ გამრავლდის. უდევარ უსკენარ თერგზი კი გადმახა იცის? რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტრობა თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწა-ჩიც გვეყოფის...

ასე ამ მარტივ სიტუაციათ სხნის მოსევე ჩვენს შოლიტეფურ ფილოსოფიას. ღმიგიახვდი, ჩემრ მოსევე, რა ნესტარითა სარ ნაა ჩველერი, — დასძენს ბოლოს აკრიორი, — ჩვენი თავი ჩვენადგე გმებულების სთქვი შენ და მე გავიგონე თუ არა, რაღაც უპ-ცარმა ტერივილმა ტერინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაი-თხარა სამარე და დაიმარსა. როდემდის დამრჩეს ეგ ტერივილი გულ-ში, როდემდის? რა, როდემდის, როდემდის?... ჩემრ საუკარელო მიწა-წეალო, მომეც ამისი შასუხა!

უკელა ამის ასახსნელიად ერთი სიტყვის მომატებაც ჩვენ საჭიროდ არ მივეაჩნია.

არჩიდ ჯორგამე

## უცხოეთის მიმოხილვა

გერმანია და ახალი სადამოქნო ტარიფის პროექტი,—საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა.

გერმანის იმპერია ნამდვილი თანამედროვე, ევროპიული სახელმწიფოა— უმაღლეს ხარისხამდე მიღწეული ტეხნიკა, ტეხნიკასთან დაკავშირებული ძლიერი მრეწველობა, ფილოსოფიის და მეცნიერების თავისუფალი და მძლავრი მოძრაობა, დემოკრატიული ელემენტების საკვირველი ორგანიზაცია, აი რას ხედავს გერმანიაში პირველის შეხედვისათანავე ყველა, ვისაც კი სიბრძავე არა სჭირო. მიუხედავად ყველა ამისა ამ ქვეყანაში ძალა და გავლენა, გავლენა მეტად საგრძნობელი, შერჩენია ისეთ ელემენტს საზოგადოებისას, რომელსაც არა თუ გავლენის ქონების, თვით უბრალო არსებობის raisons d'être-იც არ აქვს თანამედროვე ცხოვრებაში. აქ ჩვენ ვგულის-ხმობთ არისტოკრატიას, თავად-აზნაურობას.

სულ უბრალო ანბანის მცოდნებაც კი იცის, რომ თავად-აზნაურობა ერთ დროს, საშუალო საუკუნოების დასასრულამდე— დადი ძალა იყო და რაღვანაც ამ წოდებას იმდროს თავისი როლი და დანიშნულება ჰქონდა, ამიტომ იგი ნამდვილ და თან საჭირო ძალას წარმოადგენდა. დროინი იცვალნენ, ცხოვრების აქტიურ ასპარეზზე თან-და-თან სხვა ელემენტებმაც იჩინეს თავი და ცხოვრების ასე თუ ისე გაძლოლის უნარიც გამოიჩინეს; თავად-აზნაურობამ დაპყარგა ცხოვრებაში თავისი უპირატესობრივი მდგომარეობა. თუ მას სურვილი ჰქონდა ნამ-

დვილ ცხოვრებაში მონაწილეობა მიეღო, მას შეეძლო ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ იგი საერთო ფერხულში ჩაეტმოდა, ესე იგი უარს ჰყოფდა თავის უპირატესობას და ერთს დანარჩენ ნაწილებთან ერთად შრომას ისურვებდა. ვინც გაჯიუტდა, არ ინდომა ძველის პრივილეგიურ მდგომარეობის დაეიწყება, იგი ცხოვრებიდან გარიყული დარჩა და ცხოვრებაზე თითქმის არავითარი გაფლენა აღარ აქვს. ასეთია, მაგალითად, საფრანგეთის არისტოკრატია. 1789 წლიდან მან შეურაცხყოფილი იცნო თავი. ოოგორ გაბედეს ჩემის მდგომარეობის ხელის ხლებათ და ცხოვრებას განზე გაუდგა; ეგონა, უმისოდ ერთს ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, და ისევ ისინი შეიქნებოდა ამა ცხოვრების მეიაური და მესვეური. სინამდვილემ მწარედ გაუცრუათ მათ იმედები: შეგნებულმა ხალხმა უმათოდაც გვარიანად მოჩართა ცხოვრება და ოოცა იმედ-გაცრუებული კეთილშობილი, გვიან ჭკუაზე მოსული, მოინდომებს ხოლმე საქმეში ჩარევას, ხალხი ამას ეჭვის თვალით უყურებს და ყოველს ღონეს ღონობს, მას ხელი შეუშალოს.

გერმანიის არისტოკრატიაც ტიპიური არისტოკრატია, ეერც წარსულმა და ვერც ეხლანდელმა ცხოვრებამ მას ჭკუა ვერ ასწავლა. დრო გამოიკვალა, ცხოვრებას თავად-აზნაურობა აღარ ეჭირვება, იგი ხორცმეტია თანამედროვე პოლიტიკურ ირგანიზმისა, მას არავითარი *raison d'être*-ი არსებობისა არა აქვს, მაგრამ იგი მაინც თავისიას თხოულობს, სურს დარჩეს, რაც იყო ერთ დროს — ბატონი და განმგებელი ხალხის ბედისა. და ოოცა მტკიცე წინააღმდეგობას და ხასტიკ ბრძოლას ხვდება გზაზე, განსაკუთრებულ კანონებს თხოულობს მოცილეთა წინააღმდეგ, რადგან თვითონ მათ, ხალხის-საბედნიეროთ, ძველ უფლებათაგან ბევრი აღარა დარჩენიათ. რა. ყოველი ნამდვილ სახალხო და ხალი მთავრობა იმას სცდილობს, რომ ამ გვარ დროს გადასულ ტენდენციებს და მიმართულებას ბოლო მოულოს და ნამდვილ ცხოვრებას კვალ-კვალ შიპყვეს. გერმანიის მთავრობა, უკეთ რომ ვსთქვათ, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე, ეს რეალისტი რეალისტია. შორის

საერთა-შორისო პოლიტიკაში, ხელს უწვდის ცოცხალ-მკვდარ თავად-აზნაურობას და სურს მას წელი გაუმაგროს სხვა და სხვა უპირატესობის მინიჭებით.

გერმანიაში თავად-აზნაურობა, როგორც სხვაგან, მიწის მფლობელია, სახსარი მისის ცხოვრებისა სოფლის მეურნეობაა; მისი მუდმივი საზრუნავია პურის ბაზარი და ბაზრის ფასები. გერმანიის მემამულეთ ბაზარი და დიდი ბაზარიც სახლშივე აქვთ, მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ ამ ბაზარზე მას ბევრი მოცილე ჰყავს: რუსეთი, ავსტრია-პუნგრეთი, ამერიკა და სხვები. მართალია, დასახელებულ ქვეყნებს შორისან მოაქვთ პური, გზის ხარჯი აწევს მათ პურს, მაგრამ წარმოება მისი ისე იაფად უჯდება. სახლში, რომ შეუძლია გერმანულ მემამულეებთან შედარებით უფრო იაფად გაჰყილოს იგი თუ გერმანიის მთავრობამ ხელოვნურად — ბაჟის დადებით — არ ასწია უცხოეთილან მოტანილ პურის ფასი. რომ ბაჟი არა, რუსეთის და ავსტრია-პუნგრეთის მეურნეობა დიდათ შეამცირებდა გერმანიის მეურნეობას. მაგრამ ბაჟიც არის და ბაჟიც: არის ბაჟი, ზომიერი, ერის მოთხოვნილების მიერ გამოწვეული, რომელიც საკმარისად ხელს უწყობს წარმოების რომელსამე დარგს და არც მომხმარებელს აწვება მძიმე ტვირთად. ამისთანა ბაჟს რომ დასჯერდებოდნენ გერმანელი მემამულენი, ვინ რას იტყოდა. მაგრამ ეს მათთვის როდი კმარა: მათი მიზანია ისეთის ბაჟის შემოღება, რომ უცხოეთის პური ვერ შემოვიდეს გერმანიაში, მთელი ბაზარი ხელში იგდონ და თავისუფლად დაიწყონ თარეში: ასწიონ ფასი თავიანთ სურვილისამებრ. მთელის საზოგადოების ერთი უმცირესი ნაწილი, მერე ისეთი ნაწილი, რომლის არსებობა მეტია, როგორც ხორც-მეტისა, თხოულობს, რომ ყველაფერი მის ინტერესებს ენაცვალოს. მართლაც, ვინ გადაიხდის იმ საშინელ ბაჟს, რომელსაც გერმანელი აგრარი გბი თხოულობენ? რასაკვირველია, გერმანელივე მომხმარებელი, ყველაზედ უფრო კი — გერმანელი მუშა.

აქ საკვირველი ის კი არ არის, რომ თავად-აზნაურობა ასეთ ჩამეს თხოულობს: განუკვრეტელი, ბრძა დაცვა კერძო,

წმინდა კლასურ ინტერესებისა-თავად-აზნაურობის თანდაყოლილი სენია. საკვირველი ის არის, რომ ისეთი ანგარიშიანი მთავრობა, როგორიც არის გრძმანის მთავრობა, ისეთი რეალისტუ-პოლიტიკოსი, როგორიც ვილჰელმ მეორეა, ხელს ფწვდის ამ დაბრმავებულ და არსებითად ულონო და უმნიშვნელო კლასს და სკულპტორის დააკმაყოფილოს მისი უსაზღვრო და ყოვლად უსამართლო სურვილები.

გარდა თვით გრძმანელ აგრარიებისა, ყველა წავებული იქმნება, თუ კი მთავრობამ თავისი გაიტანა და განზრახული ბაჟები შემოილო. უმდიდრეს კაპიტალისტიდან დაწყებული სულ უკანასკნელ მუშამდე სულით და გულით წინააღმდევია სადამოქნო გადასახადების ასეთის მომატებისა—კაპიტალისტი იმიტომ, რომ იძულებული იქმნება ცოტა მაინც მოუმატოს მუშის ქირას, წინააღმდევ შემთხვევაში მუშა შიმშილით უნდა მოკვდეს; მუშა იმიტომ, რომ კაპიტალისტი იმდენს თავის დღეში არ მიუმატებს მას ქირას, რომ დიდის ბაჟით გამოწვეულმა სიძვირეშ თავის სიმრვავე არ აგრძნობინოს მას. გრძმანულ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“ ის გამოანგარიშებრთ, გერმანელ მომხმარებელს დაახლოებით დაუჯდება ახალი ბეჭი ერთი მილიარდი და ექვსასი მილიონი ფრანკი (ექვსას მილიონ მანეთამდე) წლიურად. გარდა ამისა, თუ აგრარიების სურვილი განხორციელდა, ყოვლად შეუძლებელი იქნება. გრძმანიამ სავჭრო ხელშეკრულებანი იქონიოს იმ სახელმწიფოებაზე, საიდანაც აქამდე პული მიჰქონდათ გრძმანიაში: შეუძლებელია, რომ რუსეთმა და ავსტრია-პუნგრეთმა საპასუხოდ ბ. უები არასწიონ გრძმანულ საქანელზე. რუსეთი ერთი უდიდესი ბაზარია გრძმანულ მრეწველობის ნაწარმოებისათვის და ეს ბაზარი უსათუოდ დაეკარგება მას; გრძმანიის ფრთა შესხმული მრეწველობა მეტად დიდ ზარალს ნახავს ახალის სადამოქნო გადასახადების შემოღებით, მრეწველობა უთუოდ შემცირდება, რაც მეტად მწვავ კრიზისს გამოიწვევს, როგორც კაპიტალისტებშორის, ისე უსაქმოდ დარჩენილ მუშებ შორის აც. ყველაზე უფრო კი ბოლოს ეხლანდელი მთავრობა და ვილჰელმ მეორე წაა-

გებს: ისედაც გაბორეტებულ მუშა ხალხს კიდევ უფრო გააბოროტებს და მეტის სიძლიერით მოაწადინებს არსებულ სამთავრობო წესის შეცვლას; ისინიც კი, ვინც აქამდე მონარქისტი და ვილჰელმის ერთგული ქვეშევრდომი იყო, ეპვის თვალით დაუწევდს ყურებას გერმანულ მონარქიას: მონარქიული პრინციპი, რომელიც აქამდე ასე ძლიერია გერმანელ ერში, შეირყევა და დაღმართ-დაღმართ წავა. ერთხელ გვქონდა ნათქვამი და კიდევ ვიტყვით — ის მთავრობა, რომელიც ვერ მოახერხებს ან არ ისურებს ერის ნამდვილ ინტერესების ვარ ძლოლას და სამსახურს, ფესვ-გაუდგმელი და უნიადაგოა, იგი დიდხანს ვერ იხეირებს, თუ, რასაკვირველია, ხალხი სალია და თავის ინტერესების შემგნებელი.

ახალ ტარიფის განხორციელებას<sup>7</sup>, გერმანიაში ექნება მნიშვნელოვანი არა მარტო შინაურ ცხოვრებისათვის, მას მეტად საგულისხმიერო საერათშოისო მნიშვნელობაც ექნება. ეკონომიკური ბრძოლა, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ახალ ტარიფის შემოღებას, უთუოდ გაამრვავებს პოლიტიკურ დამოკიდებულებასაც. რუსეთთან გერმანიას ისედაც ნაკლები მეგობრული განწყობილება აქვს და ეს ბრძოლა, რასაკვირველია, კიდევ უფრო შეამცირებს მათ შორის არსებულ მეგობრობას. მაგრამ ეს იმდენათ საყურადღებო არ არის, რადგან უამისოთაც რუსეთსა და გერმანიას ბევრი ანგარიშები აქვთ ერთმანერთში გასასწორებელი. სულ სხვაა ავსტრია-პუნგრეთის და გერმანიის დამოკიდებულება. თუ ამათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ირლვევა ერთი უშესანიშნავესი კომბინაცია გენიოს ბისმარკისა, და რომ ამ კომბინაციას საფრთხე მოელის, ეს სჩანს ავსტრია-პუნგრეთის უურნალ-გაზეთების წერილებიდან. გარდა პანგერმანისტებისა, ავსტრიაში უველა დიდ უკმაყოფილებას აკვიდებს განზრახულ ტარიფის გამო და თან შიშობენ, რომ სამთა-კავშირს არა ევნოს რა ამითოო. ისეთი მომხრე სამთა კავშირისა, როგორც არის «Neue freie Presse» ამბობს, რომ ახალი ტარიფის შემოღება დიდ გავლენას იქონიებს გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობაზედო, „ან სხვა გვარად როგორ უნდა მოხდესო, ჰკითხულობს გულდა-

წყვეტილი გაზეთი, როცა გერმანის სკემს უახლოვესს და უერთგულესს მეგობრებს. რა გააწყონ ავსტრიის გერმანელებმა იმ იერიშის წინააღმდეგ, რომელიც სამთა - კავშირზე მოაქვთ, როცა მათ უნდა დაიცვან გერმანის წინააღმდეგ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები..... თუ ახალი ტარიფი განხორციელდა, შესაძლებელი ხდება სახელმწიფოთა ახალი ჯგუფების გაჩენა.... ამისთანა ზომები ისე ვერ ჩაივლიან, რომ პოლიტიკური გავლენა არ იქნიონ“. პუნგრების გაზეთები ხომ კიდევ უფრო მეტის სისასტრიკით ლაპარაკობენ და სამთა-კავშირს ახლო ბოლოს უქადიან. პრუსიელ იუნკრების (დიდი-მემამულენი) ჯიბის გასქელება ვერ უზღავს გერმანიას იმ დიდ დანაკარგს, რომლის შეძენას ბისმარკმა ამდენი ხერხი და ძალუონე მოაბმარა გერმანის იმპერიის საკეთილდღეოთო, ამბობენ პუნგრელები.

როგორც ვხედავთ, ახალი ტარიფი მეტად მავნებელი იქნება გერმანიისათვის როგორც შინ, ისე გარეთაც. გერმანიის მთავრობამ თითქოს დაპყარგა ალლო ხალხის ინტერესების ნამდვილ შეგნებისა. პოპენცერლენებს ყოველთვის იმით მოჰქონდათ თავი და სამართლიანადაც, რომ მათ ესმოდათ ხალხის თანამედროვე ინტერესები და ემსახურებოდნენ ამ ინტერესებს, „ჩეენ. დროს არ ჩამოვრჩენივართ უკანო“, ამაყად გაიძახოდნენ ისინი. ეილპელმ პოპენცერლენს კი თითქოს არ ესმოდეს თავის დროის მოთხოვნილება, ისე იქცევა; შთარველობას და დახმარებას უწევს მას, რაიც კაი ხანია მკვდარია, თავიდან იშორებს და თავს აძულებს მათ, ვინც ნამდვილ ძალას წარმოადგენს ეხლანდელ გერმანიაში, და საფრთხეში აგდებს თვით იმპერიის საერთაშორისო მდგომარეობას.

---

ვალდეკ-რუსოს სამინისტრომ ქვეყანა გააკვირვა თავის ხანგრძლივობითა და გამძლეობით. ვინ მოიფიქრებდა იმ დროს, როცა ეს სამინისტრო პირველად შესდგა, რომ იგი იმდენს ხანს გასძლებდა. ყველა იმას ამბობდა, რომ ახალი მთავრობა „გარდამავალი“ მთავრობაა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე

თვე იარსებებს და მერმე სხვას დაუთმობს თვის ადგილს... თვით ეშმაკი და გაიძვერა მელინი სრული დარწმუნებული იყო, რომ იგი მალე დაიბრუნებდა დაკარგულ ადგილს (ნახე გაზ. „ფიგარო“-ში დაბეჭდილი განსვენებულ ფურის ნალაპარაკევი ერთ მეგობართან). მართლაც ძნელი მოსაფიქრებელი იყო, რომ ასეთი ჰეტეროგენული, სულ სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენელთაგან შემდგარი სამინისტრო მოიპოვებდა ნდობას პარლამენტისას და ერისას და მერე იმ ჟროს, როცა ქვეყანა აღელვებული იყო დრეიფუსის საქმით და ამ საქმით გამოწვეულ სხვა-და-სხვა ინციდენტებით.

მძიმე, მეტად ჯიმე სამკვიდრო ხვდა წილად ვალდეკ-რუსოსა და მის ამხანაგებს. რესპუბლიკის ცხად და ფარულ მტრებმა შეერთებულის ძალით უკანასკნელი იერიში მიიტანეს ხალხის ინტერესების დამცველ წეს-წყობილებაზე. აღვიჩ წახსნილი აგიტაცია მოედო თვით ჯარსაც და ბევრი გავლენიანი სამხედრო პირი ჩაითრია. მზად იყო შეთქმულობაც და ქვეყნის მტერნი დღე-დღეზედ მოელოდნენ ქვეყანაზე გაბატონებას. ვალდეკ-რუსოს სამინისტროს უმთავრესი და პირველი დანიშნულება იყო რესპუბლიკის დაცვა მძგინვარე და გალალებულ მტრის იერიშისაგან. ვალდეკ-რუსო მტკიცედ და შეურყეველად შეუდგა საქმეს — მოსპო დრეიფუსის საქმე და თან-და-თან აღელვებული საზოგადოებრივი აზრი მიწყნარდა. სასტიკის, მაგრამ სამართლიანის ღონისძიებათა მიღებით ისევ მტკიცე დისკიპლინა დაამყარა ჯარში, სადაც ბლომად მოიპოვება იეზუიტების მიერ აღზრდის აფიცირები, რომელთაც დაივიწყეს ჯარის-კაცის მოვალეობა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკაში და გაბეჭულად ჰკიცხავდნენ მთავრობას. ღირსეულის სასჯელის მიყენებით იეზუიტების გაყოყოჩებული მოსწავლენი იძულებულნი შეიქმნენ ან მიეტოვებინათ სრულებით სამსახური, ან და სრულად დამორჩილებოდნენ დისკიპლინას.

მტრის მოგერება არ არის საქმარისი გამარჯვებისათვის; ამისათვის საჭიროა იერიშით მისვლა თვით მტერზე მის ბუდეში, საჭიროა მტრის უმთავრეს პოზიციების აღება და აქედან მისი

განდევნა. ვალდეკ-რუსომ, როგორც ნამდვილმა სახელმწიფო კაცმა, კარგად იცის სახელმწიფო გამგებლობის სტრატეგია და, რადგანაც გამბეტტას აღზრდილმა მოდევაწემ ისიც კარგად იციდა, თუ ვინ უფრო სიშიში მტერი იყო და საღ იყო მისი უმთავრესი ბუდე, იგი მტკიცედ და გაბედულად შეუდგა საქმეს. მთელ დრეიფუსიალის ავან-ჩავანის მომხდენი, ჯარის ამჯანყებელი, ერთის სიტყვით მთელის შეთქმულობის სული და გული კლერიკალები იყვნენ, ის კლერიკალები, რომელთაც ვერ დაუვიწყნიათ ძველი თავისი პრივილევიური მდგომარეობა და რომელნიც სცდილობენ სულ ახალ-ახალის, თანამდროო იარალით ამ ძველის დაბრუნებას.

ამბობენ, გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე 1871-ში გერმანულ სკოლის ბრალიაო, ეროვნულ სკოლაში გაწვრთნილმა და აღზრდილმა გერმანელმა ადვილად აჯობა იმ დროის უვიც ფრანგს. საშინელის დამარცხების შემდეგ, ფრანგები მათებურის გატაცებით შეუდგნენ სკოლის საქმეს და მოკლე ხანში სრულებით შესცვალეს საფრანგეთის სახე ამ მხრივ. და რაღვარ წინეთ სწავლა-განათლება კლერიკალების ზედა გავლენის ქვეშ იყო, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ სრულებით აღმოფხვრა ჟ გავლენა სახელმწიფო სკოლებში. მაშინ კლერიკალებმა სხვა ხერხს მიჰმართეს: იხარებდლეს ოქსპუბლიკის თავისუფლებით, დაარსეს კერძო სკოლები, მოაწყევეს ისინი საუკეთესოდ და დიდ-ძალი მოსწავლე ახალგაზღობაც მიიზიდეს. აი სწორედ ამ ადგილს მიიტანა თავისი იერიში მხნე და გამჭრიახმა ვალდეკ-რუსომ; ახლად დამტკიცებულის ეგრედ-წოდებულ „კანგრეგაციების კანონით“ საფრანგეთში ნება არა აქვს არც ერთ სასულიერო საზოგადოებას სწავლის საქმეს შოჰკიდოს ხელი. უმთავრესად კანონ-პროექტის ამ მუხლმა გამოიწვია ის საშინელი და მრისხანე წინააღმდეგობა და აგიტაცია, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ხსენებულ კანონ-პროექტის განხილვის დროს და რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა. ბევრი მოწინააღმდეგე ეხლანდელის სამინისტროსი სცდილობს დაამტკიცოს, რომ კონგრეგაციების კანონი უნაყოფო იქნება, რომ ხერხიანი იე-

ზუიტები და სხვა ორდენების წარმომადგენლები მოახერხებენ კანონის გვერდის ავლას, მაგრამ ცოტა არ იყოს ეს რწმუნება „ფიცი მრწამს ბოლო მაკვირვებს“-ს აგონებს კაცს: თუ ასე უმნიშვნელო და უშედეგო არის ეს კანონი, როთი აიხსნება მაშინ ის გაცხარებული, შწვავე ბრძოლა, რომელიც კლერიკალებმა გაუწიეს ვალდეკ-რუსოს სამინისტროს. არა, კლერიკალები ქვეითი ხალხია, ტყვილა უბრალოდ თოფის წამალს არ დახარჯავს და თუ დახარჯა და კარგა ბლომადაცა ეს იმის ნიშანია, რომ გასაჭირია და საფრთხეს ხედავდა.

რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლისა და მათზე გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა შეუდგა რესპუბლიკის ბურჯისა და სულის წარმდგმელის ბედის გაუმჯობესების საქმეს—მან წარუდგინა პარლამენტს ვრცელი კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევისა, რომლის საბოლოო განხილვა გადაიდო პარლამენტის შემდეგის სესიისათვის.

ერთის სიტყვით, ვალდეკ-რუსოს სამინისტრომ, წინააღმდეგ შორს გამჭვრეტ პოლიტიკოსთა წინასწარმეტყველებისა, გამოიჩინა ღიღი და უნარი ქვეყნის მართვა-გამგეობისა, ღირსეულად შეასრულა თავისი ზოვალეობა ერთი წინაშე და ამითი მოიპოვა კიდევ ერთი ნდობა, ურომლოდაც არც ერთ მთავრობას დაწინაურებულ ქვეყნისას არ შეუძლია გამგებლობა შეიჩინოს, თუნდ რაიმე შემთხვევის შიზეზით პარლამენტის უმრავლესობა მის მხარეზე იყოს. და რომ ვალდეკ-რუსოს სამინისტროს ქრის ნდობით უყურებს, ეს ცხადათ სჩანს იმ გარემოებიდან, რომ პროვინციალურ საბჭოების არჩევნების დროს შესამჩნევად გაიმარჯვეს მთავრობის მომხრე დასეგბბა (გარდა სოციალისტებისა). პროეინციალურ საბჭოების არჩევანს არასოდეს არ ჰქონია ასეთი შესამჩნევი პოლიტიკური

ხასიათი და ამ არჩევნების დროს გამარჯვება იმის მომასწავებელია, რომ საფრანგეთის ერს მოსწონს ეხლანდელ მთავრობის მოღვაწეობა და რომ მომავალ (10-ის თვის შემდეგ) საპარლამენტო არჩევნების დროსაც ვალდეკ-რუსოს პოლიტიკა გაიმარჯვება.



რედაქტორი:  
ალ. ჭეთიძა

გამომცემელი:  
ბა. ჯგუპარაძე